საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების
გზამკვლევი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1951

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევი შედგენილია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა მიერ. ეს კოლექტიური ნაშრომი შედგენილია შემდეგი პირების მიერ:

1. ქრისტინე შარაშიძემ შეადგინა გზამკვლევი ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდისა.

2. მანანა ქიქოძემ შეადგინა გზამკვლევი იმავე საზოგადოების ძველი საბუთების ფონდისა (მასვე ეკუთვნის: ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის გზამკვლევიც).

3. ლილი ქუთათელაძემ და ნადია კასრაძემ შეადგინეს ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ფონდის გზამკვლევი.

4. თინა ენუქიძემ შეადგინა გზამკვლევი იმავე მუზეუმის ძველი საბუთების ფონდისა.

5. კოტე გრიგოლიამ შეადგინა გზამკვლევი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდისა.

6. შოთა ბურჯანაძემ შეადგინა გზამკვლევი იმავე საზოგადოების ძველი საბუთების ფონდისა (მასვე ეკუთვნის თურქულ ხელნაწერთა კოლექციის გზამკვლევი).

7. ელენე მეტრეველმა შეადგინა გზამკვლევი აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ახალი ფონდისა (მასვე ეკუთვნის სპარსულ ხელნაწერთა და ფოტოპირების კოლექციათა გზამკვლევები).

8. ნიკო ქანთარიამ შეადგინა გზამკვლევი იმავე მუზეუმის ძველი საბუთების ახალი ფონდისა.

9. შალვა გოზალიშვილს ეკუთვნის გზამკვლევი პირადი საარქივო ფონდებისა.

10. დარეჯან მეგრელაძემ შეადგინა გზამკვლევი რუსულ ხელნაწერთა კოლექციისა.

11. ლილი ქუთათელაძეს ეკუთვნის გზამკვლევი სომხურ ხელნაწერთა კოლექციისა.

ავტორები დარწმუნებული არიან, რომ ეს მათი პირველი ცდა უნაკლო არ იქნება. მაგრამ, თუ ეს შრომა მცირეოდენ წარ-

მოდგენას მაინც შეუქმნის მკითხველს ჩვენი მუზეუმის ამ ძვირფასი საგანძურის შესახებ, ან მის მდიდარ ფონდებში გარკვევას ოდნავ მაინც გაუადვილებს, ისინი თავის მიზანს მიღწეულად ჩათვლიან.

ავტორები სიამოვნებით მიიღებენ საზოგადოებისაგან ყოველგვარ შენიშვნებსა და რჩევა-მითითებებს, რომელთაც ისინი მადლობით გამოიყენებენ წინამდებარე გზამკვლევის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ, ჩვენ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ პროფ. ილია აბულაძეს, დოცენტებს: ვლადიმერ ფუთურიძესა და სერგი ჯიქიას, რომელთა კონსულტაციით და დახმარებით შედგენილია აქ წარმოდგენილი: სომხურ, სპარსულ, თურქულ კოლექციათა გზამკვლევები. ასევე ავტორები მადლობას მოახსენებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს რენე ᲨᲛᲔᲠᲚᲘᲜᲒᲡ გზამკვლევში განხილულ ხელნაწერთა მხატვრული შემკულობის შეფასება-აღწერისას კონსულტაცია-დახმარებისათვის.

ავტორები

შესავალი

I

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საცავებში, დღეისათვის, ძველი ხელნაწერებისა და საბუთების მდიდარი ფონდები ინახება. ეს არის:

ა. ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი,

ბ. ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდი,

გ. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ფონდი,

დ. საკუთრივ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ შეძენილი ფონდი. რადგანაც ეს უკანასკნელი სხვებთან შედარებით უფრო ახალგაზრდა და მზარდი ფონდია, ამიტომ მას ჩვენ სიმოკლისათვის ახალ ფონდსაც ვეძახით.

ფონდებში ხელნაწერთა და საბუთების უდიდესი უმრავლესობა ქართულ ენაზეა წარმოდგენილი, მაგრამ იქ დაცულია ხელნაწერები და საბუთებიც რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზედაც. ხელნაწერთა ერთი ნაწილი წარმოდგენილია უცხო: ბერძნულ-ლათინურ და თურქულ-არაბულ-სპარსულ ენებზედაც.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი არ არის ძველ ქართულ ხელნაწერთა ერთადერთი მფლობელი. ასეთების მნიშვნელოვანი ფონდები და კოლექციები გაჩნია: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ისტორიულ არქივს, კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს, ქუთაისის, მესტიის, გორის, ზუგდიდის, თელავის, ახალციხის და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებს. გარდა ამისა, ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი ფონდები მოიპოვება: ლენინის სახელობის საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკაში (მოსკოვი), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ლენინგრადი), სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (იქვე) და მატენადარანში (ერევანი).

ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი კოლექციების არსებობა დადასტურებულია აგრეთვე უცხოეთშიაც: პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ბრიტანეთის მუზეუმი, ვატიკანის არქივი,

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (ავსტრია) და სხვ. ცნობილია აგრეთვე ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი კოლექციების არსებობა აღმოსავლეთში, ყოფ. ქართველთა მონასტრებში: ათონის მთაზე, იერუსალიმში და სინას მთაზე. მაგრამ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სხვებთან შედარებით, ძველ ქართულ ხელნაწერთა ყველაზე უფრო მდიდარი ფონდების მფლობელია: დღეისათვის მას გააჩნია ათი ათასამდე ხელნაწერი წიგნი და ოცდაათი ათასზე მეტი სიგელგუჯარი და სხვა ოფიციალური საბუთი.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე (1921 წ.) ძველ ხელნაწერთა შეგროვება-შენახვის და შესწავლის საქმე უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეფის მთავრობა ამ საქმეს განზრახ არ აქცევდა არავითარ ყურადღებას და ამ მიზნით არ ხარჯავდა არცერთ მანეთს, ხოლო როდესაც აქ მოწინავე ადამიანთა თაოსნობით კერძო საზოგადოებანი ჩამოყალიბდა და ამ მიმართულებით მუშაობა მაინც გაჩაღდა, მეფის მთავრობა შიშითა და ძრწოლით შეჰყურებდა მათ საქმიანობას, როგორც მისი კოლონიალური პოლიტიკის საწინააღმდეგო ღონისძიებას და ყოველმხრივ ხელს უშლიდა მათ.

უკეთესი მდგომარეობა საქართველოში არც მენშევიკების ბატონობის დროს ყოფილა. მენშევიკური მთავრობაც ამ საქმეს არ აქცევდა არავითარ ყურადღებას. ხოლო საზღვარგარეთ გაქცევის დროს მან თან გაიტაცა უნიკალურ ქართულ ხელნაწერთა უძვირფასესი კოლექცია და დაღუპვის რეალური საფრთხე შეუქმნა მას.

მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან (1921 წ.) ძველი ხელნაწერების შეკრების, დაცვის და შესწავლის საქმეში უდიდესი გარდატეხა მოხდა. ამიერიდან, გარდასულ დროთა კულტურული მემკვიდრეობის შეკრება, შენახვა და მეცნიერული შესწავლა საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის საქმედ იქცა.

თუ წინათ ასეთი საქმიანობა კერძო საზოგადოებათა მცირე სახსრებით მიმდინარეობდა, ეხლა უკვე ამისათვის საჭირო მთელი ხარჯები სახელმწიფომ იკისრა. ამ მიზნით ჩვენში დიდი თანხები იხარჯება. მარტო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ ამ საქმისათვის ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტით, რამდენიმე ასეული ათასი მანეთი იხარჯება.

1929 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კედლებში ხელნაწერთა შესანახად სპეციალური, ცეცხლგამძლე საცავები მოეწყო და მის სისტემაში ცალკე ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა ც ჩამოყალიბდა. ამ დროიდან აქ იწყება კერძო საზოგადოებათა მიერ უფრო ადრე შეკრებილი ფონდების გადმოსვლა-თავმოყრაც.

ყველაფერი ეს ნაყოფია იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც გაჩაღდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარების შედეგად, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის მშენებლობის მიმართულებით.

ხელნაწერთა განყოფილება დაკომპლექტებულია მეცნიერ თანამშრომელთა საჭირო რაოდენობით და მის ერთადერთ ვალდებულებას აღნიშნული ფონდების დაცვა, მოვლა და მეცნიერულად შესწავლა შეადგენს.

თითოეული ფონდი ცალკე საცავშია მოთავსებული. საცავებში უზრუნველყოფილია ძველ ხელნაწერთა შენახვისათვის აუცილებელი ყველა ძირითადი პირობა: სისუფთავე და ზომიერი ტემპერატურა. ტემპერატურისა და სინოტივის ცვალებადობაზე სპეციალური დაკვირვებანი აქ სისტემატურად მიმდინარეობს.

განსაკუთრებული მუშაობა მიმდინარეობს საცავებში ხელნაწერის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, რასაც მუზეუმის მიკოლოგები და სხვა სპეციალისტები ახორციელებენ.

სრული დატვირთვით მუშაობს მუზეუმში ცალკე ლაბორატორია დაზიანებულ ხელნაწერთა რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოების გარშემო. მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, უკვე ხელნაწერთა მრავალ ათას ფურცელს დაუბრუნდა ხანგრძლივი და ნორმალური სიცოცხლე.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ეხლაც ჩვენს მოსახლეობაში ხელნაწერთა გამოსავლინებლად, მათ შესაძენად და ახალი ფონდის შესავსებად. ეს სრულდება უმთავრესად შესყიდვის, შეწირულებისა და სამეცნიერო ექსპედიციების მუშაობის შედეგად. ამ ფონდის თვალსაჩინო სწრაფ ზრდას ხელს უწყობს აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ შეკრებილი ხელნაწერებისა და საბუთების ჩვენი მუზეუმისათვის გადმოცემაც (შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი და სხვა). აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად საქართველოს მუზეუმის ახალ ფონდში უკვე მრავალმა

უაღრესად მნიშვნელოვანმა კოლექციამ მოიყარა თავი: მარტვილური კოლექცია, ვახტანგ VI მიერ რუსეთში (ემიგრაციის დროს) გატანილ ხელნაწერთა კოლექციის ნაშთი და სხვა.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს სსრ კავშირის მთავრობის საგანგებო ღონისძიების შედეგად პარიზიდან იმ ხელნაწერების დაბრუნება, რომელიც საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს საზღვარგარეთ იყო გატანილი. ამ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ყველა ფონდისათვის. ამით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო-მუზეუმის და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდებს მრავალი ძვირფასი ხელნაწერი დაუბრუნდა. ხოლო პარიზიდან დაბრუნებული ხელნაწერების დანარჩენი ნაწილი ჩვენი მუზეუმის ახალ ფონდში შემოვიდა.

ხელნაწერთა შენახვის პირობების შემდგომი გაუმჯობესება საქართველოს მუზეუმში გეგმაშეწონილად მიმდინარეობს. ამ მიზნით, აქ მოწყობილია ფოტოლაბორატორია, რომელიც უნიკალურ ხელნაწერთა ფოტოპირების დამზადებას ახორციელებს. ახლო ხანში ხელნაწერთა განყოფილებასთან მოეწყობა მეცნიერული ფოტოლაბორატორია, მიკროგადაღებათა განსახორციელებლად და პალიმფსესტების წასაკითხავად.

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ასრულებს მნიშვნელოვან სამუშაოებს მუზეუმში დაცული ფონდების მეცნიერული შესწავლისა და ძველ ხელნაწერთა აღწერის მიმართულებით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელნაწერთა აღწერა ჯერ კიდევ განსვენებული აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დაიწყო. უკვე მოთავდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისეული ფონდის აღწერა. აქედან დაიბეჭდა და გამოქვეყნებულია ხელნაწერთა აღწერილობის ხუთი ტომი: პირველი ტომი განსვენებული აკადემიკოსის ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით გამოვიდა, ხოლო დანარჩენები პროფესორების: კ. კეკელიძის, ილ. აბულაძის და ალ. ბარამიძის რედაქტორობით გამოქვეყნდა.

დაიწყო ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდის დღემდე აუწერელი ნაწილის აღწერაც (№№ 1041—1804). მას მიყვება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ფონდის აღწერა და ასევ შემდეგ.

ამასთან ერთად, განყოფილებაში მიმდინარეობს იქ დაცული არქივების მეცნიერული აღწერაც. უკვე დამთავრებულია და დაბეჭდილია აღწერილობა დიმიტრი ყიფიანის არქივისა და ილია ჭავჭავაძის ნუსხებისა და ავტოგრაფების. მუშაობა სხვა არქივებზე დღესაც შეუნელებლივ გრძელდება.

თვალსაჩინო მუშაობას აწარმოებს განყოფილება ძველი ქართული საბუთების აღწერისა და გამოცემის მიმართულებით. ამასთან ერთად, ის მუშაობს საბუთების საძიებელთა შედგენაზედაც. ეს უკანასკნელი თვალსაჩინოდ გააადვილებს მუზეუმში დაცული ძველი ქართული საბუთების უმდიდრესი ფონდებით სარგებლობას.

ფონდების შესწავლის საფუძველზე განყოფილებისა და მისი თანამშრომლების მიერ დღემდე გამოქვეყნებულია მრავალი საყურადღებო ნაშრომი: აღწერილობანი, ტექსტები და გამოკვლევანი. ამ უკანასკნელთა შედეგად უკვე მრავალ ხელნაწერს მეცნიერების ახალი შუქი მოეფინა.

II

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები ჩვენი წელთაღრიცხვის V—VI საუკუნეებს აღწევენ. ეს არის, ერთი მხრივ, წარწერიანი ქვა ბ ო ლ ნ ი ს ს ა ყ დ რ ი დ ა ნ. წარწერიანი ქვა საყდრის ჩრდილოეთის შესავალი კარის ბალავარს წარმოადგენდა. მისი მშვენიერი მრგლოვანით შესრულებული რელიეფური წარწერა ამოკვეთილია სპარსეთის მეფის პ ე რ ო ზ ი ს ტახტზე ასვლის შემდეგ 35-ე წელს. ამის მიხედვით, ეს წარწერა, რომელიც ბოლნისის საყდრის აშენებას შეეხება, ზუსტად 492—493 წლებით თარიღდება.

მეორე მხრივ, ეს გახლავთ პ ა ლ ი მ ფ ს ე ს ტ ე ბ ი. ასე ეწოდება ეტრატის ფურცელს, რომელიც საწერად ორჯერ არის გამოყენებული.

საქმე იმაშია, რომ ერთხელ დაწერილი მასალა დროთა ვითარებაში ძველდებოდა, იდეოლოგიური, ან ენობრივი, ან ფაქტობრივი თვალსაზრისით უვარგისი და ზედმეტი ხდებოდა, საწერი მასალა—ეტრატი კი ძვირი იყო. ამიტომ მიმართავდნენ მის გადაფხეკა-გადარეცხვას. ამგვარად მოსუფთავებული ეტრატის ფურცელზე ახალი დროის შესაფერი ტექსტი იწერებოდა.

ამასთან ერთად გამორკვეულია, რომ ასეთი გადაფხეკა-გადარეცხვის შემდეგაც ეტრატზე თავდაპირველი ტექსტის ნაკვალევი

სულ მთლიანად იშვიათად ქრებოდა; კერძოდ, კალმით ჩაჭდევის ადგილებში გადაფხეკის შემდეგაც საღებავის რაღაც ნაშთი მაინც რჩებოდა. სწორედ ამის გამო, სინათლეზე გახედვისას ეს ადგილები უფრო მუქად მოჩანს ხოლმე. ამის შედეგად ხშირად ხერხდება თავდაპირველი ტექსტის ასოთა მოხაზულობის გარჩევა და ამის მიხედვით თვითონ ტექსტის წაკითხვაც. პალიმფსესტების უაღრესად დიდი სამეცნიერო ღირებულება საყოველთაოდ ცნობილია. მათი დახმარებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა მეტად შორეული წარსულის ამბები გავიგოთ და ჩვენი ენის განვითარების ადრინდელი საფეხური გავიცნოთ.

პალიმფსესტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ ენას ადრინდელ საფეხურებზე ახასიათებდა ჯერ ხ-ანის, ხოლო შემდეგ ჰ-აეს ხმარება „მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად ზმნებში, ხოლო შედარებით, აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად სახელებში"[1]. ამგვარ მოვლენებს ენათმეცნიერებაში ეხლა ხანმეტობას და ჰაემეტობას ეძახიან.

გარდა ამისა, პალიმფსესტებმა ქართული დამწერლობის საგულისხმო პალეოგრაფიული ნიშნებიც შემოგვინახეს. გამოირკვა, რომ V—VI საუკუნეებში ასო ბ-ანი თავშეკრული ყოფილა სწორედ ისე, როგორც ეს ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის უძველეს წარწერებშია წარმოდგენილი. დაახლოებით VII საუკუნისათვის ბ-ანი უკვე ოდნავ თავგახსნილია. აღნიშნული გარემოება კი უძველესი უთარიღო ძეგლების დასათარიღებლად უაღრესად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პალიმფსესტების შინაარსს, ჯერჯერობით წაკითხული მასალა დაბადება-სახარების საკითხავები გამოდგა, მაგრამ მკვლევარნი გამოთქვამდნენ იმედს „იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და ამ პალიმფსესტთა შორის ისტორიული ძეგლებიც აღმოჩნდესო"[2]. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს პალიმფსესტების მეტად დიდი კოლექცია გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, აქ მათი საერთო რაოდენობა ათეულ ათას ფურცელს აღემატება.

---

[1] აკაკი შანიძე. ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, თბილისი, 1923, გვ. 354.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები. თბილისი, 1923, გვ. 369.

ოღონდ, ერთი გარემოება აქ უთუოდ აღსანიშნავია: აკად. ს. ჯანაშიას სასელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული და ჯერჯერობით უძველესად მიჩნეული წერილობითი ძეგლები ქართული მწიგნობრობის განვითარების მხოლოდ ერთ გარკვეულ,შედარებით გვიანდელ, საფეხურს წარმოგვიდგენს.

უფრო ადრინდელ და მით უფრო თავდაპირველ ძეგლებს ჩვენ დრომდე აღარ მოუღწევია, მაგრამ მეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ ქართულ მწიგნობრობას, სანამ ის ჩვენთვის ცნობილ საფეხურამდე მოაღწევდა, ქრისტიანობის წინარე ხანაში განვითარების მეტად გრძელი გზა ჰქონია განვლილი. ჯერ კიდევ XI საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ქართული მწიგნობრობის შემოღებას ქართველთა პირველ მეფეს ფარნავაზს მიაწერდა. მისი სიტყვით, ფარნავაზმა ,,განავრცო ენა ქართლისა და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული''[1]. ამგვარად, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართული მწიგნობრობა სამნახევარი საუკუნით უფრო ადრე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაწყებული ჩანს. ამ უკანასკნელ ხანებში წარმოებულმა კვლევა-ძიებამ არა მარტო დაადასტურა ლეონტი მროველის მითითება ქართული მწიგნობრობის ანტიკურ ხანაში დაწყების შესახებ, არამედ ამ მოვლენის თარიღიც უაღრესად დააზუსტა. გამოირკვა, რომ ,,ქართული ანბანი წარმოშობილი უნდა იყოს არა უგვიანეს VII საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე''. ხოლო ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი სიმონ ჯანაშია, თავის მხრივ, ამ დებულებას დასძენდა: ,,საერთო ისტორიული პირობების მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, დაახლოებით, სწორედ ამ დროს უნდა მიეტოვებინათ ქართველებს თავისი ძველი იეროგლიფური ლურსმული დამწერლობა და ფონეტიკურ დამწერლობაზე გადასულიყვნენ''[2]. ქართველი ხალხის ისტორიული გზის თავისებურების გამო, სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის განუწყვეტელი ბრძოლა გარეშე მტრებთან, ქართული მწერლობის ნამდვილად უძველესი ძეგლების დიდი ნაწილი დაიღუპა. მაგრამ მას, რაც ,,ეამთა სიავეს'' გადაურჩა, ქრისტიანულმა ეკლესიამ მოუღო ბოლო. გამარჯვებულმა ქრისტიანობამ საბოლოოდ გაანადგურა ძველი, წარმართობის დროინდელი ქართული მწერ-

[1] ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბილისი, 1942, გვ. 19.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. I, თბილისი, 1946, გვ. 94.

ლობის ძეგლები. ძველისაგან ეკლესიამ მხოლოდ **დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა**, ანუ **ა ნ ბ ა ნ ი**, მიიღო და თავის საჭიროებისათვის გამოიყენა იგი. ამგვარად, „ქართული ანბანი ანუ დამწერლობა უფრო ძველია ვიდრე ქართული მწერლობა".

უძველესი ქართული დამწერლობა, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ წარმართობის ხანიდან მიიღო და თავის მიზნებისათვის გამოიყენა, **მ რ გ ლ ო ვ ა ნ ი ს** სახელწოდებით არის ცნობილი. არსებითად ეს იყო ორ ხაზს შუა დამწერლობა, რომლის ასოებს, მრგლოვან მოხაზულობასთან ერთად, ტანის თანაბარი სიდიდე ახასიათებდა. მრგლოვანი დამწერლობა ჩვენი წელთაღრიცხვის IX საუკუნემდე იყო გაბატონებული—ქართული მწერლობის ადრინდელი ყველა ძეგლი, წიგნური თუ ეპიგრაფიკული ხასიათისა, მაშინ ამ ხელით იწერებოდა.

მრგლოვანმა დამწერლობამ, თავის მხრივ, განვითარების გრძელი გზა გაიარა და მისგან უჰეშვეოდ ახალი, **ნ უ ს ხ უ რ ი** დამწერლობა განვითარდა. ეს უკვე ოთხ ხაზს შუა დამწერლობა იყო. მას ეხლა მეტი კუთხოვანება და ასოთა ტანის აშკარა შემცირება ახასიათებდა. წერის დროს ასეთი დამწერლობა ხელის სწრაფი მოძრაობის საშუალებას იძლეოდა და თანაც მისთვის ბევრად უფრო მცირე საწერი მასალა იყო საჭირო. „იგი უკვე მეცხრე საუკუნეში გვხვდება და ბატონობს მე-10 და მე-11 საუკუნეში. შემდეგ იგი თუ იხმარება, თითქმის მხოლოდ საეკლესიო მიზნებისათვის, სხვა შემთხვევისათვის კი გზას უთმობს მხედრულს".

მ ხ ე დ რ უ ლ დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა ს მოხაზულობის მომრგვალებასთან ერთად ასოთა ტანის შემდგომი შემცირება და გადაბმულობა ახასიათებდა. ასეთი დამწერლობა კიდევ უფრო ნაკლებ საწერ მასალას მოითხოვდა, თანაც ის ხელის მეტ სისწრაფესაც იძლეოდა. ეხლა უკვე შესაძლებელი გახდა, წერის დროს ხელი ხშირად არ მოსცილებოდა ხაზს. XI საუკუნიდან მოყოლებული, **ს ა ე რ ო ხ ა ს ი ა თ ი ს** ყოველგვარი ძეგლი: წიგნები, ოფიციალური დოკუმენტები, ზოგჯერ წარწერებიც მხედრულით სრულდებოდა ხოლმე. ამ დროიდან ნუსხური მხოლოდ საეკლესიო მიზნებისათვის იხმარებოდა. სწორედ ამ ნიადაგზე და ამ დროიდან მკვიდრდება ჩვენში საგანგებო ტერმინი: „**ხ უ ც უ რ ი**", ე. ი. საეკლესიო (სამღვდელო), როგორც მხედრულის საპირისპირო ზოგადი ტერმინი, ასომთავრულისა და ნუსხურის აღსანიშნავად.

მხედრულმა დამწერლობამ, თავის მხრივ, განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. მისი ადრინდელი საფეხური „**მ დ ი-**

ვ ა ნ მ წ ი გ ნ ო ბ რ უ ლ ი ს“ სახელწოდებით არის ცნობილი. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს არის ერთგვარი გარდამავალი ხანა ნუსხურიდან მხედრულისაკენ. მეტ-ნაკლებად თავისებური პალეოგრაფიული ნიშნები გააჩნია მას XI—XIV საუკუნეებისათვის. მეთხუთმეტე საუკუნიდან კი ის გარკვევით თანამედროვე მხედრულს უთმობს ადგილს.

ძველ საქართველოში საწერ მასალად ე ტ რ ა ტ ი იხმარებოდა. ეს იყო ცხვრის ან ხბოს ტყავი, წერისათვის საგანგებოდ შემზადებული. როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ,,ეტრატს დამწერლობის განვითარებისა და მწიგნობრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მისი მოქნილობა და გამძლეობა სწრაფ წერასა და გავრცელებას ხელს უწყობდა და აადვილებდა,“ ხოლო ეტრატის გავრცელების შესახებ ჩვენში იგივე მკვლევარი დასძენდა: ,,ძველ საქართველოში, V—VI ს-შიც ეს საწერი მასალა საკმაოდ მოიძებნებოდა. XI—XII საუკუნებამდე ეტრატს ქართულ სამწიგნობრო ხელოვნებაში მეტოქე არ უჩანს და ყველა ხელნაწერი ეტრატზეა დაწერილი“.

რადგანაც ძველად საქართველოში მწიგნობრობა ბევრგან იყო გაჩაღებული, ცხადია, ეტრატზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა. ამიტომ თითოეულ მონასტერს, რომელიც კი სამწერლობო მოღვაწეობას ეწეოდა, თავისი ეტრატის გამკეთებელი ჰყავდა. ეს უკანასკნელი შეიძლებოდა მწიგნობარიც ყოფილიყო. ასე მაგალითად, XIV საუკუნეში ამ დარგის ცნობილ მოღვაწეს ა ვ გ ა რ ო ზ ბ ა ნ დ ა ი ძ ე ს სხვა ხელობათა შორის ,,შ ე მ ზ ა დ ე ბ ა ე ტ რ ა ტ ი ს ა ჲ“ სცოდნია.

როგორც ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერებიდან ჩანს, საქართველოში ძველად ჩინებული ეტრატი უკეთებიათ. ქართველი ოსტატის ნახელავი: მკვრივი—ყვითელი, ან კიდევ თხელი—თეთრი ეტრატი თავისი მოქნილობითა და სითეთრით უმაღლესი ხარისხის ქაღალდისაგან ეხლაც ძნელად ირჩევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერის შემზადებისათვის ეტრატის ფურცლების საკმაო რაოდენობა იყო საჭირო. ხოლო ისეთი დიდტანიანი ხელნაწერისათვის, როგორიცაა: ბიბლია, სვინაქსარი, მრავალთავი და სხვა, თითქმის მთელი ჯოგი ან ფარა უნდა დაეხოცათ!.. თუ ჩვენ აქ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერთა დიდ რაოდენობას, აშკარა გახდება, რომ ძველ საქართველოში ეტრატზე

ესოდენ გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მაღალი დოვლათიანობის უტყუარი ნიშანია.

XI საუკუნიდან საქართველოში საწერ მასალად თანდათანობით ქ ა ღ ა ლ დ ი შემოვიდა. ქაღალდი თავისი სიიაფით დიდ მეტოქეობას უწევდა ეტრატს. მალე მან სამწიგნობრო საქმიანობაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. მაგრამ გამძლეობით ქაღალდი ეტრატს, რასაკვირველია, ვერ შეედრებოდა. ამიტომ შემდეგშიაც ეტრატი განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექსტებისათვის კარგა ხანს იხმარებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ოფიციალური ხასიათის დოკუმენტები: სიგლები, გუჯრები და სხვა საბუთები დიდხანს მხოლოდ ეტრატზე იწერებოდა. ასევე, ხშირად ეტრატზე წერდენ სახარების წიგნებსაც. ასე რომ, თავისი გამძლეობის წყალობით ეტრატმა არსებობის უფლება დიდხანს შეინარჩუნა.

სამაგიეროდ, ქაღალდი თავისი სიიაფით უფრო უწყობდა ხელს მწიგნობრობის გავრცელებას და გაფართოებას. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენ დრომდე ძოღწეულ ხელნაწერთა და საბუთების დიდი უმეტესობა სწორედ ქაღალდზეა დაწერილი.

ძველ საქართველოში საკუთარი ქაღალდი ჰქონიათ. საამისო წარმოება აქ დიდად განვითარებული ყოფილა. თავისი ძირითადი თვისებებით (სისქე, სიმკვრივე, სითეთრე და სხვა) ქართული ქაღალდი არც ერთი სხვა ქვეყნის საუკეთესო ქაღალდს არ ჩამოუვარდებოდა.

ეტრატისა და ქაღალდის გარდა საწერ მასალად, ძველ საქართველოში, ქ ვ ა ც იხმარებოდა. ქვას ამ მიზნით შეარჩევდნენ და საგანგებოდ ამუშავებდნენ. გათლიდნენ მას ან ფიცრის მსგავსად („ფიცარნი ქვისანი"), ან ეს იყო ჩვეულებრივი საალმშენებლო ქვა, რომლის ზედაპირს წარწერისათვის გათლიდნენ, ან კიდევ საგანგებო დანიშნულების ქვა: გზის ჯვრებისა, მამულების სამიჯნო და „სიმტკიცის" წარწერებისათვის. ოღონდ ქვა, ეტრატისა და ქაღალდისაგან განსხვავებით, შედარებით მოკლე წარწერისათვის იხმარებოდა: საალმშენებლო, სიმტკიცის, საფლავის და სხვა მოკლე წარწერებისათვის. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი წარწერიან ქვებს თავისი ყოველწლიური სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიციების მეშვეობით აგროვებს. მას უკვე ასეთი ქვების დიდი კოლექცია გააჩნია. დიდად საყურადღებოა ისიც, რომ ხშირად წარწერა ქვაზე სათანადო შემკულობასაც არ არის მოკლებული. ჯერ ერთი, წარწერა თითქმის ყოველთვის მო-

თავსებულია ორნამენტირებულ ჩარჩოში. გარდა ამისა, იქ ხშირად ამოკვეთილია: ჯვარი, ხელი (ადამიანის) ან საგანგებო წნული ნიშანი—როგორც მაგალითად, თ ა მ ა რ ი ს სახელით მოჭრილ წარწერიან ქვებზე და სხვა. რაც შეეხება ძველი მსოფლიოს სხვა საწერ მასალებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ქ ი ლ ი (папирус), როგორც ცნობილია, საქართველოში საწერ მასალად არ ისმარებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენს საცავებში სამი ცალი პატარა ზომის ჭილნარევი ქართული ხელნაწერი მაინც გაგვაჩნია. ისინი ჩამოტანილია წარსული საუკუნის შუა წლებში, ცნობილი რუსი მეცნიერის პ ო რ ფ ი რ ი უ ს პ ე ნ ს კ ი ს მიერ, სინას მთის ქართველთა მონასტრიდან (არაბეთ-ეგვიპტის საზღვარი).

ხელნაწერი IX საუკუნის ქართული იადგარი (საგალობელნი) გამოდგა. ოღონდ პორფირი უსპენსკის სინას მთიდან ის წამოუღია, როგორც ერთი ხელნაწერი, რომელიც მას იქ (რუსეთში) სამ წიგნაკად დაუყვია და თითოეული ცალ-ცალკე აუკინძიხებია. დიდად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ ხელნაწერებში ჭილისა და ეტრატის ფურცლები ერთიმეორეს მისდევენ და ერთმანეთს სცვლიან. ეს კი ხელნაწერის მეტი სიმტკიცისათვის გაუკეთებიათ. როგორც ცნობილია, ჭილი მცენარეული წარმოშობისაა, ამიტომ ის ძლიერ მსხვრევადია. მით უფრო ჭილის ფურცლების ერთმანეთთან შეხების დროს, აშკარაა, ეტრატი აქ ჭილის საფარად ჩადებული ფურცლის დანიშნულებასაც ასრულებს. ეტრატის მოლიპულ ზედაპირზე, ცხადია, ჭილის ხახუნი მაქსიმალურად შემცირებულია.

დასასრულ, აღსანიშნავია ხ ე ც. ძველ საქართველოში საწერ მასალად არც ხე იხმარებოდა. ხის ცვილოვანი დაფები—ორი ან მრავალკარედები—ჩვენში არ მოიპოვება. ოღონდ, ჩვენს მუზეუმში მაინც ინახება რამდენიმე ცალი გათლილ ხეზე დაწერილი საბუთებისა[1]. ეს არის თელას ხის მოკლე ბირკები, რომელიც მრავალ წახნაგებად არის გათლილი. მის წახნაგებზე ჩვეულებრივი მელნით დაწერილია მოკლე შინაარსის საბუთები. ბირკების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ისინი ყ ვ ე ლ ა კ ა ლ ი ს თემიდანაა (ზემო სვანეთი) და წარწერებიც ადგილობრივ სათემო საბუთებს წარმოადგენს. ხელის მიხედვით, ეს საბუთები XIII—XIV საუკუნეებს განეკუთვნება.

---

[1] წარწერიანი ბირკების თვალსაჩინო რაოდენობა ამჟამად მ ე ს ტ ი ი ს (ზემო სვანეთი) ისტორიულ მუზეუმს მოეპოვება.

ამგვარად, ჩვენ საცავებში შენახული წერილობითი ძეგლები ქვაზე, ეტრატსა და ქაღალდზეა დაწერილი. ქვა მხოლოდ მოკლე ლაპიდარული წარწერებისათვის იხმარებოდა, ეტრატი და ქაღალდი კი წიგნური ძეგლებისათვის. ჭილი და ხეც აქ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

თუ ქვაზე წარწერის ამოსაკვეთად „ფრჩხილი ანდამატისა", ანუ ფოლადის მჭრელი იარაღი, იხმარებოდა, უფრო რბილ მასალაზე—ეტრატსა და ქაღალდზე საწერად ძველ საქართველოში ლერწმის კალამი ჰქონიათ. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „რადგან ქართული ეტრატის ძეგლები V—VI ს.ს. დროითგან გვაქვს შენახული, ლერწმის საწერი იარაღი საქართველოში ამ დროს და უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო" ხმარებაში. მერე და მერე კალამი საქართველოში ფოლადისაგანაც უკეთებიათ — ყოველ შემთხვევაში, ფოლადის კალამი უკვე X საუკუნისათვის იხსენიება წყაროებში. ზოგიერთ ქვეყანაში კი კალამი ბატის ფრთისაგანაც უმზადებიათ (შეადარეთ: перо). მაგრამ კალმით წერისათვის აუცილებელი იყო საღებავიც. კალმის წვერი უთუოდ საღებავში უნდა ყოფილიყო „ამონაწობი", უამისოდ კალამი ეტრატსა თუ ქაღალდზე თვალსაჩინო კვალს ვერ დასტოვებდა. „ამიტომ კალმის შემოღებისთანავე საღებავის ხმარებასაც მიყვეს ხელი და საღებავით დაიწყეს წერა". საწერად გამოყენებულ საღებავს საქართველოში მელანს ეძახდნენ. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით „ჩვეულებრივ საღებავი შავი იყო მიღებული, წითელსა და მწვანეს-კი განსაკუთრებულ შემთხვევაში მოიშველიებდნენ ხოლმე". ასევე განსაკუთრებულ შემთხვევაში იხმარებოდა ოქრომელანიც. წერისათვის განკუთვნილი საღებავი, ანუ მელანი, საქართველოში სხვადასხვა მასალისაგან: ლითონის თუ მცენარეული მასალებისაგან უკეთებიათ. ზოგჯერ ასეთი მელანი წყლისა, ჰვარტლისა და წებოსაგანაც უმზადებიათ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მელანი საუკეთესო ღირსების გამოდიოდა. ქართული მელანის მაღალი თვისებები ჩვენი საცავების ეტრატისა და ქაღალდის უძველესი ხელნაწერებითაც ადვილად დასტურდება. ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით: „ვერც ათასი წლის ხნიერებამ, ვერც სინოტიემ, თუ მხურვალე მწველმა მზემ მათ ფერი და ბრწყინვალება ვერ შეუცვალა და ვერა დააკლო რა".

წიგნის შემზადება საკმაოდ რთული საქმე იყო. წიგნი, რომ წასაკითხი და მოსახმარი გამხდარიყო, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალი ადამიანის მონდომებულ მუშაობას მოითხოვდა.

წიგნის ავტორი ან კიდევ მთარგმნელი წერას დაასრულებდა თუ არა, ნაშრომი ,,კაიხელად'' უნდა გადაწერილიყო. ამას თვითონ ისინი ან კიდევ საგანგებო მწერლები აკეთებდნენ. მწერალი, უპირველესად ყოვლისა, ცდილობდა, რათა მას ,,დ ე დ ა ჲ მ ა რ თ ა ლ ი'' ჰქონოდა ხელთ. ამის შემდეგ. მისი მთავარი საზრუნავი ,,უცთომელობის'' დაცვა იყო, ე. ი. მის გადანაწერში ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც დედანში ეწერა და მას არც ,,დაკლებული'' და არც ,,შემატებული'' არ უნდა ხლებოდა-რა. ცხადია, წიგნის „კაიხელად" გადაწერა ხანგრძლივ დროს თხოულობდა, განსაკუთრებით კი თუ წიგნი დიდტანიანი იყო, მის გადაწერას უთუოდ წლები უნდოდა. ასეთ შემთხვევაში, გადაწერის დაჩქარება მხოლოდ კოლექტიური შრომის წყალობით ხერხდებოდა.

არაჩვეულებრივი სიყვარულითა და მუყაითობით ასრულებდა მწერალი თავის მოვალეობას. ადრე დილიდან—გვიან საღამომდე, დღის სინათლეზე თუ ლამპრის შუქზე, ის იჯდა მარტოკა თავის მყუდრო სენაკში და აკეთებდა თავის საყვარელ საქმეს. მას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ხალხის სამსახურის მაღალი გრძნობა და თანაც კარგად იცოდა მისი ბრძნული თქმულება: ,,ხ ე ლ ი მ წ ე რ ლ ი ს ა ლ პ ე ბ ი ს, ხ ო ლ ო ნ ა წ ე რ ი მ ი ს ი ჰ გ ი ე ს უ კ უ ნ ი ს ა მ დ ე''.

წიგნი გადაიწერებოდა თუ არა, მისი მხატვრული შემკობა დაიწყებოდა. ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო არა მარტო ქართველი მკითხველის მაღალმხატვრული გემოვნებით, არამედ გარკვეული პედაგოგიურ-დიდაქტიკური მოთხოვნილებითაც. ზოგიერთი წიგნის ტექსტი სათანადოდ ილუსტრირებული უნდა ყოფილიყო. რათა მკითხველს ადვილად გაეგო მისი შინაარსი და მტკიცედ შეეთვისებია იგი. ამ მიზნით, მწერალი წიგნში სათანადო ადგილებს წინასწარვე დაუწერლად სტოვებდა. გადაწერილი წიგნი მხატვარს შესამკობად გადაეცემოდა. ხელნაწერის შემკობა მეტ-ნაკლებ დროს მოითხოვდა იმის და მიხედვით, თუ რა სახის და რამდენი ერთეულის დახატვა იყო ნავარაუდევი. ასე მაგალითად: ერთი შატბერდული სახარება (,,ჯრუჭის'') გადაწერის შემდეგ მხოლოდ მეოთხე წელზე მოუხატავთ (940 წ.). ზოგჯერ შემ-

კობის გაპიანურება მატერიალურ სახსრებზედაც იყო დამოკიდებული, ხელნაწერის მხატვრული შემკობა „წარსაგებელის“ გარკვეულ რაოდენობას მოითხოვდა.

მხატვრული ელემენტი ხელნაწერში სხვაზე უფრო ადრე თვითონ ბწერალს შეჰქონდა: კალიგრაფიული ხელი, ტექსტის ორსვეტად ჩამოსხმა, განიერი აშიები, განაკუთრებით კი ტექსტის გადასაწერად ნახმარი ფერადი მელანი წინასწარვე ჰქმნიდა ხელნაწერში საზეიმო-მხატვრულ განწყობილებას. რაც შეეხება ხელნაწერის მხატვრული შემკობის საქმეს, უნდა ითქვას შემდეგი: საგანგებო შემთხვევებში ხელნაწერის თავში, პირველ ფურცელზე, ხატავდნენ კამარებს. კამარების მოხატვა იმდენად არსებითი მნიშვნელობისა ყოფილა ძველ საქართველოში, რომ ზოგჯერ მხატვარსაც ამის გამო „კამარათმწერალი“ რქმეულა.

გარდა კამარებისა, ხელნაწერის ტექსტში შიგადაშიგ ხატები, ანუ სურათები, იხატებოდა. ეს უკანასკნელი ორ ჯგუფად იყოფოდა: ტექსტთან დაკავშირებული ცალკე პირების (მახარებელთა ან დიდი მამების) პორტრეტები ან კიდევ ტექსტში მოთხრობილი ამბების მხატვრული ილუსტრაციები. წიგნის შემკულობის ცალკე სახეობას თავსამკაული და ბოლოსამკაული შეადგენდა. საპირო იყო, რათა წიგნის ყოველი თავის დასაწყისი და ბოლო შესაფერი მორთულობით ყოფილიყო წარმოდგენილი.

გარდა იმისა, რომ ტექსტს ზოგჯერ ფერადი ხაზების მხატვრულ ჩარჩოში ათავსებდნენ, მიღებული ყოფილა მის გარშემო განიერი აშიების მოხატვაც. ამ შემთხვევაში მხატვარი ამას ნაირნაირ მცენარის მოტივებით ამკობდა.

საკმაოდ ადრე და ბევრგან ვხვდებით ჩვენ ტექსტში მხატვრულად გაფორმებული საუბდაო ასოების თვალსაჩინოდ დიდ რაოდენობას. ადამიანს აქ ხიბლავს ასოთა მოხაზულობის მრავალსახეობა და მათ შესაბამობად გამოყენებული ფერების სიმრავლე და სინაზე.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საცავებში მოხატული ხელნაწერების დიდი კოლექცია მოიპოვება. ადამიანი აქ ბლომად პოულობს ძველი ქართული ხელნაწერის დეკორატიული მხატვრობის ბრწყინვალე შედევრებს. სპეციალისტების აზრით, ხელნაწერებში ქართველი მხატვრის ნახელავი თავისი შინაარსით, ფერების სიმდიდრითა და უბადლო შესრულებით არ ჩამოუვარდება ამ დარგის მსოფლიოში ცნობილ საუკეთესო ნიმუშებს. მოხატული ხელნაწერების ეს კოლექცია

სამართლიანად ითვლება ჩვენი საცავების განსაკუთრებული მნიშვნელობის სიმდიდრედ.

გადაწერისა და მოხატვის შემდეგ ხელნაწერის აკინძვა-შემოსვა დაიწყებოდა. აკინძვა რვეულების მიხედვით ცოდნიათ. თითოეულ რვეულში, როგორც წესი, რვა-რვა ფურცელი იყო. აქედანაა მისი სახელწოდებაც რ ვ ე უ ლ ი. რვეულები წიგნად შეიკვრებოდა, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელს ტყავგადაკრული ხის მაგარ ყდაში ჩასვამდნენ და წიგნიც გამზადებული იყო.

თავისი ჩვეულებრივი სახის გარდა, წიგნს შეიძლებოდა გრაგნილის სახეც ჰქონოდა. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მისი აკინძვა-შემოსვა საჭირო არ იყო. გრაგნილი ერთი მეორეზე გადაკერებული ეტრატის რამდენიმე კეფისაგან შედგებოდა. ის ჩვეულებრივ ხის მრგვალ ჰატარა ჯოხზე იყო დახვეული, ამიტომაც მას გრაგნილი, ანუ დახვეული, ეწოდებოდა.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველი მწერლისა და მხატვრის განსაცვიფრებელი თავმდაბლობა. ადამიანები, რომელნიც ხელნაწერის შემზადება-გამშვენიერებისათვის წლობით მუშაობდნენ, თავიანთ ნაშრომში არც კი ასახელებდნენ თავის ვინაობას. ხოლო იქ, სადაც მწერალი იძულებული იყო ანდერძისა თუ სხვა გარემოების გამო ასეთი მაინც აღენიშნა, ის ამას აკეთებდა ძალიან მოკლედ და გაკვრით, მარტო სახელს თუ იტყოდა სადმე და ისიც ტექსტში არათვალსაჩინო ადგილას. კიდევ უფრო საკვირველი ის გარემოებაა, რომ ძალიან ხშირად დიდნიშვნელოვანი ეროვნული ძეგლების გამოჩენილი ოსტატები თავიანთ სახელს: „მჩხრეკალი“, „მჩხაბავი“, „ულირსი“ და სხვა მსგავსი ეპითეტებით ამკობდნენ ხოლმე.

მიუხედავად ხელნაწერის შემზადებასთან დაკავშირებული სიძნელეებისა: მასალის სიძვირე, შემზადების ხანგრძლიობა, გამრავლების ზეტისმეტი განსაზღვრულობა და სხვა, ძველ საქართველოში მწიგნობრობა მაინც საკმაოდ გაჩაღებული ყოფილა. საქართველოს ყველა კუთხეში ხელნაწერი წიგნი საკმარისად მოიძებნებოდა. ასეთი საქმიანობა მაშინ უმთავრესად მონასტრებში წარმოებდა. ადრინდელ საუკუნეებისათვის აქაც მონასტერი მწიგნობრობისა და კულტურის ცენტრიც ყოფილა. ასეთი ცენტრებით განსაკუთრებით ბოფენილი იყო ს ა მ ხ რ ე თ საქართველო: კ ო ლ ა, ა რ ტ ა ა ნ ი, ტ ა ო-კ ლ ა რ ჯ ე თ ი და შ ა ვ შ ე თ ი. გეოგრაფიულად კი ეს იყო მდინარე მ ტ კ ვ რ ი ს ს ა თ ა ვ ე ე ბ ი, მდ. ჭ ო რ ო ხ ი ს აუზი და შ ა ვ ი ზ ღ ვ ი ს ს ა მ ხ რ ე თ ს ა ნ ა პ ი რ ო ს ნ ა წ ი ლ ი.

მეზიდრო ქართულ მოსახლეობასთან ერთად, აღნიშნულ რაიონებში ადრიდანვე ჩამოყალიბდა ქართული კულტურის ისეთი დიდმნიშვნელოვანი კერები, როგორიც იყო: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა, პარხალი და სხვა.

ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე შედევრებთან ერთად, ეს მხარე ქართული მწიგნობრობის შესანიშნავი ძეგლებით მოიფინა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენი საცავების ძველ ხელნაწერთა დიდი უმეტესობა სწორედ ამ მხარეშია დაწერილ-მოხატული. იქ დაიწერა: უძველესი „ქართული დაბადება" და „ქართული სახარება" (IV ს.), ქართველი ხალხის უძველესი ისტორია—„მოქცევაჲ ქართლისაჲ" (IX ს.), გიორგი მერჩულის უკვდავი ქმნილება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა", აბუსერიძე ტბელის კრებულში მოთავსებული დიდმნიშვნელოვანი „ასტრონომიული ტრაქტატი" და მრავალი სხვა. ისტორიულად სამხრეთ საქართველო ქართველი ხალხის ლიტერატურულ-მეცნიერული შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ იქცა. სწორედ იქ მოღვაწეობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები VIII—X საუკუნეებისა: აშოტ კურაპალატი, გრიგოლ ხანძთელი, სახელგანთქმული დავით კურაპალატი და მრავალი სხვა. ისინი ფიქრობდნენ და იღვწოდნენ მთელი საქართველოსთვის, მისი კეთილდღეობისა, გამარჯვებისა და გაერთიანებისათვის. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ საქართველოს გაერთიანების იდეა ამ მხარეში სხვაზე უფრო ადრე მომწიფდა და უფრო ძლიერიც აღმოჩნდა. სწორედ იქიდან გაისმა გიორგი მერჩულის ხმა—ქართლის (საქართველო) ზოგადეროვნული ფარგლების შესახებ: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების".

სწორედ იქიდან წამოვიდა საქართველოს გამაერთიანებელი დროშა დავით კურაპალატის მეთაურობით, რაც X საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დასრულდა. მხოლოდ XVI საუკუნის მეორე ნახევრისათვის, ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლაში თურქეთმა შესძლო ეს მხარე ძალით ჩამოეგლიჯა საქართველოსათვის და იქ თავისი ბარბაროსული რეჟიმი დაემყარებია.

ქართველი ხალხი დღესაც მტკიცედ მოითხოვს თავის მშობლიური მიწა-წყლის დაბრუნებას და იქ მისი შელახული სამართლიანი უფლებების აღდგენას.

ქართული მწიგნობრობა გაჩაღებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრებიდან აღსანიშნავია: შ ა ვ ი ა ნ უ ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი მთა (სირიაში, ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს მახლობლად), ჯ ვ ა რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი (იერუსალიმთან, პალესტინაში), ულ უ მ ბ ო ს მ თ ა (საბერძნეთში)—სადაც ცნობილი ი ლ ა რ ი ო ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი მოღვაწეობდა. X საუკუნიდან დიდი მუშაობა იწყება ს ი ნ ა ს მ თ ა ზ ე, სადაც ქართველებს საკუთარი მონასტერი ჰქონდათ. ამავე დროიდან ჩაღდება უაღრესად ნაყოფიერი საქმიანობა ა თ ო ნ ი ს მ თ ა ზ ე დ ა ც, სადაც ქართველებმა ი ო ა ნ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს წინამძღვრობით, აგრეთვე, საკუთარი მონასტერი ააგეს. მალე იქ ე ქ ვ თ ი მ ე და გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ ე ბ ი ს მეთაურობით სახელგანთქმული ათონური ლიტერატურული სკოლა ჩამოყალიბდა. იქაც მრავალი ნათარგმნი და ორიგინალური თხზულება გაჩნდა. ქ ა რ თ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ზ ო გ ი ე რ თ მ ა ძ ე გ ლ მ ა მ ს ო ფ ლ ი ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი ს წ ო რ ე დ ა თ ო ნ ი დ ა ნ გ ა ი კ ვ ლ ი ა გ ზ ა. ასე მაგალითად, ათონის მთაზე ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ისეთი შესანიშნავი ფილოსოფიური ნაწარმოები, როგორიცაა „ს ი ბ რ ძ ნ ე ბ ა ლ ა ვ ა რ ი ს ა“. ამის შემდეგ, ეს ძეგლი სულ მალე ლათინურადაც ითარგმნა და მთელ ქრისტიანულ სამყაროს მოედო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული კულტურის სახელგანთქმული კერა—პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს ა (ბულგარეთი). ქართული მონასტერი იქ ცნობილ ქართველ მოღვაწეს გ რ ი გ ო ლ ბ ა კ ურ ი ა ნ ი ს ძ ეს 1083 წელს დაუარსებია.

როგორც ცნობილია, გ რ ი გ ო ლ ი ბიზანტიის კეისრის სამხედრო სამსახურში იყო და მთელი აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის უფროსი ყოფილა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პეტრიწონში ლიტერატურული საქმიანობის გარდა უმაღლესი განათლების ცენტრიც ყოფილა. იქაური უმაღლესი სწავლა-განათლება მიღებული ქართველი ახალგაზრდობა ნაყოფიერად მოღვაწეობდა თავის სამშობლოში. სანიმუშოდ შესაძლებელია ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი იქნეს დასახელებული.

ქართველები დაუღალავ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ ყველგან. სამშობლო ქვეყნიდან შორს გარდახვეწილნი თვალსაჩინოდ ამდიდრებდნენ მშობლიურ ლიტერატურას და მეცნიერებას.

მათი ინტენსიური ლიტერატურული მუშაობის შედეგად, ზემოაღნიშნულ ცენტრებში ქართულ ხელნაწერთა მდიდარი კოლექციები ჩამოყალიბდა. ასეთი ბევრგან დღემდე შემოინახა (ათონი, იერუსალიმი, სინას მთა), მაგრამ ეხლა იქ ქართველები აღარსად არიან და ყველაფერი ბერძენმა ბერებმა ჩაიგდეს ხელთ.

სამწუხაროა დიდად, რომ იქ ძველ ხელნაწერთა დაცვა საკმარისად უზრუნველყოფილი არ არის და ადგილი აქვს ძვირფასი ხელნაწერების ველურ დატაცება-დანიავებას.

ასე მაგალითად, პროფ. ალ. ცაგარელმა 1883 წელს ჯერის მონასტერში 138 ძველი ქართული ხელნაწერი ნახა და აღნუსხა. მაგრამ 1923 წელს, როდესაც ეს მონასტერი ჰარვარდის უნივერსიტეტის აწ განსვენებულმა პროფესორმა რ. ბლეიკმა დაათვალიერა, იქ ,,დიდი ძებნის'' შემდეგ მხოლოდ 86 ხეღ ნაწერი იპოვა— დანარჩენი 52 ხელნაწერი კი სამუდამოდ დაკარგული აღმოჩნდა.

ასევე სინას მთაზე, ჯერ იმავე ალ. ცაგარელმა 1883 წ., ხოლო შემდეგ ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა 1902 წ. ნახეს და აღწერეს 96 ძველი ქართული ხელნაწერი. ხოლო რ. ბლეიკს 1927 წელს იქ მხოლოდ 84 ხელნაწერი დახვდა. ამგვარად, 12 ხელნაწერი საბოლოოდ დაკარგული აღმოჩნდა. როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, აღნიშნულ მონასტრებში ადგილი აქვს ხელნაწერების გაყიდვასაც. ხელნაწერები იყიდება როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილადაც. უძველესი და უნიკალური ქართული ხელნაწერები ბერძენი ბერების შემოსავლის წყაროდ არის ქცეული. ამის გამო, უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე ხელნაწერთა კოლექციები იქ დღითი-დღე კლებულობს და ნგება.

კ. გრიგოლია

ᲫᲝᲗ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲤᲝᲜᲓᲘ

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ფონდებს შორის „წ ე რ ა-კ ი თ ხ ვ ი ს გ ა მ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ე უ ლ ი“ ფონდი სხვაზე უფრო ადრინდელი და ერთ-ერთი უმდიდრესთაგანია. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის მოღვაწეობის შედეგადაც ეს ფონდი წარმოიქმნა, 1879 წლის 15 მაისს ჩამოყალიბდა. მისი დაარსების ინიციატორნი და საზოგადოების მთელი საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელნი დ. ყ ი ფ ი ა ნ ი და ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე იყვნენ. საზოგადოების მიზანს, ქართველ მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად, ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ძეგლების და სხვა სიძველეთა შეგროვება და დაცვა შეადგენდა.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ეს მიღწევა ქართველი ხალხის პ როგრესული ადამიანების მეფის მთავრობის კოლონიალურ-გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლით იყო მოპოვებული. ამ აქტით მართვა-გამგეობის ყველა ორგანოებში გაუქმებულ, საშუალო და დაბალი სკოლებიდან განდევნილ ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ს „საქველმოქმედო“ საზოგადოების თანხებით მოწყობილ პირველდაწყებით სკოლებში არსებობის უფლება ენიჭებოდა. სკოლების გახსნასთან ერთად წარმატებით მიმდინარეობდა სიძველეთა შეგროკება მთელ საქართველოში.

თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული წერილობითი ძეგლების დაცვა-შეკრება მხოლოდ ცალკე პიროვნებათა ზრუნვის საგანს წარმოადგენდა (დავით, თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონები, გიორგი ავალიშვილი, გრიგოლ წერეთელი, დავით დადიანი, დავით ჩუბინაშვილი), ახლა ამ მიმართულებით მთელი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ამოქმედდა.

ქართული პრესის (გაზ. „დროება“) თუ ცოცხალი სიტყვის მეშვეობით საზოგადოებამ ამ საქმის სასარგებლოდ ფართო აგიტაცია გააჩაღა.

საზოგადოებას ყოველი მხრიდან უხვი შემოწირულებანი მოსდიოდა, ძველი ხელნაწერებისა, ნაბეჭდი წიგნებისა და ფულადი დახმარების სახით. მრავალი ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნი შესძინა საზოგადოების წიგნსაცავს დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ. თავის ბიბლიოთეკას სწირავენ მას პეტერბურგის ქართველი სტუდენტები. პირად ბიბლიოთეკებს სთავაზობენ წიგნსაცავს პროფესორი დავით ჩუბინაშვილი, პოეტი რაფიელ ერისთავი, აკადემიკოს მარი ბროსეს ვაჟი — ლავრენტი. ცოტა უფრო გვიან სამი ცნობილი ქართველი პროფესორი: ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი და ალ. ცაგარელი ამდიდრებენ საზოგადოების წიგნსაცავს თავიანთი სპეციალური ბიბლიოთეკების შეწირვით. დიდ შემწირველთა გვერდით მოსახსენებელია აგრეთვე ალექსი მესხიშვილის ოჯახი, გრიგოლ გურიელი, მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი და დავით იასონის ძე ციციშვილი, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საზოგადოების წიგნსაცავის ძველი ხელნაწერებით, სიგელ-გუჯრებითა და ნაბეჭდი წიგნებით გამდიდრების საქმეში.

აღნიშნულ შემოწირულებათა და საერთოდ ძველი ხელნაწერების შეგროვების საქმეში დაუცხრომელი ენერგია გამოიჩინეს— პეტრე უმიკაშვილმა, ალექსანდრე როინიშვილმა, პოეტმა იოსებ დავითაშვილმა. ისინი აგროვებდნენ ხელნ. წერებს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მათი მოღვაწეობის შედეგად შემოწირულებანი მოდიოდა ყიზლარიდან, კავკავიდან და ჩრდილო კავკასიის სხვა ქალაქებიდანაც.

საზოგადოების მრავალი წევრი პირადად იძენდა ძველ ხელნაწერებს ბუკინისტებისაგან, რათა შემდეგში საზოგადოებისათვის შეეწირა. ამ მხრივ აღსანიშნავია: ექ. თაყაიშვილის, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა.

ძველ ხელნაწერებსა და საბუთებს საზოგადოება შესყიდვის წესითაც იძენდა. ამგვარად, 20—25 წლის განმავლობაში საზოგადოების წიგნსაცავში ეტრატისა და ქაღალდის ხელნაწერებისა და საბუთების უძვირფასესმა კოლექციებმა მოიყარა თავი. წიგნსაცავი მოწინავე ქართველი საზოგადოების სიამაყედ იქცა. თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად საზოგადოებამ 2222 ძველი ხელნაწერი და 3166 ნაბეჭდი წიგნი შეაგროვა (გარდა ძველი საბუთებისა). ქრონოლოგიურად ეს ხელნაწერები VI—XIX საუკუნეებს განეკუთვნება.

საზოგადოების წიგნსაცავში ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები საერთო რიგითი სათვალავის დაცვით, ერთად ჰქონიათ შენახული. ერთმანეთისაგან მათი გამოყოფა მხოლოდ შემდეგში (1914 წ.) მოხდა. ხელნაწერთა პირვანდელი რიგითი სათვალავი კი ამის შემდეგაც არ შეცვლილა. ამიტომ არის, რომ წერა-კითხვის ფონდის ხელნაწერთა აწინდელ რიგით სათვალავში თვალსაჩინო ხარვეზებს ვხედავთ.

1912 წელს საზოგადოების სიძველეთსაცავი გადატანილ იქნა ქართული გინნაზიის შენობაში, სადაც 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა.

1921 წ. სიძველეთსაცავის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. თუ მანამდის ის საზოგადოების კერძო თანხებით არსებობდა და ხშირად უსახსრობას განიცდიდა კიდეც, ამიერიდან საბჭოთა სახელმწიფომ თავის ბიუჯეტზე აიყვანა და მისი საქმიანობა სახელმწიფო თანხებით უზრუნველყოფილ იქნა.

ძველ ხელნაწერთა შენახვა-შესწავლის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით „წერა-კითხვის საზოგადოებისეული“ ძველ ხელნაწერთა ფონდი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს[1], სადაც ის დღესაც ინახება. აქ ამ ფონდის ხელნაწერთა პირვანდელი რიგითი სათვალავი დატოვებულია უცვლელად. მითითების გასაადვილებლად მას დაეძატა პირობითი ნიშანი—„S“.

ამ ფონდს აქვს საინვენტარო აღწერილობის დავთარი: წიგნი 1 და 2.

ფონდში დაცული ხელნაწერების გამოყენებას აადვილებს შემდეგი ნაბეჭდი და ხელნაწერი „აღწერილობანი“ და კატალოგები: Е. Такайшвили. Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения т.т. I и II, Тифлис, 1902—1912.

კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავისა, შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ. თბილისი, 1905 წ.

ამავე კატალოგის „დამატება პირველი“. თბილისი, 1911 წ.

ა. შანიძე და ა. ბარამიძე, საქართველოს მუზეუმის ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი (იხ. „მასალები საქართ-

[1] საზოგადოების მიერ შეკრებილი ნაბეჭდი წიგნები კი დაცულია თბილისის კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, როგორც „ხელუხლებელი ფონდი“.

ველოსა და კავკასიის ისტორიისათვის". 1933 წ., ნაკვეთი, II, თბილისი, 1939).

1927—30 წლებში აღნიშნული ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა შეადგინა მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა, პირველი ნომრიდან თითქმის ბოლომდე (№№ 1—5331-ამდე).

მოსე ჯანაშვილის ეს უკანასკნელი ნაშრომი (ხელნაწერი) დღეს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ახალ ფონდში ინახება (№ 578 ა, ბ, გ).

ფონდში დაცული უძველესი ხელნაწერები

1. „წერა-კითხვის" საზოგადოებისეულ ფონდში დაცულია პ ა ლ ი მ ფ ს ე ს ტ ე ბ ი ანუ საწერად ორგზის გამოყენებული ეტრატის ხელნაწერები; ამათში 1923 წლიდან ცნობილია ეტრატის ხელნაწერი, რომლის გარკვეულ ნაწილში, 49—128 გვერდამდის, ცხადად ჩანს მრგვლოვანი ხელით დაწერილი ძველი ტექსტის სტრიქონები.

აკად. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით აქ „სხვადასხვა დროის ტექსტებს შორის VI ს ა უ კ უ ნ ი ს ხ ა ნ მ ე ტ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი ც" და თავშეკრული „ბ ა ნ"-ე ბ ი აღმოჩნდა (№ 3902—S). (იხ. პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. ტფ., 1923. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე", II, გვ. 344. ცალკე ამონაბეჭდი).

2. ფონდში უხვად არის წარმოდგენილი X საუკუნის იშვიათი ხელნაწერები, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ:

იოვანე ოქროპირის, ბასილის, ეფრემის, მარკოზისა და მარტვირი მონაზონთა ასკეტიკური თხზულებანი—ეტრატის დიდი ხელნაწერი—გადაწერილია ორი გადამწერის მიერ.

როგორც პროფესორმა ილია აბულაძემ გამოარკვია, ნუსხა დაწერილია 943 წელზე ადრე, დ ა ვ ი თ მ ა მ ფ ა ლ ი ს სიცოცხლეში.

ხელნაწერი ნუსხური დამწერლობის ერთ უძველეს ნიმუშად ჩაითვლება (№ 1139—S).

3. შ ა ტ ბ ე რ დ ი ს მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი ანუ კრებული. 588 გვერდიანი, დიდი ზომის (29×23) ეტრატის ხელნაწერი, დაწერილი ჩინებული ასომთავრული მრგვლოვანით (1—255) და კუთხოვანი



ზატბერდის კრებული. X საუკ. ასომთავრულ-ხუცური დამწერლობის ნიმუში

ნუსხურით (256—583), ორ-ორ სვეტად; ტყავგადაკრული ხის მაგარი ყდით. გადაწერილია შატბერდს, კლარჯეთში (სამხრეთ საქართველო), გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით აგებულ, განთქმულ მონასტერში, 973—976 წ. წ., ი ო ვ ა ნ ე ბ ე რ ა ი ს ხ ე ლ ი თ.

ფრაგმენტის სახით მოღწეული ანდერძი გადამწერისა, სხვათა შორის, გვამცნობს: „შეუდეკ კეთილსა გულსმოდგინებასა მე... იოვანე ბერაი და გავასრულე ეს წიგნი მოღუაწებითა [და თანადგომითა] დედისა ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა... და შევწირე შატბერდს... რომელსაცა შინა აღ[ვიზა]რდე, სალოცველად მეფეთა ჩ[უენთა], ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათთათჳს...“

ძველი ქართული კულტურის ეს დიდმნიშვნელოვანი ძეგლი სხვადასხვა ორიგინალურ და თარგმნილ თხზულებას შეიცავს:

ა. გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი. „კაცისა შესაქმისათჳს“ 30 თავად. კალიგრაფიული მრგვლოვანით დაწერილი (გვ. 2—121) ანდერძით: „ესე კაცისა შესაქმე დაიწერა დედითა იშხნისაჲთა“.

ბ. ე პ ი ფ ა ნ ე კ ვ ი პ რ ე ლ ი ს „თ ქ მ ულ ი თ უ ა ლ თ ა ჲ“ (122—214). მრგვლოვანი ხელით.

ეპიფანე კვიპრელის ეს თხზულება („ათორმეტთა თუალთათჳს“) თორმეტი ძვირფასი თვალის (ქვის) აღწერილობის ე. წ. ვრცელი რედაქციაარის, რ ო მ ე ლ ი ც მ ხ ო ლ ო დ ლ ა თ ი ნ უ რ ს ა და ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე (ჩვენს ძეგლში) შ ე ნ ა ხ უ ლ ა.

გ. ი პ ო ლ ი ტ ე რ ო მ ა ე ლ ი ს ა) „განმარტება კურთხევათა მათთჳს“, გვ. 256—314;

„ „ ბ) „დავითისათჳს და გოლიადისთჳს“; 315—327

„ „ გ) „თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ“; 327—357

„ „ დ) „თარგმანება დავითის ფსალმუნებისაჲ, გვ. 515—588;

„ „ ე) „ქრისტესთჳს და ანტიქრისტესთჳს“ კუთხოვანი ხუსხურით, გვ. 357—390;

„ „ ვ) „სარწმუნოებისათჳს“, გვ. 390—410;

„ „ ზ) „სახე აღთქუმისაჲ“, გვ. 410—433.

იპოლიტე რომაელის ამ თხზულებათა შორის ზოგიერთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ასეთია, მაგ., „დავითისა და გოლიადისათჳს განმარტება“ (315—327), რ ო მ ე ლ ი ც,

გარდა ქართულისა, არც ერთ სხვა ენაზე არ შენახულა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე „ქებათა ქების თარგმანების“ ტექსტს, რომელსაც „სხვა ვერსიებთან შედარებით უფრო ვრცლად შეუნახავს ეს თხზულება“.

დ. ბასილი კესარელის „მჭეცთათჳს სახის სიტყუაჲ (215—239).

ე. სასწაულო წიგნი, რომლის ნათარგმნ გრამატიკულ თხზულებაში ჩართულია ქართველი ავტორის ორიგინალური შენიშვნები (240—247).

ვ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და წმ. ნინოს ცხოვრება (434—515). ქართველი ხალხის უძველესი ისტორია.

„შატბერდის მრავალთავმა“ დიდი ხანია მიიპყრო როგორც ქართველი, ისე რუსეთისა და უცხოეთის მეცნიერთა ყურადღება. ამ კრებულის მდიდარი მასალა ნაწილობრივ შესწავლილი და გამოცემულია. ამ გამოცემებიდან აქ ზოგიერთს აღვნიშნავთ:

მ. ჯანაშვილი. მწერლობა IX—X საუკუნისა. ტფ., 1891.

ს. ყაუხჩიშვილი. შატბერდის კრებულის სასწაულო წიგნი. ტფილისის უნივერსიტ. მოამბე, III, 1923 წ., გვ. 178—185.

Н. Я. Марр. Физиолог. Т. Р. А. Г. Ф. кн. VI, Петербург, 1904.

კრებულის მასალის ნაწილი, გერმანულად თარგმნილი, გამოიცა ლაიპციგში 1904-სა და 1907 წ., წ. N. Bonwetsch-ის მიერ; ინგლისური თარგმანი — ლონდონში, 1934 წ. R. P. Blake-ს მიერ (№ 1141—S).

4. მიქაელ მოდრეკილი. იადგარი (საგალობელთა კრებული). ეს არის დიდი ზომის ხელნაწერი (38,5×30,5), რომელიც ჩინებული ეტრატის 544 ფურცლისაგან შედგება. დაწერილია X საუკუნის მიწურულში, წვრილი კუთხოვანი ნუსხურით (ანდერძები— მრგვლოვანითაც), უდიდესი ნაწილი თვითონ მიქაელის ხელით.

ქართული საგალობლები მიქაელს საგანგებოდ უძებნია „ყოვლით კერძოვე“ და სხვადასხვა წყაროდან ამოუკრეფია. გარდა ამისა, კრებულში მას საკუთარი ჰიმნოგრაფიული შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშებიც მრავლად შეუტანია. მიქაელ მოდრეკილის ორიგინალური საგალობლები დიდი ქართველი ჰიმნოგრაფების იოანე მინჩხის და იოანე მტბევარის ჰიმნებთან ერთად ადრინდელი ქართული საქრისტიანო პოეზიის შედევრებს წარმოადგენენ.



მიქაელ მოდრეკილი. საგალობელთა კრებული.
თავკაზმულობის ერთი ნიმუში

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კრებულში შეტანილ საგალობელთა დიდი ნაწილი, მიქაელს სანოტო ნიშნებით გაუმართავს: აქ სტრიქონებს ზემოთ და ქვემოთ წითურით მიწერილია მუსიკალური (ნევმატური) ნიშნები. ამგვარად, ეს კრებული უძველესი ქართული სანოტო ნიშნების შემცველი ძვირფასი ძეგლია.

ხელნაწერი თავისი მხატვრული შემკულობითაც დიდად საყურადღებოა. მას აქვს ფერადებით შესრულებული თავკაზმულობანი, საზედაო ასოები და ორი მინიატურა აშიაზე. მიქაელის იადგარი, საერთოდ, ძველი ქართული წიგნის მაღალი ტექნიკური დონის მაჩვენებელია (№ 425—S).

5. „საქმე მოციქულთა"—ქართული ენის ერთ-ერთ უძველეს ძეგლს წარმოადგენს.

ხელისა და შინაარსის მიხედვით ის X საუკუნის მეორე ნახევარში გადაწერილად არის ცნობილი.

იგი 265 ფურცელს შეიცავს (ზომით 25×21), ტყავგადაკრული ფიცრის ყდა შემოცლილი აქვს, დაწერილია კარგ ეტრატზე, ორ-ორ სვეტად, მრგვლოვანი ხელით.

გარდა „სამოციქულოს" ჩვეულებრივი ტექსტისა (მოციქულთა „ეპისტოლენი" და „საქმე წ"თა მოციქულთაჲ"), ხელნაწერში არის ეგრეთწოდებული „ევთალეს სტიქომეტრია", რომელიც მხოლოდ პავლე მოციქულის ეპისტოლეებს შეეხება (პირველი ოთხი რვეული—1 r—30 v)-

ეს თავნაკლული ნაწილი სამოციქულოს უძველესი ტექსტის შესწავლისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს.

ხელნაწერი მხატვრული თვალსაზრისითაც საყურადღებოა. აქ 31 ფ. v-ზე მოთავსებულია პავლე მოციქულის ფერადებით ნახატი მინიატურა.

ეს ძეგლი ოდესღაც ვახტანგ ბატონიშვილის (შემდეგში— ვახტანგ VI) საკუთრება ყოფილა. მას აქ სინგურით, ასომთავრული ხელით პავლე მოციქულისადმი აღტაცებული ქება და ვედრება მიუწერია:

„მდინარეო სიბრძნისაო, უფსკრულო სწავლათაო, ქნარო ამოსა ძალისაო, ნესტო ჴმატკბილად მჴმობარეო, პავლე! მწე მეყავ ბატონიშვილს ვახტანგს ქ<ნს ტ ᲠᲪ“.

ქართული ენის ეს თვალსაჩინო ძეგლი შესწავლილი და გამოცემულია (იხ. „ს ა ქ მ ე მ ო ც ი ქ უ ლ თ ა“, ძველი ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, 1950), (№ 407—S).

6. ს ა ხ ა რ ე ბ ა-ო თ ხ თ ა ვ ი—მარტვილური, ეტრატი (ზომით 24×18,5); გადაწერილია: მეათე საუკუნეში (I ნაწილი) და 1050 წ. (II ნაწილი). ფონდში შემოსულია მარტვილის მონასტრიდან.

იგი ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილს შეიცავს:

I—უფრო ძველი (1—130 ფ.ფ.)—დაწერილია მრგვალოვანი ხელით და მ ე ა თ ე ს ა უ კ უ ნ ი ს ა დ ითვლება.

II—131—184 ფ.ფ.—დაწერილია კუთხოვანი ნუსხა-ხუცურით, როგორც ანდერძიდან ირკვევა, 1050 წ. ი ო ვ ა ნ ე მ ნ ს ა ე ტ ი ს ხელით, ი ვ ა ნ ე ფ ა რ ჯ ა ნ ი ა ნ ი ს თ ვ ი ს. სახარების ეს ნაწილი უსვად არის შემკული საზედაო ასოებით. სპეციალისტების აზრით, მხატვარი ასომთავრული ასოების გაფორმებაში და ფერადების შერჩევაში ფანტაზიისა და გემოვნების დიდ თავისებურებას და სილაღეს იჩენს.

ტექსტში შენახულია ლუკა და მათე მახარებლების მინიატურული პორტრეტები, შესრულებული ფერადებით. ორივე მახარებელი დახატულია ორნამენტირებულ თაღებიან ჩარჩოში (№ 391—S).

7. ს ა ხ ა რ ე ბ ა ო თ ხ თ ა ვ ი. — ეტრატი (15×12), უყდო; დაშლილ-დაფურცვლილი, კიდეებ-შემოცვეთილი (ოდესღაც სინესტეში ყოფნის გამო). მისი აწინდელი მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ ხელნაწერის ფრაგმენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია ნაპოვნი, ამ ძეგლის მწარე თავგადასავალს მოწ-



მიქაელ მოდრეკილი. საგალობელთა კრებული (ერთი გვერდი)
ძველი ქართული სანოტო ნიმნებითურთ. ავტოგრაფი, X საუკ.

სამოციქულო, X საუკ. ასომთავრულ-ხუცური დამწერლობის ნიმუში

მობს. მიუხედავად ამისა, ეტრატის ნაკეთობით, ფერადებით მოხატული საზედაო ასოების სიმრავლით, „კანონების“ თაღ-კამარათა მოხატულობით და თავისი საერთო გაფორმებით—იგი დღესაც ძველი ქართული მწიგნობრული კულტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

მისი მოხატულობის ფერადებს დღემდე შერჩენილი აქვს წარსული ბრწყინვალების ნიშანწყალი. დაწერილია მრგვლოვანი ასომთავრულით, 1052 წ. შემოწირულია გ რ ი გ ო ლ გ უ რ ს ე ლ ი ს მიერ (№ 962—S).

I. ასტრონომიულ-კალენდარული თხზულებანი

1. კლასიკური პერიოდისა და ე. წ. „აღორძინების“ ეპოქის ქართული მწიგნობრობა საკმარისად მდიდარია ასტროლოგიური და ასტრონომიულ-კალენდარული შინაარსის თხზულებებით. მათ შორის მეცნიერებისათვის კარგა ხანია ცნობილია ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი ს ორიგინალური ასტრონომიულ-კალენდარული ნაშრომი, დაწერილი 1233 წელს (იხ. ხელნაწერი A:85), რომლის ქართული ტექსტი, ფრანგული თარგმანითურთ, გამოსცა აკად. მ. ბ რ ო ს ე მ.

მ. ბ რ ო ს ე დაასკვნის, რომ „ქართველებს 1 2 3 3 წ ე ლ ს ს ც ო დ ნ ი ა თ ნ ა ხ ე ვ ა რ ი ი მ ც თ ო მ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა, რ ო მ ე ლ თ ა ც ა ი ძ უ ლ ე ს პ ა პ ი გ რ ი გ ო ლ XII 1582 წ. კ ა ლ ე ნ დ რ ი ს შ ე ს წ ო რ ე ბ ა ს შ ე ს დ გ ო მ ო დ ა ო“.

წერა-კითხვის საზოგადოებისეულ ფონდში მოგვეპოვება აბუსერიძე-ტბელის ამ ნაშრომის გვიანდელი, მეტად საყურადღებო ნუსხა.

აქ ის მოთავსებულია კრებულში.

ი წ ყ ე ბ ა: „წ ე ლ თ ა დ ა ს ა ბ ა მ ი თ გ ა ნ თ ა შ ვ ი დ ი ა თ ა ს თ ა ი ტ ყ ვ ი ა ნ წ ~ ნ ი წ ე რ ი ლ ნ ი, ვ ი დ რ ე ა ღ ს ა ს რ ულ ა მ დ ე და ე ს ე ხ უ თ ა ს ო ც დ ა თ ო რ მ ე ტ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ა რ ს ე რ თ ი ს ა ქ ო რ ა ნ ი კ ო ნ ი ს ა“.

თავდება: „და ღ მ ე რ თ ი მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა თ ქ ~ ნ წ ~ თ ა მ ა რ თ ლ მ ო რ წ მ უ ნ ე თ ა და ღ ~ თ ი ს მ ო ყ უ ა რ ე თ ა თ ა ნ ა - ი ყ ა ვ ნ. კ უ რ თ ხ ე ვ ა თ ქ ~ ნ ი ჯ უ ა რ ი თ ა ც ხ ო ვ ე ლ ს მ ყ ო ფ ე ლ ი თ ა მ ე ც ო დ ვ ი ლ ი ს ა თ ა ნ ა ი ყ ა ვ ნ, ა ღ მ ო ს ა ვ ს ნ ე ლ ა დ ს უ ლ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა. ა მ ი ნ“.

ტ ე ქ ს ტ ს ი ჩ ა რ თ უ ლ ი ა ფ ე რ ა დ ებ ი თ წ რ ი უ ლ ა დ დ ა ხ ა ტ უ ლ ი ზ ო დ ი ა კ ო თ ა ნ ი შ ნ ე ბ ი.

ხელნაწერი გადაწერილია ი ო ა კ ი მ ე მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ი ს ბრძანებით, მ ე ს ხ ე თ შ ი, ს ა ფ ა რ ა ს საბას ლავრას, 1541 წელს.

გადამწერის ანდერძი (შემოკლებით): „ადიდოს ღმერთმან... მაწყუსრელი იოაკიმ, რომლისა ბრძანებითა დაიწერა წ ̅ ჲ ესე საფილოსოფოსო წიგნი... და მე... კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ მ ა ნ დიაკონმან ს ჯ მ ო ნ დავწერე...“ (108 v).

სვიმონ კარგარეთელი XVI ს. ცნობილი კალიგრაფია, რომლის ხელითაც, სხვათა შორის, შევსებულ-რესტავრირებული ჩანს ა ბ ა ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი ს 1233 წ. შესანიშნავი კრებული (№ 85 A).

ხელნაწერი განსაკუთრებით ძვირფასია, როგორც XVI ს. განათლებული ქართველების მეცნიერული ინტერესის ცოცხალი ძეგლი (№ 312 —S).

2. ულუღბეგი. ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ ა კ ა ტ ა ლ ო გ ი, თარგმნილი ვ ა ხ ტ ა ნ გ VI მ ი ე რ.

იწყება: „ასე იტყვის ულუღბეგ—შაჰრუხასშვილი, რომელი არის შვილიშვილი თეიმურისი—ვარსკვლავნი გავყავ და ვიანგარიშე...“

ტექსტში ჩართულია ასტრონომიული ანგარიშის მრავალი ნუსხა. ტექსტს დართული აქვს „სახელების (ტერმინების) თარგმანი“ და სხვა მეტად მნიშვნელოვანი დამატებანი.

ხელნაწერი დაწერილია ჩინებულ ქაღალდზე, მშვენიერი ხელით და მდიდრულად არის გაფორმებული.

იგი უთარიღოა. გადაწერილი ჩანს რუსეთში (1737 წლამდე) იმ დედნიდან, რომელიც ვახტანგის ხელით არის ნასწორები და დაცულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმისეულ ფონდში.

შემოსულია „პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკიდან“ (№ 161—S).

II. ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო თხზულებანი

ა. გეომეტრია

[გეომეტრია] „სივაკის ზომა ანუ პლანიმეტრია“. თარგმნილი რუსულიდან ვახტანგ VI ბრძანებით, 1725 წ.

ანდერძში ვკითხულობთ: „ეს წიგნი... ვთარგმნე რუსულიდან ქართულად. ოდეს მობრძანდა მეფე ვახტანგ ქალაქსა მ ო ს კ ო ვ ს, მან მიბრძანა და თვით მანვე ქართულის ენით გაასწორა და დას-

წერა. საუკუნომცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მისასანი-ქრისტეს აქათ ჩ ღ კ ე".

ხელნაწერი მდიდარია უცხოური და რუსული ტერმინების ქართული განმარტებებით. ტექსტში ჩართულია ნახაზები და ჩანახატები.

შეიცავს გეომეტრიულ ამოცანათა („პრობლემათა") გრძელ წყებას. „გეომეტრია" მოთავსებულია დიდ კრებულში (№ 167—S).

ბ. ფიზიკა

ა ნ ტ ო ნ 1. შემოკლებული „ფისიკა". თბ., 1767 წ.

ანტონი სქოლიოებში იძლევა ტერმინების განმარტებას წინასიტყვაობაში კი აცხადებს:

„გადმოვიღე რუსთა სამოქალაქისა ენისაგან" ჩვენს ენაზეო —1762 წ.—„სხუათა და სხუათა ავქსონთაგან შემკრებელმან" (№ 114—S).

გ. ქიმია

ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. „წ ი გ ნ ი ზ ე თ ე ბ ი ს შ ე ზ ა ვ ე ბ ი ს ა დ ა ქ ი მ ი ი ს ქ მ ნ ა, შ ე კ რ ე ბ უ ლ ნ ი მ ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ". გადაწერილი რუსეთში ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხ ე ლ ი თ, XVIII ს. 40-იან წლებში.

ხელნაწერში სათითაოდ ჩამოწერილია, თუ როგორ კეთდება „ვარტუმი", „თანზუსი", „კალიის მარილი", „გოგირდის თეზაბი, გინა ზეთი", „თეზაბი ნიშადურისა", „ჟანგარო", „რკინის ჟანგი", „სინგური", „სურინჯი", „დარიშხანა" და სხვ.

ხელნაწერი შეიცავს აგრეთვე 12 „პატიოსან" თვალთა ანბანურად განლაგებულ მოკლე აღწერილობას.

ტექსტის 51 გვ.-ზე დაწერილია:

„ამას ქვეითი ნუსხას აკლია".

ხელნაწერში ჩართულია ჩინებული მხაზველის ვ ა ხ უ შ ტ ი ს ხელით შესრულებული ხელსაწყოთა ნახაზები.

ტექსტს წამძღვარებული აქვს საგნობრივი საძიებელი, სათაურით: „ამ წიგნის წერილის ანბანზე შეკრებილი, ადვილად პოვნისათვის".

გადაწერილია რუსეთში, ვახტანგის სიკვდილის (1737 წ.) შემდეგ (№ 3721—S).

დ. სამხედრო ხელოვნება

„ზარბაზნის სწავლა“, რაკეტების კეთება და სხვ. XVIII ს. ხელნაწერი.

როგორც შედარებამ დაადასტურა, ეს არის ალექსანდრე არჩილისძის მიერ XVII ს. მიწურულში თარგმნილი საარტილერიო წიგნი, რომლის ნუსხები მუზეუმის ფონდებში მრავალად მოიპოვება (შდრ. H—1069).

მოთავსებულია კრებულში. კრებულის II ყდაზე, შიგნიდან, მიწერილია:

„ღ´თისაგან ამაღლებულმან მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან, მპყრობელმან ქართლისა, კახეთისა, შამშადინისა, ყაზახისა, და ბორჩალოსამან, მეორემან პატრონმან ირაკლიმ მიბრძანა რუსულს დასტურზე არტილერიის გაკეთება, საქართველოს კაცს გიორგი თარხანს“. „გავაკეთე, გავაწყე ზარბაზნები, რომ რუსთაც დიდათ მოსწონთ, ქართველთა და კახთაც დიდათ იმედათ უჩანსთ“ (№ 167—S).

ე. ჰაერონავთიკა

„მოკლედ მოთხრობა ჰაერსა შორის მროკველისა გუნდისა“.

გადაწერილი და გამართული 1788 წელს დავით რექტორის ხელით. პატარა, 28 გვერდიანი ხელნაწერი, მიძღვნილი მთარგმნელის მიერ ერეკლე მეფისათვის.

ბროშურაში მოთხრობილია ჰაერში ფრენის ამბავი. ტექსტის წინ ჩაწებებულია ჰაერში აფრენილი ჰაეროსტატის და მის ბურთზე მიბმული სამგზავრო კალათის ლითოგრაფია (თუ ხელით ნახაზი?), დიდი ზომის ქაღალდზე, ქართულ-სომხური წარწერებით და მთარგმნელის ტერ-დავითის მიმართვა ერეკლესადმი:

„სიტყუა ქრისტეს მიერ განძლიერებულს მეფეს ერეკლეს, ყოვლად მოწყალესა ჭელმწიფეს! — ჰოი, შესავედრებელო ყოველთა ქრისტეანეთაო (რომელ არიან აზიასა შინა), ქრისტეს მიერ ეკრგჳნოსანო მეფეო! მცირესა ამას ძღვენსა დიდითა გულმხურვალებითა ზე მოგიძღუნი...“ (№ 136—S).

ვ. ბუნებისმეტყველება

1. ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. კალმასობა ანუ „ხუმარსწავლა“. I წიგნის მეორე ნაწილი. ავტოგრაფი (1813—1828 წ. წ.).

„კალმასობის“ ამ ნაწილში გვაქვს ამ თავისებური ენციკლოპედიის შემდეგი თავები: „საკრავთათჳს“, „კოსმოღრაფიისათჳს ანუ აღწერისათჳს სოფლისა“, „მეტალთათჳს“, ფილოსოფია-ფსიქოლოგიისათჳს, ბოტანიკისათჳს, „ბუნებითი ისტორიისათჳს“ და სხვ. (№ 5374—S).

2. ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. „ბუნებისმეტყველება ანუ შეკრება ლექსთა სხუათა და სხუათა ბუნებითთა ისტორიათაგან ანბანსა ზედა ასსმითა სამთა სამეფოთა ბუნებისათა...: ცხოველთასა, მცენარეთასა და აღმონაკუ8თთასა, გინა ილეკროთასა, ქვებითურთ“.

ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, დაახლოებით 3000-მდე სიტყვის განმარტება.

„ს. პეტერბურგს. 1814 წ.“ ს ტ ე ფ ა ნ ე გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს ე უ ლი (№ 3986—S).

3. (საბუნებისმეტყველო ლექსიკონი). „სახალხო ლექსიკონი საკვირველთა თვისებათა და ბუნებათა ცხოველთასა“, თარგმნილი იოანე ბაზლიძის მიერ, 1821 წ., ს. პეტერბურგი.

რუსულად ჩამოწერილ ზოგ სახელწოდებას ქართული თარგმანი არ გააჩნია (№ 362—S).

III. მკურნალობა

წერა-კითხვის საზოგადოებისეულ ფონდში 40-ზე მეტი სამკურნალო ხასიათის თხზულება არის დაცული; მათ შორის დიდი ნაწილი მიძღვნილია ადამიანის მკურნალობისათვის; დანარჩენები კი ცხენთა, ფრინველთა და სხვ. კარაბადინებს წარმოადგენენ.

სანიმუშოდ აქ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ:

1. „წ ი ვ ნ ი ს ა ა ქ ი მ ო ჲ“, დაწერილი 1203 წლის ახლოს, „ო დ ე ს რ უ ქ ა ნ დ ა ნ ს უ ლ ტ ა ნ ი კ ა რ ნ უ ქ ა ლ ა ქ ი ს ა (არზრუმის) კ ა რ თ ა ზ ე დ ა გ ა ა ქ ც ი ე ს თ ა მ ა რ ი ს მ ხ ე დ რ ე ბ მ ა“.

გადაწერილია XV—XVI ს. ჩინებული ნუსხურით.

ტექსტი იწყება შესავალით, რომელიც მკურნალობის მნიშვნელობას განმარტავს და ავითარებს ძველ ფილოსოფიურ შეხედულებას: ბუნების ოთხ შემადგენელ ელემენტზე (წყალი, ცეცხლი, მიწა, ჰაერი), ავადმყოფობის წარმომშობ მიზეზებზე და სხვ.

წიგნში ვრცლად არის გადმოცემული ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.

ადამიანის ავადმყოფობათა აღწერაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დიაგნოსტიკას, ყოველი სენის წარმოშობის მიზეზის გარკვევას, სამკურნალო საშუალებათა ჩამოთვლას.

ხელნაწერს დართული აქვს თავთა საძიებელი.

ეს უნიკალური ხელნაწერი მე-19 საუკუნის დამდეგისათვის დაცული ყოფილა ზურაბ წერეთლის სახლში; აქედან გურიელების ხელში გადასულა. ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით, გრიგოლ გურიელს იგი წ. კ. საზოგადოების წიგნსაცავისათვის შემოუწირავს.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ Опис. рук. общ. распространения грамотности среди грузинского населения, т. I, стр. 117.

„წიგნი სააქიმოჲ“ გამოცემულია ექიმი ლ. კოტეტიშვილის მიერ. თბ., 1937 (№ 1274—S).

2. აჭარაში აბდულ მიქელაძის მიერ ნაპოვნი სამკურნალო წიგნი. XVIII ს. ხელნაწერი (№ 2493—S).

3. „ი ა დ გ ა რ დ ა უ დ ი“—ხელნაწერი წარმოადგენს შ ა რ ი ე-ზ ა დ ე ს ცნობილ კრებულს, ქართულად თარგმნილს XVI ს. მეორე ნახევარში ლუარსაბ მეფის ძის დავითის მიერ. გადაწერილია თბილისში, 1854 წ.

წინასიტყვაობაში მოთხრობილია მთარგმნელის კონსტანტი-ნოპოლში მოგზაურობისა და სააქიმო წიგნის თარგმნის ამბავი.

იადგარის ტექსტი შეიცავს მსჯელობას ადამიანის ჯანმრთელობაზე წელიწადის ოთხი დროის გავლენის შესახებ. აქ მოცემულია აგრეთვე ცნობები: ანატომია-ფიზიოლოგიის, დიაგნოსტიკის, გამოცნობილ ავადმყოფობათა, სამკურნალო ღონისძიებათა და სხვათა შესახებ. დაწვრილებით ჩერდება ავტორი აგრეთვე ნაავადმყოფარი ადამიანის ჰიგიენაზე, წამლების შემზადებაზე, საკვები პროდუქტების თვისებაზე, მათ მოქმედებაზე. ცალ-ცალკე განხილულია გამომცხვარი პურის ნაირ-სახეობა, ცხოველის (შინაურ-გარეულის) თვისებები, მოცემულია ხილის, ბოსტნეულის, ტკბილეულის, სანელებელისა და, საერთოდ, საჭმელში სახმარი მასალის დახასიათება (№ 1095—S).

IV. ენათმეცნიერება

ა. გრამატიკული ლიტერატურა

1. სულხან ორბელიანის გრამატიკული ცდა. „ღრამატიკათა რომელობანი.—ნომენანტიო სინგულარე, რომელ ა ზმა მარტივი“... „ნომენანტიო პრულარე, რომელ ა ზმა ზოგადი“... „ღრამატიკათა ვითარებანი. პრეზენტე—ქმნა“... „იმპერეტო—ნაქმარი“... „პერვიეტო—ქმნული“ და სხვ. ქართული მაგალითების მოყვანით.

თავდება „სადაობათა“ ღრამატიკით 1r — 2v.

მოთავსებულია ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის წინა, პირველ ფურცელზე. ლექსიკონი (და გრამატიკის ტექსტიც) დაწერილია ნუსხური ხელით და პირვანდელ „მოკლე რედაქციას“ წარმოადგენს. იგი უთარიღოა. უნდა იყოს XVII ს. ბოლოს ან XVIII ს. პირველი წლებისა (№ 247—S).

2. ანტონ I. გრამატიკა, გადაწერილი ნიკოლოზ ალექსიისძის ხელით, 1768 წ. (№ 419—S).

3. დავით ბატონიშვილი. გრამატიკა. 1790 წ., წინ უძღვის მიმართვა ერეკლე II-სადმი (№ 532—S).

4. გაიოზის გრამატიკის რუსული თარგმანი: „Карталинская грамматика“ [!], დაწერილი კრემენჩუკს, 1787 წ. (№ 35—S).

ბ. ლექსიკოგრაფია

ამ ფონდში დაცულია ლექსიკოგრაფიულ თხზულებათა საკმარისად საყურადღებო კოლექცია, რომლის უდიდეს ნაწილს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონების სხვადასხვა ნუსხა წარმოადგენს (34 ცალი). დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონებიც (14-დე ცალი). აქ სანიმუშოდ მხოლოდ თვალსაჩინო ერთეულებს დავასახელებთ.

1. ს. ს. ორბელიანი. ლექსიკონი. ერთ-ერთი ძველი ნუსხათაგანი, „მოკლე რედაქცია“, გადაწერილი ნუსხა-ხუცურით; წინ უძღვის „ღრამატიკათა რომელობანი“ (იხ. ზემოთ № 247—S).

2. ს. ს. ორბელიანი. ლექსიკონი, გადაწერილი მხატვრისძის ალექსის ხელით, 1755 წ.

შემოსულია მესხიშვილთა ოჯახიდან, პეტრე უმიკაშვილის მეშვეობით (№ 4748—S).

3. ს. ს. ორბელიანი. ლექსიკონი, გადაწერილი პეტერბურგს, 1758 წ. მელქისედეკ კაეკასიძის ჩინებული ხელით.

გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნა სიტყჳს კონა ესე წიგნი, რომელ არს ლექსიკონი, ქრისტეს აქათ 1758 წ. ივნის 19, დიდსა ქალაქსა სანკთპეტრებრუხს; ჴელითა მდივნის კნიაზ მელქისედეკ კავკასიძისა, თჳთ საბას უკანასკნელს დანარჩომს ლექსიკონზედ დიდის სიფრთხილით გარდაწერილი, და ამის გამო შენდობის წყალობას ვმოქენეობ თქვენ მიერ, უფალნო ჩემნო“.

ყოველი დამწყები ასო ლექსიკონისა სინგურით არის დაწერილი, ხოლო მის გვერდით დახატულია ფერადებით იგივე ასო, სხვადასხვა ცხოველის (ფრინველისა და სხვ.) სახით (№ 2727—S).

4. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი, გადაწერილი მელქისედეკ კავკასიძის ხელით, პეტერბურგს, 1758 წ. დეკემბრის 17 (№ 2696—S).

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი, გადაწერილი მელქისედეკ კავკასიძის ჩინებული მხედრულით, ბოლონაკლული, უთარიღო (№ 2987—S).

5. თეიმურაზ ბატონიშვილი—„განმარტება ლექსთა მათ მაღლისა ფრასისათა, რომელნიცა არიან ძუძლნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხუათა ენათაგან ქართულსა ენასა შინა და აქა ვეფხისტყაოსანისა სტიხთა შინა ჴმარებულ არიან, რომელნიმე ლექსთა ამათგანნი, გუარითა აღმოსავლეთისა მესტიხეთა მეტაფორისათა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი ლექსიკონი, რომელშიაც შეტანილია ვახტანგისეული „თარგმანიდან“ ამოკრეფილ ცალკეულ სიტყვათა განმარტებანი. ავტოგრაფი, პეტერბურგი, 1843 წ. (№ 3716—S).

6. სალექსიკონო მასალა, ამოკრეფილი ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიიდან (124—135 ფ.) და სხვა წყაროებიდან (№ 3677—S).

7. იონა ხელაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, XIX ს. დასაწყისში შედგენილი, შემოწირული ილია ჭავჭავაძის მიერ.

რუსული სიტყვები ქართული ტრანსკრიპციით არის დაწერილი (№ 22—S).

8. რუსულ-ქართული ლექსიკონი პლატონ იოსელიანის ხელით. 1823 წ. 4 აპრილს (№ 2387—S).

9. ლათინურ-თათრული ლექსიკონი, ქართული ტრანსკრიპციით და ბევრგან ქართული განმარტებებით. ალაგ-

ალაგ ჩართულია ქართული და სომხური სიტყვები, მიწერილია სომხური განმარტებები და ფრაზები (№ 2880—S).

10. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ორ ტომად. 1832 წ. 2 მარტის თარიღით, (მ. ჯანაშვილის ვარაუდით) 36000 სიტყვაა, სათაურით: „Полный российско-грузинский словарь“ (№№ 3712, 3713—S).

11. პროფ. დავით ჩუბინიშვილის ქართული ლექსიკონის დედანი (№ 3714—S).

12. „სახალხო ლექსიკონი საკვირველთა თვისებათა და ბუნებათა ცხოველთასა“, რუსულის მიხედვით შედგენილი იოანე ბაზლიძის მიერ, 1821 წ. (№ 362—S).

13. კრებული, რომლის აშიებზე მრავალად მოიპოვება სალექსიკონო შენიშვნები, რუსულ-ქართული, ქართულ-იტალიურ-რუსული სიტყვები და ნაწყვეტები კარაბადინიდან (№ 3715—S).

14. ლათინურ-ქართული ლექსიკონი (წამლების სახელები) დიმიტრი ბაქრაძისეული (№ 4742—S).

V. ისტორია

ფონდი განსაკუთრებით მდიდარია საისტორიო თხზულებებით. აქ დაცულ 260-ზე მეტ საისტორიო შინაარსის ხელნაწერთაგან დიდი უმეტესობა (200-ზე მეტი) საქართველოს ისტორიის ტექსტებს და საისტორიო მასალებს შეიცავს. ამათგან ჩვენ მხოლოდ პატარა ჯგუფს გამოვყოფთ.

ა. საქართველოს ისტორია

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნუსხა. იგი მოთავსებულია ცნობილ „შატბერდის მრავალთავში“ (იხ. ზემოთ), გვ. 434—515; გადაწერილია მწერალ იოვანე ბერაი-ს ხელით 973—976 წ. წ.

ეს არის ქართული სამოქალაქო ისტორიის უძველესი ტექსტი, რომლის ავტორს „განზრახვა ჰქონია საქართველოს სამეფოს საზოგადო მატიანე დაეწერა, უძველესი დროიდან, წარმართობის ხანიდან, მოყოლებული „ქართლის მოქცევამდე“, ე. ი. ქრისტიანობის მიღებამდე, „გაქრისტიანებისა“ და ქრისტიანობის ხანის უმთავრესი მოვლენების აღნუსხვით“ (ივ. ჯავახიშვილი).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე ორჯერ არის გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ: 1. „სამი ისტორიული ხრონიკა“

ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლისეული. 1633—1646 წწ. (ერთი გვერდი მხედრული დამწერლობის ნიმუში

თბ., 1890 (გვ. 1—39). 2. წერა-კითხვის გამავრ. საზ-ბის ხელნაწერთა აღწერილობაში—ამავე თხზულების ე. წ. „ქელიშურ ვარიანტთან“ ერთად. იხ. Описание, II, გვ. 708—805.

ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს რუსული თარგმანი, დაბეჭდილი: Сборник матер. для опис. местн. и племен кавказских.—В. XVIII (№ 1141—S).

2. „მესხური დავითნის მატიანე“, 1561—1587 წ. წ., დაწერილი მცირე ტანის „დავითნის“ (ფსალმუნის) ბოლო ფურცლებზე.

მატიანეს ავტორი, ძეგლში აღწერილი ისტორიული ამბების თანადამხედური და მონაწილე, ქრონოლოგიური წესით გადმოგვცემს მესხეთისა და, მასთან დაკავშირებით, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ამბებს, 1561—1587 წ. წ.

ხელნაწერი ათაბაგთა სახლის ერთ-ერთი წევრის ავტოგრაფული ნუსხა უნდა იყოს.

მესხეთის ეს ქრონიკა XVI ს. საქართველოს ისტორიის უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს (№ 947—S).

3. „მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“, გადაწერილი ქართლის მეფის როსტომის მეუღლის ლევან დადიანის დის—მარიამის ბრძანებით, 1633—1646 წ. შუა.

აქ წარმოდგენილია:

ლეონტი მროველის, ჯუანშერის, სუმბატ დავითისძის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, თამარ მეფის ისტორიკოსის, „ჟამთა აღმწერელისა“ და სხვათა ისტორიული თხზულებანი.

ხელნაწერი უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობისაა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისმა აღმოჩენამ გააბათილა უცხოელ ისტორიკოსთა — კლაპროტის, სენ-მარტენის, დჲუბუა დე-მონპერეს და სხვათა მცდარი აზრი, თითქოს ვახტანგ VI-მდე ქართლის ცხოვრება არც კი არსებულიყოს. საერთოდ. ძეგლმა ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის წარსულის გაღრმავებულ შესწავლას.

ხელნაწერის აშიებზე გვხვდება ვახტანგ VI მინაწერები.

ეს ძეგლი მთლიანად გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. თბ., 1889 (№ 30—S).

4. „ჩუბინაშვილისეული ქართლის ცხოვრება“, ვახტანგ VI ბრძანებით შეკრებილ „მეცნიერ კაცთა“ რედაქციისა, გადაწერილი XIX ს. დასაწყისში, ე. თაყაიშვილის აზრით, ცნობილი რუმიანცევისეული ნუსხიდან (იხ. H : 2080),

ისტორიკოს თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერია: „საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა არის ეს ქართლის ცხოვრება“ (გვ. 3) (№ 3666—S).

5. „ქართლის ცხოვრების“ ნაწყვეტი დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკიდან, შეძენილი პეტერბურგში, 1817 წლის ივნისის 15, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ბუკინისტი შლიგინ-მეიხნისაგან.

ეს ფრაგმენტი ქართლის ცხოვრების ე. წ. „რუმიანცევისეული ხელნაწერის“ (H—2080) თავს წარმოადგენს (№ 3226—S).

6. „ქართლის ცხოვრება მ. ჯანაშვილისეული“— ე. წ. „შევსებული ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველეს ნუსხათაგანი. ე. თაყაიშვილის დასკვნით XVIII ს. დასაწყისში გადაწერილი. ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია.

იწყება გურამ კურაპალატის ისტორიით.

დიდად საყურადღებოა, რომ ქართლის ცხოვრების ძირითად ნაწილს აქ დართული აქვს „გაგრძელება“ (XIV—XVIII საუკუნეთა ამბების შემცველი), თავისი თავდაპირველი სახით, როგორც „კომისიის“ კოლექტიური ნაშრომი; ეს უკანასკნელი წყდება გიორგი XI ირანს გამგზავრების მოთხრობაზე (1696 წ.).

ხელნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის ცხოვრების ვახტანგისეული რედაქციის საკითხების გარკვევისათვის (№ 4730—S).

7. ქართლის ცხოვრება. „ბარათაშვილისეული“ ნუსხა. სპეციალისტების დასკვნით, ეს არის ყველაზე სრული და თარიღიანთა შორის უძველესი ხელნაწერი „მეცნიერ კაცთა“ რედაქციისა.

ხელნაწერის აშიებზე მიწერილია მერმინდელი შენიშვნები და დამატებები. გადაწერილია თბილისში, 1761 წ. (№ 25—S).

8. ქართლის ცხოვრება. „დადიანისეული“ ნუსხა, „მეცნიერ კაცთა“ მიერ შედგენილი ქართლის ცხოვრებისა. XVIII ს. II ნახევრის ხელნაწერი; ე. წ. „სრული რედაქცია“, დამატებებითურთ (ბოლონაკლული, მიდის 1585 წლამდე).

ხელნაწერი ოდესღაც პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის საკუთრება ყოფილა (იხ. მინაწერი: „ალექსანდრე ჭავჭავაძისა ვარ“, გვ. 436); შემდეგში იგი გადასულა მისი სიძის, დავით დადიანის ხელში (№ 354—S).

9. „შევსებული ქართლის ცხოვრების“ ორი ნუსხა, გადაწერილი—ა. რუსეთში, ქ. რიაზანში სამეგრელოს დედოფ-

ლის ნინოს „ხლებასა შინა, მწირობასა შინა“ მყოფი როსტომ იოსელიანის ჩინებული ხელით, 1822 წ.

დართული აქვს საქართველოს 60-ვერსიანი რუკა, მშვენიერად ნაკეთები.

შევსებულია ვახუშტის ისტორიიდან გადაწერილი ნუსხით (№ 5316—S).

ბ. მეორე ნუსხა ამავე ნაშრომისა, გადაწერილი რიაზანშივე, იმავე დედოფლის „ხლებასა შინა“, დიმიტრი ოქრიაშვილის ხელით (№ 5314—S).

10. ვახუშტი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, გადაწერილია პეტერბურგს, 1774 წელს, მაღალაშვილის ნიკოლაოს მდივნის ნაწერს „დედაზე“.

თავდება ქართლის სამეფოს ახალი ისტორიით (1744 წლით). თავისი შედგენილობით და ანდერძით იგივეა, რაც დავით რექტორისეული 1813 წ. გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ და რამდენიმე სხვა ნუსხა (№№ 1011, 1381—S და სხვ.).

ამ ხელნაწერს, ისე როგორც „წ. კ.-ის“ ფონდის მრავალ სხვა ერთეულს, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის წიგნთა ნიშანი უსის (ბ. პ. უ. ქ. ს.) (№ 281—S).

11. ვახუშტი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, იმავე შედგენილობისა, როგორისაც არის № 281, გადაწერილი XVIII ს. II ნახევარში.

დართული აქვს (დავით ბატონიშვილისა) და თეიმურაზის საისტორიო ნაშრომები და სხვ. მრავალი მასალა, რომელიც გადაწერილია XIX ს. პირველ ათეულ წლებში.

თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერი:

„ეს ქართლის ცხოვრება თანა მქონდა გერმანიაში რომ წაველ, წელსა 1836-სა. მეფის ძე თეიმურაზ“ (№ 3820—S).

ვახუშტის შრომის XVIII ს. ხელნაწერი ნუსხების დიდი ნაწილი მხოლოდ ფრაგმენტის სახით არის შემონახული.

მთლიან ნუსხას წარმოადგენს 1785 წ. გადაწერილი (S:4736 და აგრეთვე 4990, გადაწერილი ბაქოში, 1816 წ.), რომელიც გამოუყენებია დ. ბაქრაძეს თავისი გამოცემის მზადების დროს (იხ. ვახუშტი. საქართველოს ისტორია. ნაწილი პირველი, თბ., 1885).

12. ვახუშტის ისტორია-გეოგრაფიის უთარიღო ნუსხათა შორის ყურადღებას იპყრობს პატარა ხელნაწერი, XVIII ს.

ხელით გადაწერილი—ეპუტის ტექსტის შემოკლებით გადმოცემა. იგი თავდება ქართლის სამეფოს ისტორიით (1744).

ამ ებზე დასელოვნებული კალმით მიხატულია სახუმარო სურათები, გვ. 26—27 (№ 531—S).

13. დ ა დ ი ა ნ ი ნ ი კ ო ლ ო ზ. „ქართველთ ცხოვრება შემოკლებული"—უძველესი პერიოდიდან საქ სამეფოდ გაყოფამდე (1469 წ. და 1463—1823 წლამდის), გადაწერილი XIX ს. პირველი მეოთხედის პოლოს, ლ ა ზ ა რ ე ლ ო ბ ა ი ა ს ხელით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ნაშრომის II, ორიგინალური ნაწილი, სოლომონ I, იმერთა მეფის, ისტორიიდან 1823 წლამდე. იგი ნაწილობრივ თანამედროვეთა ჩვენებაზე არის დამყარებული, ხოლო ნაწილობრივ ავტორის პირადი მონაწილეობით მოხდარი ამბების გადმოცემას წარმოადგენს.

ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა თავის აღწერილობაში მთლიანად გამოაქვეყნა ნ. დადიანის ისტორიის ეს ორიგინალური ნაწილი, რუსული თარგმანის დართვით (იხ. Описание рукоп. Общ распр. грамотн. I, გვ. 8—105. აღწერილობა № 9., თბ., 1902—1904) (№ 9—S).

ფონდში ამ ნაშრომის სხვა ნუსხებიც მოიპოვება.

ბ. საქართველოს ისტორიის მასალები

1. მესხური ხელნაწერის „სულთა მატიანე" (კრებულის 60—74 გვ. „სარწმუნოების ძეგლისწერის" ტექსტის ბოლოს).

„სულთა მატიანის" მოსახსენებელთა ძველი ფენა, ამ ძეგლში სხვა, ადრინდელ წყაროდან შესული, იწყება „ბაგრატ აფხაზთა, ქართველთა მართლმადიდებლისა მეფიდან", თავდება „დავით და დავითით" (ულუ დავითი და დავით ნარინი). ამას მისდევს საბერძნეთში X—XI ს. მოღვაწე ქართველთა მოსახსენებელი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XV—XVI ს. ს. ისტორიულ პირთა: გიორგი მეფეთ-მეფის, მისი მეუღლის—თამარის, სამცხის ათაბაგთა და სხვ. მოსახსენებლები (№ 1246—S).

2. „აღწერა ვნებათა ლარგვისის არხიმანდრიტის პ ა ფ ნ ო ტ ი ს ა თ ა, რომელნიცა მოითმინა მან ა-ს აგვისტოთგან ვიდრე 28 ნოემბრამდე ჩყდ-ს წლისა მოჯანყეთა მთიულთაგან". რუსულ-ქართული. გადაწ. 1821.

მთიულეთის 1803—4 წ. აჯანყების ისტ. მასალა (№ 1206—S).

გ. მსოფლიო ისტორია

ფონდი საკმარისი სისრულით ასახავს აგრეთვე ფეოდალური საქართველოს მოწინავე ადამიანების ინტერესს მსოფლიო ისტორიისადმი. ამ დარგის სამოციოდე ხელნაწერიდან აღსანიშნავია:

1. I—II საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის იოსიპოს ფლავიოსის „წიგნი ჰურიაისაჲ“-ს პირველი 15 წიგნის მეთერთმეტე საუკუნის იოანე პეტრიწისეული თარგმანი (ბერძნული დედნიდან), 1834—1835 წ. წ. ხელნაწერის სახით (№№ 315—319).

იოსიპოს ფლავიოსის ამავე თხზულების დანარჩენი ხუთი წიგნი, თარგმნილი რუსულიდან ხორნაბუჯს, 1835—1836 წ. წ., დავით დადიანის საყურადღებო მინაწერებით (№№ 320—321).

2. იმავე იოსიპოს ფლავიოსის მეორე საისტორიო თხზულება—„ბრძოლისათვის იუდელთასა“, დ. ინანაშვილის მიერ თარგმნილი რუსული თარგმანიდან 1836—37 წ. (№№ 322—324—S).

3. სტრათემანი. „თეატრო ანუ ასპარეზი მატიანული“—მსოფლიო ისტორია, თარგმნილი რუსული თარგმანიდან ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1740 წელს, მთარგმნელის ხელით დაწერილი.

გრიგოლ ზურაბის ძის წერეთლის ბიბლიოთეკიდან, გრიგოლის საყურადღებო მინაწერებით (№ 420—S).

4. კორნელიოს ტაციტი. წელთწერა, წიგნი XII № 1674—S).

5. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლევან ბატონიშვილის (ბაქარის ძის) „ანბავნი ჭინა ისტორიანი“—1000-ზე მეტი გვერდის შემცველი დიდი ხელნაწერი; მსოფლიო ისტორია „ქვეყნის გაჩენიდან“ 1750-იან წლებამდე. გადაწერილია მოსკოვს, ცნობილი კალიგრაფის კავკასიძის ჩინებული ხელით 1763 წელს.

კავკასიძის ანდერძის მიხედვით, ამ უზარმაზარი ნაშრომის ავტორს, „რაოდენისამე ენისა, წიგნისა და წერის ზედმიწევნით მცოდნეს“, ამოუკრეფია მასალა „ლათინურისა, ფრანციცულისა და ნემენწკურის“ წყაროდან, ხოლო გადამწერს გაუმართავს და გადაუწერია იგი 65 რვეულზე.

კავკასიძე მწუხარებით გვაუწყებს, რომ ავტორი ლევან ბატონიშვილი მომკვდარა, „ოდეს განასრულნა წიგნი ესე ყოვლითურთ სრული და ძვირფასი იგი საუნჯე“, 1763 ივლისის 23 წლისა 35 (№ 385—S).

6. ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის („ალექსანდრიანი") პეტრე ჩხატარაიძისეული ვარიანტი, გადაწერილი ოსე გაბაშვილის (ზაქარიას ძის) ხელით, 1789 წ. (№ 1514—S).

7. „ყოვლად საჭირო და ფრიად სათანადო შჯდთა კრებათა მოთხრობა"—საისტორიო თხზულების ერთი უძველესი თარგმანთაგანი (ბერძნულიდან, 1153 წლისა),—გვ. 82—83 (№ 2397—S).

8. ხრონოღრაფი, ესე იგი არს წელიწადთა აღწერა, შექმნითგან სოფლისა ვიდრე მეფობამდე კოსტანტინე პალეოლოღისა. XIX ს. პირველი წლების (1805—1806 წ.) კალიგრაფიული ხელით, (№ 1177—S).

9. ჰეროდოტეს ისტორია, თარგმნილი დ. დადიანის მიერ, 1836 წ., რუსული თარგმანიდან (№ 309—S).

10. კვინტოს კურციოსის „საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა, მეფისა მაკედონელისათა". ანტონ I თარგმნილი, მიძღვნილი ერეკლე მეფისათვის. დავით ბატონიშვილისეული ხელნაწერი, მისი საისტორიო ხასიათის მინაწერებით (№ 394—S). დავით ბაგრატიონის ეს ქრონიკა გამოსცა ე. თაყაიშვილმა. იხ. „ძველი საქართველო". ტ. II, 1913, გვ. 79—80.

11. „ძუელი ისტორია ეგჳპტელთა, კართაგენელთა, ასსირიელთა" და სხვათა, გადაწერილი დავით რექტორის ხელით, 1792 წ. (№ 204—S).

VI. სამართლის ძეგლები

ფონდში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი სამართლის ძეგლები (50 ხელნაწერ ერთეულზე მეტი). უმეტესობა ვახტანგ VI სამართლის წიგნისა და კრებულების შემცველია. აქ გვაქვს ორიოდე უნიკალური ხელნაწერი:

1. ვახტანგის სამართლის წიგნებისა და ბატონიშვილის ვახტანგის სამართლის უძველეს ნუსხად მიჩნეული ხელნაწერი.

ე. თაყაიშვილის დასკვნით: „ეს კრებული ვახტანგის ხელში გავლილია. ვახტანგის ხელით შესრულებული მინაწერები გვხვდება საძიებლის რამდენიმე ადგილას".

კალიგრაფიული ხელით დაწერილი საძიებლის ბოლოს მიწერილია: „ზანდუკისა ამის დამწერი მაღალაძე სოლომონ" (იხ. O. P. II, 355, გვ. 614—615).

ამ ხელნაწერის სიძველე და ავტოგრაფიულობა ივანე ჯავახიშვილს სათუოდ მიაჩნია (ის. ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, ტფ., 1928 წ., გვ. 122). ხელნაწერის პირველი გვერდი, „მეორედ მოსვლის“ და „განსჯა-განკი ისვის“ ფერადებით შესრულებულ სურათს წარმოადგენს (№ 3683—S).

2. ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალი და ამავე სამართლის წიგნის დაწვრილებითი საძიებელი, დაწერილი სხვადასხვა ქაღალდზე.

შესავალის ტექსტი იწყება: „ქ. დასაბამითგანვე დანდებელმან საფუძველთა ქვეყანისათაჳან“. იგი დაწერილია ორ, ერთმანეთთან დაკავშირებულ, ფურცელზე, რომლის ჭვირნიშანი არის სამი ნახევარმთვარე. ეს ტექსტი თვით ვახტანგის დროს დაწერილ „შავს“ წარმოადგენს.

„ზანდუკი“ გაცილებით გვიან—XVIII ს. მეორე ნახევარში—გადაწერილი ჩანს (№ 2457—S).

3. ვახტანგის სამართლის წიგნები პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ცალიდან გადმოწერილი აკადემიკოს მარი ბროსეს ხელით, 1829 წ., ფრანგული მინაწერებით სენ-მარტენის ხელით (№ 3582—S).

4. ვახტანგის სამართლის წიგნი, გადაწერილი მიტროფანე გრიგოლაშვილის ხელით, XIX ს. დასაწყისში, გურია-აჭარა-ქობულეთის უკანასკნელი მდივანბეგის გიორგი თავდგირიძისეული.

შემოწირულია გრიგოლ გურიელის მიერ, 1886 წ. (№ 1275—S).

5. ვახტანგ VI. დასტურლამალი, პლატონ იოსელიანისეული; გამოყენებულია პეტრე უნიკაშვილის გამოცემის დედნად (№ 1507—S).

6. სამართლის ძეგლთა კოლექციაში დაცულია აგრეთვე: რუსული სამართლის წიგნები მეფის ალექსი მიქაელის ძისა, რუსულიდან თარგმნილი და გადაწერილი 1721 წ. (№ 3614—S).

7. მაჰმადიანთა სამართლის წიგნი, თარგმნილი ისტორიკოს ფარსადან გიორგიჯანიძის მიერ, დაწერილი მთარგმნელის კალიგრაფიული ხელით.

ტექსტის ზემოთ მოთავსებულია ფერადებით ნახატი თავკაზმულობა, არაბული წარწერით.

ტექსტს წინ უძღვის მთარგმნელის ვრცელი ანდერძი, რომელიც იწყება: „...ჩვენ... ცოდვილეან და დამნაშავემა... პირშავმან

და მონანავმა ნაქმართა ჩემთა ფარსადან გიორგი ჯანიძემან. მღ(ერ)ელ(ს) ძალითა, შეწევნითა ჭელი მიჭყავ მღსურბანთ სარჯულო წიგნისა და ყანუნის სათარგმანებლადა—არაბული სპარსულად და სპარსული ქართულად". შემოწირულია ალექსანდრე როინიშვილისაგან (№ 1745—S).

VII. გეოგრაფია და მოგზაურობანი

ა. გეოგრაფია

ძველი ქართული გეოგრაფიული თხზულებანი თითქმის მუდამ საისტორიო თხრობას უკავშირდებოდა. XVIII ს. პირველი ნახევრის ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელი ვახუშტი ბაგრატიონიც კი თაკის შესახებ შენიშნავ გეოგრაფიულ ნაშრომს ისტორიის ორგანულ ნაწილად განიხილავდა და საქართველოს ახალი პერიოდის ისტორიასთან შერწყმით წერდა. ამ გარემოების გამო ქართული ორიგინალური გეოგრაფიული ნაშრომები საქართველოს ისტორიის ტექსტებთან არის საძებარი. ფონდში გვაქვს მსოფლიო გეოგრაფიის XVIII და XIX საუკ. ხელნაწერი ნუსხები.

1. მსოფლიო გეოგრაფია (ფიზიკური და პოლიტიკური) თარგმნილი რუსულიდან გაბრიელ გელოვანის მიერ 1737 წ.

თარგმანი შესრულებულია ძეტად სადა, გასაგები ენით.

ტექსტს დართული აქვს გეოგრაფიული განედების და სიგრძედების ნუსხები.

მთარგმნელის გაბრიელ გელოვანის ანდერძი მეტად საყურადღებო ისტორიულ მასალას წარმოადგენს. აქ აღწერილია ვახტანგ VI და მისი დიდი ამალის მგზავრობა რაჭიდან ჩრდილო-კავკასიაში. გელოვანი, კავკასიონის უღელტეხილის ამ საინტერესო „გადასვლის" ერთ-ერთი მონაწილე, სადად და ცოცხლად გვიხატავს მოგზაურობის პერიპეტიებს (№ 1743—S).

2. სამგზავრო გეოგოაფია. XVIII ს. მოსკოვის 1788 წლის გამოცემის „География дорожная"-ს თარგმანს წარმოადგენს (№ 171—S).

3. დავით რექტორი (მესხიშვილი)—აღწერა ახალციხისა და სხვ. „ახალციხისა ქუსყანა, რომელიც არის ქართლის ქუსყანისა ნაწილი" (№ 196—S).

ბ. რუკები

1. საქართველოსა და კავკასიის დიდი რუკა მიხეილ ყიფიანის ხელით დახაზული (№ 3227 ბ—S).

2. ვახუშტის მიხედვით შედგენილი ნაბეჭდი და ხელით დახაზული რუკები, კავკასიის და მის მეზობელ მხარეთა. მინაწერით (ერთ-ერთზე) „დავხატე დავით ჩუბინოვმა“ (№ 3703—S).

გ. მოგზაურობა

„მოგზაურობის“ ლიტერატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ქართველი მოგზაურის თვალსაჩინო შრომები:

1. ტიმოთე გაბაშვილი. მოგზაურობა. ორ ნაწილად. აქ აღწერილია ავტორის გამგზავრება საქართველოდან სამცხის გზით ბათომს. ტრაპიზონს, ათონს და იერუსალიმს. ქართული არქეოლოგიური ნაშთების აღწერილობით და დასურათებით, XVIII ს. ხელით. ერთ-ერთი უძველეს ნუსხათაგანი (№ 3244—S).

გამოქვეყნებულია პლ. იოსელიანის წინასიტყვაობით და შენიშვნებით (თბილისი, 1852 წ.).

2. ავალიშვილი გიორგი. მოგზაურობა თბილისით იერუსალიმს და „უკუქცევაჲ“, ორ ნაწილად (1820 წ.), წინასიტყვაობით, მრავალი საყურადღებო ცნობით (მაგ. ქაიროში მაჰმადიანი—დიდებული ნაქართველარი აღმოჩნდება). ტექსტში ჩართულია პალესტინის ქართული ძეგლების აღწერილობა (№ 450—S).

3. ონიკოვი ნიკოლოზ. მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგს. გადმოცემულია საყურადღებო დაკვირვებები, შენიშვნები, შთაბეჭდილებები ავტორის მოგზაურობისა იოანე ბატონიშვილთან ერთად, ტფილისიდან პეტერბურგს (№ 5082—S).

VIII. ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მეტაფიზიკა

ფონდში განსაკუთრებული სიუხვით არის წარმოდგენილი ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ნიმუშები (120-მდე ხელნაწერი).

1. იოანე დამასკელი. „თავნი საფილოსოფოსონი“ ანუ „დიალექტიკა“, ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი ბერძნულიდან XI საუკუნეში, ეფრემის შესავლითა და ზანდუკით.

ეს არის ეფრემის ამ თარგმანის ერთ-ერთი იმ სამ იშვიათ ხელნაწერთაგანი, რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევია (№ 1358—S).

2. ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი. „თავნი საფილოსოფოსონი“ ანუ „დიალექტიკა“, „ბერძნულიდან თარგმნილი ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე-ლ ი ს მიერ XI—XII ს-ში. XI—XII საუკუნის ხელნაწერი (დიდი კრებული) (№ 1463—S). „დიალექტიკის“ არსენისეული თარგმანის მეორე ცალი გვაქვს XIII საუკუნის ხელნაწერშიაც (2562—S).

3. ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს „სფილოსოფოსონი თავნი“ ანუ „დიალექტიკა“, „კათიღორია“ და „გარდამოცემა“, თარგმნილი ა რ ს ე ნ ი ვ ა ჩ ე ს ძ ი ს ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი ს მიერ.

XIII ს. ხელნაწერი; რესტავრირებულია XVII ს. დასაწყისში ნ ი კ ო ლ ო ზ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს—თ ბ ი ლ ე ლ ი ს ხელით.

ამ უკანასკნელის მინაწერი დამახასიათებელია XVIII ს. დასაწყისის ფილოსოფიური ძიებისათვის:

„ქ. მე, ყოველთა დღეთა ჩემთა ცოდვათა შინა წარმომცლელმან და ტვირთმძიმემან, ქართველთა და კაცთა და იმერელთა მეფეთ-მეფეთა დედის ძმის, საქართველოს მოსამართლეთუხუცის, მდივანბეგის ორბელის ძემან და თვით მდივანბეგის ძმამან, ხუცესნონაზონმან ნიკოლაოს მოვიშოვე კათიღორია ესე კეთილად განმაბრძნობელი და თვალთა გულისად აღმხილველი მკითხველთა, დაძველებული და გარდასული. აწ კელითა ჩემ ცოდვილისათა მოვაცხოველე და ნაკლული შევასრულებინე. ვინც იხილავდეთ, შენდობას მიბძანებდეთ, რამეთუ ფრიადი ჭირი ვნახე ამის კეთებაზედა. ქ-ს აქეთ ჩ ღ ი, ქ-ს ა ტ ე (1710 წ.). ნიკოლოზ (ჩართულად)“.

უკანასკნელ გვერდზე მიწერილია:

„ყოვლად უ ღ ირსი ზ ა ხ ა რ ი ა (გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) ტფილისს პ-როპილ-პატიმარ ვიქმენ ოკდობერსა ი“ (№ 2574—S).

იოანე დამასკელის „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“, ა რ ს ე ნ ი ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი ს ე უ ლ ი თარგმანი. დაბეჭდილია ბ ა ქ ა რ ვახტანგის ძის ბრძანებით, მ ო ს-კ ო ვ ს, 1744 წ.

4. ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი. „ბუნებისათვის კაცისა“, თარგმნილი ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს მიერ XI—XII ს.

XIV—XV ს. ხელნაწერი. ნაკლული, არეულად აკინძული. ეს თხზულება ქრისტიანული მოძღვრებისა და ნეოპლატონიკური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შერწყმას წარმოადგენს.

თხზულება საყურადღებო არის აგრეთვე ავტორის ანტროპოლოგიურ-კოსმოლოგიური მსოფლმხედველობით. ნემესიოს ემესელის ეს შრომა მეტად პოპულარული იყო შუა საუკუნეებში როგორც ევროპაში, აგრეთვე საქართველოშიაც. ამ თხზულების

ჩვენამდე მოღწეული სამივე ნუსხა წ. კ. ფონდში არის დაცული. პირველ გვერდზე მრგვალი მხედრულით მიწერილია:

„ჭ. ესე ნეშესიო ვახტანგისა არის და ღმერთმა კეთილად მოახმაროს“ (№ 2579—S).

გამოქვეყნებულია ს. გორგაძის ერცელი წინასიტყვაობით და ლექსიკონით. ტფილისი, 1914 წ.

5. პორფირი. „შეყუანილება“. ძველი, კლასიკური პერიოდის თარგმანი (XI—XII ს.). XIII საუკ. ნუსხა, რომელიც დაცულია ამმონიოს ერმისის „მოსაკსენებელი ხუთთა ჭმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“-ში.

კრებულს აქვს ძველი მინაწერები—მდივან-მწიგნობრული მხედრულით (XIII—XIV ს.).

ახალი მინაწერები: ზაქარია გაბაშვილის და მისი შვილებისა (XVIII ს.) (№ 2562—S).

6. პორფირი. „შეყუანილება“. ვახტანგ VI ბრძანებით თარგმნილი სომხურიდან 1735 წ. ზურაბ შანშოვანის მიერ, გადაწერილი მოსკოვს, ზებედეს ხელით, 1735 წ. (№ 358—S).

7. ფილოსოფიურ თხზულებათა კრებული:

პორფირის „შეყუანილება“, იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, „გარდამოცემა უცილობელი“ და სხვ. გადაწერილი ნოვგოროდს, 1740 წ.

ანდერძი გადამწერისა: „აღიწერა წიგნი ესე... იოანე დამასკელისა... ვიმუშაკე ზებედემ, ძემან იესესმან, ზებედოვანმან. სრულ იქმნა ქვეყანასა რუსეთს, ქალაქსა ნოვგოროდს, რომელი არის ახალქალაქი“.

ხელნაწერი დაზიანებულია ცუდი მელნის გამო (№ 162—S).

8. „დიალექტიკა“—სამნაწილედი:

(1. მარტივ-მიღება, 2. თხზვა, 3. სილოგიზმო), გადაწერილი 1760 წ., თბილისში (კრებულში, გვ. 148), (№ 131—S).

9. ბაუმეისტერი, „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“, თარგმნილი ლათინურიდან ანტონ I მიერ. 1762 წ., ანტონის წინასიტყვაობით და განმარტებებით.

მინაწერი: „დიმიტრი ყიფიანის წიგნთაგან“ (№ 293—S).

10. ანტონ I. „წიგნი კატეგორია სიმენტე, და სჯილი მისგან, ჭმასა ზედა არისტოტელისა, შედგომითა მისითა. მაგრა სხოთაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღვრება-

თაგან და გარდამოცემათა მოღებულ, ხოლო წინადადებულ თჳსისა სხოლისა მოწაფეთად". 1769 წ., თბილისი.

ხელნაწერი XIX ს. არის (№ 52 —S).

11. ანტონ I. „წინასიტყვაობა ფილოსოფიისათვის და ნაწილითა მისთა". XIX ს. დასაწყისის ხელნაწერი (№ 2790 —S).

12. მონტესკიე. გულისხმისყოფისათვის სჯულთასა. თარგმნილი რუსულიდან დავით ბატონიშვილის მიერ. მთარგმნელისა და მისი ძმის თეიმურაზის მინაწერებით. დავით დადიანისეული (№№ 370, 371—S).

13. კონდილიაკი. „ლოღიკა", თარგმნილი რუსულიდან იოანე ბატონიშვილის მიერ 1792 წელს (№ 1151—S).

14. ჟან-ჟაკ რუსო. „ჰსჯა". „დაჯილდოვებული დიჟონის აკადემიისაგან". რუსული თარგმანიდან თარგმნილი დავით ციციშვილის მიერ. 1849 წ. (№ 1260—S).

IX. მხატვრული ლიტერატურა

ფონდში განსაკუთრებული სიუხვით და მრავალფეროვანებით არის წარმოდგენილი მხატვრული ლიტერატურის ძეგლები.

ფონდის ეს ნაწილი საკმარისი სისრულით ასახავს ფეოდალური საქართველოს მხატვრული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს XI—XII საუკუნიდან XIX საუკუნის 40-იან წლებამდე.

ფეოდალური საქართველოს მხატვრული მწერლობის ამ მდიდარი მემკვიდრეობიდან ქვემოთ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს მოვიხსენიებთ.

ა. კლასიკური პერიოდის ძეგლები (XI XII ს. ს.)

საერო მწერლობის ყველაზე ძველ ნუსხებად შეიძლება ჩაითვალოს შესანიშნავი ქართველი მეცნიერისა და ფილოსოფოსის ეფრემ მცირის (XI ს.) „სიტყუადართულობანი" (სქოლიოები, რომლებითაც „მოჰსოვილია მის მიერ თარგმნილი ტექსტების აშიები"). აქ მთარგმნელი ხშირად გატაცებით განმარტავს ბერძნული მითოლოგიის „ზღაპრობას". ასეთია, მაგ., ჩვენი ფონდის XI ს. დიდი ხელნაწერი კრებულის I ნაწილის (1—230) ზოგიერთი სქოლიო, მიწერილი აშიებზე, როგორც ჩანს, ეფრემის საკუთარი ხელით. ერთი მათგანი ბერძნული მითოლოგიის ცნობილ გმირს—ირაკლის შეეხება.

[ირაკლი...] „მახჳლითურთ თჳსით შთაჴდა ბრძოლად დიდისა რაჲსმე ვეშაპისასა და ესოდენ განგრძობილად შჳრიდა შინაგანსა მისსა, ვიდრემდის რაჟამს მოკლა იგი, თმანი თხემისა ირაკლისანი შენწუველობისაგან ვეშაპისა ნაწლეევთაჲსა, მუნვე ველსა ზედა მუცლისა მის დაცჳნებულ იქმნნეს...“

ირაკლის ვეშაპთან (ვეშაპის ნაწლავებში) ბრძოლის მითის გადმოცემით ეფრემ მცირე განმარტავს მის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „სატფურებისათჳს იმრუსალიმისა“-ს ერთ-ერთ ადგილს (№ 1276—S).

3. კლასიკური პერიოდის ეპოსი და რომანი

ფონდში მრავლად მოიპოვება რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხები. ჯერ კიდევ ვეფხისტყაოსნის „პირველმა რედაქციამ“ შესწირა წ. კ. საზოგადოების წიგნსაცავს ის 16 ხელნაწერი, რომლის ტექსტზედაც მუშაობდა კომისია 1884 წელს—ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის სამზადისში.

ჩვენ მცოლოდ ვეფხისტყაოსნის თვალსაჩინო ხელნაწერებს მოვიხსენიებთ:

1. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი, სათაურით: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად შვენიერი სწავლისათვის მიშაირეთასა ტარიელს და ხესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით ეწმოენ“.

დაწერილია XVII ს. მრგვალი, გარკვეული, საკმარისად ლამაზი მხედრულით.

ტექსტში მრავლად მოიპოვება მერმინდელი ჩანამატები, რომლებიც 243-v-დან იწყება.

ხელნაწერი შესანიშნავია ილუსტრაციების სიუხვით და მაღალი მხატვრული ღირსებებით. ილუსტრაციები ხელნაწერის სხვადასხვა ადგილას არის ჩართული (ცალკე ფურცლებზე, მდიდრულად—ოქროთი და ფერადებით ნახატი, რიცხვით 87 ფურცელი).

XIX ს. 80-იან წ. წ. საგანგებოდ გაკეთებული მაგარი მუყაოს ყდა შემოსილია ლურჯი ტყავით, რომლის ზემოთა ნაწილსა და ყუაზე ოქროთი ამოტვიფრულია თხზულების სათაური.

შემოწირულია დავით ზაქარიასძე სარაჯიშვილის მიერ (№ 5006—S).

2. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. შეძენილი იგდირში, სომხის ოჯახში, მიხ. ნაკაშიძის მიერ. XVII საუკუ-

ნის ხელნაწერი. ჩინებულ ქაღალდზე, მრგვალი, ლამაზი მხედრულით ნაწერი. თავბოლონაკლულია (№ 4499—S).

3. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი შ ო თ ა ● ვეფხისტყაოსანი. გადაწერილი მრგვალი, ლამაზი მხედრულით. საოაურები და ყოველი სტროფის პირველი ორი სიტყვა სინგურით არის ნაწერი.

გადამწერის გალექსილი ანდერძი გადაწერის თარიღსა და მომგებელის ვინაობას გვამცნობს:

„ბებურიშვილს ღთ~ნ აკმაროს—პაპუა, სახელიანი.

ე რ ე კ ლ ე ს ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი ბრძანდების სამართლიანი.

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ე რ ე კ ლ ე, მოწყალე, დავლათ-სვიანი

და ქორანიკონი ჯდებოდა ტარი, ონი, ვინიანი“.

ტ ო ვ—376 ქრონიკონი (+1312=) უდრის 1688 წელს, რომელიც მართლაც ემთხვევა ერეკლე I მეფობას.

ნაყიდია ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (№ 2529—S).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფონდში დაცული ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ნ ა ბ ე ჭ დ ი ც ა ლ ი, თბილისის (ვახტანგ VI-სეული) სტამბის 1712 წლის გამოცემის ერთ-ერთი საუკეთესო ცალთაგანი (№ 5798—S).

4. ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი. ფახრ-უდდინ გურგანის (ქართული ტექსტით: ჯორჯანელის) მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი რომანის ქართული თარგმანი, XII საუკუნისა.

XVII საუკუნის ხელნაწერი, დაწერილი მრგვალი მხედრული ხელით, ყოველი სიტყვის შემდეგ სამი წერტილის დასმით (№ 27—S).

გამოყენებულია 1884 წლის გამოცემის დედნად (იხ. ვისრამიანი“ ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1884 წ.).

5. ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი XII ს.. ორიგინალური სადევგმირო რომანი, რომლის ავტორობა მოსე ხონელს მიეწერება.

XVII ს. დეფექტური ხელნაწერი.

მ ი ნ ა წ ე რ ი: „გ უ რ ი ი ს დ ე დ ო ფ ლ ი ს, ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ზაალის ასულის მარიამის მზითვისა არის“...

„ჩემს მშობელთა მოვშორდი... იანვარს იᲪ, ქორონიკონს ჩ ღ ᲪᲪ (1798)—გურიას მოველ“ (№ 393—S).

6. ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი—დადიანთა ბიბლიოთეკიდან, ნ ი კ ო ლ ო ზ დ ა დ ი ა ნ ი ს მინაწერებით (№ 357—S).

ჯ. აღორძინების პერიოდის მხატვრული ლიტერატურის ძეგლები

„აღორძინების“ პერიოდის ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ორიგინალურ ძეგლებად „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი უნდა ჩაითვალოს.

„ვეფხისტყაოსანი“—ქართული მხატვრული შემოქმედების ეს უებრო ნაწარმოები, თავისი დაწერის დროიდან (XII ს.) საუკუნეთა განმავლობაში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ახალი საუკუნეების „მელექსეებმა“ საჭიროდ დაინახეს შესანიშნავი ოსტატის შემოქმედების ნაყოფის „შევსება“ და „გაგრძელება“. ეს შევსებანი დაახლოებით XV--XVI ს. ს. იწყება.

„ვეფხისტყაოსანი“ შეუვსიათ: „ვინმე მესხ მელექსეს“, ნანუჩას მანუჩარ ციციშვილს), იოსებ სააკაძე-ტფილელსა და სხვებს. ხსენებულ ავტორთა „დამატებები“ ჩართულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერ ტექსტებში. გარდა ამისა არსებობს მთელი, საკმარისად დიდი, დამთავრებული, დამოუკიდებელი თხზულებაც, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებას წარმოადგენს. ეს არის XVI—XVII ს. პოეტ ქაიხოსროს (ჩოლოყაშვილის) „ომაინიანი“.

1. ქ ა ი ხ ო ს რ ო ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. ომაინიანი, გადაწერილი კ ო რ ნ ი ლ ი ჩ ა ჩ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ხელით, 1782 წ.

ტექსტი „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ტარიელის ვაჟის—ომაინის და მისი მეუღლის, ამავე „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გმირის ავთანდილის ასულის თავგადასავალს წარმოადგენს.

პოემა იწყება შესავლით, რომელიც ძვირფასი ბიბლიოგრაფიული ცნობების შემცველია (№ 3163—S).

გამოცემულია გ. ჯაკობიას მიერ. თბილისი. 1937 წ.

2. აღორძინების პერიოდის ქართული მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის და ეროვნული მიმართულების დამწყების თეიმურაზ I (1589—1663) თხზულებანი ფონდში 20-მდე ხელნაწერის სახით მოიპოვება. ამათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

თ ე ი მ ურ ა ზ I. თხზულებათა სრული კრებული, გადაწერილი XVIII ს. დასაწყისში, ო ნ ა ნ ა მ დ ი ვ ნ ი ს (ქობულაშვილის) ხელით (№ 403—S) (იხ. „თეიმურაზ I“. თბ., 1934, ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით).

3. ა რ ჩ ი ლ II. „არჩილიანი“—არჩილის თხზულებათა კრებული, შედგენილი ავტორის უშუალო ხელმძღვანელობით; გადაწერი-



დავით გურამიშვილი. „ქართლის ცხოვრება“—„დავითიანიდან“ ერთი გვერდი. ავტოგრაფი

ლი ასევე ბრძანებით გივი მდივნის (თუმანიშვილის) ხელით, ჩინებულ ქაღალდზე, მრგვალი, ლამაზი მხედრულით (1701—1705).

კრებულში არჩილის თხზულებათა გარდა სხვა ავტორთა ნაწარმოებებიც არის (№ 424—S). ფონდში მოიპოვება მრავალი სხვა კრებული, რომელშიაც შესულია არჩილის თხზულებანი.

4. სააკაძე, იოსებ (ტფილელი). „დიდმოურავიანი", ისტორიული პოემა, დაწერილი XVII ს. მეორე ნახევარში.

XVIII საუკუნეში ხელნაწერი შეუძენია იაგორ ავალიშვილს. ასტრახანს (№ 15—S).

გამოცემულია: პლ. იოსელიანის მიერ (თბ., 1851).

5. რუსუდანიანი. XVII საუკუნის ნაკლული ხელნაწერი, შეკეთებული ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ხელით, 1789 წ.

დ. ჩუბინიშვილის ბიბლიოთეკისა (№ 3698—S). იხ. აგრეთვე № 23, ილია ჭავჭავაძისაგან შემოწირული.

6. ვახტანგ VI. მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული, გადაწერილია მდივნის მელქისედეკ კავკასიძის მიერ მოსკოვს, 1734 წ. 19 ივნისს.

ხელნაწერი ავტორიზებულ ცალს წარმოადგენს. იგი ნასწორები და შევსებულია ვახტანგის ხელით, ტექსტში და აშიებზე მრავალ ადგილას მიწერილი სტროფებით და სტრიქონებით, ზოგან ჩაწებებულ ქაღალდზე დაწერილით.

ამ დიდ კრებულში, ვახტანგის თხზულებებთან ერთად, მოთავსებულია მრავალი სხვა მასალა.

შეძენილია თბილისელი ბუკინისტისაგან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (№ 4500—S).

7. გურამიშვილი დავით. „წიგნი ესე, რომელსა ეწოდების სახელად დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან".

ერთადერთი სრული ავტოგრაფიული კრებული, დაწერილია უკრაინაში (მირგოროდი, ზუბოვკა) 1787 წ.

თავის უკვდავ ლექსებში დავით გურამიშვილი უმღერის არა მარტო თავის მშობლიურ საქართველოს, არამედ დიდი რუსი ხალხის მეგობრობას, თავის მეორე სამშობლო ქვეყანას—უკრაინას, აღტაცებულ ლექსს უძღვნის პოეტი ქ. მირგოროდის მახლობლად მდებარე ზუბოვკას, სადაც მან თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა.

კრებულის ბოლოს, დიდი ზომის ფურცელზე (29,8×43,3), მოთავსებულია დავით გურამიშვილის მიერ გამოგონილი წყლის ასამაღლებელი მანქანისა და წისქვილის ავტოგრაფიული ნახაზები,

დავით გურამიშვილი. „სიმღერა დავითისა ხუცოესა“

განმარტებებიოურთ. ამავე ფურცელზე, ნახაზებს ზემოთ, შუაში დაწებებულია ღვთისმშობლის ხატი, წარწერით: «Изображение Пресвятия Богородицы Ахтирской». ხატის ქვეშ დახატულია ყულაბა ანთებული სანთლით. ყულაბის მარცხნივ კი დგას ხელაპყრობილი მიმაკაცი.

საყურადღებოა ავტორის ანდერძი (ამ ნახაზების შესახებ), მოთავსებული იქვე, სქოლიოში:

„ამის ავად მოხაზულობას ნუ დაიწუნებენ. ცალის თვალით სულ ბრმა ვიყავ, მეორე თვალით ავად ვხედავდი. ჩუბის ჭელით მაგის მეტი ვერ შევიძელ და სხვას ვერავის ვეჩვენე (ნახახის) მოუპარაობის მიზეზითა".

არა ნაკლებ საყურადღებოა ავტორის მეორე ანდერძი, რომელიც მას აქვე მოუთავსებია და რომელიც ამ ნაშრომის მძიმე თავგადასავალს გადმოგვცემს:

„ეს წყლის ასამაღლებელი და წისქვილი თუმცა მოვიგონე და დავხაზე, ჯერ არსად არის გამოცხადებული ჩემის უღლურებით და ჭელმოკლეობით და ამ ჩემს ნათქვამს ლექსის წიგნში ჩაიწერია. და ეს წიგნი ქართლ-კახეთის ძეპატრონის მეფეთა-მეფის ირაკლის ძის მირიანისათვის მივირთმევია და იმას შევხვეწნილვარ, რომ სადაც ალაგი იყოს, იმან გამოაცხადოს. კნიაზ დავით გურამოვი. ხელს ვაწერ".

როგორც ამ ნახაზების განმარტებიდან ირკვევა, პოეტის ყურადღება „უკრაინის „ორ საწუნელ სნეულება"-ს მიუქცეია:

ა. „წყალნი მეტად მდორედ და ღრმად ჩავარდნით დიან", ამიტომ სარწყავი წყლის მიღება უკრაინაში ძნელი ყოფილა და ყანები „გოლვისაგან" იღუპებოდაო.

ბ) უკრაინაში „კარგი წისქვილები იციან წყლისაცა და ქარისაცა, მაგრამ მუდამ ვერა ფქვენ. ქარის წისქვილი, როცა ქარი არ არის, სცდების; წყლის წისქვილი წყლის დიდობაში, გოლვაში—წყლის მცირობაში სცდების და ზამთრის ყინვაში სცდების"

დიდ ქართველ პოეტს, როგორც ჩანს, აწუხებდა უკრაინელი ხალხის გასაჭირი და ძისი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მას ეს მანქანები გამოუგონია. ამ დიდი საქმით გატაცებულ პოეტს იქვე ნახაზებში ჩაუწერია:

„ღმერთო, მაჩვენე ყანები,
ამ სარწყვით მონაყვანები!
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა!"



დავით გურამიშვილი. ავტოპორტრეტი და ნახახების ანდერძი—„დავითიანიდან". ავტოგრაფი

5. გზამკვლევი

პოეტს სურდა, უკრაინის მდიდარი ბუნება, მისი ნოყიერი ნიადაგი და წყალი ხალხის საკეთილდღეოდ ყოფილიყო გამოყენებული. ვინ იცის, მართლაც, დიდი პოეტის ეს ნახატები და მთლიანად მისი პროექტი მთავრობის ბიუროკრატიულ აპარატში არ დამარხულიყო და ამ საქმისადმი ვინმეს ოდნავი გულისხმიერება გამოეჩინა, რა ადრე შეიცვლებოდა ხალხის საკეთილდღეოდ უკრაინის თკალუწვდენი მინდორ-ველების სახე!

თუ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე გურამიშვილის ოცნებას განხორციელება ვერ ეღირსა, საბედნიეროდ, ჩვენ დრომდე მოღწეული ეს კრებული, თავისი ნახაზებით, უკრაინისა და ქართველი ხალხის დიადი მეგობრობის შესანიშნავი ძეგლია.

ხელნაწერი შემოსულია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ბიბლიოთეკიდან (№1598—S).

8. თეიმურაზ II. თხზულებანი, გადაწერილი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ხელით, 1773 წ.

ეს არის უძველესი ხელნაწერი ფონდში დაცულ 20-ზე მეტ ნუსხათაგან (№ 342—S).

გამოცემულია გ. ჯაკობიას მიერ (იხ. თეიმურაზ II. თბილისი, 193? წ.).

ფონდში მრავლად არის დაცული XVIII ს. და XIX ს. პირველ ათეულ წლებში გადაწერილი მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების—ძველისა და ახალი საუკუნეების—სხვადასხვა ავტორთა თხზულების დიდი კრებული—ანთოლოგიები. აქ რამდენიმეს დავასახელებთ:

9. ერთ წიგნად აკინძული ოცდაორი სხვადასხვა დროის ცალკე ხელნაწერის უზარმაზარი კრებული, რომელიც შეიცავს ბესიკის პოეტურ ნაწარმოებებსაც, შემოსულია დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკიდან (№ 3723—S).

10. XVIII—XIX ს. ცნობილი მწიგნობარისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილის ერთ-ერთი კრებულთაგანი:

შეიცავს XVIII საუკუნისა და XIX ს. დასაწყისის მრავალი ავტორის თხზულებებს როგორც მხატვრულის, ისე პოლიტიკურის (ალ. ამილახვარის „ბრძენი აღმოსავლეთისა“), პოეზიის, თეორიის (მამუკა ბარათაშვილის—„ჟაშნიკი“), მემუარულის („შემთხუზვანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა, გიორგი ალექსანდრესისა“), ეპისტოლარულისა და ქრისტიანულ-სასულიერო შინაარსისას.

კრებულში მოთავსებულია, სხვათა შორის, XVIII საუკუნის პირველ ნახევრის შესანიშნავი კალიგრაფის, ს. ს. ორბელიანის ძმის ნიკოლოზის ხელით 1728 წელს შედგენილი „მხედრული მთავრულის“ ნიმუშები.

კრებულის დანარჩენი მასალა შედგენილი და გადაწერილია 101 წლით გვიან, 1829 წელს, გიორგი ავალიშვილის ხელით.

მინაწერი ყდის შიგნითა ბრეზე: „1838-სა წელს, დეკემბრის 18-სა, დაეწინდა კნიაზ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინა დავით, ლევან დადიანის მემკვიდრისათჳს. დღე იყო კვირიაკე“ (№ 303—S).

11. დავით რექტორის (მესხიშვილის) კრებული. სხვადასხვა, უმთავრესად XVIII ს. და XIX ს. დასაწყისის, ავტორთა პოეტური ნაწარმოებების 1327 გვერდიანი კრებული (ორ ტომად). გადაწერილი დავით რექტორის ხელით, გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილისათვის, 1821 წ.

კრებულის ფურცლებზე ჩაწერილია ნ. ბარათაშვილის ლექსები; ამათგან ერთი: „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნის და ჩეჩნელთა“—თარიღით „წელსა 1844-ს“, ავტოგრაფს წარმოადგენს. იხ. გვ. 1295—1327 (№№ 1511, 1512—S).

დ. დიდაქტიკური ეპოსი

ორიგინალური

1. სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე სიცრუისა“, გადაწერილი სულხან მდივნის ძის ქაიხოსროს ხელით. XVIII ს., ნაკლული, მოხატული (№ 2523—S).

2. ს. ს. ორბელიანი. „სიბრძნე სიცრუისა“. გადაწერილი „პეტერბურხს“,1835 წ. ირაკლი II-ს ასულის ანასტასია ბატონიშვილის მსახურის გიორგი შარმანდინელის ხელით. ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა ესე მალხენელი და მარტოს გამაძლებინებელი (წიგნი)...“ (№ 173—S).

ნათარგმნი

1. ქილილა და დამანა. ინდურ იგავ-არაკთა განთქმული კრებული, ანვარი სოჰაილის რედაქციისა, თარგმნილი ირანულიდან ვახტანგ VI მიერ 1714—1716 წ. წ., ქირმანს (ირანში) ტყვეობაში ყოფნის დროს. სულხან-საბა ორბელია-

ნის მიერ ვახტანგის დავალებით გასწორებული ტექსტი, გადაწერილი სულხანსაბას ხელით 1717—1724 წ. წ. შეა.

გრიგოლ ზურაბის ძის წერეთლისა და სამეგრელოს მთავრის ლევან III სახლის წევრთა მინაწერებით (№ 31—S).

ხელნაწერი საფუძვლად დაედო ორ ნაბეჭდ გამოცემას: ილია ჭყონიასეულს—თბ. 1886—და ალ. ბარამიძის და პავლე ინგოროყვას 1919 წ. თბილისის გამოცემას (ეს უკანასკნელი სრული არ არის).

2. ქილილა და დამანას ტექსტის ფრაგმენტი, 1753 წ. თარიღით, რაჭის ერისთავის როსტომის მიერ „შემკობილ-აღწერილი“ (№ 4541—S).

ე. დრამატიული ნაწარმოებები

ორიგინალური

1. ერისთავი გიორგი. „წარსულ დროების სურათები“. გორი, 1863 წ. (№ 4914—S).

2. მეღვინეთუხუცესი დიმიტრი. „ანჩხლი ცოლი“ (2 მოქმედებიანი კომედია) (№ 5253—S).

3. ყიფიანი კოტე. „ყაჩაღის ცხოვრება“ (2 მოქმედებად) 1879 წ. (№ 5195—S).

ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ სასცენოდ გადაკეთებას წარმოადგენს.

4. უცნობი ავტორის—„წყალწაღებული ოჯახი“ (კომედია). მოქმედება წარმოებს „იმერეთში, სოფელ ტლაპოეთს“ (№ 5010—S).

ნათარგმნი

1. კომედიები, თარგმნილი რუსულიდან გიორგი ავალიშვილის მიერ: „რქის მატარებლის მიერ გამოსახვა კომედიისა“, „დედა—რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი კომედია“, „უბნობა მკუდართა“. „ითარგმნა რუსულით“ გიორგი ავალიშვილისაგან, 1794 წ. ქ. გეორგიევსკში (ყ. თერგის ოლქი) (№ 11—S).

ვ. ავტოგრაფები

1. ბარათაშვილი ნიკოლოზ. „ბედი ქართლისა“, თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს.

სათაური („ბედი ქართლისა“) დაწერილია ხელულად, ერთი მთლიანი მონოგრამის სახით. პატარა ზომის (14×11) წითელყდიან-

ბელნაწერს გვერდების სათვალაი ბეჭდურად აქვს აღნიშნული (1—32). ყდაზე, შიგნით, შემომწიოველის ხელით მიწერილია:

„ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში, ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნევის პროსპექტზე, № 54. ე. თაყაიშვილი“ (№ 2517—S).

6. ბარათაშვილის ავტოგრაფები იხ. აგრეთვე №№ 2484, 2701-ში.

2. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ და წერილები (ილია და ნიკო ჭავჭავაძეებისადმი) (№ 5270—S).

3. ჭავჭავაძე ილია. „ოთარაანთ ქვრივი“.

ტექსტს მუყაოსყდიანი რვეულის 2—69 ფფ. უჭირავს. ილიას ავტოგრაფია.

რვეულის 1—2 გვ. დაფარულია ილიას ხელით ჩაწერილი მერმინდელი შენიშვნებით და ამონაწერებით ჟურნალი „კვალის“ 1893—1895 წ. წ. წერილებში (გიორგი და აკაკი წერეთლისა და სხვათა) შემჩნეულ წინააღმდეგობათა და თანამიუდეგრობის აღნიშვნით (№ 5013—S).

4. საერთოდ, ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები ფონდში საკმარისად დიდი რაოდენობით მოიპოვება, ვინაიდან აქ არის დაცული პოეტის არქივი:

ყრმობის დროინდელი ლექსები (№ 5028); ავტოგრაფთა კრებული (№ 4993), რომელიც შეიცავს 87 ტექსტს. აქ მოთავსებულია ორიგინალური და თარგმნილი ლექსების დიდი ნაწილი. პოემები: „ქართვლის დედა“ (სათაურით—„დედა და შვილი“), „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდგან“, პირვანდელი ესკიზი „დიმიტრი თავდადებულისა“ და სხვ.; პოემა „აჩრდილის“ პირვანდელი ნუსხის სრული ავტოგრაფი (№ 4995); იმავე პოემის მეორე ნაწილის ბოლო რედაქციის ავტოგრაფი (№ 5032); მოთხრობა „კოლას“ პირველი და მეორე ვარიანტი (№№ 5014, 5015); მოთხრობა „კაკოს“ ავტოგრაფი (№ 4996); „მოთხრობა ქისიყელისა“ (№ 4994); „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის ვარიანტები (5025, 5169); დაუმთავრებელი მოთხრობა „კატო“ (№№ 5026, 5169); დაუმთავრებელი მოთხრობა „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ (№ 5022); ბოლონაკლული მოთხრობა „უღელტეხილი“ (№ 5021); დრამატიული პოემა „ქართვლის დედა“ (№№ 5024, 5019); გამოცანები (№ 5023); ლექსი „პასუხის პასუხი“ (№ 5030); „მგზავრის წერილები“ (№ 5016); მოთხრობა „სარჩობელაზედ“ (№ 5018); ავტოგრაფთა კრებული

(№ 5169), რომელშიაც შესულია წვრილი ლექსები, პოემა „დიმიტრი თავდადებული“ და სხვ.; პოემა „განდეგილის“ სრული ნუსხა.

5. აქვე არის დაცული ალ. ყაზბეგის საარქივო ფონდი: „ელჯუჯას“, „მამის მკვლელისა“ და სხვ მხატვრულ თხზულებათა, დრამატიკულ ნაწერების, ეთნოგრაფიული წერილების, ლექსებისა და ჩანაწერების ავტოგრაფიული ნუსხები (იხ. S:3978—3985, 3987—3989 და სხვ.).

6. იოსებ დავითაშვილის ავტოგრაფები (№ 2490—S).

7. ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული ნარკვევის „ფშაველი და მისი წუთისოფელის“ ავტოგრაფი (№ 5317—S).

8. ე. ნინოშვილის „პარტახის“ ავტოგრაფი. XIX საუკუნის თვალსაჩინო ბელეტრისტის გიორგი წერეთლის მინაწერით:

„ვლას, ამ მოთხრობის პირველი თავი ააწყვე,
დედანს გაუფრთხილდი, კარანდაშით დაწერილს
ყურადღებას ნუ მიაქცევ. გ. წერეთელი“. 1892.10.III თარიღით (№ 4908).

X. საეკლესიო მწერლობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდში საეკლესიო მწერლობის ყოველი დარგი მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლებით არის წარმოდგენილი. ქრონოლოგიურად ისინი VI—XIX ს. ს. განეკუთვნებიან.

ა. ბიბლიური ტექსტები

1. ფონდში ფრაგმენტის სახით მოგვეპოვება 978 წლის ცნობილ „ათონურ“ ანუ „ოშკურ“ ბიბლიაზე ადრინდელი ნუსხის ნაწყვეტი, ჩატანებული ხელნაწერი „ძარხვანის“ I ყდის საფარველად.

ფრაგმენტი ეტრატის ოთხი დიდი ზომის ფურცლისგან შედგება; იგი „რიცხვთა წიგნის“ ნაწილს წარმოადგენს; დაწერილია დიდრონი ასომთავრული ასოებით, ორ სვეტად.

პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნების მიხედვით ფრაგმენტი IX საუკუნისად ითვლება.

სპეციალისტების აზრით, ბიბლიის ის წიგნი, რომლიდანაც ეს ფრაგმენტი მომდინარეობს, 978 წლის ბიბლიისა და ე. წ. ბაქარის ბიბლიისაგან (მოსკოვის 1743 წ. გამოცემა) განსხვა-

ვებულ ვერსიას წარმოადგენდა. ფრაგმენტის ტექსტი ემთხვევა ს. ს. ორბელიანის რედაქციით გადაწერილი ე. წ. მცხეთის ბიბლიის (A : 51) სათანადო ადგილს.

ამ ხელნაწერის ტექსტს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ 978 წ. ბიბლიას ეს ნაწილი არ აბადია (№ 104—S).

ტექსტი ვამოსცა ილია აბულაძემ (იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII. თბ., 1941, გვ 149—160, „ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი").

2. ფონდში დაცულია „ათონური ბიბლიის" პირი, გადმოწერილი 978 წ. ათონური დედნიდ.ნ 1851 წელს, პეტრე ტაბლიაშვილის, მღვდელმონაზონ გრიგოლის და მისი ძმის ნიკოლოზ კაჭაოავას ხელით, ბავით დადიანის ბიბლიოთეკისათვის; დ. დადიანის შენიშვნებით (№ 422—S).

3. ფონდში გვაქვს ბიბლიის ცალკეული წიგნების, განსაკუთრებით „ახალი აღთქმის", იშვიათი ცალები. ამათგან „სამოციქულოს" ორი ხელნაწერი (407—S და 1138—S) და „სახარების" (ოთხ თავის) „მარტვილური ნუსხა" (№ 391—S) პირველ რიგში გვაქვს მითითებული (იხ. ფონდის „უძველესი ხელნაწერები"). ოთხთავ-სახარებათა დანარჩენ ნუსხებში რამდენიმე ხელნაწერს კიდევ მოვიხსენიებთ:

4. ოთხთავი. ჩინებულ ეტრატზეა დაწერილი ორ-სვეტად, კალიგრაფიული მრგვლოვანით, ყავისფერი მელნით.

ხელის მიხედვით იგი მეათე საუკუნით თარიღდება. ოთხთავის ეს ერთ ერთი ძველ ნუსხათაგანი მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით ქართული ფეოდალური კულტურის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

ხელნაწერის ფერადებით შესრულებული თავკაზმულობანი (49 r, 128 r) X—XI ს. მოვედილობის ორნამენტების სახეებს წაგავს (№ 4 5 - S).

5. მეათე საუკუნის სახარების ფრაგმენტი, „კანონთა" მეტად თავისებური მოხატულობით (№ 2662—S).

6. პარხლის ოთხთავი. ეტრატი, 147 ფ.; ზომით 20×21; ორ-ორ სვეტად დაწერილი „ქელითა... გაბრიელ პატარაისადთა". ნუსხა-ხუცურ ხელნაწერ ოთხთავთაგან უძველეს ხელნაწერად ითვლება. გადაწერის ანდერძში მოცემული ცნობების მიხედვით იგი მეათე—მეთერთმეტე საუკ. თარიღდება: „გაბ-

რიელ პატარაჲ"—გადამწერი პარხლის ოთხთავისა, არის პარხლისავე უზარმაზარი „მრავალთავის" გადაწერი გაბრიელ პატარაჲ (A : 95), X—XI საუკუნის მოღვაწე (№ 4927—S).

7. ოთხთავი. ქაღალდი. გადაწერილი XVII ს. „ნებითა და ბრძანებითა ღ(ر)თა და ბრძანებითა ბატონის ვახტანგისითა. ჴელითა... ბაღდაშჳლის მთავარდიაკონის იესესითა". გადამწერის ანდერძის მარცხენა ნაპირზე სინგურით, კალიგრაფიული მხედრულით, მიწერილია: „უფალნო ჩემნო! აქ ვახტანგ სწერია და ბოლოს ორბელი. ორივ მე მქვიან".

ოთხთავს დართული აქვს ვრცელი საძიებელი და გიორგი მთაწმიდელის ანდერძი.

ყურადღებას იპყრობს მეტად თავისებური, გულუბრიყვლო თავკაჰმულობანი (№ 1247—S).

8. სპარსული სახარება, ქართული (მხედრული) ტრანსკრიპციით. XVII ს. ჩინებულ თხელ ქაღალდზე, მდიდრულად ორნამენტირებული, ლამაზი ყდით. შემოწირული ალექსანდრე როინიშვილის მიერ.

ბ. აპოკრიფები

ფონდში საკმარისი სიუხვით არის წარმოდგენილი აპოკრიფული ლიტერატურა როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური.

1. აქ გვაქვს: „თქმული ჭმიდისა მამისა ჩ(ر)ენისა ეფრემისი თარგმან(ებაი) დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისათჳს, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას დ. ცუალება ნათესავთა... ხოლო ესე თარგმნნა წჳიდამან მამა(მან) ჩ(ر)ენმან ეფრემ—„შობა მამათმთავართა ადამითგან ვიდრე ქრისტესათმდე".

ეს აპოკრიფული თხზულება, რომელსაც შეცდომით ეფრემს მიაწერენ („ფსევდო ეფრემი"), ასურული თხზულების „განძთა ქვაბის" ერთ-ერთი რედაქტორის თარგმანს წარმოადგენს. იგი გამოუყენებია თავისი საისტორიო თხზულების შესავალად ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს—საქართველოს ისტორიის ბიბლიურ ისტორიასთან დაკავშირების მიზნით. ეს „ძველი აღთქმის" ამბების შესახებ აპოკრიფი, ლეონტი მროველის თხზულებასთან ერთად, დაცულია შესანიშნავ ხელნაწერ კრებულში („მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება"), (№ 30—S).



სახარება „მარტვილური“. ასომთავრული დაბწერილობის ნიმუში.
X საუკ. № 391—S

2. მთელი რიგი ხელნაწერების სახით არის წარმოდგენილი „მიცვალება ღთისმშობლისა (№№ S: 134, 2499, 2648 და სხვ.).

3. ანდრია სალოსის ცხოვრება (№№: 89, 97, 2394, 3635 და სხ.).

4. „ავგაროზები“, რომლებიც ქრისტესა და ედესიის მთავრის ავგაროზის მიმოწერის ტექსტს გარდა სპირად სახარების საკითხავებს, ლოცვებსა და შელოცვებსაც შეიცავენ. მათ შორის შევხვდებით დაურათებულ გრაგნილებსაც (იხ. S: 520, 3184, 3185, 3191, 3364, 4592 და სხვ.).

5. ყურადღებას იპყრობს XVII—XVIII ს. გალექსილი „იესოს ნანინას“ მრავალ ხელნაწერში ჩართული და ცალ-ცალკე წიგნაკების სახით დაცული აპოკრიფი (იხ. №№ S:4985—86—87; 2592-ს დართული აქვს რუსული თარგმანიც).

6. აპოკრიფული კრებულები მოთავსებულია S: 1536, 3529, 3727, 4530 და სხვ.

7. „ციდან ჩამოვარდნილი წერილი ქრისტესი“ (№ 5304—S).

გ. ეგზეგეტიკა (ბიბლიისა და სხვა ტექსტების თარგმანება)

ფონდი მდიღარია ეგზეგეტიკური თხზულებებით. ამათგან აღსანიშნავია:

1. [იოანე ოქროპირი] მათეს თავის სახარების თარგმანება. ეტრატის დიდი ხელნაწერის 28 ფურცლიანი ფრაგმენტი, დაწერილია XI საუკუნის ნუსხურით (№ 1698—S).

2. იოანე ოქროპირი. „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“. ეტრატი. XI ს. ნუსხურით.

ეფთვმე მთაწმიდელის თარგმანი (№ 4928—S).

აქვე მოთავსებულია ამავე ავტორის თარგმანებაჲ იოანეს სახარებისა, ეტრატი. XI ს. ნუსხურით.

ეფთვმე მთაწმიდელის თარგმანი. 73 ფ.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრისეული ხელნაწერი (№4928—S).

3. მაქსიმე აღმსარებელი. ქრისტეს შობის საკითხავთა თარგმანება. ეტრატი. XI ს. ნუსხურით.

ეფთვმე მთაწმიდელის თარგმანი (№ 383—S).

4. ბასილი დიდი. „ექუსთა დღეთაჲ“—წარმოადგენს ბიბლიური კოსმოგონიის—ქვეყნის ექვს დღეში შექმნის—განმარტებას. თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ.

მინაწერი: „იმერთა დედოფლის ანნასი ვარ“ (№ 2666—S).

5. ა ნ ტ ო ნ 1. „განმარტება „მიწყალესი“, ანუ მეერგასისა ფსალმუნისა. ორიგინალური ეგზეგეტიკური თხზულება. თეიმურაზ II-სეული (№ 3644—S).

დ. დოგმატიკა

ფონდი მდიდარია საქრისტიანო დოგმატიკური თხზულებებით, რომლებიც აქ არა ერთი ათეული ხელნაწერის სახით არის წარმოდგენილი. მათ რიცხვში მთელი რიგი კრებულები შედის. დოგმატიკურ თხზულებათა უძველესი ნუსხები შემონახულია „შატბერდ-ს მრავალთავში“:

1. ი პ ო ლ ი ტ ე რ ო მ ა ე ლ ი. „აღსასრულისათჳს ჟამთაჲსა, ოქმული წიგნთაგან წმიდათა ქრისტჱსათჳს და ანტექრისტჱსათჳს“. გვ. 357—390. VIII—IX ს. ს.; თარგმნილი ბერძნულიდან, X ს. ნუსხა (№ 1141—S).

2. „ს ი ტ ყ უ ა ჲ წ მ ი დ ი ს ა ი პ ო ლ ი ტ ჱ ს ი ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა თ ჳ ს“. 390—410 გვ. (ნათლისღებისა და „სამების“ შესახებ).

იპოლიტეს ეს თხზულება მხოლოდ ქართული თარგმანის სახით არის შემონახული.

იგი გამოცემულია გერმანულად, ქართული დედნის მიხედვით, პროფ. ბონვეჩის მიერ 1907 წ. ლაიპციგში.

3. ა ფ რ ა ა ტ ი—„ს პ ა რ ს ე თ ი ს ბ რ ძ ე ნ ი“. „საკჱ აღთქუმისაჲ“ (ღვთაების თვისებათა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ). X ს. ნუსხა „შატბერდის მრავალთავისა“, გვ. 410—433. ეს თხზულებაც გამოცემულია გერმანულად პროფ. ბონვეჩის მიერ, 1907 წ., ლაიპციგში (№ 1141—S).

4. „დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ი“—ქრისტიანული იდეოლოგიის ძირითად დებულებათა შეთვისებისა და დაცვა-დასაბუთებისათვის აუცილებელ მასალათა (ფილოსოფიური, პოლემიკური და მორალური შინაარსის) კრებული, საგანგებოდ შერჩეული და თარგმნილი ა რ ს ე ნ ი ი ყ ა ლ თ ო ი ლ ი ს (ვაჩესძის) მიერ XI ს.

შიგ მოთავსებულია ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს, კ ი რ ი ლ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი ს ა და სხვათა 16 დოგმატიკური თხზულება.

ა რ ს ე ნ ი ს ამ კრებულის ერთადეროი ცალი მხოლოდ ამ ფონდში მოიპოვება. ეს არის თვით მთარგმნელის კრებული, მისი მინაწერებით. იგი ძველი ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს (№ 1463—S).



სახარება. ასომთავრული დამწერლობის ნიმუში. შემკული სახედაო ასოებით, X—XI საუკ., 405—S

5. ანტონ I. ზამეტყველება". გადაწერილი 1822 წ. იოველ მესხიშვილის ხელით (№ 3653—S). გამოცემულია თშ., 1892 წ.

6. ანტონ I. „ღვთისმეტყველება"—ოთხ ტომად. დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულება, დამთავრებულია 1779 წ. ერთადერთი ცალი (№№ 3657—3660—S).

7. ს. ს. ორბელიანის სასულიერო თხზულებათა კრებული („საქრისტიანო მოძღურება" და სხვ.). ყიზლარიდან, ხერხეულიძეთა ოჯახიდან მოტანილი, პ. უმიკაშვილის მინაწერით 1870 წ. (№ 1506—S).

8. ს. ს. ორბელიანის „სამოთხის კარი", გადაწერილი კახეთში სოფ. შილდას. 1778 წ. მიხაილის მიერ (№ 2798—S).

9. გაიოზის საღვთისმეტყველო-დოგმატიკურ სტატიათა კრებული, გადაწერილი კრემენჩუკს. 1789 წ. მირიან ბატონიშვილისეული (№ 29—S).

ე. პოლემიკა

ქართული პოლემიკური თხზულებები ფონდში საკმარისი სიუხვით მოგვეპოვება. აქ გვაქვს არსენი იყალთოელის [ვაჩესძის, XI - XII ს.] „დოგმატიკონში" მოთავსებული ნათარგმნი თხზულებანი:

1. „წინაგანსაწყობელად ჰურიათა", გვ. 179—181, 2. „სიტყვს გება ჰურიათა მიმართ"—226—246 (№ 1463—S);

2. იოანე დამასკელის ორი ტრაქტატი ნესტორიანთა წინააღმდეგ. 289—294 ფ. (№ 1463—S).

3. თეოდორე აბუკურას „სიტყვს გება" იმავე ნესტორიანთა წინააღმდეგ. 301—305 (№ 1463—S).

განსაკუთრებით აქტუალური და საყურადღებოა მაჰმადიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული პოლემიკური ლიტერატურა.

მაჰმადიანობასთან პოლემიკა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს XVI საუკუნიდან, როდესაც საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი (სამცხე-საათაბაგო) ხანგრძლივი, უთანასწორო ბრძოლის შემდეგ თურქეთის საზღვრებში ექცევა და მთელი საქართველო პოლიტიკური და კულტურული განადგურების საფრთხის წინაშე დგება. ამ პერიოდიდან ფონდში გვაქვს:

4. ბაგრატ ბატონიშვილის (XVI ს.) მიერ დაწერილი „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ". ამ თხზულების ნუსხები ფონდში რამდენიმე ცალად არის დაცული (№№ 126, 1338, 1288—S).

5. ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს „მოოხრობა სჯულთა ისმაილიტთაჲ", გალექსილი ი ა კ ო ბ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი ს (დუმბაძე) მიერ (XVII ს. II ნახევარში. კრებული, გვ. 1067—1125 (№ 1511—S).

6. ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს კაპიტალური ნაშრომის „მარწუხის" მე-9 თავი—ანტიმაჰმადიანური პოლემიკა (№ 3244—Š).

7. „ა მ ბ ა ვ ი მ ა ჰ მ ა დ ი ს ი თ ა რ გ მ ა ნ თ ა შ ი ნ ა ფ ს ა ლ მ უ ნ თ ა ს ა შ ე მ ო ხ მ უ ლ ნ ი". აღორძინების ხანის ანტიმაჰმადიანური პამფლეტი, მაჰმადიანთა „ყურანის" მწვავე კრიტიკა.

გადაწერილია, 1800 წ. თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხელით (№ 3641—S).

8. პოლემიკურ ლიტერატურაში ასახულა აგრეთვე XVI—XVIII ს.ს. სარწმუნოებრივი კრიზისი, რომელიც ქართველთა საკმარისად ფართო წრეებში ე. წ. კათოლიკური მოძღვრების გავრცელებაში გამოიხატა. ამ პერიოდში იწერება ს ულ ხ ან - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „პაპისტური" კრებული (S: 4583), რომელშიაც მოთავსებულია საბას თხზულება—„სამოთხის კარი" (გადაწერილია 1724 წ. „ოდეს მეფე ვახტანგ რუსთ ჴელმწიფემ იჴმო მოსკოვსა"—198 r).

კათოლიკობის საწინააღმდეგოდ მიმართულია ფონდში დაცული შემდეგი ორიგინალური და თარგმნილი თხზულებები.

9. ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. „სიტყვის გებაჲ ლათინთა მიმართ" ანუ „მარწუხი", ისტორიულ-პოლემიკური ხასიათის თხზულება, პირველ წყაროებზე დამყარებული. დაწერილი XVIII ს. 40—50 წ. წ. გადაწერილი 1810 წ. დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს ხელით (№ 1596—S).

10. ბ ე ს ა რ ი ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი (ბარათაშვილ-ორბელიშვილი). „გრდემლი", დაწერილია 1729 წლამდე.

გადაწერილია XVIII საუკუნეში.

თხზულება მიმართულია კათოლიკური პროპაგანდის წინააღმდეგ (№ 1596—S).

ცალკე აღსანიშნავია რ უ ს უ ლ ი დ ა ნ თ ა რ გ მ ნ ი ლ ი პოლემიკური თხზულებანი:

11. ს ტ ე ფ ა ნ ე ი ა ვ ო რ ს კ ი. „კლდე სარწმუნოებისა", თარგმნილი რუსულიდან ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს მიერ და მთარგმნელის ხელით—ნუსხა-ხუცურით, გადაწერილი მოსკოვს, 1746—1749 წ. წ.

თხზულება მიმართულია ლიუტერანთა წინააღმდეგ და პაპისტურ ტენდენციებს ამჟღავნებს (№ 5008—S).

12. თეოფანე პროკოპოვიჩი: „ისტორია თჳს დაწყებისა განხეთქილებისა ბერძენთა და რომაელთა“, „ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებული პოტიერის მიერ არქიმანდრიტისა ბაგრატოვანისა“. ყიზლარს, 1775 წ. (№ 4804—S).

პეტრე I-ის ცნობილი თანამებრძოლის თეოფანე პროკოპოვიჩის ეს თხზულება კათოლიციზმის წინააღმდეგ არის მიმართული.

3. ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ძეგლები

ფონდში დიდი რაოდენობით არის დაცული ლიტურგიკული ძეგლები. აქედან ჩვენ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ:

1. ჟამის წირვა-გრაგნილი: ერთმანეთზე გადაკერებული ეტრატის ფურცლები, დახვეული ხის კოპზე, გადაწერილი XIV—XV ს. ჩინებული ნუსხა-ხუცურით; მდიდრულად მოხატული (ფერადებით) თავკაზმულობით და აშიებით (ინიციალები, წმინდანთა მინიატურული პორტრეტები). მინაწერებში იხსენიება ვირშელი (№ 4980—S).

2. „დეკემბრის თვენი“—სათაურით „სათუეე“—„თუე დეკენბერი“. ეტრატი—პალიმფსესტი.

XII—XIII ს. ნუსხურით, გადაწერილი „უდაბნოსა ხანძთისასა, ჴელითა სტეფანე დიაკონისაჲთა, უდაბნოჲსა სუეტისათჳს, საფასოჲთა მათითა“. მთარგმნელის გიორგი მთაწმინდელის შესანიშნავი ანდერძით, რომლის ნაწყვეტსაც აქ ვთავაზობთ:

„...არა რაჲსა სხჳსა სარკებლისათჳს განხრწნადისა არა თავს გჳც ესე შრომაჲ, არამედ ლოცვისა ხოლო და კურთხევისა თქ˜ნისათჳს... გულსავსებით უწყოდეთ, რომელ არღარა რომელსა საბერძნეთისა ეკლესიასა არა იპოოს ამისი უკეთესი სათუეე, სრული და უნაკლო; პეტრე წმიდისა დიდისა ეკლესიისა სათუეე და სჳმონ წმინდისაჲ მქონდეს და სოფიაწმიდისა სტიქარონნი და ყოველი, ვითა ნათელი ეზისაჲ, ეგრეთ გამოგჳკრებია და ერთი გჳრგჳნი შემკული თ[უ]ალითა და ანთრაკითა და ყოვლითავე ქვითა პატიოსნითა შეგჳთხზავს და ვიდრე აქამომდე ჩვენგან დაფარული ცაჲ მრავალფერთა მჴიებთა მიერ აღსავსე, საჩინოდ ყოველთა ქართველთა ზედა, არა ჩვენ, არამედ ღმერთსა გარდაურთხამს, რათა ჰნათობდეს კიდით-კიდედმდე ქუეყანასა ნათესავსა ჩ˜სა...“

ხელნაწერი შესანიშნავია აგრეთვე 1682 წლის მინაწერით. ამ წელს იგი უყიდია „დიდის ორბელის შვილს და მართლმსაჯულს, პატრონს ვახტანგს და თანამეცხედრეს (მისსა)

არაგვის ერისთვის ასულს პატრონს თამარს“ და, სხვა წიგნებთან ერთად შეუწირავთ ს. ტანძიას აშენებული ტაძრისათვის (№ 4999—S).

3. გამოკრეფილი საკითხავები. ეტრატი, მეტად დაზიანებული, XII—XIII ს. (პალიმფსესტი. ძვ. ტექსტი XI ს. მეტად წვრილი ნუსხურით). 15 r-ზე: „ადიდენ ღმერთმანნ სული გი[ორ]ი მამაშთავრისა, მროელისა... ბრძანებისა მათისა აღიწერნეს ესე ლავრასა დიდსა შატბერთსა...“ (№ 4939—S).

4. ზატიკი. ეტრატი, გადაწერილი XV ს. ჩინებული ხუსხა-ხუცური ხელით. დარჩენილია დიდი ხელნაწერის მხოლოდ 5 რვეული.

შემკულია ფერადებით შესრულებული თავკაზმულობით. სათაურის ტექსტში ჩართულია: „ადიდენ ღმერთმანნ ორსავე ცხოვრებასა შინა ერისთავთ-ერისთავი შალვა“ (№ 4814—S).

5. ჟამნი. მინიატურული, ჩინებულ თხელ ქაღალდზე, უყდო, დაშლილ-დაფურცვლილი; მდიდრულად მოხატული, მხედრული ხელით.

მინაწერი: „ქრისტე ღმერთო! შეიწყალე ცოდვილი ქაიხოსრო ბატონიშვილი“—მოწმობს, რომ ხელნაწერი 1709 წ. ადრე არის გადაწერილი. აქ იგულისხმება ქაიხოსრო ბატონიშვილი, ვახტანგ VI უფროსი ძმა, რომელიც 1709 წლიდან, გიორგი XI სიცოცხლის შემდეგ, ქართლის მეფედ ითვლებოდა (მოჰკლეს ირანში, 1711 წ.) (№ 4979—S).

6. თეიმურაზ II. „შეიდეულის ლოცვანი“. პატარა ხელნაწერი; ქაღალდი. გადაწერილია 1753 წ. ჩინებული ნუსხური ხელით. ბოლო თვით თეიმურაზის ავტოგრაფს წარმოადგენს (მეედრული ხელით).

ყდაზე, შიგნით, თეიმურაზ ბატონიშვილის ავტობიოგრაფიული ხასიათის მინაწერები მოიპოვება (№ 3533—S).

7. „ჟამნი მარხვისა და ზატიკისა“. ქაღალდი. გადაწერილი „ტფილისს, მას ჟამსა, ოდს მეფე ირაკლიმ მეფობასა თჳსსა სტანბა გამოიღო პალატსა სამეფოსასა. ის ჟამი იყო აზატხან წა(ა)ყვანინა“. 1763 წ. თარიღით.

მეტად თავისებურად გაფორმებულია, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ხელით. დართული აქვს „ჴელთა“ და სხვ. მასალები (№ 4549—S).

ზ. ჰაგიოგრაფია

ფონდში დაცულია ჰაგიოგრაფიული დარგის თვალსაჩინო ხელნაწერი ნიმუშები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს ვასახელებთ:

1. მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი. ეტრატის დიდი, თავ-ბოლონაკლული XI ს. კრებული, რომელშიაც მდიდარი ჰაგიოგრაფიული მასალა არის შეტანილი:

მეათე საუკუნის ცნობილი მთარგმნელის დ ა ვ ი თ ტ ბ ე ლ ი ს მიერ ბერძნულიდან თარგმნილი გ რ ი გ ო ლ ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს თხზულებანი—„შესხმა და წამება წმიდისა მოუდელმოწამისა კკპრიანესი"; „გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ი ს ა ი ვ ლ ი ა ნ ე ს თ ვ ს ძ ე გ ლ ი ს ა ღ წ ე რ ა და განკიქება უშჯულოებათა მისთა", „ი ი ზ ე ზ ი პ ო ნ ტ ო დ ს ი ვ ლ ტ ო ლ ი ს ა მისისა და მოქცევისათვს მიერ; კუალად სიტყვს გება ხუცად კურთხევისა მისისა" და სხვ. (№ 383 – S).

2. მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი. ეტრატის დიდი, თავ-ბოლონაკლული ხელნაწერი, გადაწერილი XI ს.; მდიდარი ჰაგიოგრაფიული მასალის შემცველი.

ამ კრებულში, სხვათა შორის, გვაქვს ე ფ რ ე მ მ ც ი რ ი ს მიერ თარგმნილი: ცხოვრება პელაგია ანტონიოქელისა, წამება დიმიტრისი, წამება იერონისი და მისთანათა... მელიტინეს სომხითისათა, წამება მინა მეგვიპტელისა... ქ. კოტჯაოს; გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს — „ცხოვრება გ რ ი გ ო ლ ნ ე ო კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ა" და სხვ.

ხელნაწერი შესანიშნავია გადამწერის ხელით მიწერილი ისტორიული მნიშვნელობის ტექსტითაც: აქ, 535-ე გვერდზე ვკითხულობთ:

— „იესუ ქრისტე, მფლობელო ყოველთა სუფევათაო! ადიდე ორკერძოდთავე დიდებითა შენ მიერ გკრგკნოსანი ბრწყინვალე და უძლეველი მ ე ფ ე თ ა ძ ე ფ ე გ ი ო რ გ ი და მ ა ღ ა ლ ი კ ე ს ა რ ო ს ი და განამრავლენ წელნი მეფობისა მათისანი, ნებისაებრ მათისა და (ღთ'ის) მიერ მონიჭებული ძ ე მ ა თ ი — დ ა ვ ი თ მ ე ფ ე და პ ა ნ ი პ ე რ ს ე ვ ა ს ტ ო ს ი ადიდე და მძლე ყავ ყოველთა ზედა მტერთა და წინააღმდგომთა" (№ 384—S).

3. „წ ა მ ე ბ ა ყ რ მ ა თ ა ა წ მ ი დ ა თ ა, რ ა ცხვით ცხრათა, რომელნი იყვნეს ძალითა ძმანი ნათლისღებითა წმინდისაგან ემბაზისა".

ტექსტი წარმოადგენს „ცხრათა ძმათა კოლეალთა" წამების ათონის მთაზე—ქართველთა მონასტრის წიგნსაცავში—დაცული

უძველესი ნუსხის პლატონ იოსელიანის ხელით გადმოღებულ პირს.

სათაურის ტექსტი თავდება არსენის მოსახსენებელით:

„ქრისტე, ადიდე არსენი“ (№ 530—S).

4. ანტონ I. ქართველ წმინდათა ცხოვრება—„მარტირიკა“ —გადაწერილი 1768 წ., ტრიფილეს ხელით.

შეიცავს: ქეთევანის, ლუარსაბის, არჩილის, შუშანიკის, შალვა ახალციხელისა და სხვათა ცხოვრებისა და წამების აღწერას.

გრიგოლ ზურაბისძის წერეთლისა და შემდეგ მისი დისწულის დავით დადიანის ბიბლიოთეკიდან (№ 1272—S).

(იხ. აგრეთვე, S: 3638, 2988, 3637, 300).

თ. კანონიკა (საეკლესიო და სასულიერო სამართალი)

ფონდში დაცულია 20-ზე მეტი კანონიკური შინაარსის ხელნაწერი. ამათგან ჩვენ მხოლოდ ერთ ნიმუშს დავასახელებთ.

1. სჯულის კანონი. ჩინებულ ეტრატზე, 213 ფ., ზომით 19×15; დაწერილია XI საუკუნის კუთხოვანი ნუსხურით (1030 წ. ახლოს).

196 და 310 გვ. შემკულია ფერადებით ნაწერი თავკაზმულობით.

მთარგმნელის ანდერძი:

„რომელნიცა ამას რჩულის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვასა მომიჴსენეთ გლახაკი ეფთჳმე, რომელმან ვთარგმნე ესე ბერძულისაგან ქართულად. ამენ იყავნ“.

გადამწერის ანდერძი:

„უფალო იესუ ქრისტე, მფლობელო ყოველთავე არსთა და სუფევათაო! ადიდე შენ მიერითა წარუვალითა დიდებითა ზეცისა სასუფეველსა წმიდაჲ მამადმთავარი ზაქარია ვალაშკერტელი“ (№ 143—S).

ი. ასკეტიკურ-მისტიკური და ჰომილეტიკური თხზულებანი

ფონდში დაცულ ასკეტიკურ-მისტიკური შინაარსის ხელნაწერთა შორის თვალსაჩინო ნიმუშები მოიპოვება:

1. გრიგოლ ღვთისმეტყველი. „სწავლანი სულიერნი“. ეს თავად, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ.

მოთავსებულია კვირიკეს ხელით გადაწერილი ეტრიტის XI ს. თავ-ბოლონაკლულ მრავალთავში: აქ მოთავსებული

გრიგოლ ღვთისმეტყველის 17 ასკეტიკურ-მისტიკურ და ჰომილეტიკურ ნაწარმოებთაგან 14 ქადაგების სახით არის წარმოთქმული, დანარჩენი სამი კი საქრისტიანო ეკლესიის მოღვაწეთა შესხმას წარმოადგენს (№ 383—S).

2. „სწავლანი", გამოკრეფილნი წმ. მამათაგან. ეტრატი, XI ს. ხელით.

მომგებელის დემეტრეს და მისი მეუღლის გულმანგის ჩინებული მდიანმწიგნობრული ხელით დაწერილი მოსახსენებელით (№ 1595—S).

3. იოანე სინელი. „კლემაქსი" თარგმნილი „იამბიკოდ" იოანე პეტრიწის მიერ (№ 1597—S).

მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში შეუდგენიათ და გადაუწერიათ მთელი რიგი სასულიერო სწავლათა" კრებულები სათაურებით: „ოქროს წყარო" (S : 3650) გადაწ. 1791 წ. მეფის ძის ფარნავაზისათვის; „სამოთხის ყვავილი", გადაწ. 1796 წ. ნიკიფორე გორის ეპისკოპოსისათვის (S : 128) და სხვ.

4. „განზრახუათა წიგნი". შეთხზული ზაქარია ხუცისაგან, გადაწერილი ივანე ისაკოვის ხელით, 1840 წ. დანიელ ჭონქაძის ირონიული მინაწერით (№ 5156—S).

5. გაიოზ რექტორი. ზნეობრივი სწავლა-დარიგებანი. ავტოგრაფი (№ 1165—S).

6. ამბროსი ნეკრესელი—ქადაგებანი. 1800 წ. ზოგი—ავტოგრაფს წარმოადგენს (№№ 177, 4970).

სუჯულის კანონი ეკეკთიმე ათონელის თარგმანი (ერთი გვერდი). ნუსხა-ხუცური დამწყოლობის ხიმში. XI საუკ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველი საბუთების ფონდი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველი საბუთების ფონდში ირიცხება 5504 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი.

ქრონოლოგიურად ისინი XI—XIX საუკუნეებს განეკუთვნებიან. ფონდში ცალკე კოლექციების სახით შემოსულია: თუმანიშვილების საბუთები (№№ 3385—5000); ციციშვილების საბუთები (№№ 3200—3374); ზურაბ და გრიგოლ წერეთლების საბუთები.

აღნიშნულ კოლექციებში დაცული საბუთები უხვ მასალას იძლევა ამ სათავადოების ისტორიის გასათვალისწინებლად. აქვე ინახება ძველი საბუთების დ. ბაქრაძისეული კრებული (ნაწილობრივ დედნები) ორ წიგნად (№ 2801—2854; №№ 2855—3037). აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით ბატონიშვილის დღემდე უცნობი თხზულება: „Описание Грузии в сословном, судебном, административном и церковном отношении“ (№ 2828).

ეს ფონდი თავისი შინაარსით მეტად მრავალფეროვანია. იგი მდიდარ მასალას იძლევა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის შესასწავლად (ფონდის საბუთების აღსანიშნავად, ჩვეულებრივ სათვალავთან ერთად, იხმარება პირობითი ნიშანიც: „Sd“).

მას გააჩნია საინვენტარო აღწერის დავთრები—წიგნი I და II.

ამ ფონდის უძველესი საბუთები

ფონდში დაცულია საქართველოს ერთიანობის ხანის (XI—XV ს.) საბუთების მნიშვნელოვანი რაოდენობა: მათგან სანიმუშოდ ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ:

1. ბრძანება და სიგელი—ბაგრატ IV-ის ნაბოძები ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრებისადმი.

დაწერილია მშვენივრად დამუშავებულ თხელ, თეთრ ეტრატის გრაგნილზე, კლასიკური მდივანმწიგნობრული ხელით 1060—1065 წლებში. გრაგნილი ხუთი კეფისაგან შედგება. ის დიდი ზომისაა (144×28 სმ); არსებითად ეს არის სამეფო საბუოს (სასამართლოს) გადაწყვეტილების წიგნი, ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრებს შორის ატეხილი საადგილმამულო დავის გამო. საბუთი მრავალმხრივ საყურადღებოა. თხრობის ნაკვეთში ბაგრატ IV იხსენიებს თავის წინაპართა „დაწერილებს“, რომლებიც სარჩელის მონაწილე

მხარეებს მისთვის წარუდგენიათ. აქ მოხსენებულნი არიან: გუარამ მამფალი (683 წ.); გურგენ ერისთავთ-ერისთავი (968 წ.); გურგენ მეფეთამეფე (1008 წ.); გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე—ბაგრატ III (978—1014 წ.); გიორგი I (1014—1027 წ.) და გიორგი II (1072—1089 წ.). ყველაფერი ეს IX—XI საუკუნეთა ისტორიის გასათვალისწინებლად უაღრესად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, აქ უსვი მასალები მოიპოვება XI აუკუნის საქართველოს სასამართლო წყობილების, იურიდიული ტერმინოლოგიის, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართლის პროცესის გასათვალისწინებლად. აქ ბევრია მასალები აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვისაც. უაღრესად საყურადღებოა ეს საბუთი ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი ძირითადი საკითხის გასათვალისწინებლად ერთიანობის ხანაში (№ 1201—Sd).

2. სითარხნისა და ციხისთაობის ბოძების წიგნი, მიცემული კონსტანტინეს მიერ ფეროზ ვალადემურიშვილისადმი. ეტრატი. დაწერილია ლამაზი მხედრული ხელით. სიგელი საინტერესო მასალას იძლევა ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის შესასწავლად. საგულისხმოა აქ სამეფო გამოსაღებთა სახეები: „დიდი ულუფა“, „გუთნისთავი“, „ზროხა“, „საკლავი“, „გოჭ-ქათამი“, „ერბო-კვერცხი“, „საყუელიერო“, „საელჩო“, „საჯინიბო“, „სახორსალარო“, „საბაზიერო“, „სამეძაღლე“ და „სხუა სამუშაო“. სიგელი უთარიღოა. საბუთში მოხსენებული კოსტანტინე ქართლის მეფე უნდა იყოს (1479—1505 წ.). იგი იხსენიებს თავის თანამეცხედრეს მარიამ დედოფალს და თავის ძეს დავითს (№ 480—Sd).

ფონდში დაცული საბუთების უდიდესი ნაწილი გვიანფეოდალური ხანისაა (XVI—XVIII ს.). აღნიშნული საუკუნეებისათვის ქართული დიპლომატიკის მრავალსახეობა აქ მეტად მდიდრულად არის წარმოდგენილი. აქედანაც ჩვენ სანიმუშოდ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ:

წყალობის წიგნები

სახელოს წყალობის: შაჰნავაზისა—ვახტანგ ბარათაშვილისადმი ქართლის მდივანბეგობის მიცემის შესახებ, 1676 წ. (№ 536—Sd); ერეკლე I-ისა—ზაალ სოლოღაშვილისადმი სადედოფლოს სახლთუხუცესობის ბოძების შესახებ, 1688 წ. (№757—Sd); ნაზარალი-ხანისა—იესე გერმანოზიშვილისადმი თრიალეთის ახალქალაქისა და ტამალიის მოურაობის ბოძების შესახებ, 1689 წ. (№ 549—Sd); არჩილ

ბ ა გ რ ა ტ IV. ბრძანება და სიგელი (ერთი კეფი). მდივანბეგნიბრული
დამწერლობის ნიმუში. XI საუკუნის ᲙᲐ წლის ახლო ხანები

მეფისა—ქაიხოსრო წერეთლისადმი ხეფინისხევის მოურაობის ბოძების შესახებ, 1691 წ. (№ 515—Sd); ნაზარალიხანისა—ნოდარ ჯორჯაძისადმი ენისელთ მოურაობის ბოძების შესახებ, 1693 წ. (№ 15—Sd); კათალიკოზ იოანე დიასამიძისა—წინამძღვარ ნიკოლოზ თუხარელისადმი არაშენდახევის მოურაობის ბოძების შესახებ, 1698 წ. (№ 407—Sd); გიორგი XI-ისა -ქაიხოსრო წერეთლისადმი საციციანოს მებალახობის ბოძების შესახებ, 1697 წ. (№ 1170—Sd); შაჰყულხანისა (ლევან,ქართლის მმართველი)—პაპუნა ორბელიშვილისადმი აიდარბეგის მოურაობის მიცემის შესახებ,1703 წ.(№ 633—Sd); ვახტანგ VI-ისა—ასლამაზ სოლოლაშვილისადმი სადედოფლოს ეშიკაღასბაშობის ბოძების შესახებ, 1718 წ. (№ 728—Sd); დარეჯან დედოფლისა—გიორგი ნოდარისშვილისადმი კახეთის სადედოფლოს სახლთუხუცესობის ბოძების შესახებ, 1780 წ. (№ 181—Sd); გიორგი ბატონისშვილისა—ალექსანდრე მაყაშვილისადმი ავლაბრის მოურაობის ბოძების შესახებ, 1781 წ. (№789—Sd); ვახტანგ ბატონიშვილისა—ბაბანა ჭილასშვილისადმი მილახვრობისა და ჩერქეზეთის ცხენების მებაღეობის ბოძების შესახებ, 1782 წ. (№ 491—Sd); ერეკლე II-სა—დავით მეფურიშვილისადმი მეურმეთა და მეხრეთუხუცესობის ბოძების შესახებ, 1785 წ.(№ 174—Sd): ანტონ II-ისა—ზაზა სოლოლაშვილისადმი მცხეთის მეკონეთხუცობის ბოძების გამო, 1788 წ. (№ 160—Sd): ფარნავაზ ბატონიშვილისა—ზურაბა ტერმისაშვილისადმი ქარხნის ნაზირობის ბოძების შესახებ, 1790 წ. (№ 373—Sd); გიორგი XII-ისა—გიორგი ჩოლოყაშვილისადმი თიანეთისა, ფშავისა და ხევსურეთის მოურაობის ბოძების შესახებ, 1799 წ. (№ 784—Sd): გიორგი XII-ისა—იფრუმაანთ ხატიასადმი ქალაქის ბაზრის ბაზბაშობის ბოძების შესახებ, 1799 წ. (№ 319—Sd); გიორგი XII-ისა—ლუარსაბ ორბელიანისადმი სომხით-საბარათაშვილოს მინბაშობის ბოძების შესახებ, 1799 წ. (№ 397—Sd); დავით ბატონიშვილისა—ალექსანდრე მაყაშვილისადმი თელავის გალავნის მოურაობის ბოძების შესახებ,1800 წ. (№ 791—Sd); სოლომონ I-ისა—მარქარა ჯანუაშვილისადმი (1752—1784) (№ 5090—Sd).

ყმა-ვამულის ბოძების: ლუარსაბ მეფისა—ზაალ ხოსაშვილისადმი, 1611 წ. (№ 61—Sd); სიმონ მეფისა—ბოლნისის მამასახლის ბერუასადმი, 1623 წ. (№ 588—Sd); სიმონ მეფისა—შიო სოლოლაშვილისადმი კუმისის მამულის ბოძების შესახებ, 1624 წ. (№ 739—Sd); როსტომ მეფისა—მკერავ პაპუნა სულხანიშვილისადმი წოდორეთის მამულის მიცემის შესახებ, 1648 წ. (№ 31—Sd); როსტომ მეფისა—ყარჩილასადმი ნაკიდურის მამულის მიცემის შესახებ, 1653

წ. (№ 2—Sd); შაჰნავაზისა—ელიზბარ სოლოღაშვილისადმი ჭაპალის მამულის ბოძების შესახებ, 1664 წ. (№ 752—Sd); დიმიტრი მეფისა—ქაიხოსრო წერეთლისადმი გორისას და არგვეთის მამულების ბოძების შესახებ, 1663 წ. (№ 514—Sd); შაჰნავაზისა—ავთანდილ ბარათაშვილისადმი ქციის მამულის ბოძების შესახებ, 1667 წ. (№ 1—Sd); შაჰნავაზისა—ზაალ სოლოღაშვილისადმი სოფ. კუმისის ბოძების შესახებ, 1671 წ. (№ 32—Sd); ბაგრატ მეფისა – ქაიხოსრო წერეთლისადმი საფალავანდიშვილოს ყმა-მამულის ბოძების შესახებ, 1680 წ. (№ 509 – Sd); ვახტანგ VI—ჰაპუნა წერეთლისადმი სურამის ახალსოფელის ბოძების შესახებ, 1723 წ. (№ 505—Sd); ვახტანგ VI—ელიზბარ ორბელიშვილისადმი სოფ. წოფას ბოძების შესახებ, 1730 წ. (№ 710—Sd); ერეკლე II-სა—დავით მირზაშვილისადმი სოფ. ბროწკლეთის ბოძების შესახებ, 1758 წ. (№ 209—Sd). სოლომონ I-ისა—ჰაპუნა წერეთლისადმი რაჭის ჯაფარასეული ციხის ბოძების შესახებ, 1779 წ. (№ 506—Sd); გიორგი XI-სა—მდივანბეგ ვახტანგისადმი გასამყრელოს წილის ბოძების შესახებ, 1679—1688 წ. (№ 632—Sd); გიორგი XI-ისა—ვახტანგ ორბელიშვილისადმი ქალაქის სასახლის ბოძების შესახებ, 1679 წ. (№ 539—Sd).

ნასყიდობის წიგნები

მ ა მ უ ლ ი ს ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს: შალვა ქავთარაშვილისა—ყვარყვარე ათაბაგის ცოლყოფილის ნესტანდარეჯანისადმი, 1508 წ. (№ 732—Sd); ქაიხოსრო ჯავახიშვილისა—ჰაპუნა თუხარელისადმი, 1650 წ. (№ 3—Sd); სუელნეთის მამულის: ჰაპუა შატბერაშვილისა—ზუბია ასატურაშკილისადმი, 1658 წ. (№ 5—Sd); ჰაპუა და იესე შატბერაშვილისა—მანუჩარ თუმანიშვილისადმი, 1668 წ. (№ 24—Sd).

ყ მ ი ს ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს: ესტატე ხოსიტაშვილისა,—მდივან ზურაბ ჯიმშიტაშვილისადმი, 1678 წ. (№ 12—Sd); მუსტაფბეგ მუხრანის ბატონისა—როინ ჯავახიშვილისადმი, 1718 წ. (№ 712—Sd); ფარემუზ ჯავახიშვილისა—ზურაბ რატიშვილისადმი, 1721 წ. (№ 664—Sd); ბეჟან ბიძინაშვილისა—ულაცაანთ დავითისადმი, 1725 წ. (№ 122—Sd); დარეჯან დედოფლისა—სულხან თუმანიშვილისადმი, 1800 წ. (№ 1740 Sd).

თ ა ვ ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს: ქითაძელი ზურაბ არაქელასშვილისა—გორელ იარალაშვილისადმი, 1682 წ. (№ 568 –Sd); კაცია ბურნაძისა—ნიკოლოზ ორბელიშვილისადმი, 1715 წ. (№ 1904—Sd); დათუნა მეზვრიშვილისა – სულხან მდივნისადმი, 1728 წ. (№ 116—Sd).

ვენახის ნასყიდობის: შიოშ ზევდგინიძისა—ქრისტეფორე ბარათაშვილისადმი, 1665 წ. (№ 622—Sd); საქუმ ალიყულასშვილისა—ვახტანგ ბარათაშვილისადმი, 1677 წ. (№ 537—Sd); სარმანიშვილისა—ანუკა ბატონიშვილისადმი, 1728 წ. (№ 701—Sd).

ხორაგოულის ციხის ნასყიდობის წიგნი გიორგი აბაშიძისა—სოლომონ I-სადმი, 1752—1784 წ. (№ 2971—Sd).

თბილისის სახლების ნასყიდობის წიგნი: იოანე აბაზაძისა—ვაბრიელ გედევანიშვილისადმი, 1747 წ. (№ 235—Sd).

ბრძანების წიგნები

მარიამ დედოფლისა—მუშრიბებისა და მეპაეეთადმი პაეისაგან გათავისუფლების შესახებ, 1636—1660 წ. (№ 765—Sd); შაჰნავაზისა—მესტუმრისადმი, ამუაშვილი ლამექის საქმის სამართლიანი წარმოების შესახებ, 1658—78 წ. (№ 498—Sd); გიორგი XI-სა—საბარათაშვილოს მოხელეებისადმი, ვახუშტი ორბელიშვილისათვის საბარათაშვილოს მებალახობის ბოძების შესახებ, 1675—1688 წ. (№ 550—Sd); ანა დედოფლისა—ნახიდურის მოურავ პაპუასადმი ნახიდურის მოსავლის ქარხანაში მიბარების შესახებ, 1696 წ. (№ 629—Sd); ვახტანგ VI-სა—სვიმონ ჯავახიშვილისადმი საშავარდნოს პატიების შესახებ, 1712 წ. (№ 612—Sd); ბაქარისა—ფარემუზ ჯავახიშვილისადმი, ჯავახიშვილებისათვის გასამყრელოს მიცემის შესახებ, 1719 წ. (№ 660—Sd); თეიმურაზ II-სა—ალექსანდრე ციციშვილისადმი ყმის გასანთავისუფლებლად სამართლის გარიგების შესახებ, 1756 წ. (№ 792—Sd); თეიმურაზ II-ისა—ანტონ I-სადმი, მისი კათალიკოსობიდან გადაყენების შესახებ, 1756 წ. (№ 2364—Sd); ერეკლე II-ის—მეტეხის მოურავისადმი, გორის სამოურაოში მორიგე ლაშქრის განლაგების შესახებ, 1782 წ. (№ 458—Sd); სოლომონ II-ისა—ზაზა სირაძისადმი პურისა და ღვინის საურის ამოკვეთის შესახებ, 1793 წ. (№ 375—Sd); ოთარ ამილახორისა—შიო მუნჯიშვილისადმი, ღალის აკრეფის შესახებ, 1797 წ. (№ 398—Sd); ანტონ II-ისა—პაატა სახლთუხუცესისადმი თარხნიშვილების ყმების დარბევის გამო, 1792 წ. (№ 377—Sd); გიორგი XII-ისა—დავით ბატონიშვილისადმი იჯარის აღების წესრიგის დაცვის შესახებ, 1799 წ. (№ 1027—Sd); ვახტანგ VI-სა—პაპუნა წერეთლისადმი სურამის ახალსოფლის ბოძების შესახებ, 1703—1723 წ. (№ 518—Sd); ვახტანგ VI-სა—რევაზ ხერხეულიძისადმი, წერეთლებისა და ამირეჯიბების სადაო ღალის შესახებ, 1703—1724 წ. (№ 520—Sd); იმამყული ხანისა—ქიზიყის მოურავ ნიკოლოზისადმი, ნოდარ სახლთუხუცესისათვის სარგოს

დანიშვნის შესახებ, 1703—22 წ. (№ 986—Sd); გიორგი XII-სა—ბაზაზების უსტაბაშისადმი საბაზიეროდან მასალის მიწოდების შესახებ, 1800 წ. (№ 354—Sd); ანტონ II-ისა—დოსითეოს არქიმანდრიტისადმი, 1810 წ. (№ 2172—Sd); სინოდისა—დავით მიტროპოლიტისადმი, იმერეთის ეპარქიის მმართველად მისი დანიშვნის შესახებ, 1843 წ. (№ 5243—Sd).

გარიგებისა და განჩინების წიგნები

მოლარეთუხუცესი მანუჩარისა—ყაფლან და ვახტანგ ორბელიანებისადმი სახასო და ნასყიდი ყმა-მამულის გაყოფის შესახებ, XVII ს. (№№ 1922, 1936, 1949); ბაგრატ ციციშვილისა—ნოდარ ციციშვილისადმი, სახლიკაცობისა და ძმობის შესახებ, 1731 წ. (№ 256—Sd); ერთობით ორბელიშვილებისა—ძმობისა და სახლიკაცობის რიგის შესახებ, 1746 წ. (№ 1889—Sd); ერეკლე II-ისა —მორიგელაშქრის წესი და გარიგება, 1774 წ. (№ 490—Sd); ვახტანგ ბატონიშვილისა—არაგვის საერისთაოს მთიულთა და ბარის მცხოვრებთადმი 1782 წ. (№ 493—Sd); თუშებისა და ანწუხელების დამოკიდებულების და სისხლის აღების შესახებ, 1786 წ. (№ 2278—Sd): ქალაქის მოურავის სარგოს წიგნი, 1789—90 წ. (№№ 781, 782—Sd).

გარდაწყვეტილობის წიგნები

ატენელი ბერისშვილის ლაზარესი—ზურაბ თუმანიშვილისადმი მათი დავის შესახებ, 1676 წ. (№ 1013—Sd); დათუა დოლენჯიანისა—გივი თუმანიშვილისადმი, ტყვის მოპარვის გამო, 1688 წ. (№ 42—Sd); ყალანდარ თუმანიშვილისა—სარქისა ხითარიშვილისადმი დუქნისა და ქულბაქის ვალის შესახებ, 1696 წ. (№ 482—Sd); სულხან ბერდიაშვილისა—გივი მდივნისადმი ფულადი ვალის გამო, 1700 წ. (№ 58—Sd).

განწესება საქართველოს მეფის ირაკლისა—„ძეთა თჳსთადმი სამეფოჲსთჳს საქართუველოისა". მირიან ბატონიშვილის მიერ გადაწერილი და თარგმნილი რუსულად, 1799 წ. (№ 2140—Sd).

პირობის წიგნები

ალიაღასი—სახლთუხუცეს ყაფლანიშვილისადმი სოფ. მუხნარას დროებით მიცემის შესახებ, 1653 წ. (№ 746—Sd); ბალიაშვილი შალუტასი—დათუნა სოლოღაშვილისადმი, 1655 წ. (№ 749—Sd); მამადყულიხანისა—ელიზბარ ყაფლანისშვილისადმი საბარათიანოს სარდლობის ბოძების შესახებ, 1722—29 წ. (№ 704—Sd); ბაგრატ თულაშვილისა — თეიმურაზ II-სადმი, ყმის გაყიდვის შემთხვე-

ვაში ექვსი თუმანი ჯარიმის გადახდის შესახებ, 1756 წ. (№ 221—Sd); ბერიძისა—გორჯასპი თუმანიშვილისადმი ფქვილის გადახდის შესახებ, 1758 წ. (№ 215—Sd); მამია დადიან-გურიელისა—სოლომონ I-სადმი ყმების გაუსყიდველობის შესახებ, 1759 წ. (№ 2976—Sd); სოლომონ II-ისა—ზურაბ წერეთლისადმი, სახლისკაცთა უვნებლობის შესახებ, 1789—1810 წ. (№ 1151—Sd).

სამართლის წიგნები

შაჰნავაზისა—ბარათაშვილებისა და ვირშელიშვილების დავის გამო, 1670 წ. (№ 534—Sd); გიორგი XI-ისა—დავით დავითისშვილისა და სამალანაშვილის სარჩელის გამო, 1680 წ. (№ 756—Sd); ბაქარ მეფისა—ჯავახიშვილებისადმი, ხოვლეს სადაო წყლის შესახებ, 1717—1750 წ. (№ 659 – Sd); საამ ბარათაშვილისა, ბასილ რამაზაშვილისა და ზაზა ბადურაშვილის საქმის შესახებ, 1702 წ. (№ 73—Sd); ვახტანგ VI-ისა—პაპუნა ტატიშვილისა და ფარემუზ ჯავახიშვილის სადაო სოფლების გამო, 1719—1723 წ. (№ 617—Sd); მსაჯულებისა—ამილღაბარ ციციშვილის და მისი ყმის დოლენჯიშვილის საქმეზე, 1789 წ. (№ 459—Sd); ბაქარისა—ედიშერ ციციშვილის, თუმანიშვილებისა და გორელების სარჩელის შესახებ [XVIII ს.], (№ 805—Sd);

სითარხნის და აზატობის წიგნები

პატრონის შიოშისა და შოთასი—გიორგი დედაბრიშვილისადმი, საბატონო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1412 წ. (№ 133—Sd); შოთა ზევდგინიძისა—გიორგი დედაბრიშვილისადმი, საბატონო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1412 წ. (№ 143—Sd); კოსტანტინე II-ისა—ფეროზ ვალადემურისშვილისადმი, სამეფო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ, XV საუკ. (№ 480—Sd); დარეჯან დედოფლისა—დონდორა მამადედაშვილისადმი დაღეთის სამამასახლისოს სამეფო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1556 წ. (№ 138—Sd); სეხნია ტატიშვილისა—შოშიტა მიქელაშვილისადმი, ნამულსა და ვენახზე საბატონო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1692 წ. (№ 560—Sd); ვახტანგ VI-ისა—ანახანუმ ბატონიშვილისადმი, სოფ. შინდლარის სამეფო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1709 წ. (№ 1938—Sd); ვახტანგ VI-სა—სიონის მხატვარ გიორგისადმი. ვახტანგი ათარხნებს გიორგი მხატვარს „ბაეისა“, „ხარჯისა“, „სატყეო“ „სათემო“, „საძალო“, „საკვამლო“, „სამოხელეო“, „მდგმურ“, „დუქ-

ნის“, „მუშის“, „დიდ“ და „მცირე“ გამოსაღებებისაგან. სიგელში დადასტურებულია ვახტანგ VI-ის ზრუნვა და მფარველობა მხატვარ-ხელოსნებისადმი, 1712 წ. (№ 774—dS); იესე მეფისა—ქაიხოსრო სოლოღაშვილისადმი, სამეფო ვალდებულებათაგან განთავისუფლების შესახებ, 1715 წ. (№ 124—Sd); ვახტანგ VI-ისა—დემეტრე სიდამონიძისადმი, სამეფო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1723 წ. (№ 673—Sd); ვახტანგ VI სა—დიმიტრი კარგარეთელისადმი, სოფელ ბიბილეთის გათავისუფლების შესახებ. საბუთი იძლევა ცნობებს, სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისა და მისი ურთიერთობისათვის ვახტანგ VI-ის სახლთან. საბუთის დამწერია ვახტანგ VI-ის ცნობილი მდივან-მწიგნობარი მელქისედეკ კავკასიძე, 1726 წ. (№ 2045—Sd).

სიმკვიდრის წიგნები

დავით ლუარსაბისშვილისა—წმ. გიორგის დეკანოზისადმი, XVI ს. (№ 479—Sd); ლუარსაბ II-ისა—დავით დავითისშვილისადმი 1614 წ. (№ 599—Sd); მარიამ დედოფლისა—სოლოღაშვილისადმი, 1636 წ. (№ 742—Sd); როსტომ მეფისა—დავით სოლოღაშვილისადმი, 1655 წ. (№ 750—Sd);

ანდერძის წიგნები

ნიკოლოზ თუმანიშვილისა—თავის შვილებისადმი (XVIII ს.), (№ 946—Sd); მეღარაანთ ესტატეს ჯალაბის მარეხისა, 1752 წ. (№ 225—Sd); ბეჟან თუმანიშვილისა—გორჯასპი თუმანიშვილისადმი, 1755 წ. (№ 227—Sd); ამირინდო ამილახორიშვილისა—თამარ ამილახორიშვილისადმი, 1776 წ. (№ 1909—Sd).

არზები

გოდერძა ბეკაძისა—ერეკლე II-სადმი, სოლომონ მურავიშვილის უსამართლობის შესახებ, 1773 წ. (№ 183—Sd); გოგია თუმანიშვილისა—ერეკლე II-სადმი, სათუმანიშვილოს ყმებზე უფლების მოპოვების შესახებ, 1773 წ. (№ 182—Sd); ნიკოლოზ ციციშვილისა ერეკლე II-სადმი საწილოს შესახებ, 1775 წ. (№ 191—Sd); ნიკოლოზ მირზაშვილისა—ერეკლე II-სადმი მიმძლავრებისაგან დაცვის შესახებ, 1782 წ. (№ 445—Sd); სოლომონ და დავით აბაზაძეებისა—იულონ ბატონიშვილისადმი, საკომლოების სამართლიანად დაბრუნების შესახებ, 1784 წ. (№ 452—Sd); ერთობით ალიანელები-

ს ა—ერეკლე II-სადმი, სამამულო დავის გამო სამართლის ბოძების შესახებ, 1788 წ. (№ 444—Sd); მეკურკლე გოგიასი—დარეჯან დედოფლისადმი, საკურკლიდან საქონლის უანგარიშოდ გატანის შესახებ, 1789 წ. (№ 443—Sd); გორელებისა—ერეკლე II-სადმი, ხითარიშვილისათვის მამასახლისობის ბოძების შესახებ, 1792 წ. (№ 389—Sd).

ბატონყმობის წიგნები

ნასყიდა დათუნაშვილისა—დავით სოლოღაშვილისადმი, 1620 წ. (№ 737—Sd); პაპუა ტატიშვილისა—დავით დავითიშვილისადმი, 1675—1692 წ. (№ 648—Sd); მიქელა გოგიტაშვილისა—ფირან თუმანიშვილისადმი, 1740 წ. (№ 258—Sd); სტეფანა დათიაშვილისა—ზურაბ წერეთლისადმი, 1791 წ. (№ 1166—Sd).

უდაობის წიგნები

იარალ იარალაშვილისა—ელიზბარ სოლოღაშვილისადმი, 1665 წ.(№ 753—Sd); პაპუა და ნიკოლოზისა—დავით კვახიაშვილისადმი 1688 წ. (№ 18—Sd); იასე გერმანოზიშვილისა—გარსევან მეკონდახიშვილისადმი, 1703 წ. (№ 579—Sd).

ფიცის წიგნები

თამაზ ორბელიანისა—მდივანბეგ ვახტანგ ორბელიანისადმი, სახლის ერთობისა და გაუყრელობის შესახებ, 1676—86 წ. (№№ 572, 1926—Sd); დავითიშვილებისა—თიხარევის დავის გამო, „მოფიცართა“ „შეგდების“ შესახებ, XVII ს. (№ 775—Sd); ციცი ციციშვილისა—გივი თუმანიშვილისადმი, უვნებლობისა და უზიანობის შესახებ, XVII ს. (№ 930—Sd); გიორგი აბაშიძისა—პაატა აბაშიძისადმი, „სისხლში“ ცხენის ციხისა და ყმების „სანუფქოდ“ მიცემის შესახებ, XVII ს. (№ 535—Sd); ფარსადან ციციშვილისა—სულხან ორბელისშვილისადმი მეგობრობისა და ერთგულების შესახებ, XVII ს. (№ 538—Sd); დმანისის მსახლობელთა—სულხან [მდივნისადმი], 1747 წ. (№ 2037—Sd); გრიგოლ წერეთლისა—ქაიხოსრო წერეთლისადმი, ძმობისა და ერთობის შესახებ, 1800—1810 წ. (№ 1212—Sd).

შეწირულების წიგნები

როსტომ მეფისა — სვეტიცხოველისადმი მეტეხის ღვთისშობლის შეწირვის შესახებ, 1658 წ. (№ 2975—Sd); ჯავახიშვილი

როინისა—რკონის ღვთისმშობლისადმი წისქვილის შეწირვის გამო, 1727 წ. (№ 694—Sd); მატათე დათუნაშვილისა—სვეტიცხოველის ეკლესიისადმი თავის შეწირვის შესახებ, 1784 წ. (№ 173—Sd).

წერილები

როსტომ მეფისა—ელიზბარ დავითისშვილისადმი, 1637 წ. (№ 641—Sd); ლევან საქართველოს მმართველისა—ერასტი ორბელიანისადმი, სასახლისკაცო გარიგების შესახებ, 1707—09 წ. (№ 647—Sd); თეიმურაზ II-ისა—ელიზბარ ყაფლანისშვილისადმი, ერეკლესათვის ქალის მიცემის თაობაზე, 1738 წ. (№ 1895—Sd); სოლომონ I-ისა—სომეხ პატრიარქ სიმონისადმი, პაპზე გამარჯვებისა და მის საბრძანებელში გრგორიანთა მშვიდობით ყოფნის შესახებ, 1763 წ. (№ 5144—Sd); პავლე პოტიომკინისა—ერეკლე II-სადმი (პირები), 32 ცალი, 1783 წ. (№ 2272—Sd); გარსევან ჭავჭავაძისა—ბატონიშვილებისადმი ერთგულებისა და თავდადების შესახებ, 1801 წ. (№ 1530—Sd); პავლე ციციანოვისა—უცნობი პირისადმი, ჭარზე გამარჯვების მილოცვის, 1803—1806 წ. (№ 5016—Sd); პავლე ციციანოვისა [გრიგოლ] დადიანისადმი, რუსეთთან შეერთების გამო განცხადების გაგზავნის შესახებ, 1803 წ. (№ 5014, 5015—Sd); პავლე ციციანოვისა—ქაიხოსრო წერეთლისა და სეხნია წულუკიძისადმი, იმერეთის რუსეთთან შეერთების შესახებ, 1803—1806 წ., (№ 2318—Sd); ალექსანდრე ტორმასოვისა—ზურაბ წერეთლისადმი, სოლომონ II-ის შესახებ, 1809 წ. (№№ 1658 ა, ბ, 1661—Sd); ფონ რეისლოფისა—ზურაბ წერეთლისადმი იმერეთის სამეფოს საქმეთა გარიგების შესახებ, 1812 წ. (№ 1666—Sd); თეოდორე სიმონოვიჩისა—ზურაბ წერეთლისადმი, უკანონოდ ყმათასყიდვის აკრძალვის შესახებ, 1814 წ. (№ 1680, 1683—Sd); თეკლა ბატონიშვილისა—ალექსანდრე ორბელიანისადმი, 1834—38 წ. (№№ 2198, 2229, 2230—Sd).

მოკითხვის წერილები

გ ი ო რ გ ი XI-ისა—სულხან ორბელიანისადმი, 1707 წ. (№ 593—Sd); იოანე ბატონიშვილისა—მდივნის ასულ ბარბარესადმი, 1777 წ. (№ 1017—Sd); დარეჯან დედოფლისა—გოგია ამილახორიშვილისადმი, 1787 წ. (№ 449—Sd); მანუჩარ თუმანიშვილისა—გიორგი თუმანიშვილისადმი, 1790 წ. (№ 457—Sd); ანასტასია ბატონიშვილისა—თეკლა ბატონიშვილისადმი, 1831—37 წ. (№ 2192—

2196—Sd); დიმიტრი ყიფიანისა—გრიგოლ ორბელიანისადმი, 1860 წ. (№ 1875—Sd); მანანა ორბელიანისა—გრიგოლ ორბელიანისადმი, 1820—1880 წ. (№ 1838—Sd); ნინო გრიბოედოვისა—გრიგოლ ორბელიანისადმი, 1885 წ. (№ 1874—Sd).

წილის ბარათები

ბიძინა ვექილისა—მანუჩარისადმი, XVII ს. (№ 862—Sd); თეიმურაზ II-ისა—იოანესადმი, 1756 წ. (№ 224—Sd); ერეკლე II-სა-ნიკოლოზ ციციშვილისადმი, 1792 წ. (№ 1024—Sd); იულონ ბატონიშვილისა—ნიკოლოზ ციციშვილისადმი, 1798 წ. (№ 386—Sd).

გირავნობის წიგნები

ყმის გირავნობისა: ლუარსაბ ხერხეულიძისა—დავით ქსნის ერისთავისადმი, 1756 წ. (№ 207—Sd); გოგია თუმანიშვილისა—იოსებ თუმანიშვილისადმი, 1779 წ. (№ 176—Sd); ქაიხოსრო ზაალიშვილისა—პაპუნა წერეთლისადმი, თეთრის აღების გამო, XVIII ს. (№ 510—Sd);

მამულის გირავნობისა: ფირანისა—გიორგისადმი (1729 წ.) (№ 131—Sd).

საჯინიბოს გირავნობის: გოგია და ნიკოლოზ თუმანიშვილისა—ზურაბ პაპუნასშვილისადმი, 1767 წ. (№ 500—Sd).

ვენახის გირავნობისა: ბეროა ხარგრძელისა—სულხან თუმანიშვილისადმი—ვალის აღების გამო, 1791 წ. (№ 158—Sd).

ვალის წიგნები

გორჯასპი თუმანიშვილისა—გიორგი ნათისშვილისადმი, 1767 წ. (№ 198—Sd); გაბრიელ ლელუასშვილისა—ავაქა ასლანაშვილისადმი, 1782 წ. (№ 166—Sd); გოგია თუმანიშვილისა—მანუჩარ თუმანიშვილისადმი, 1790 წ. (№ 153—Sd); დურგალი პაპასი—მანუჩარ თუმანიშვილისადმი, 1795 წ. (№ 381—Sd); ივანე ფალავანდიშვილისა—გრიგოლ წერეთლისადმი, 1828 წ. (№ 1860—Sd).

მზითვის წიგნები

ქსნის ერისთავისა—ლუარსაბ ორბელისშვილისადმი [1692—1703], (№ 759—Sd); ვახტანგ VI-სა—ანუკა ბატონიშვილისადმი, 1712 წ. (№ 2111—Sd); ამირინდო ამილახორიშვილისა—თამარ ამილახორიშვილისადმი, 1776 წ. (№ 1901—Sd); ელენე ციციშვილისა—

თალალა ციციშვილისადმი, 1798 წ. (№ 406—Sd); ალხაზა თუმანიშვილისა—თაყა მანდენაშვილისადმი, XVIII ს. (№ 804—Sd), დარეჯან დედოფლისა—თეკლა ბატონიშვილისადმი, 1800 წ. (№ 1240—Sd); სოლომონ II-ისა—დარეჯან ბატონიშვილისადმი, 1803 წ. (№ 304—Sd).

მამულის მიბარების წიგნი

გიორგი X-ისა—ქაიხოსრო ჯავახიშვილისადმი, 1602 წ. (№ 522—Sd).

ნუსხები

საყაფლანიშვილოს ყმა-მამულთა [XVIII ს.], (№ 2025—Sd); საწერეთლოს ყმებისა [XVIII ს.]. (№ 1210—Sd); სამწევრისიდან აყრილი ყმებისა [XVIII ს.], (№ 998—Sd); საამილახოროს და საციციანოს სოფლებიდან ნასისხლად მიღებული ყმა-მამულისა [XVIII ს.]. (№ 4455—Sd); იულონ ბატონიშვილის ყმა-მამულისა [1790—1800 წ.], (№ 1846—Sd).

ხალხის აღწერის დავთრები

წუქეთისა და ჭარისა, 1710 წ. პირი. გადაწერილი 1852 წ. (№ 2181—Sd); ხევის დავთარი [XVIII ს.], (№ 942—Sd).

ხარჯის ნუსხა: ელიზბარ ერისთავის ფულისა, XVIII ს. (№ 4456—Sd); ჯიმშერ თუმანიშვილისა (XIX ს.) (№ 4161—Sd).

ნივთების ნუსხა: სამქედლო სახელოსნოსი [XVIII ს.], (№ 4838—Sd), იოანე ბატონიშვილისა (1790—1801 წ.) (№ 5225—Sd) ქეთევან წერეთლისა, 1823 წ. (№№ 5226, 5227—Sd).

საქონლის ნუსხა: ვახუშტი ორბელიანისა—ზაალ კაკონაშვილის მიერ მიცემული, 1707 წ. (№ 589, 638, 639—Sd).

ნუსხა საქვრივოსა და საჩექომოსი [XVIII ს.], (№ 4466)

სააღაპო გამოსაღების ნუსხა ლუარსაბ სარდლისა, 1707 წ. (№ 59—Sd).

ბეგრის ნუსხა ვანათის ცხვრისა, 1801 წ. (№ 1028—Sd).

ღალის ნუსხა—ხელთუბნისა, გარეჯვრის და ახალდაბის მამულისა, 1810—1829 წ. (№ 3990—4019—Sd).

ᲧᲝᲤ. ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲤᲝᲜᲓᲘ

1888 წელს ქ. თბილისში დაარსდა საეკლესიო მუზეუმი. მის მიზანს შეადგენდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაგროვილი ხელნაწერების, ძველი ნაბეჭდი წიგნებისა და ისტორიული მნიშვნელობის მქონე სხვა ნივთების აღრიცხვა, შეკრება და შენახვა.

პრაქტიკული საქმიანობის გაშლის მიზნით მუზეუმთან ჩამოყალიბდა ცალკე კომიტეტი. მისი პირველი თავმჯდომარე და ხელმძღვანელი იყო ისტორიკოსი დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველოში ბევრგან: სვეტიცხოველის, შიომღვიმის, დავით გარეჯის, ალავერდის, გელათის, ბიჭვინთისა და სხვა ეკლესია-მონასტრებში ქართული ხელნაწერების მდიდარი კოლექციები მოიპოვებოდა, რომლებიც კომიტეტის მზრუნველობითა და მეშვეობით თანდათან მუზეუმის საცავში გადავიდა. საეკლესიო მუზეუმმა ფართოდ გაშალა თავისი საქმიანობა ხელნაწერების ჯეროვანი დაკვისა და მათი მეცნიერული შესწავლის მიზნითაც. განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობდნენ ამ სფეროში ისტორიკოსები თ ე დ ო ე ო რ დ ა ნ ი ა და მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, რომლებიც სხვადასხვა დროს მუზეუმის გამგის თანამდებობასაც ასრულებდნენ.

საეკლესიო მუზეუმი თავდაპირველად სიონის საყდრის შენობაში იყო მოთავსებული. კოლექციების სწრაფი ზრდისა და ბინის სივიწროვის გამო 1916 წელს იგი გადატანილ იქნა თბილისის ყოფ. სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) შენობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუზეუმის მდგომარეობა გაუმჯობესდა. უნივერსიტეტის კედლებშიაც, მუზეუმი განაგრძობდა ძველი ხელნაწერებისა და საბუთების შეძენას და მისი ისედაც ძვირფასი კოლექციები კიდევ უფრო მდიდრდებოდა.

ხელნაწერთა ფონდების თავმოყრისა და მათი შესწავლა-დაცვის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, 1930 წელს,

ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდები მთლიანად გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც იგი დღესაც ინახება.

მთელი თაესი მოღვაწეობის პერიოდში საეკლესიო მუზეუმმა შეაგროვა 1804 ძველი ხელნაწერი წიგნი და 2250 საბუთი. ქრონოლოგიურად ეს მასალა V—XIX საუკუნეებისაა.

მუზეუმის სპეციფიკურობის გამო მის მიერ შეკრებილი ხელნაწერების უმრავლესობა საეკლესიო ხასიათისაა. მათი მეცნიერული ღირებულება ქართული კულტურის ისტორიისათვის უაღრესად დიდია. ამ ფონდში დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო უძველესი პალიმფსესტები დიდი ხელოვნებით შემკულ-მოხატული, ეტრატის დიდტანიანი წიგნები. უკ ნასკნელთა უმრავლესობა შემზადებულია ქართული კულტურის ისეთ ცნობილ კერებში, როგორიცაა: შატბერდი, ოშკი, პარხალი, ათონი, ჰროშანა, შავი მთა (იერუსალიმთან), სინას მთის მონასტერი და სხვ.

ამ ხელნაწერებში შემონახული ანდერძ-მინაწერები, როგორც ძველი (იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და სხვათა), ისე მოგვიანო ხანისა, უხვ მასალას იძლევა ქართველი ხალხის ძველისძველი და მდიდარი ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად და შესასწავლად.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადატანისას ამ ფონდს რიგითი სათვალავი არ შეცვლია, ხოლო აღნიშვნის გასაადვილებლად მას მიეცა პირობითი ნიშანი „A“.

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდისათვის არსებობს:

1. ნაბეჭდი აღწერილობანი: „Описание рукописей церковного музея духовенства грузинской епархии, кн. I, II, Ф. Жордания. Тифлис, 1904 г. (№№ 1—800); 2. Описание рукописей церковного музея духовенства грузинской епархии, кн. III, М. Г. Джанашвили. Тифлис, 1908 г. (№№ 801—1040).

გარდა ამისა, ხელნაწერის სახით ამ ფონდს მოეპოვება:

1. მ. ჯანაშვილის აღწერილობა (№№ 1041 – 1804); იგი დაცულია ახალ ფონდში (Q—№ 579). 2. საინვენტარო დავთარი, წიგნი 1 (№№ 1041—1804), ინახება ხელნაწერთა განყოფილებაში.

უძველესი ქართული ხელნაწერები

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ძველი ხელნაწერების ფონდი განსაკუთრებით მდიდარია ქართული პალიმფსესტებით. სანიმუშოდ აქ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ:

იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება. ეტრატის ხელნაწერი, 479 ფურცლის რაოდენობით, ჩასმული ტყავგადაკრულ ხის ყდაში, გადაწერილია XI საუკუნის ნუსხურით. ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტია. თავდაპირველი ტექსტის ნაწილი წაკითხულია ივანე ჯავახიშვილის მიერ. გამოირკვა, რომ იგი სახარების საკითხავები ანუ ლექციონარია, დაწერილი ლამაზი მსხვილი მრგლოვანით.

ენობრივად და პალეოგრაფიულად ეს ხელნაწერი ფრიად საგულისხმოა. ლექციონარის ენა ხანმეტია: ზმნებში მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის აღსანიშნავად ყველგან ასო ხ-ანი იხმარება. გარდა ამისა ასო ბ-ანი ყველგან თავშეკრულია ისე, როგორც V საუკუნის ბოლნისისა და VI—VII საუკუნის მცხეთის წარწერებშია წარმოდგენილი. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ივანე ჯავახიშვილმა ეს ლექციონარი V—VI საუკუნეებით დაათარიღა (№ 89).

ლექციონარის წაკითხული ნიმუშები დაბეჭდილია თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში, № 3, 1923 წ.

რიგის სახარება. ეტრატის ხელნაწერი, 255 ფურცლის რაოდენობით, ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა. გადაწერილია XI—XII საუკუნის ლამაზი ნუსხურით კვირიკე ნადღუნის მიერ. მის მინაწერებში სამხრეთ საქართველოს მრავალი ისტორიული პირი იხსენიება. მოსე ჯანაშვილმა ადრეეე შენიშნა, რომ ხელნაწერის ერთი ნაწილი პალიმფსესტი იყო. ამ თვალსაზრისით იგი ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა და ქიმიური დამუშავების შემდეგ ნაწილი წაიკითხა. იგი სახარების საკითხავები გამოდგა. აქაც ტექსტი ხანმეტია და ბ-ანიც თავშეკრული.

სწორედ ამ ნიშნების მიხედვით, თავდაპირველი ტექსტი ხელნაწერისა V—VI საუკუნეებით დაათარიღა აკად. ივ. ჯავახიშვილმა (№ 844). წაკითხული ტექსტი დაბეჭდილია (იხ.იქვე).

კრებული კანონიკური წერილებისა. ეტრატის ხელნაწერი, გადაწერილია XIV საუკუნის ნუსხურით. თ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ეს ხელნაწერი პალიმფსესტია. ამის ერთი ნაწილი შესწავლილი და წაკითხულია ივ. ჯავახიშვილის მიერ. თავდაპირველი ტექსტი — „საქმენი მოციქულთაჲ“ დაწერილია მსხვილი მრგლოვანით. ხანმეტობა და თავშეკრული ბ-ანი აქაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ამ ძეგლის პირვანდელი ტექსტიც V—VI საუკუნეებით თარიღდება (№ 737)

აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ტექსტი, ხელნაწერის სახით, ინახება აქვე (იხ. ახალი ფონდის ხელნაწერი №963), ხოლო დაბეჭდილია პროფ. ილია აბულაძის მიერ (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბილისი, 1949).

ბიბლიოლოგია

გ ე ლ ა თ ი ს ბ ი ბ ლ ი ა, დაწერილია X—XII საუკუნის გაკრული ნუსხურით, ქაღალდზე. ბიბლიის ეს ნუსხა ნაკლულია, დარჩენილია: წიგნი ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯულისა, ისო ნავესი, მსაჯულთა და წინასწარმეტყველთა.

გელათის ბიბლიას სულხან-საბა ორბელიანის დამუხლვა და ვახტანგ VI შენიშვნები გააჩნია (№1108—A).

მ ც ხ ე თ ი ს ბ ი ბ ლ ი ა, წარმოადგენს „დაბადების“ საყურადღებო რედაქციას. ზოგიერთი მისი წიგნი განსხვავებულია ბაქარის ნაბეჭდი ბიბლიისაგან, ხოლო ამ განსხვავებული წიგნების ერთი ნაწილი უძველესი—ათონური ბიბლიის წინადროინდელი ჩანს. იგი გადაწერილია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ნუსხურით.

ეს ნუსხა მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ მას დართული აქვს სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი სიმფონია. საბას ხელითვეა მთელი ბიბლია დაყოფილი მუხლებად და თავებად (თავის ლექსიკონში ბიბლიური წიგნების ზუსტი დამოწმებისათვის) (№ 51—A).

ბიბლიის ძველი რედაქციის მეტად საინტერესო ვარიანტია ამავე ფონდის ხელნაწერი № 570, გადაწერილი 1460 წელს, ეტრატზე, კალიგრაფ ვინმე გიორგის მიერ და № 646 (XVI საუკ.). ეს ნუსხები ერთი და იგივე რედაქციისაა და ახლოს დგას მცხეთის ბიბლიასთან.

ო შ კ ი ს (ა თ ო ნ უ რ ი) ბ ი ბ ლ ი ი ს პ ი რ ი, გადაწერილია თბილისში ნიკოლოზ კაჭარავას ხელით (სიონის ტაძრისათვის) 1851 წ., ათონის 978 წლის ბიბლიიდან, რომელიც პლატონ იოსელიანს ჩამოუტანია დროებით და პირის (2 ცალად) გადაღების შემდეგ უკანვე (ათონში) დაუბრუნებია. ეს ბიბლია რედაქციულად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. მასში შემავალი წიგნები თავებად და მუხლებად არ არის დაყოფილი. აქ „ქება-ქებათაჲ“ წარმოდგენილია კითხვა-მიგების სახით. ხელნაწერს შემოუნახავს დედნის გადამწერთა (სტეფანე, გიორგი, მიქაელ) და მომგებელთა (იოანე და იოახე-თორნიკე, სვინგელოზ-პატრიკი) სახელები. ამ ბიბლიაში შეხულია შემდეგი წიგნები: 1. წინასწარმეტყველება დანიელისა,

დავითნის ერთი გვერდი. ასომთავრული ხუცური დამწერლობის ნიმუში.
X საუკ. № 34 — A

2. წიგნი ეზდრასი პირველი, 3. წიგნი ეზდრასი მეორე, 4. წიგნი ესთერისი, 5. წიგნი ივდითისი, 6. წიგნი ტობიასი, 7. წიგნი მეფეთა პირველი, 8. წიგნი მეფეთა მეორე, 9. წიგნი მეფეთა მესამე (აქვეა მინაწერი: „დაესრულა წიგნი მეფეთა მესამე თავი, ქრისტე შეიწყალე თორნიკ და იოანე"), 10. წიგნი მეფეთა მეოთხე, 11. იგავი სოლომონისა, 12. ეკლესიასტი, 13. ქება-ქებათაჲ, 14. სიბრძნე სოლომონისი, 15. წიგნი ისო ზირაქისა, 16. საწინასწარმეტყველო: წინასწარმეტყველება ოსესი, იოველისი, ამონისი, იონასი, მიქიასი, ნაომისი, ამბაკომისი, სოფონისი, ანგიასი, მალაქიასი და სხვ. (№ 471—A).

„ქ ე ბ ა - ქ ე ბ ა თ ა ჲ" სოლომონისი, დაწერილი XI—XII საუკუნის მდივანმწიგნობრული ხელით. ძნელად გასარჩევი მდივანმწიგნობრული —გაშიფრულია ვახტანგ VI მიერ და მისივე ხელით სტრიქონებს შორის ჩაწერილია ყოველი სიტყვის წაკითხვა. ვახტანგის შენიშვნები მოიპოვება აშიებზე როგორც ამ ტექსტის, ისე კრებულის სხვა შემადგენელი ნაწილების მიმართაც (№ 65—A).

დ ა ვ ი თ ნ ი, უძველესი, წინაათონური რედაქციისა, ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდელებისაგან „ქართულ დავითნად" წოდებული. გადაწერილია ეტრატზე, ლამაზი მრგლოვანით 904 წელს. დავითნის ამ რედაქციას გააჩნია ლიტურგიკული დაყოფა კანონებად და ფსალმუნებად, რაც გამოყოფილია სინგურით (№3მ—A).

დ ა ვ ი თ ნ ი, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. ხელნაწერი პატარა ზომისაა, გადაწერილია ეტრატზე. ნუსხურით, ამბროსის მიერ 1495 წელს, ვინმე მზეკაბუკისათვის. დასაწყისში დახატულია ფერადებით მშვენივრად შესრულებული დავითის მინიატურა ქნარით ხელში. სათაურები და საზედაო ასოები დაწერილია ოქრომელნით. ხელნაწერს გააჩნია გვიანდელი მინაწერები. შემოსულია ქვათახევის მონასტრიდან (№ 35—A).

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის სხვადასხვა დროს გადაწერილი დავითნის ნუსხები ამ ფონდში მრავლად მოიპოვება. ასეთებია: № 1315 (XIII ს.); № 782 (XIII—XIV ს.); № 732 (XIV ს.); № 488 (XV ს.); № 579 (XV ს.); № 709 (XV ს.); № 775 (XV ს.); № 1457 (XV—XVI ს.); № 1606 (XV—XVI ს.); №№ 180, 211, 214, 350, 585 (XVI ს.).

ფონდში დაცულია მრავალმხრივ საინტერესო ოთხთავები, როგორც წინაათონური პერიოდისა, ისე ექვთიმე მთაწმიდელისა (№ 484) და დიდი რაოდენობით გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. სანიმუშოდ დავასახელებთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცალებს:

პ ა რ ხ ლ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი, წინაათონური რედაქციისა, გადაწერილია შატბერდში 973 წელს იოანე ბერაძს ხელით, შესანიშნავ ეტრატზე, ლამაზი მრგლოვანით... „მე, იოანე ბერამან, მწერალმან შატბერდისამან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა...“

ხელნაწერის მხატვრულ გაფორმებად ითვლება სადა ბოლოსამკაულები, გრაფიკულად შესრულებული საზედაო ასოები და ვერტიკალურად ჩამოგრძელებული ზოგიერთი ასო.

ხელნაწერს გააჩნია მეტად საინტერესო ანდერძ-მინაწერები. ეს ოთხთავი ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის სიძეს ვახუშტი აბაშიძეს „თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებიანი გულით დაეხსნა...“ ვახუშტის ძეს ნიკოლოზ აბაშიძეს იგი განუახლებია და 1739 წელს ხახულის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს (№ 1453—A).

პარხლის ოთხთავი გამოცემული აქვს პროფ. აკ. შანიძეს (იხ. „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“. თბილისი, 1945 წელი).

ქ ს ნ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი, აგრეთვე ძველი, წინაათონური რედაქციისაა. გადაწერილია X საუკუნის მთავრულით ეტრატზე. ოთხთავს უძღვის კამარებით მოხატული კანონები (№ 509—A).

ო თ ხ თ ა ვ ი, ძველი რედაქციისა, დაწერილია X საუკუნის მთავრულით ეტრატზე. ხელნაწერი მეორედ დაუკაზმავთ 1070 წელს. „...შეიმოსა...მეორედ ჴელითა გლახაკისა იოვანესითა“. მინაწერებში იხსენებიან თედორე და გაბრიელი. ძველი ტექსტი, შემდეგ (XII—XIV საუკ.) შეუსწორებიათ ექვთიმე მთაწმიდელის რედაქციის მიხედვით.

ხელნაწერში მოგვიანებით ჩაუკერებიათ ეტრატზე უხეშად შესრულებული მახარებელთა გამოსახულებანი (№ 98—A).

ურ ბ ნ ი ს ი ს ო თ ხ თ ა ვ ი, წინაათონური პერიოდის განსაკუთრებული რედაქციისა. გადაწერილია ეტრატზე X საუკუნის მშვენიერი მრგლოვანით, იოანე ტატანელის მიერ. ოთხთავის კანონები შემკულია კამარებით, რომელშიაც ჰარბობს მწვანე და წითელი ფერი. ამავე ფერებითაა მოხატული საზედაო ასოებიც, ზოგან ფრინველის, სურის და სხვათა გამოსახულებით.

ხელნაწერი საყურადღებოა ისტორიული ხასიათის მრავალი მინაწერით და თვით ამ ოთხთავის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ცნობებით. ამ უკანასკნელთა მიხედვით ირკვევა, რომ იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მონასტრისა და პირის საკუთრებას შეადგენდა. XVI საუკუნემდე ეკუთვნოდა კავკასიეთა საგვარეულო ეკლე-

სახარება (ურბნული) X საუკ. ასომთავრული-ხუცური დამწერლობის ნიმუში,
ნემკული სახედაო ასოებით

სიას, XVI საუკუნის პირველ ნახევარში—სეიმონ ქუთათელს, ხოლო XVI საუკუნის მიწურულში ბედიელ მიტროპოლიტს—ანტონ ყვანიძეს. 1798 წელს ეს ოთხთავი დადებული ყოფილა ასტრახნის ტაძრის წიგნსაცავში, XIX საუკუნის დამდეგს იგი დაუბრუნებიათ ურბნისის ტაძარში, ხოლო 1889 წელს გადაუციათ საეკლესიო მუზეუმისათვის (№ 28—A).

ალავერდის ოთხთავის სახელწოდებითაა ცნობილი ეკვთიმე მთაწმიდელის რედაქციის სახარების ერთადერთი ნუსხა დაცული ჩვენს ფონდებში. დაწერილია კარგ ეტრატზე, კალიპოსის ლავრაში (შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად), ცნობილი კალიგრაფების—სიმონ დვალისა და მისი შვილის გიორგის ნუსხური ხელით. ხელნაწერი XI საუკუნის შუაწლებისაა. მას ჩოეპოვება მეტად მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერები. ოთხთავის ეს ნუსხა გაფორმების თვალსაზრისითაც საინტერესოა. მოხატულია დიდი გემოვნებითა და ოსტატობით შესრულებული კამარებით, თავკაზმულობებით, საზედაო ასოებითა და ხახარებელთა მინიატურებით. ხელნაწერი ჩასმულია ვერცხლის ჭედურ ყდაში, რომლის ზედა ნაწილზე დამაგრებულია წმინდა ნაწილები, მოთავსებული ვერცხლისავე ბუდეებში. ყდის ცენტრში ფერწერით გამოსახატულია ქრისტე, რომლის ორნაბენტიანი ნიმბი შემკულია ფირუზებითა და მარგალიტებით; მარცხნივ დამაგრებულია შესანიშნავი ხელოვნებით ნაკეთები ქართული ტიხროვანი მინანქრის უძველესი ნიმუში, ახალგაზრდა წმიდანის (გიორგის) გამოსახულებით. ყდის შემკულობას შეადგენს აგრეთვე ვერცხლის ლურსმებით დამაგრებული მარგალიტები და ბუდეებში ჩასმული ქვები (№484—A).

რუისის ოთხთავი, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. ეს ნუსხაც გადაწერილია XI საუკუნეში შავ მთაზე, „უდაბნოსა ლერწმის ვევისასა". დაწერილია ეტრატზე ლამაზი ნუსხურით, შავზაქარიას მიერ. ხელნაწერი შემკულია მახარებელთა სურათებით. ერთ-ერთ მინაწერში დასახელებულია მხატვარი ანანია: „მონასა და ამისსა მხატვარსა ანანიას შეუნდენეს ღმერთმან". აგრეთვე იხსენებიან: ათაბაგი ამირსპასალარი ყვარყვარე, ძე მისი ბაადურ და ძმა ქაიხოსრო (№ 845—A).

ვანის ოთხთავი, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა, გადაწერილია თამარ მეფისათვის მშკენიკრად დამუშავებულ ეტრატზე, ლამაზი ნუსხურით. სათაურები და საზედაო ასოები დაწერილია ყავისფერი მელნით, თვით ტექსტი—ოქრომელნით. ხელნაწერს



სახარება (პარხლის), ი ო ა ნ ე ბ ე რ ა ი ს ხელითწგადაწერილი, X საუკ.
ასომთავრული-ხუცური დამწერლობის ნიმუში

ყდაზე გადაკრული აქვს ქსოვილი (ამჟამად საკმაოდ დაზიანებული). ივანე ჯავახიშვილის აზრით ეს ქსოვილიც XII საუკუნისაა. ოთხთავი საგანგებოდაა შემკული. მას გამოუთქმელად მდიდრულ, საზეიმო სახეს აძლევს ოქროს ფონზე ლურჯი, მწვანე და მკაფიო წითლით მოხატული კამარები, თავკაზმულობანი, ქრისტესა და მახარებელთა დიდი ოსტატობით შესრულებული მინიატურები. კამარების სიმშვენიერეს, გარდა იშვიათი ხელოვნებით გადმოცემული ცხოველებისა და ფრინველებისა (რაც, ჩვეულებრივ, თან სდევს კამარების არქიტექტურას), აძლიერებს მოძრაობაში წარმოდგენილი ფიგურები (მაგ. ზანგი ერეკება აქლემს, ადამიანის ბრძოლა ლომთან, ქალი, წელსქვემოთ ჯიქის გამოსახულებით, უკრავს ქნარზე და სხვ.).

ორნამენტების განსაცვიფრებელი სიმდიდრე და მინიატურების შესრულების მაღალი დონე დამსახურებლად აკუთნებს ამ ხელნაწერს ერთ-ერთ პირველ ადგილს მსოფლიოში ცნობილ ანალოგიურ ძეგლთა შორის.

ოთხთავი გადაწერილია ‹ოქრომწერლის› იოანეს მიერ: „ქ. ესე სახარება მე, იოანე ულირსმან, საპყარმან და მლოცველმან წმიდისა დედოფლის თამარისმან, ვიოფლე წერით ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლის. ლოცვა ყავთ ყოველთა“ (№ 1335—A).

ლ ა ბ ე ჭ ი ნ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. გადაწერილია XIII საუკუნეში, ეტრატზე, „ჭელითა დვალ გიორგისითა“. ეს ნუსხა საინტერესოა გიორგი ლაბეჭინელის ვრცელი ანდერძით, რომელშიაც მოთხრობილია მიწის ძვრისაგან ლაბეჭინის საყდრის დანგრევისა და გიორგისაგან კვლავ აგების ამბავი: „...მოიწია დიდი და საშინელი ძვრა. მათ პირველთა ლაბეჭინელთა მოპირვებული და შენებული, და თჳთ ჩემი, ყოველთაჲ ერთსა დღესა საფუძველითურთ დაირღუა. შიგან ეკლესიასა რაჲცა ხატნი იყვნეს და მოწყობილობაჲ დაილეწნეს და იავარ იქნეს, გარეთ ნაშენებიცა ყოველთაჲ“...ამის შემდეგ გიორგი ლაბეჭინელს დაუწყია ეკლესიის ახლად აგება, სამ ზაფხულს უშენებია საკუთარი საფასით, დახმარებია რუსუდან დედოფალიც. „შეუნდვნეს ღმერთმან დედოფალთ-დედოფალსა [ვახტანგის] დედასა რ უ ს უ დ ა ნ ს, მას ჟამსა შენებისათჳს გალატოზთა ზედა ფასი მან გასცა“... (№ 1563—A).

ო თ ხ თ ა ვ ი, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა, გადაწერილია ეტრატზე, ლამაზი XIII საუკუნის ნუსხურით. ამ ნუსხას გააჩნია მეტად საყურადღებო ანდერძი. სახარების მომგებლად

პირველად აქ იხსენებიან გლეხები: „...ღირს ვიქმენით ჩვენ ცოდვილნი და უღირსნი მონანი და თაყვანისმცემელნი და გ ლ ე ხ ნ ი წმიდისა კჳრიაკესნი დაწერინებად წმიდისა ამის ოთხთავისა სულთა და ჴორცთა განმანათლებელსა ჩუენ მუჩათური გრიგოლ და გავაზელის ძე აფხაზელი და მათნი ძმანი და შვილნი...

ჩვენ, ორმა სახლმა დავაწერინეთ მუჩათურმან და გავაზელთა ჩვენითა ალალითა ჴელფასითა და პურ-წყლითა და ყოველითა ჩვენისა საჴმარითა და დიდითა გულმოდგინებითა ვიხარკეთ ჩვენ“...

ხელნაწერს მოეპოვება მინაწერი მდივანმწიგნობრული ხელით, რომელშიაც მოხსენებულია ავაგ [მხარგრძელი] (№ 281—A).

ლ ა რ გ ვ ი ს ი ს ო თ ხ თ ა ვ ი, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა, გადაწერილია XIII საუკუნეში ნიკოლოზ კატარაწისძის მიერ, ნუსხურით, ეტრატზე. ხელნაწერი შემკულია იშვიათი თავკაზმულობებით, კამარებით, მახარებელთა მინიატურებით და ოქრომელნით შესრულებული საზედაო ასოებით. ხელნაწერში შემონახულია რამდენიმე ბოძებისა და ნასყიდობის წიგნი, ჩაწერილი მას შემდეგ, რაც ეს ოთხთავი ლარგვისის მონასტრის (ქსნის ერისთავთა სამფლობელო) საკუთრებად იქცა (XVI ს.) (№ 26 —A).

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მხატვრულად შემკული ოთხთავები, ისტორიული მნიშვნელობის მქონე მინაწერებით, ამ ფონდში სხვაც მრავალია, მაგ.: №495 (XII—XIII ს.); №357 (XIII ს.); № 499 (XIII ს.); №138 (XIII ს.); № 496 (XIII—XIV ს.); №99 (XIV ს.); № 401 (1514 წლისა, გატაცებული 1782 წელს და ტყვეობიდან გამოყიდული ერეკლე II-ის მიერ); № 1097 (პატარა ზომისა, გადაწერილი 1714 წელს დომენტი კათალიკოსის ბრძანებით „ჴელითა მღვდ. მახარებელისაჲთა“, მეტად წვრილი ნუსხურით, თხელ ქაღალდზე. ხელნაწერი საგანგებოდაა შემკული, როგორც გვერდების მხატვრული გაფორმებით, ისე მოოქრული ვერცხლის ყდით. ზედა ყდაში ჩასმულია ძვირფასი ქვები. ქვედაზე—რელიეფურად გამოხატულია ჯვარცმა. ყდის ზურგი ორნამენტებითაა შემკული).

ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. გადაწერილია 1083 წელს ეტრატზე გიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ. როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს ნუსხა მესამე ცალია თვით გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიდან გადაწერილი: „...გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისა მეორედ გადმოწერილისაგან დავწერე ესე მესამე“...



სახარება X—XI საუკ., კამარათა მოხატულობის ერთი ნიმუში, № 98—A

სამოციქულოს შემადგენელი ნაწილები ამ ნუსხაში შემდეგი რიგით არის დალაგებული: 1. საქმე მოციქულთა, 2. კათოლიკე ეპისტოლენი და 3. პავლეს ეპისტოლენი. ყოველ ეპისტოლეს უძღვის წინასიტყვაობა. ბოლოში ერთვის იამბიკური ლექსი, რომლის კიდურწერილობაში ამ სამოციქულოს მთარგმნელად და ლექსის ავტორად გიორგი მთაწმიდელია გამოყვანილი: „დაესრულა პავლე, ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი გეორგი“.

სამოციქულოს გარდა ამ ხელნაწერში შესულია დოგმატიკური ხასიათის წერილებიც. ერთვის XVIII საუკ. ნუსხურით ქაღალდზე დაწერილი სამოციქულოს საკითხავების საძიებელი (№ 584—A).

ეს ხელნაწერი აღწერილი და გამოცემული აქვს პროფ. ილია აბულაძეს (იხ. „საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით“, თბილისი, 1950).

ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. გადაწერილია ეტრატზე, XIII საუკ. ნუსხა-ხუცურით. შედგენილობა სამოციქულოსი აქაც ისევეა დალაგებული, როგორც ზემოაღნიშნულ № 584-ში, იმ განსხვავებით, რომ წინასიტყვაობანი ცალ-ცალკე კი არ ერთვის ეპისტოლეებს, არამედ ერთადაა თავმოყრილი. ამ ხელნაწერსაც გააჩნია გიორგი მთაწმიდელის იამბიკო, უკვე მოხსენებული კიდურწერილობით (№ 34—A).

ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო, გადაწერილია XIV საუკ. ნუსხურით, ეტრატზე. სამოციქულოს შემადგენელი ნაწილები დალაგებულია ისე, როგორც ზემოთ ნაჩვენებ № 584-ში. ბოლოში დართული აქვს თვეებისა და დღეების რიგზე განლაგებული საკითხავების საძიებელი. აქ, „საქმე მოციქულთას“ წინასიტყვაობას ერთვის ეფრემ მცირის ნათარგმნი და არსენ იყალთოელის ორიგინალური იამბიკოები (№ 137—A).

ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო, თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ, ეფრემ მცირის რედაქციაქმნილი. გადაწერილია XII საუკუნის მსხვილი ნუსხა-ხუცურით. შედგენილობის განლაგება ისეთივეა, როგორც ზემოთ ნაჩვენებ ნუსხებში (№№ 584, 137), ე. ი. ჯერ წარმოდგენილია საქმე მოციქულთა, შემდეგ კათოლიკე ეპისტოლენი და ბოლოს პავლეს ეპისტოლენი. ერთვის დამოწმებული ადგილების ცხრილი და ეფრემ მცირის ანდერძი: „...მათივე თარგმნილი [გიორგი მთაწმიდელისა] საქმე მოციქულთაჲ, კათოლიკენი და ეპისტოლენი წინა მესხნიან და სამოციქულოჲ სიტყუაჲ მიერ დამიწერია, რაჲთა არა მეორედ თარგმნილად შეირაცხოს წიგნი სამოციქულო...აწ უკუე სადაც კიდესა სტრიქონისასა ანუ სიტყუასა ზედა იოტაჲ ჰპოო და სიტყუასა თანა უსა-

კუთრესი, ცან, ვითარმედ მცირედ ცვალება ჰნებებია...“ (№ 677—A). იხ. „საქმე მოციქულთა. ძველი ხელნაწერების მიხედვით“. გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1950 წ.

ᲐᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲕᲘ, გადაწერილია ლამაზი, X საუკუნის მრგლოვანით, ეტრატზე. ხელნაწერის შემკულობას შეადგენს მხატვრულად შესრულებული საზედაო ასოები. მრავალთავში, სხვათა შორის, შესულია იოანე საბანისძის (VIII საუკუნის მოღვაწის) თხზულება: „წამებაᲐ წმიდისა აბოᲒᲘსი“. ხელნაწერში იხსენებიან ამ ნუსხის მომგებელნი: „ქრისტე, შეიწყალენ ამის წიგნისა მომგებელნი: მამფალი მტბევარი, იოვანე და მამა თეოდორე, ამინ“ (№ 19—A).

ᲞᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲕᲘ წარმოადგენს დიდი ტანის ეტრატის ხელნაწერს. გადაწერილია პარხლის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში X საუკუნეში, გაბრიელ პატარაᲐᲒᲘ მიერ. ეს კრებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მით, რომ აქ, სხვა თხზულებებთან ერთად, შემონახულია ქართული ლიტერატურის ორი უძველესი ძეგლი: 1. იაკობ ცურტაველისა—„წამებაᲐ წმიდისა შუშანიკისი“ (V საუკ.) და 2. იოანე საბანისძის—„წამებაᲐ წმიდისა აბოᲒᲘსი“ (VIII ს.).

XVI საუკუნეში, როდესაც სამცხე-საათაბაგო თურქებმა დაიპყრეს, ეს ხელნაწერი ხელთ ჩავარდნია მტრებს, ხოლო XVII საუკუნეში დადიანის ასულს, მარიამ დედოფალს, გამოუყიდვინებია იგი და განუახლებია (№ 95—A).

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲜᲘ, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ, გადაწერილია ეტრატზე X საუკ. ლამაზი ნუსხურით ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ხელნაწერის მხატვრულ გაფორმებას შეადგენს თავსამკაულები და ლამაზად შესრულებული საზედაო ასოები. კრებულის შედგენილობაა: 1. ცხოვრება მარიამ მეგვიპტელისა, 2. თხრობანი და სწავლანი ონოფრესი, ზოსიმესი და ეფრემისი. თითოეულს გააჩნია ანდერძი, რომლებშიაც იხსენებიან მთარგმნელი ექვთიმე ათონელი და მამამისი იოანე ათონელი (№ 1104—A).

ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. გადაწერილია ეტრატზე X—XI საუკ. დამდეგის ნუსხურით დოსითესაგან. ხელნაწერს გააჩნია მწვანე და წითელი ფერით მოხატული თავსამკაულები. კრებულში შესულია ცხოვრებები: სჯმეონ მესვეტისა, ამბა სჯმონისი, დანიელ მესვეტისა და



მრავალთავი (სვანური), XI ს., ერთი გვერდი

იოანე ღვთისმეტყველისა (ეს უკანასკნელი დაწერილია ქაღალდზე XVII საუკუნის ხელით). აქვეა შესული თარგმანება აპოკალიპსისა (იხ. ეკზეგეტიკა). ამ ნუსხაში სტრიქონებს შორის, ტექსტის ხელითვე, ჩართულია მინაწერები, რომლებშიაც ცოცხლებად იხსენებიან: დავითი, სჯმეონ, პავლე, ანტონი, მაკარი, იოანე, არსენი, არსენი (ორი არსენი) და სხვ. გარდაცვლილებად: ბერა (X ს. შატბერდის კრებულის გადამწერი), გიორგი ჯოჯიკი, ეზრა, ვარაზ-ვაჩე და სხვ. (№ 397—A).

„ცხოვრებათა“ კრებული, გადაწერილია ივერიის ქართველთა მონასტერში 1011—1019 წ. წ. ექვთიმე ათონელის თანამოღვაწეთა: იოვანე გრძელიძის, არსენ ნინოწმიდელისა და ოქროპირის მიერ ეტრატზე, ტიპიური ათონური ნუსხურით. კრებულში შესულია: 1. ცხოვრება გრიგოლისი რომთა პაპისა, 2. დიალოგონი, 3. ცხოვრება ბასილისი, 4. ცხოვრება გრიგოლ ღვთისმეტყველისა, 5. ცხოვრება წმიდისა ნიკოლოზისი, 6. ანდრია მოციქულის მიმოსვლისათვის, 7. წამება წმიდისა პროკოპისი და სხვა. თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. ხელნაწერს დართული აქვს მთარგმნელისა და გადამწერის ანდერძები, რომლებიც ათონის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია (№ 1103—A).

ათონის კრებული, გადაწერილია 1074 წელს—ეტრატზე, ნუსხურით მიქელ გალისონელის, მღვდლის იაკობისა, ზოსიმესა და იოანე თაფლაჲსძის ხელით. ხელნაწერი ჩამოტანილია ივერიის ღვთისმშობლის მონასტრიდან. კრებული მეტად საინტერესო შედგენილობისაა. მან შემოგვინახა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებები: ილარიონ ქართველისა, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელთა და მათ სახელზე დაწერილი საგალობლები და სხვა. აქვეა ცნობები ქართველთა მონასტრის რომანას (კონსტანტინეპოლის მახლობლად) აგების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისტორიული თვალსაზრისით, ამ კრებულში შესული ათონის აღაპები (ეს უკანასკნელი გამოცემულია ყოფ. საეკლესიო მუზეუმის მიერ 1901 წელს) (№ 558—A).

ცხოვრება გრიგოლ ღვთისმეტყველისა, თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. გადაწერილია ეტრატზე, ლამაზი ნუსხურით კალიგრაფ ბასილის მიერ 1031 წელს, კონსტანტინეპოლში, ზაქარია ბანელის დაკვეთით. ხელნაწერი შემკულია დიდი მხატვრული ოსტატობით შესრულებული თავკაზმულობებითა და საზედაო ასოებით. ამ ნუსხაში, გარდა ცხოვრებისა, შესულია გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები. ხელნაწერს გააჩნია მოგვიანო დროის ისტორიული ხასიათის მინაწერები (№ 1—A).



ათონის კრებული, XI ს., ერთი ფურცელი ეკვთიმე მთაწმიდელის ცხოვრებიდან

ცხოვრება-მარტვილობათა წიგნის რამდენიმე ფრაგმენტი (№№ 199, 707, 832, 833). თავის დროზე ეს ფრაგმენტები წარმოადგენდა ერთ კრებულს. სიძველის გამო იგი დაშლილა და ამ ფონდში შემოსულა სხვადასხვა დროს. გადაწერილია ერთი ხელით, XIII საუკ. ნუსხურით. დასახელებული ფრაგმენტები მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ თარგმნილი მასალის გვერდით, აქ შესულია ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები. ხელნაწერმა შემოგვინახა სირიელ მამათა ცხოვრება-მარტვილობათა, ე. წ. არქეტიპული რედაქციები: ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, ცხოვრება შიოსი და ევაგრესი, ცხოვრება დავით გარეჯელისა და მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა (№ 199); წმინდა ნინოს არსენისეული რედაქცია, მეტად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მინაწერებით (№ 707) და ნაკლული, მაგრამ უძველესი ნუსხა „სიბრძნე ბალავარისა" (№№ 199, 833).

საყურადღებოა ქართველ წმიდათა ცხოვრებები, კრებულად შედგენილი 1704—1713 წლებში კათალიკოზ-პატრიარქის დომენტის ინიციატივით. ეს პირველი ქართული აგიოგრაფიული კრებულია, რომელშიაც შესულია: ცხოვრება დავით გარეჯელისა, შიო მღვიმელისა, აბიბოს ნეკრესელისა, კოსტანტინე ქართველისა, წმ. გობრონისა, ესტატე მცხეთელისა, შუშანიკისა. ქეთევან დედოფლისა, დავით და კონსტანტინესი, ლუარსაბ მეფისა, არჩილ მეფისა, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებისა, ილარიონ ქართველისა, პეტრე ქართველისა, აბოსი და წმიდა ნინოსი. გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის გაბრიელ საგინაშვილის მიერ, 1713 წელს, დავით გარეჯის უდაბნოში. ხელნაწერს გააჩნია მრავალი ისტორიული ხასიათის მინაწერი (№ 130—A).

დომენტი კათალიკოსის მიერ შემუშავებული ქართული აგიოგრაფიული კრებულის ტიპი საფუძვლად დაედო XVIII საუკუნის კრებულების (ქართველ წმიდათა ცხოვრებების) სხვა ნუსხებსაც, როგორიცაა № 170 (გადაწერილია თბილისში 1713 წელს) და № 176 (გადაწერილია სხვადასხვა ხელით, სხვადასხვა დროს: 1734 წ., 1736 წ., და ნაწილი 1743 წელს).

აპოკრიფული თხზულებები

კრებული, თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. გადაწერილია X—XI ს. ლამაზი ნუსხურით—ეტრატზე, ბენედიქტესა და ბეთლემისაგან. კრებულში შესულია: 1. მაქსიმე აღმსარებლისა—



სახარება (ალავერდის), XI ს., კამარათა შემკულობის ერთი ნიმუში

ცხოვრება ღვთისმშობლისა და მისი მოციქულებრივი მოღვაწეობა და 2. გიორგი ნიკომიდიელისა—ჯვარცმა და დასაფლავება იესოსი.

ხელნაწერი შემკულია ოქრომელნით შესრულებული საზედაო ასოებითა და მახარებელთა ლუკასი და იოანეს) მინიატურებით, ოქროს ფონზე. აქ წარმოდგენილი ფერწერის მაღალი ოსტატობა იმდროინდელი ქართული ხელოვნების ნიმუშად ითვლება.

ხელნაწერში მოხსენებულნი არიან ამ წიგნის მკაზმავ-აღმ-დგენელი იოსებ ხუტუნისძე, მამამისი გოგნია ხუტუნისძე, მეუღ-ლე—მზექალა და ძე მათი ხუხუბიაჲ, აგრეთვე მომგებელი წიგ-ნისა—გერძანოზ ელმელიქისძე (№ 40—A).

აპოკრიფული თხზულება „შ ი შ ვ ე ლ - მ ა რ თ ა ლ თ ა თ ვ ი ს“ შემოუნახავს XII საუკ. კრებულს (№ 65—A).

ასკეტიკა

ა ს კ ე ტ ი კ უ რ თ ხ ზ უ ლ ე ბ ა თ ა კ რ ე ბ უ ლ ი. გადაწერილია X საუკუნეში, ეტრატზე, იოანეს მიერ, ილარიონ იშხნელის დაკვეთით. ხელნაწერი შემკულია მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოებით. ოგი ნაპოვნია ნიქოზის ტაძრის ეზოში პოეტის იოსებ დავითაშვილის მიერ (№ 35—A).

კ ლ ე მ ა ქ ს ი იოანე სინელისა. გარდა კლემაქსისა ამ კრებულ-ში შესულია იოანე სინელისა და ბაგრატ ტავრომელის ცხოვ-რებათა აღწერა. თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. ხელ-ნაწერი გადაწერილია კონსტანტინეპოლის მახლობლად ქართველთა მონასტერში—„სოხასტერსა შინა რომანაჲსასა“ 1066 წ. სიმეონ დვალის მიერ, ეტრატზე, ნუსხურით.

ხელნაწერს მოეპოვება ისტორიული მნიშვნელობის მინაწერე-ბი—ტექსტის ხელით (№ 134—A).

კ ლ ე მ ა ქ ს ი იოანე სინელისა, თარგმნილი ექვთიმე მთაწმი-დელის მიერ. აქვეა ცხოვრება იოანე სინელისა და ეპისტოლენი: 1. იოანე რაითელისა იოანე სინელს და 2. იოანე სინელისა იოანე რა-ითელს. ტექსტი დაწერილია ეტრატზე X —XI საუკ. ნუსხურით. ი ავ-სა და ბოლოში დანაკლისი ადგილები აღდგენილია დავით რეკ-ტორის ხელით (ქაღალდზე). მინაწერებში იხსენებიან არსენი (ათონის X ს. მოღვაწე) და გურგენ, ძე სუმბატისი ერისთავისაჲ (აგრეთვე X ს. ისტორიული პირია. იხ. ათონის ალაპები, გამოც. 1901 წელს) (№ 265—A).

წ ი გ ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა თ ა თ ვ ი ს და მ ო ღ ვ ა წ ე ბ ა თ ა წ მ ი-დ ა თ ა და ნ ე ტ ა რ თ ა მ ა მ ა თ ა ჩ ვ ე ნ თ ა ჲ ს ა, თეოფილე ხუცეს-

მონაზონის რედაქციისა (პირველი რედაქცია ამ თხზულებისა ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს). ხელნაწერი ათონურია. გადაწერილია XI საუკუნის მეორე ნახევარში, საგანგებო, გაკრული ნუსხურით გიორგი ბერის მიერ. ხელნაწერში, თანჩართვით, მრავალგან იხსენება მთარგმნელი თეოფილე და მომგებელი ბერი კლიმი, რომლის „...მოღვაწებითა ითარგმნების წმიდაჲ ესე სულთა საცხორებელი წიგნი". აქ თეოფილე ხუცეს-მონაზონის შესახებ ვკითხულობთ: „ლოცვა ყავთ წმიდანო მამანო ცოდვილისა თეოფილე რეცა თარგმანისათვის".

„...ღ~ნ შეიწყალენ ცოდვილი თეოფილე ამისი თარგმანი".

ხელნაწერს ბოლოსაცავ ფურცელზე გააჩნია 1833 წლის მინაწერი ბერი ბენედიქტესი, რომელსაც ეს წიგნი დაუკაზმავს ათონზე (№ 1105—A).

ეგზეგეტიკა

ეგზეგეტიკური შრომები ამ ფონდში მრავლად მოიპოვება. უძველესი (VI—VII საუკ.) ბიბლიის საკითხავები XI საუკუნეში გადაუფხეკიათ და საწერ მასალად გამოუყენებიათ, ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ, ეგზეგეტიკურ ნაშრომისათვის, სახელდობრ: იოანე ოქროპირის—თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა მ ა თ ე ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა (№ 89). იგივე თხზულება (იოანე ოქროპირის...თარგმანება მათეს სახარებისა, ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი) გადაწერილია ეტრატზე XI საუკუნეში. ხელნაწერს ერთვის მთარგმნელის ანდერძი და მისი (ექვთიმეს) შრომების სია. ხელნაწერის მოკაზმულობას შეადგენს საზედაო ასოების მხატვრული გაფორმება (№ 88—A).

ამავე „თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი ს" მნიშვნელოვანი ნუსხებია: № 136, გადაწერილი XI საუკუნის მეორე ნახევარში ეგნატი ხუცეს-მონაზონის მიერ, წყაროსთავში (სამხრეთ საქართველო), მთარგმნელის მამის, იოანე მთაწმიდელის ბოლოსიტყვაობით. დიდი ნაწილი ფურცლებისა წარმოადგენს პალიმფსესტს; ხელნაწერი შემკულია ორნამენტური თავსამკაულებით და კვარცხლბეკზე ამართული ჯვრით; № 91, XI საუკუნისა, № 36, XII საუკუნისა, გადაწერილი და შეწირული შოროთას წმ. გიორგის ეკლესიისათვის, კოზმან უგრეხელიძის მიერ; № 365, გადაწერილი XII საუკუნეში. სქელ ქაღალდზე, ვინმე მარკოზის მიერ. ხელნაწერს გააჩნია XIII და XVIII საუკ. ისტორიული ხასიათის მინაწერები. ნუსხა შემკუ-

ლია ორიგინალური საზედაო ასოებით; განსაკუთრებით საყურადღებოა მთელი გვერდის სიგრძეზე მცენარეთა წნულით გადმოცემული საზედაო ასო: ხელის, ნადირის თავისა, ურჩხულისა და



X—XI საუკ. -ის ხელნაწერის შემკულობის ერთი ნიმუში

ფრინველის გამოსახულებებით. სხვა საზედაო ასოები შესრულებულია გრაფიკულად, წითელი და შავი პუნქტირით. ეს ხელნაწერი XIII საუკუნიდან ეკუთვნოდა ვარძიის იოანე ნათლისმცემლის ტაძარს, ხოლო XVIII საუკუნეში თელავის კარის ეკლესიას; № 256, XIII საუკუნისა, დაწერილი ეტრატზე, XVIII საუკუნის (1741 და 1753 წ.წ.) მინაწერებით, რომელიც ეხება დოდოს მონასტრის კრებულის [„ძმობის“] ცხოვრებას. ხელნაწერი შემკულია წითელი და მწვანე ფერებით მოხატული საზედაო ასოებით.

დ ა ვ ი თ ნ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა. ბასილ დიდის ეს თხზულება, თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ, გადაწერილია ეტრატზე, ლამაზი ნუსხურით, შატბერდში (ქლარჯეთში) 1033 წელს, დავით

ჯიბიძისა და მისი შვილის იოანეს მიერ. მათგანვეა იგი შემოსილი და შეწირული შატბერდის მონასტრისათვის. ხელნაწერი შემკულია ფერადებით შესრულებული საზედაო ასოებით (№ 135—A).

ა პ ო კ ა ლ ი პ ს ი ს თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა. ანდრია კესარიელის ეს თხზულება გადაწერილია X—XI ს. და შესულია მ ა მ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს კრებულში (№ 397 იხ. აგიოგრაფია).

ე ქ ვ ს თ ა დ ღ ე თ ა თ ვ ი ს ბასილი დიდისა, თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ. გადაწერილია XI საუკუნეში, შატბერდში „ჟელითა გრიგოლ ვაჩეძორელისათა“ (№ 73—A).

ჰიმნოგრაფია

ძ ლ ი ს პ ი რ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი, X საუკუნისა, გადაწერილია ტაოელი კალიგრაფის იოანეს მიერ. ხელნაწერი შეიცავს ღვთისმშობლის საგალობლებს. ეს კრებული, მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი ს ცნობილ X საუკუნის იადგართან ერთად, უძველესი ხელნაწერია, რომელშიც დაცულია ძველი ქართული სანოტო ნიშნები, ამდენად, ქართული მუსიკის ისტორიისათვის მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს (№ 603—A).

ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო. ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი XI საუკუნისა, დაწერილია კარგ ეტრატზე, კალიგრაფიული ნუსხურით. მთელ რიგ საგალობლებს, მსგავსად წინა ხელნაწერისა, გააჩნია ძველი ქართული სანოტო ნიშნები. ეს კრებულიც, ისევე როგორც ძლისპირთა კრებული (№ 603), ზოგ შემთხვევაში იმეორებს მიქელ მოდრეკილის (S— № 425) ჰიმნოგრაფიულ მასალას (№ 596).

ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი, XI საუკუნისა. ხელნაწერი ნაკლულია, შემორჩენილია: დასდებელნი აღდგომისანი, რამდენიმე თვის სადღესასწაულო და დასდებლები გამოკრეფით. (№ 1562—A).

დ ი დ ი პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი, თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ, გადაწერილია ოპიზის ლავრაში 1093 წელს, ეტრატზე, თვით გიორგი მთაწმიდელის ნუსხის პირიდან, ათანასეს მიერ და მისგანვე შეწირულია იოანე ნათლისმცემლის მონასტრისათვის. ხელნაწერს ერთვის გადამწერის ანდერძი: „დაიწერა ქორონიკონსა ტიბ დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას. დედაჲ გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისაგან დაწერილი მქონდა, მაგრამ ეზოვ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა და მე კაცი ვიყავ მოდღევნებული...“ (№ 93—A).

ოქტოიხოსი (რვა ხმაზე დაწერილი კვირეული საგალობლები), XII საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით, ეტრატზე. ალაგ-ალაგ ნაწერი გაცხოველებულია გრიგოლ ბანდაძსძის მიერ: „ამისა მაცხოველებელს გრიგოლს ბანდაძსძეს შეუნდენეს ´ღმერთმან...“ (№ 576—A).

ოქტოიხოსი, XIII საუკუნისა, დაწერილია ეტრატზე, ნუსხურით. ხელნაწერი მოხატულია მეტად ორიგინალური თავსამკაულებით, საზედაო ასოებითა და წნული პაწაწა ჯვრებით, რომლებიც მოთავსებულია წნულსავე კვარცხლბეკზე (№ 94—A).

საგალობელთა კრებული, გადაწერილია 1233 წელს, ეტრატზე. ბოლო ფურცლები ქაღალდისაა და ნაწერია XVI საუკუნის ხელით. კრებულში წარმოდგენილია: 1. ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი, 2. აღდგომის საგალობლები, 3. გამოკრეფილი სადღესასწაულო საგალობლები და სტიქარონნი საწელიწდონი.

ამავე კრებულშია კათალიკოს არსენ ბულმაისიმისძის შედგენილი საგალობლებიც. ზოგიერთ საგალობელს გააჩნია მუსიკალური პუნქტუაცია. ამ ხელნაწერში წარმოდგენილია, აგრეთვე, ქართული წელთაღრიცხვის გამოანგარიშების ტრაქტატი (იხ. ასტრონომია) და აბუსერიძე ტბელის ისტორიული ხასიათის თხზულება (იხ. ისტორია) (№ 85—A).

პარაკლიტონი, გადაწერილია XIV საუკუნეში, ეტრატზე, ცნობილი კალიგრაფის ავგაროზ ბანდაძსძის (1348—1365 წ. წ.) ხელით. ხელნაწერს გააჩნია საინტერესო ისტორიული მნიშვნელობის მინაწერები და გადამწერის ანდერძი: „...ჭელვეყავ და ვიწყე წერა: დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობა; ქორონიკონი იყო ლვ (1348) ...უწყის ღმერთმან, ოდეს ვიწყე წერად ყრმა ვიყავ“ და აქა მიმჭცოვნებულმან სრულვყავ ქორონიკონსა მიგ (1365) (№ 575—A).

მღვდელმსახურება

ფონდში დაცულია სამღვდელმსახურო წიგნების მნიშვნელოვანი ნუსხები. განსაკუთრებით საინტერესოა ტვიპიკონები. ექვთიმე ათონელის თარგმნილი „მცირე სვინაქსარის“ ფრაგმენტი, ერთადერთი ნუსხა ჩვენამდე შემონახული. ხელნაწერი გადაწერილია 1030 წელს კონსტანტინეპოლში ზაქარია ვალაშკერტელისათვის „ჭელითა ბასილი ეტრატაჲსითა“. ხელნაწერი შემკულია 78 შესანიშნავი მი-

ნიატურით. თავისი მაღალი მხატვრული ღირებულებისა და რედაქციული იშვიათობის გამო, ხელნაწერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის (№ 648—A).

დიდი სვინაქსარი—გიორგი ათონელის თარგმნილი: 1. სვინაქსარის ე. წ. არტანუჯული ნუსხა, გადაწერილია XI საუკ. მეორე ნახევარში. კარგ ეტრატზე, შემკულია თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით. ტექსტში ჩართულია გიორგი ათონელის შენიშვნები, დაწერილია ასომთავრულით სინგურად. ეს ნუსხა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ სვინაქსარის ამიებზე, XI საუკუნის წვრილი ნუსხურით, მიწერილია ქართველ და საქართველოში გავრცელებულ იმ წმიდათა მოსახსენებლები, რომლებიც გიორგი ათონელს არ შეუტანია თავის სვინაქსარში. ხელნაწერს გააჩნია გიორგის ვრცელი ანდერძი, გვიანდელი მინაწერები და ათაბაგების სულთა მოსახსენებლები (№ 97—A).

2. დიდი სვინაქსარი, გადაწერილი XI საუკუნეში კალიგრაფიული ნუსხურით—სამხრეთ საქართველოში, რასაც მოწმობს მრავალი ისტორიული ხასიათის მინაწერი (№ 193—A).

3. დიდი სვინაქსარი, გადაწერილი XI საუკუნეში ვინმე იოანეს მიერ. ხელნაწერს გააჩნია გადამწერის ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ნუსხა ორიგინალიდან მესამე ცალია „...პირველ თარგმნისაგან მესამედ გადმოვიღე". მოგვიანო XIII—XIV ს. ს. მინაწერი აჩვენებს, რომ ეს ხელნაწერი ტყვეობაში ყოფილა და დაუხსნიათ „ოდეს თათარნი მოვიდეს და ქართლი ამოწყვიტეს, მაშინ ესეც წაიღეს. მე, ვარდენ თხვენაძემან დავიხსენ". (№ 626—A).

4. დიდი სვინაქსარი, გადაწერილია თხელ ეტრატზე, ლამაზი ნუსხურით, ათანასეს მიერ. ხელნაწერის გადამწერი აღნიშნავს: „...გადმოვწერე მესამე წიგნისაგან მეოთხედ წიგნად..." იგულისხმება ზემოაღნიშნული სვინაქსარი (№ 626—A) როგორც ანდერძიდან ჩანს, ათანასეს იგი განსაკუთრებით მძიმე პირობებში დაუნუსხავს: „ფრიადითა ჭირითა და გულსმოდგინებითა გარდმოვწერე...ღმერთმან იცის, ვაჲმე და ვაჲმე ჭირნი უსახლობისა და უადგილობისანი, რომელ სხვასა არავის წაჭკიდების ესე ვითარი, რამეთუ სოფლისა ღელვათა და განსაცდელსა შინა ვეფალ ყელამდისინ..." (№ 840—A).

დიდი სვინაქსარის მნიშვნელოვანი ნუსხებია აგრეთვე: № 222 (XII—XIII ს.); № 572 გადაწერილი XIV საუკუნეში იო-

ანე ათაბაგისა და მისი დედის ვახვახისათვის; № 139 გადაწერილი 1535 წ. თინათინ დედოფლის ბრძანებით, აბრაჰამ დავითისძის მიერ (გადაწერა დაწყებულია გრემში და დამთავრებულია სოფ. აღვანში).

საინტერესო ხელნაწერს წარმოადგენს, საქართველოში XII საუკუნიდან დამკვიდრებული, საბას ლავრის ტვიპიკონი: „ტჳპიკონი საეკლესიო წესისა კეთილ განგებულებისა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა საბაჲს ლავრისა, რომელ ესე ესრეთვე იქმნების სხვათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისასა“. ხელნაწერი გადაწერილია 1560 წელს ვინმე ზაქარიას მიერ (№ 1353—A).

იაკობის ჟამისწირვა, რომელიც საქართველოში XI საუკუნემდე იყო გავრცელებული. ხელნაწერი გადაწერილია XI საუკუნეში ცისკარა მწერლის მიერ, სვიმეონ ქართლის კათალიკოსის დაკვეთით (№ 86—A).

ასევე, XI საუკუნემდეა თარგმნილი პეტრე მოციქულის ჟამის წირვა, რომელიც ჩვენამდე შენახულა ერთადერთი XVIII საუკ. ნუსხით (№ 81—A).

სხვა სახის სამღვდელმსახურო წიგნებიდან აღსანიშნავია: ზატიკი XII საუკუნისა, რომლისგანაც მხოლოდ ეტრატზე შესრულებული შვიდი მინიატურაა დარჩენილი. მინიატურების სუჟეტები ახალი აღთქმიდანაა აღებული: 1. „შობითაგან ბრმისა თვალთა აღხილება“, 2. „სამარიტელსა დედაკაცსა ზრახავს უფალი“, 3. „განრღუᲑულისა განკურნება“, 4. „ამაღლება“, 5. „გუერდის გახხილვა“ [თომასაგან]. 6. „წმიდა იოსეᲑ არიმათიელი და მენელსაცხებელ ქალები“, 7. „სულისა წმიდის [გარდა]მოსვლა“. მინიატურები შესრულებულია მაღალი მხატვრული ოსტატობით და გემოვნებით. გამოყენებულია მკრთალი ფერები, სინგურის შტრიხებით გაძლიერებული. მინიატურები ჩასმულია თითეულისათვის საგანგებოდ შერჩეულ ფერის ჩარჩოში. ჩარჩოს შიგნით მოთავსებულია წარწერები ქართულ და ბერძნულ ენებზე. მინიატურების მეორე, დაუწერელ გვერდზე Ბოიპოვება მოგვიანო ნუსხური და მხედრულით შესრულებული მინაწერები. ერთ-ერთი მათგანი გვაუწყებს ამ ხელნაწერის ტყვეობაში ყოფნას: „მე, ვახახიშვილმან გიორგი თათართაგან დავიხსენ წიგნი ესე ზატიკნი და დავდეევით ჩუენისა სულისათვის და ჩუენ შვილთა სადღეგრძელოდ“ (№ 734—A).

იადგარის ფრაგმენტი, გადაწერილი X საუკუნეში, მნიშვნელოვანია იმით, რომ ტექსტს გააჩნია მუსიკალური პუნქტუაცია და სანოტო ნიშნები (№ 190—A).

მარხვანი, გადაწერილია XVI საუკუნეში და მოხატულია შესანიშნავი მინიატურებით (№ 31—A).

სადღესასწაულო, გადაწერილია ეტრატზე XII—XIII საუკუნეში. ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი (149—170) წარმოადგენს პალიმფსესტს. დანაკლისი ადგილები ხელნაწერში აღდგენილია XV საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით (№ 44—A).

გულანები: 1. ბედიის გულანი, დიდი ზომის (993 ფურცელი), გადაწერილია XVI საუკუნეში ბედიის მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტიძის ინიციატივითა და ბრძანებით; მასვე ჩამოუყვანია შავშეთიდან ოდიშს გადამწერი გაბრიელ ლომსაძე, რომლის ხელითაცაა გადაწერილი გულანში შემავალი „თვენი“ და „მარხვანი“. გულანის დანარჩენი ნაწილები გადაუწერიათ: ამბროსი კარგარეთელს, საბა ნაფოტაძეს და სხვებს. გულანს გააჩნია მნიშვნელოვანი ისტორიული მინაწერები (№ 187—A).

სვეტიცხოვლის გულანი (ორ წიგნად), გადაწერილია 1681 წელს კათალიკოს ნიკოლოზის (ამილახვარი) დაკვეთით და საფასით. გადამწერებია: საბა, მიქელ და აბელი; ხელნაწერი შემკულია შესანიშნავი მინიატურებით. გულანი ნიკოლოზ კათალიკოსს თავის საფასითვე მოუხატვინებია და შეუწირავს სვეტიცხოვლის ტაძრისათვის (№№ 30, 32).

გელათის გულანი, დიდი ტანის (1161 ფ.), გადაწერილია 1653—1655 წ.წ. იესე ბაღდიაშვილისა და დემეტრე მღვდლის მიერ, მთავარეპისკოპოსის ზაქარიას ბრძანებით. 1705 წელს ეს გულანი გიორგი აბაშიძეს შეუწირავს დავით გარეჯის უდაბნოსათვის (№ 186—A).

ჰომილეტიკა

საკითხავები და სიტყვები წმ. მამათა, დაწერილია ეტრატზე X საუკუნეში, გაბრიელ პატარაიას ხელით (შდრ. № 95-ს). ხელნაწერი შემკულია სადად შესრულებული თავ-ბოლოსამკაულებით და საზედაო ასოებით, რაც დამახასიათებელია სამხრეთ საქართველოს ხელნაწერების მოხატულობისათვის (№ 144—A).

სწავლანი წმიდათა მამათანი: 1. ისაკ განშორებულისა, 2. ბასილისა, 3. ანდრია კრიტელისა, 4. თეოფანე კესარიელისა, 5. კასიანე რომაელისა და სხვათა. თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. კრებული დაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით, ეტრატზე, 1047 წელს, „წინამძღურობასა მამისა გიორგისასა“ და შეწირულია მთაწმიდის ღვთისმშობლის ქართველთა ეკლესიისათვის (№ 1101—A).

უდაბნოს მრავალთავი (ჰომილეტიკური), დაწერილია X საუკუნის კალიგრაფიული მთავრულით (ნაწილი ნუსხურით). ამ ხელნაწერში შეინიშნება დამწერლობის თავისებურება—ხაზ-ქვემო ასოთა ბოლოების ტეხილხაზოვანი ჩამოგრძელება აშიებზე. ეს მრავალთავი შატბერდული უნდა იყოს (ე. თაყაიშვილი), ჩამოტანილია გურიიდან, უდაბნოდ წოდებულ სავანიდან პროფ. აკ. შანიძის მიერ 1920 წელს (№ 1109—A).

მამათა სწავლანი (ფრაგმენტი), თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. შემორჩენილია: „სწავლანი ეფრემ [ასურისა] მიწერილნი იოვანეს მიმართ მონაზონისა...“ ეს ნაწყვეტი ექვთიმე მთაწმიდელის ავტოგრაფია, დაწერილია ეტრატზე ნუსხურით, XI საუკუნის დამდეგს. ტექსტში ჩართულია ექვთიმეს მინაწერი (სინგურით): „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთვმისათჳს რომელმან წმიდა ესე წიგნი ვთარგმნე“ (№ 1769—A).

გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლანი და სიტყვანი. აქვეა შესული მისი „ცხოვრებაც“. თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ, დაწერილია ეტრატზე, ნუსხა-ხუცურით, ივერიის მონასტერში, XI საუკუნის დასაწყისში „ჴელითა ზაქარიაისითა, არსენისითა და ბასილისითა...ბრძანებითა ზაქარია მამადმთავრისაჲთა“. ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებითა და გრაფიკულად შესრულებული საზედაო ასოებით. მას გააჩნია მრავალი ისტორიული ხასიათის მინაწერი (№ 92—A).

ამავე შინაარსის თხზულებები—გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლანი, სიტყვანი და ქადაგებანი, მოგვეპოვება შემდეგ ხელნაწერებში: № 1—A, 1031 წლისა (იხ. აგიოგრაფია); № 87—A, XI საუკუნისა, გადაწერილია ბაგრატ VI ასულის მარიამ დედოფლისათვის. ტექსტი დაწერილია ეტრატზე და შემკულია შესანიშნავი გემოვნებით შესრულებული თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით. სათაურები დაწერილია ოქრომელნითა და სინგურით; № 80—A XIII საუკუნისა. ამ კრებულში შესული ქრისტესწობის საკითხავი განმარტებებიც ურთ ექვთიმე მთაწმიდელის რედაქციისაა; № 109—A, XII საუკ. დაწერილია კალიგრაფიული მსხვილი ნუსხურით. ხელნაწერში დანაკლისი ადგილები აღდგენილია XVIII ს. ხელით. კრებულში წარმოდგენილ სიტყვებს თანსდევს ფერადებით შესრულებული 13 მინიატურა. გარდა ამისა, ერთ ფურცელზე, ცენტრში, დახატულია ლომი, რომელზედაც ზის წმიდანი წითელ ტანსაცმელში, ოქროს ნიმბით თავზე. ლომის გასწვრივ, მარჯვნივ და მარცხნივ, დახატულია ორი ხე, რომელზედაც გამოხატულია ბუდე ბარტყებით და დედა ჩიტი მწერით პირში. აგრეთვე, ორივე ხის ტოტზე სხედან სხვა-



ეკვთიმე მთაწმიდელის—ხელის ნიმუში XI საუკ-ის პირველი მეოთხედი

ღასხვა ფერის ფრინველები. ერთი რუხი ცისფერი, მეორე კი შავი, წითელი ნისკარტით. სურათს ზემოთ ცისფერი ნახევარსფეროა გამოხატული ოქროს მზით.

ამ ფურცლის მარცხნივ და ქვემოთ მოცემულია საშეურნეო სცენები: ქვემოთ გამოხატულია კაცი, რომელსაც მხარზე გადებული აქვს უღელი (ტაბიკებით) და ერეკება ხარებს; მარცხნივ (ქვემოთ) რგვის პროცესი: ერთ კაცს ხელში უჭირავს ნერგი, მეორე კი ბარით ორმოს თხრის მის ჩასარგავად. ამავე მხარეს ზემოთ წარმოდგენილია მწყემსი, რომელიც გორაკზე ზის და უკრავს სალამურს, გორაკის ქვემოთ ორი ცხვარი ძოვს ბალახს. (იხ. ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები—შესავალი და ტაბულების თანმხლები ტექსტი რენე შმერლინგისა, პროფ. გ. ჩუბინაშვილის რედაქციით. თბილისი, 1940).

1847 წელს ეს ხელნაწერი დავით ბატონიშვილს შეუწირავს იოანე ნათლისმცემლის მონასტრისათვის.

სწავლანი, სულხან-საბა ორბელიანისა. გადაწერილია ავტორის ძმის ზოსიმე ორბელიანის მიერ ნუსხურით 1729 წელს მოსკოვში (№ 479—A).

კანონიკა

კანონიკურ თხზულებათა ნუსხებიდან მეტად საინტერესო ცალს წარმოადგენს სჯულის კანონი მეექვსისა კრებისა, თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. გადაწერილია 1031 წელს კონსტანტინეპოლში „მონასტერსა ხორას“, ბასილი ეტრატაჲ მალუშისძის ხელით, გრიგოლ მთაწმიდელის ბრძანებით. ტექსტი დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. დასაწყისი მოხატულია შესანიშნავი თავსამკაულით (ოქროს ფონზე მოცემულია ღია ლურჯი და მუქი წითლით შეხამებული ორნამენტი), სათაური შესრულებულია ოქრონარევი სინგურით, ასომთავრულად. ხელნაწერს გააჩნია გადამწერის ანდერძი და მთარგმნელის ავტოგრაფიდან მომდინარე მინაწერი: „ვინცა ამას რჩულის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვასა მომიხსენეთ გლახაკი ეფთჳმე, რომელმან ვთარგმნე ესე ბერძულისაგან ქართულად...“ ეს სჯულის კანონი, როგორც ირკვევა, XVII საუკუნეში შეადგენდა სულხან ორბელიანის საკუთრებას და მას იგი შეუწირავს მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსათვის, ჯერ კიდევ ბერად აღკვეცამდე: „მე, ყოვლად უღირსმან მონამან შენმან და ცვა-ფარვათა შენთა სასოებითა მონდობილმან დიდის ორბელის შვილმან სულხან და თანამეცხედრემან ჩემმან, მანუჩარ ათაბაგის შვილისშვილმან, მხევალმან შენმან თამარ შემოგწირეთ და მოგაჴსენეთ შენ, ყოველთა დედათა ნაშობთა უმეტესსა და...(არ არის დასრულებული) (№ 96—A).

ნ ო მ ო კ ა ნ ო ნ ი, დაწერილია ქაღალდზე XII საუკუნის ნუსხურით. დანაკლისი ადგილები კრებულში აღდგენილია XVI საუკუნის ხელით. ხელნაწერს გააჩნია სქოლიოები. კანონთა კრებულში შესულია რუის-ურბნისის ს ა ე კ ლ ე ს ი ო კ რ ე ბ ი ს (1103 წ.) დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ნ ი (№ 76—A).

ფილოსოფია, ღვთისმეტყველება

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ანასტასი სინელისა, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, დაწერილია ეტრატზე XIII საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით. ხელნაწერს დარჩული აქვს მთარგმნელის საინტერესო ანდერძი: „დაესრულა წინამძღუარი წმიდისა ანასტასი სინელისა, კოსტანტინუპოლის მონასტერსა შინა წმიდისა გიორგისსა მანგანას. ლოცვითა ბერთა ჩემთა იოვანე რატეულისა და გიორგი ქართველისადთა ღირს ვიქმენ მე, უუნდოესი ყოველთა დაბადებულთა შენთა მდაბალი მონაზონი ა რ ს ე ნ ი ბერძულისაგან ქართულად თარგმანებასა წმიდისა ამის წიგნისასა... მრავლითა ჭირითა და შრომითა დამიწერია და უნაკლულოდ ძალის-ებრ ჩემისა შემიწამებია და არცა რაჲ ბერძულისაგან დამიგდია და არცა რაჲ ზეპირით დამირთავს; და, თუ სიბნელე რაჲმე სადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს, და არა ქართულთა სიტყუათა და შუენებასა ვერ მეცნიერობისაგან, ყოველივე მომიტეევეთ და ყოვლისათჳსცე შემინდეეთ... ა რ ს ე ნ ი თ ა რ გ მ ა ნ ი“. მოგვიანო მინაწერები მოწმობს, რომ ეს ხელნაწერი ჯერ ეკუთვნოდა ალავერდის ტაძარს, შემდეგ —მცხეთისას (№ 205—A).

დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ი. არსენ იყალთოელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებები და მისგანვე ერთ კრებულად შედგენილი დოგმატიკონის სახელწოდებით, შემოგვინახა 1188 წლის, სხვა მხრივაც საინტერესო, ნუსხამ № 65—A (დოგმატიკონის სრული ნუსხა იხ. S ფონდის ხელნაწ. № 1464) კრებულში, გარდა დოგმატიკონისა, შესულია: ასტრონომიული ტრაქტატი, შესანიშნავად (გრაფიკულად) შესრულებული ზოდიაკოებით, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი (განმარტებანი ოთხთავის გაუგებარი სიტყვებისა), აპოკრიფული თხზულება „შიშველ-მართალთათვის“ და მდივანმწიგნობრული ხელით დართული „ქება-ქებათაჲ“ სოლომონისა (№ 65—A).

იოანე დამასკელის „გ ა რ დ ა მ ო ც ე მ ა უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ებ ე ლ თ ა ს ა რ წ უ ნ ო ე ბ ი ს ა“, თარგმნილი ეფ-

რემ მცირის მიერ ბერძნულიდან. მთარგმნელი მას „სრულ წინამძღვარს“ უწოდებს, ამავე თხზულების ექვსიანი მთაწმიდელის შემოკლებულ („მცირე წინამძღვარი“) რედაქციისაგან გასარჩევად. ეფრემის ეს ნაშრომი შემოგვინახა მხოლოდ ერთადერთმა ხელნაწერმა. რომელიც გადაწერილია XII საუკუნის დამდეგს, ეფრემ მცირის სიკვდილის შემდეგ „...თვით ეფრემის ნუსხიდან“. გარდა „გარდამოცემისა“, ამ კრებულში შესულია იოანე დამასკელის ცხოვრების ეფრემისეული თარგმანი და მისივე (ეფრემ მცირისა) მეტად მნიშვნელოვანი ორიგინალური ისტორიული თხზულება: „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების“ (№ 24—A).

დიონისე არეოპაგელის თხზულებები, გერმანისა და მაქსიმე აღმსარებლის სქოლიოებით. გადაწერილია XIII საუკუნის ლამაზი ნუსხურით (№ 189—A); ფრაგმენტი (1 ფ.), რომელშიაც გადმოცემულია მსჯელობა არისტოტელის ფილოსოფიურ შეხედულებათა წინააღმდეგ, დაწერილია ქაღალდზე, XIII საუკუნის ნუსხურით (№ 695—A). ამ ფონდში მრავლად მოიპოვება XVIII საუკუნის ნუსხები პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“-სა: № 74A, 1731 წ., გადაწერილია მღვინის მელქისედეკ კავკასიძის ხელით; № 1162-A 1757—1760 წ. წ., თარგმანი იოანე ჯამბაკურ-ორბელიანისა, მისივე წინასიტყვაობით; № 1309-A (1760 წ.); № 1312-A (1763 წ.); № 184-A (1799 წ.); №№237, 1150, 1412-A (XVIII ს.); წინასიტყვაობა ფილოსოფიისა და ნაწილთა მისთა №№ 1566, 1648-A (XVII ს.).

პორფირის შეყვანილობა № 246-A (XVIII ს. გადაწერილი ზაქარია დიაკონის მიერ).

პორფირის შეყვანილობის განმარტება, სომეხთა ფილოსოფოსის დავით უძლეველისა № 1257—A (XVIII ს.).

მეტაფიზიკა ბაუმეისტერისა, თარგმნილი რუსულიდან ანტონ I-ის მიერ, №№ 287, 1103—A (XVIII ს.).

ანბანის განმარტება, იონა ხელაშვილისა №№ 986, 1004-A (1828 წ.).

მოკლე ისტორია ფილოსოფოსთა, თარგმნილი გაიოზის (არქიმანდრიტის) მიერ რუსულიდან, ყიზლარს, 1783 წელს, გადაწერილია დავით რექტორის ხელით 1832 წელს (№ 314—A).

სპეკალი, ანტონ I-ისა (1752 წ.), ამ თხზულებაში დიდი ნაწილი უკავია ლოგიკას, მცირე—ფსიქოლოგიას (№ 1741—A).

კატეგორია სიმეტნე, ანტონ I-ისა (1781 წ.), გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის მიხაილის ხელით (№ 117—A); № 233-A, 1781 წ., გადაწერილია კალიგრაფის ვინმე გაბრიელის მიერ.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს პ ე რ ი ა რ მ ე ნ ე ი ა ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ნ ი, დავით უძველესისა („შემოკლებით ახსნა პერიარმენისის წიგნთა“) № 535-A XVIII ს., ხელნაწერს გააჩნია თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიული მნიშვნელობის მინაწერი, რომელიც, აგრეთვე, ამ წიგნის ისტორიასაც გვაუწყებს: „საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ, ვიყავ რა თერანს, ჭელმწიფებასა ფათალ შაჰისასა, აბას მირზას უკვე უბოძა ჯარი და ვიახელით ჩვენც. თან მეფის ძე ალექსანდრე და მეფის ძე თეიმურაზ. გამოვედით თეირანით მარტს კ. წელსა ჩყდ (1804), მთოვარე ზილ აჯა იყო კზ, წელსა მას თაგვობისასა. ეს წიგნი, თ ე რ ა ნ ი ს ა ზ ღ უ დ ე ს გ ა რ ე ვ ს დ ე ვ ი თ რ ა, მ უ ნ ტ ყ ვ ე ს ვ ი ს მ ე ტ ფ ი ლ ი ს ე ლ ს დ ე დ ა თ ა ვ ა ნ ს გ ა მ ო ე ვ ზ ა ვ ნ ა, რ ო მ ე ლ ი ც რ ო მ ტ ფ ი ლ ი ს ს ა ღ ა - მ ა ჰ მ ა დ ხ ა ნ ი ს მ ო ს ვ ლ ი ს ჟ ა მ ს ტ ყ ვ ე ჰ ქ მ ნ ი ლ ი ყ ო“.

იგივე თხზულება № 1301—A 1776 წლისა, გადაწერილია დოსითეოს ნეკრესელის—ჩერქეზიშვილის მიერ.

დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა, ანტონ I-ის მიერ სახელმძღვანელოდ გადმოკეთებული სემინარიის მოსწავლეთათვის №№ 185, 329—A (XVIII ს.); დიალექტიკა სრული, დოსითეოს ნეკრესელის თარგმნილი, № 340—A (XVIII ს.).

ლ ო გ ი კ ა ბაუმეისტერისა, თარგმნილი და სახელმძღვანელოდ გადმოკეთებული ანტონ I-ის მიერ № 15—A (1773 წ.); № 1300-A (XVIII ს.).

ე ს თ ე ტ ი კ ა, ანსილიონის ესთეტიკური განსჯანი, თარგმნილი რუსულიდან დავით ბატონიშვილის მიერ 1815 წ., გადაწერილია 1818 წ. (№ 278—A).

რ ი ტ ო რ ი კ ა მხითარ სევასტიელისა, სახელმძღვანელოდ გადმოკეთებული ანტონ I-ის მიერ 1764 წ. № 534—A (1821 წ.); № 333—A (1784 წ.): № 175—A (1799 წ.) № 886—A(XVIII ს.); № 1303—A (1799 წ.); № 1034—A (XVIII ს.); № 1181—A (XVIII ს.); № 1034—A (XIX ს.).

ასტრონომია

ა ს ტ რ ო ნ ო მ ი უ ლ ი ტ რ ა ქ ტ ა ტ ი, ზოდიაკოების გამოხატულებით, მოგვეპოვება კრებულში № 65-A (იხ. ფილოსოფია), იგი ქართული საერო ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. თარიღდება 1188 წლით, უძველესია, აგრეთვე, დღემდე ცნობილ, ამავე ტიპის დათარიღებულ სპარსულ-არაბულ ხელნაწერთა შორის. ამ ტრაქტატში წარმოდგენილი ზოდიაკოები (ლომი, კირჩხიბი, ყერძი და სხვა) განსაცვიფრებელი რეალიზმით და დიდი გრაფიკული ოსტატობითაა გადმოცემული.



ასტრონომიული ტრაქტატი, XII ს., ზოდიაკოს ნიშანი—ლომი

ასტროლომიული ტრაქტატი, XII ს., ზოდიაკოს ნიშანი – ტყუები

მეორე ასტრონომიულ-კალენდარული ქართული წელთაღრიცხვის გამოანგარიშების ტრაქტატი, შედგენილი აბუსერიძე ტბელის მიერ, შესულია კრებულში № 85—A (იხ. ჰიმნოგრაფია და ისტორია). აღნიშნული ტრაქტატი თარგმნა ფრანგულად და ქართულ ტექსტთან ერთად გამოსცა მარი ბროსემ.

ისტორია და მასალები ისტორიისათვის

ქართლის ცხოვრება, შევსებული ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ, №131—A (XVIII საუკუნის ნახევრისა).

ტომობა და შთამომავლობა ქართველთა, ვახუშტი ბაგრატიონისა, № 1230—A (1787 წ.). იგივე თხზულება, გადაწერილი ამბროსი ნეკრესელის ხელით, № 756—A (XVIII ს.). ამ თხზულების ისტორიული ნაწილი გამოსცა დ. ბაქრაძემ 1883 წ., გეოგრაფიული—ჯერ მარი ბროსემ 1842 წელს, შემდეგ მ. ჯანაშვილმა 1904 წ., ხოლო უკანასკნელად ნ. ბერძენიშვილმა და თ. ლომოურმა—1941 წელს.

ცხოვრება საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა, ომან ხერხეულიძის ისტორიული ნაშრომი. № 1178—A (1842 წ.) და № 1224—A (1820 წ.).

აქვე მოგვეპოვება ნაწყვეტი საქართველოს ისტორიიდან. იწყება თემურლენგის 1375 წლის შემოსევით და მთავრდება ცნობით: „...1814 (!) წელს, ოდეს ტრაპიზუნდს მიიცვალა სოლომონ მეორე“...№ 1230—A (XIX ს-ის 40-იანი წლები).

საქართველოს XV—XVIII საუკუნის ისტორიისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს გერგეტის სულთა მატიანე. აქ წარმოდგენილია მეფეთა და ერისთავთა (უმთავრესად არაგვის ხევისა) მოსახსენებლები, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები და სხვა მრავალი საყურადღებო მასალა. ტექსტი დაწერილია ეტრატზე XV საუკუნის ნუსხურით (№ 1085—A). ამ მასალის ნაწილი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში (სხვადასხვა ადგილას. ქრონიკები, თბილისი, 1897).

ერთი ისტორიული ხასიათის თხზულება, აბუსერიძე ტბელისა, შემოგვინახა 1233 წლის კრებულმა № 85—A. ამ თხზულებაში მოთხრობილია ხიხათის (აჭარა) ეკლესიის აგების ანბავიც. გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ: „ქრონიკები“ ტ. II, 1897 წ. და ლ. მუსხელიშვილის—„ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე“ (1941 წ.).

ეფრემ მცირის თარგმანთა კრებულში შესულია ეფრემის ორიგინალური სტატია: „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენებისო" № 24—A (XII ს.).

მეტად საინტერესო ისტორიული და ისტორიულ-ლიტერატურული მასალები შემოგვინახა ე. წ. ალ. ცაგარლის კრებულმა, რომლიდანაც უნდა დავასახელოთ: 1. საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ, 2. როსტომ მეფის სიგელის პირი, 3. „წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევასა მეფეთასა", 4. [კატალოგი] ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის (1810 წ.) დავით რეჭტორისა, 5. „სია ქართულთა ხელნაწერთა ივერიის მონასტერსა შინა მთაწმიდას", 6. საქართველოს ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა და სხვ. № 1767-A (XVIII ს.).

აქვეა დაცული ანტონ I-ის „შთამომავლობისათჳს საქართველოს მეფეთა", რომელიც ანტონმა საქართველოს მატიანეთა მიხედვით შეადგინა ყიზლარის კომენდანტის ფროუნდორფის თხოვნით, № 1137—A (XVIII ს.).

საინტერესო ისტორიულ მასალას წარმოადგენს ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეთა და ბატონიშვილთა და სამეგრელო-გურიის მთავართა ბეჭდების ლეგენდები, № 925—A (1863 წ.).

წყობილი სიტყვაობა ანტონ I-ისა, № 638 (1810 წ.) და № 602—A (XIX ს.).

ამავე ფონდშია დაცული სტეფანოზ ორბელიანის „ორბელიანთა გვარის ისტორია", № 864-A (1801 წ.).

ხრონოგრაფი, გიორგი ამარტოელისა, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, № 174 (XIII ს.) და № 685—A (XVII ს.).

მეტად საინტერესო და უძველესი ცალი იოსებ ფლავიოსის „იუდიანელთა ისტორიისა" შემონახულია XIII ს. ნუსხით № 675—A. ამ ხელნაწერს გააჩნია მნიშვნელოვანი მინაწერები XIV, XV და XIX საუკუნეებისა.

მსოფლიო ისტორია ქვეყნის გაჩენიდან XVII საუკუნემდე, თარგმნილია რუსულიდან. გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ხელით 1769 წელს.

ქართული ენის გრამატიკა

ფონდში ინახება ქართული ენის გრამატიკის რამდენიმე ნუსხა: ანტონ I-ისა № 531 (1754 წ.); № 720 (1782 წ., გადაწერილი ცნობილი კალიგრაფის მიხაილის მიერ); № 553 (XVIII ს.). დავით

ბატონიშვილისა № 408 (1795 წ.); № 795 (1850 წ); ნიკო დადიანისა (I-ის)—ქართული გრამატიკა ყრმათათვის, დაწერილი 1818 წელს სოფ. მურში [სამეგრელოში], გადაწერილია გრიგოლ ბერის მიერ, 1821 წელს (№ 1019).

ლექსიკოგრაფია

ამ ფონდს შემოუნახავს ქართული და არაქართული ლექსიკონის 30 ნუსხა. ამათგან 16—საბასია. ლექსიკოგრაფიის უძველესი ნიმუში, თარგმნილი ქართულ ენაზე, მოგვეპოვება კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონის (ოთხთავის გაუგებარი სიტყვების განმარტებანი) სახით, XII საუკუნის კრებულში № 65-A (ის. ფილოსოფია, ასტრონომია). აქ დაცულია სულხან-საბა ორბელიანის ქართული განმარტებითი ლექსიკონები სხვადასხვა რედაქციისა, სხვადასხვა დროს გადაწერილი. ყველაზე საყურადღებოა ვრცელი რედაქციის პირველი ნუსხა, ავტოგრაფი, შედგენილი 1719—1720 წ. წ. (№ 1473—A) და ამავე რედაქციის მეორე ნუსხა, გადაწერილი საბას ძმის ზოსიმე ორბელიანის ხელით 1721—22 წ. წ. და ნასწორები ავტორის მიერ (ვახტანგ VI-ის მინაწერებით და დამატება-განმარტებებით — (№ 75—A). საბას ლექსიკონის დანარჩენი ნუსხების ერთი ნაწილი გადაწერილია მოსკოვში მაგ.: № 1703 (1731 წ.); № 1473 (XVIII ს.); დანარჩენი კი—საქართველოს სხვადასხვა კუთხეში № 1157 (1745 წ.); № 873 (1763 წ.); №№ 1074; 1113 (ბატონიშვილი მარიამის, მაკრინად წოდებულის გადაწერილი); №№ 1201; 1211; 1704 (XVIII ს.); № 172 (1807 წ.); № 288 (1816 წ., გადაწერილი ტარასი არქიმანდრიტის ხელით); № 1428 (1828 წ.) და სხვა.

გარდა საბას ლექსიკონის ნუსხებისა, ამ ფონდში მოიპოვება: ს. ქვარიანის ქართულ-რუსული ლექსიკონი № 1295 (1893—96 წ. წ.); უცნობი პირის რუსულ-ქართული ლექსიკონი № 1148 (1828 წ.); ნ. ოქროპირიძის რუსულ-ქართული ლექსიკონი, № 1594 (XIX ს.); რუსულ-ქართულ-სვანური ლექსიკონი, № 1603 (XIX ს.); ქართულ-ბერძნული ლექსიკონი, ევსეიი მიქელაძისა, № 1329 (XIX ს.) ფრანგულ-ქართული და ქართულ-ფრანგული ლექსიკონი ანდრია წინამძღვრიშვილისა № 114 (1896 წ., გადაწერილია კონსტანტინუპოლში); საბუნებისმეტყველო რუსულ-ქართული ლექსიკონი № 1727 (1814 წ.).

სამართალი

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები: № 296 (1825 წ.) № 533 (XVIII ს.); № 875 (XIX ს-ის დამდეგისა, გადაწერილი

სოლომონის დის მარიამ ბატონიშვილისათვის); №№ 784, 847 (XIX ს-ის დამდეგისა).

სამართლის წიგნების კრებული, რომელშიაც, გარდა ვახტანგის სამართლისა, შესულია: სამართალი მოსესი, ბერძნული, სომხური, კათალიკოსისა, აღბუღასი და ძეგლისდება მეფეთ-მეფის გიორგისა, № 874 (XIX ს-ის დამდეგი).

გეოგრაფია

„გეოგრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმგრგულისათვის აღწერა“, თარგმნილი რუსულიდან გაბრიელ გელოვანის მიერ, № 1007 (1730 წ.).

„ღეოღრაფიული აღწერა საქართველოსა“—ვახუშტი ბაგრატიონისა, დაწერილი 1745 წელს: №№ 756; 1230 (XVIII ს.). გამოცემულია ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის მიერ 1941 წელს.

მსოფლიოს გეოგრაფია რუკებით, თარგმნილი რუსულიდან 1752 წელს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. ტექსტიცა და რუკებიც ვახუშტის ავტოგრაფია (№ 717—A).

გეოგრაფია სამგზავროდ სახმარი, ქვეყნის აღწერა, დავით რექტორისა, № 1414 (XVIII ს.).

საეძიმო წიგნები

ფონდში დაცულია კარაბადინის რამდენიმე მოგვიანო ხანის ნუსხა: № 760 (1785 წ.); № 769 (XVIII—XIX ს. ს.). ცხენის კარაბადინი, შედგენილი იოანე ოსესძის მიერ, № 652 (1788 წ.); № 671 (XIX ს.).

მხატვრული ლიტერატურა

მხატვრული ლიტერატურა ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდში, შედარებით, მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ რამდენიმე ცალია აქ დაცული: № 363 (XVII ს.); № 859 (1714 წ. სოლომონ ონიკაშვილის გადაწერილი); № 530 (1762 წ. გადაწერილი იოსებ ქებულაძის ხელით); № 855 (1790 წ. გადაწერილია გიორგი ორბელიანის მიერ ძმისათვის—იოანე ორბელიანისათვის).

ჟანრების მიხედვით მხატვრული ლიტერატურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

საგმირო ეპოსი: ამირან-დარეჯანიანი № 441 (XVI ს.); № 454 (XVIII ს., ხელნაწერი ილუსტრირებულია). ყარამანიანი, თარგმნილი დავით ორბელიანის [სარდლის] მიერ, № 1128—1129 (1831 წ. გადაწერილია ნოდარ ჯორჯაძის ასულის ელისაბედის ხელით), №№ 283; 930 (XVIII ს.); № 862 (XIX ს-ის დამდეგისა). სირინოზიანი, №793 (XIXს.). როსტომიანი, № 788 (XVII ს.); № 858 (XVIII ს.).

სატრფიალო ეპოსი: ლეილ-მეჯნუნიანი, № 790 (XVIII ს., ხელნაწერს დართული აქვს სია ნივთებისა, რომელიც რუსეთის მეფისაგან საჩუქრად მიუღია თეიმურაზ II-ს.); ვარდ-ბულბულიანი, №№ 778-801 (XIX ს.); ქალ-ვაჟიანი, № 473 (XIX ს.).

საზღაპრო ეპოსი: ჩარ-დავრიშიანი, №№ 660, 865 (XIX ს-ის დამდეგისა). მირიანი, № 990 (1836 წ.) აქვეა შესული ჩარ-დავრიშიანი).

დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი: სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე-სიცრუისა, № 662 (XIX ს.); ქილილა და დამანა, № 786 (XVIII ს.); № 1788 (1814 წ. გადამწერი— „ყარიბი გიორგი მდივანი"); № 651 (1851 წ., გადაწერილი დავით ამირაძის მიერ).

საისტორიო ეპოსი: დიმიტრი ბაგრატიონის—„წამება ქეთევან დედოფლისა", № 704 (XVIII ს.).

სატირა: ზაქარია გაბაშვილის „თაგვისა და კატისომი", № 890 (XVIII ს.).

გარდა ცალკეული მხატვრული თხზულებებისა, ამ ფონდში დაცულია კრებულები, რომლებშიაც შესულია, როგორც ერთი მწერლის, ისე სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებნი.

თეიმურაზ I-ის თხზულებანი, № 593 (XVIII ს. შედგენილობა: „იოსებ-ზილიხანიანი", „ლეილ-მეჯნუნიანი", „შამი-ფარვანიანი", „გრემის სასახლეზე", „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა", „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტანდარეჯანისა" და სხვა); № 860,—კრებული გადაწერილი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ 1774—1779 წ. წ. შედგენილობა: „ამირან-დარეჯანიანი", „ბარამიანი", „ბარამ-გურიანი", „მირიანი", „ჩარდავრიშიანი", „თიმსარიანი", „სიბრძნე-სიცრუისა", „სარკე თქმულთა", „ანბანთქება„ (თეიმურაზ II-ისა), „გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა", „ვარდ-ბულბულიანი", „შამი-ფარვანიანი", „მაჯამა", „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-

დარეჯანისა“, „წამება ქეთევან დედოფლის“-ა (თეიმურაზ I-ისა), „უსჯულოს მოჰამედისა და ქრისტიანეთ გაბაასება ლექსად ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან ...“ № 470 (ამ კრებულშია, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის, არჩილის, ოსე გაბაშვილის, პეტრე ლარაძისა და სხვათა ლექსები); № 654 (1845 წ., კრებულში შესულია: „ვეფხისტყაოსანი“, „ომაინიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „სპილენძის-ქალაქიანი“ და სხვა. გადაწერილია დავით ამირიძის ხელით); № 656 (1861 წ. კრებულის შედგენილობა: „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, იოსებ-ზილიხანიანი, ბესიკისა და სხვათა ლექსები); № 550 (1823 წ. შედგენილობა: „ალექსიანი“, დავით გურამიშვილისა და სხვათა ლექსები); № 641 (XIX ს. პეტრე ლარაძისა და გიორგი ეგნატის ძე თუმანიშვილის ლექსები); № 650 (1812 წ. გადაწერილია გიორგი ავალიშვილის ხელით ს.-პეტერბურგში. შედგენილობა: 1. „ევდუსია, უბედური ასული ველიზარისა“, თარგმნილი გიორგი ავალიშვილის მიერ, 2. „სინა“, თარგმნილი ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ; № 701 (XIX ს.) გადაწერილია ქ. ქუთაისში ვინმე ანტონის მიერ. კრებულში შესულია: 1. „ახლოით განჩხრეკილი კაცი“—თარგმანი ალექსანდრე ჭავჭავაძისა, 2. დავით რეტორის ლექსები ალექსანდრე და მაია ჭავჭავაძეებისადმი); № 879 (XVIII ს. ამ კრებულში, სხვა მასალასთან ერთად, მოიპოვება ალექსანდრე ამილახვრის თხზულება: „ბრძენი აღმოსავლეთისა“, მიძღვნილი იმერეთის მეფის სოლომონ პირველისადმი).

აქვე ინახება XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ნიშეშები: ილია ჭავჭავაძის თხზულებების კრებული, რომელშიც შესულია: „აჩრდილი“ (ბოლონაკლული), ნაწყვეტი „კაკო ყაჩღიდან“, „ჩემი თარი-ალალი“, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია XIX ს-ში“ (№ 1289); კ რ ე ბ უ ლ ი, გადაწერილია პროფ. ალ. ცაგაოლის მიერ, მასში შეტანილია შემდეგი ლექსები: „მძინარე ქალი“, „პოეტი“, „ხმა სამარიდამ“, „უსულგულო ცხოვრება“ და სხვა (№ 1753). კ რ ე ბ უ ლ ი, რომელშიაც მოიპოვება ილიას თარგმანები და საკუთარი ლექსები: „ერთი უბედურთაგანი“ (მოთხრობა ჟიულ კარეტისა); „უკანასკნელი გასაკვეთი“ (მოთხრობა ალფონს დოდესი) და სხვა; ორიგინალური—„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია XIX საუკუნეში“, „ვიხილე სატრფო“, „მეც შავს თვალებს“, „ელეგია“, „არაგვი“, „მწუხარება“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „გაზაფხული“, „მუშა“ და სხვა (№ 1722).

ილია ჭავჭავაძის წერილები: ოლღა გურამიშვილს (მეუღლეს) № 1720; და ალექსანდრე ოქროპირიძეს (ეპისკოპოსს) № 1400.

აქვეა დაცული ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა (დავით ერისთავისა, ალექსანდრე ცაგარლისა, დიმიტრი ყიფიანისა, ილია ოქრომჭედლიშვილისა, გრ. ყიფშიძისა, ანტონ ფურცელაძისა და სხვათა) წერილები ილია ჭავჭავაძისადმი (№ 1270).

შიო არაგვისპირელის კომედია „კოჯა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“, ავტოგრაფი, 1869 წ. (№ 1202): მისივე მოთხრობა „დაძმა“ ორ ნაწილად, ავტოგრაფი, 1892 წ. 31. V (№ 1282).

ფონდში დაცულია აგრეთვე ერთი ხალხური პოემა „ნათლიმამიანი“, ჩაწერილი XIX საუკუნეში (№ 777).

ბიბლიოგრაფია

ფონდში ინახება ბიბლიოგრაფიული ხასიათის რამდენიმე ნუსხა: „კატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, ძისა მეფისა გიორგი XII სა“, თეიმურაზ ბაგრატიონის ავტოგრაფი. აღრიცხულია 212 ხელნაწერი წიგნი, № 1091 (XIX საუკუნის 30-იანი წლები).

ათონის წიგნთსაცავის რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა (აქვეა მოცემული ცნობები ათონზე მოვუშავე ქართველების შესახებ) № 1140 (XIX ს.).

ქართულ ენაზე არსებული საეკლესიო-სამღვდელმსახურო წიგნების ისტორიული მიმოხილვა, შედგენილი ტარასი არქიმანდრიტის მიერ 1868 წ. (№ 322).

„სია ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებისა, რომელნი ინახებიან ათონის მონასტრის წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკლესიასა შინა ივერიის მონასტრის მამულში“ № 1141 (XIX ს.).

დავით ამირაგოვის საკუთარი წიგნების კატალოგი, 143 წიგნის რაოდენობით, ამათგან 20 ცალი შეძენილია საეკლესიო მუზეუმისათვის (№№ 649—669) კირიონ ეპისკოპოსის მიერ, № 670 (XIX ს.).

ᲥᲝᲤ. ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲥᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲨᲘ, ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲡᲣᲚ 2250 ᲡᲘ�გᲔᲚ-ᲒᲣᲯᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ. ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲔᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ: ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ-ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ, ᲨᲘᲝᲛᲦᲕᲘᲛᲘᲡ, ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ, ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘᲡ, ᲥᲕᲐᲗᲐᲮᲔᲕᲘᲡ, ᲜᲔᲙᲠᲔᲡᲘᲡ, ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ, ᲓᲘᲐᲜᲘᲡᲘᲡ, ᲣᲠᲑᲜᲘᲡᲘᲡ, ᲑᲘᲯᲕᲘᲜᲗᲘᲡ, ᲜᲘᲥᲝᲖᲘᲡ, ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘᲡ, ᲑᲝᲓᲝᲠᲜᲘᲡ, ᲨᲣᲐᲛᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ-ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲔᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ XI—XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲛ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲐᲕᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ „Ad“. ᲤᲝᲜᲓᲡ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲝ ᲩᲐᲜᲐᲬᲧᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲗᲐᲠᲘ: ᲬᲘ�გᲜᲘ I.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ (XI—XV ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘ)

ᲥᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲘᲡ (XI—XV ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ) ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲡᲘ�გᲔᲚᲔᲑᲘ: ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲡ, ᲨᲔᲣᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲠᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ. ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ ᲓᲐᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲗ.

1. ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ—ᲑᲐᲒᲠᲐᲢ IV-ᲡᲐ ᲨᲘᲝᲛᲦᲕᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ, 1058 ᲬᲚᲘᲡᲐ.

ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲢᲠᲐᲢᲘᲡ ᲒᲠᲐᲒᲜᲘᲚᲖᲔ, ᲦᲘᲐ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲜᲘᲗ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲬᲘ�გᲜᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ. ᲒᲠᲐᲒᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲔᲤᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ.

ᲑᲐᲒᲠᲐᲢ IV, ᲐᲛ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲗ ᲨᲘᲝ-ᲛᲦᲕᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, „ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲕᲡ—ᲑᲝᲠᲪᲣᲡᲘᲡ ᲯᲣᲐᲠᲘ“ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲘᲗ“ ᲨᲔᲣᲬᲘᲠᲐᲕᲡ. ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲥ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐᲡ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲛᲦᲕᲘᲛᲘᲡ ᲚᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲣᲝᲮᲠᲔᲑᲘᲐᲗ. ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ „ᲛᲬᲘ�გᲜᲝᲑᲐᲠ-ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡ ᲘᲝᲐᲜᲔᲡ“ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲘᲐ. ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲡ ᲓᲐ-



ბიაბერის შეწირულების წიგნი-გრაგნილი. 1191 წლის ახლოხანებისა. საერთო ხედი.
გადაშლილ კეფზე მოსჩანს: თამარის ხელრთვა (ზემოდან მესამე და მეოთხე სტრიქონი) და თვითონ ბიაბერის ხელრთვა (თამარის აეტოგრაფის მომდევნო სტრიქონები)

მამტკიცებელთა შორის არიან: გ ი ო რ გ ი—ქ ა რ თ ლ ი ს კ ა თ ა-ლ ი კ ო ზ ი და ი ო ა ნ ე ლ ი პ ა რ ი ტ ე რ ი ს თ ა ვ თ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ძ ე[1]. (№ 14—Ad).

II. შ ე წ ი რ ულ ე ბ ი ს წ ი გ ნ ი (თამარ მეფის ვაზირის) მ ა ნ-დ ა ტ ურ თ-უ ხ უ ც ე ს ი ს ჭ ი ა ბ ე რ ი ს ა შიომღვიმის უდაბნოსადმი.

დაწერილია კარგად დამუშავებული ყვითელი ეტრატის გრაგნილზე. მუქი მიხაკისფერი მელნით, ლამაზი მდივანმწიგნობრული ხელით—1191 წლის ახლო ხანებში.

ჭიაბერს ამ საბუთით ქ. ო ი ნ ვ ა ნ შ ი მცხოვრებნი ვაჭარნი, „მიხითარაჲს ძენი დავითიშვილები: უქროჲ, მახარაჲ, ბრაეი და იოანე შიომღვიმის უდაბნოსათვის შეუწირავს. შემწირველი მღვიმის კრებულს 28 იანვარს წმ. ეფრემის დღესასწაულისათვის მისი „სულის სალოცავად“ აღაპის გაჩენას თხოვს. ჭიაბერი, ტექსტში, რამდენიმეჯერ იმეორებს, რომ ეს შეწირულება მას თავისი პატრონის „მ ე ფ ე თ ა მ ე ფ ი ს“ და „ღ ო თ ი ს ა ს წ ო რ ი ს“ თ ა ძ ა რ ი ს ბრძანებითა და ნებართვით გაუკეთებია. მართლაც საბუთის ტექსტს აქ პირდაპირ მისდევს ორი სტრიქონი უფრო მუქი მელნით, გაკრული მდივანმწიგნობრულით, თ ა მ ა რ ი ს ხელით დაწერილი დამტკიცება:



რაც ასე იკითხება:

„ქ. ესე მანდატურთ უხუცესისაგან შეწირულად განაჩენი ჩემგანაც მტკიცეა“.

მხოლოდ ამის შემდეგ აწერს ხელს თვითონ შემწირველი ჭიაბერი:

„ქ. ესე დაწერილი მე ჭიაბერსა მეფეთა-მეფის თ ა მ ა რ ი ს მიწასა მანდატორთუხუცესსა თ ა მ ა რ ი ს დღეგრძელობისათვის შემიწირავს იგი კაცი და დაწერილი დამიმტკიცებია და ჩემად სალოცავად. ვინ შეცვალოს შემცაიცვლების ქრისტეს რჯულისაგან“.

საბუთის სხვა დამამტკიცებელთა შორის განსაკუთრებით სა-

[1] თ. ო ო რ დ ა ნ ი ა. „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა“. თბილისი, 1896 წ., გვ. 3—7.

ყურადღებია: შ ო თ ა ს ხელრთვა, რომელიც იქ „ყ ი ნ ო ვ ი ს მ ქ ო ნ ე ბ ლ ა დ“ იხსენიება.



„ქ: მე შოთაი ჩემს ყინოვნის ქონებასა შიგა ამას ვამტკიცებ ვითა ამა შიგა სწერია“.

შესაძლებელია, ეს უკანასკნელი, რ უ ს თ ვ ე ლ ი ც იყოს! თუ აქ მოხსენებული შ ო თ ა მართლაც რ უ ს თ ვ ე ლ ი ა, მაშინ ეს იქნება, დიდი პოეტის ერთადერთი ავტოგრაფი, რომელმაც საუკუნეთა წყვდიადი გასვლო, „ყამთასიაევს“ მრავალგზის გადაურჩა და ჩვენს ბრწყინვალე ეპოქამდის მოაღწია. ეს საბუთი თამარის ეპოქის შესანიშნავი ძეგლია[1] (№ 2 Ad).

III. ა ნ დ ე რ ძ ი ს წ ი გ ნ ი—გ რ ი გ ო ლ ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს თ ა ვ თ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა დ მ ი.

თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ სალაშქროდ მეოთხედ მიმავალ „ქ რ ი ს ტ ე ს ს ჯ უ ლ ი ს ა დ ა ე რ ი ს ა დ ა ე კ ლ ე ს ი ა თ ა დ ა ც ვ ი ს ა თ ვ ი ს“—გრიგოლ ქართლის ერისთავს, რომელიც ს უ ლ ა ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს თ ა ვ თ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ძ ე დ ასახელებს თავის თავს, შიომღვიმის მონასტრისათვის, გავაზელთა სოფელი და სხვა მამულები მიუცია და მისთვის ლაზარობა დღეს საუკუნო აღაპის დაწესება უთხოვია.

საბუთი დაწერილი ყოფილა ეტრატის გრაგნილზე, რომლის დიდი ნაწილი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება. შენახულია

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა. თბილისი, 1896 წ., გვ. 21—23.



ქ ი ა ბ ე რ ი ს ხელრთვა. მისივე შეწირულების წიგნიდან. XII საუკ.

ეხოლოდ ანდერძის ბოლო და მისი დამტკიცებანი. გრაგნილის გადარჩენილი ნაწილი ეტრატის სხვადასხვა ზომის ექვსი კეფისაგან შედგება. დაწერილია მდივანმწიგნობრულით და მიღებული წესის თანახმად თვითონ შემწირველის მიერ საკუთარი ხელით XIII საუკუნის პირველ ნახევარში. საბუთში, ამ საუკუნის მრავალი ისტორიული პირი იხსენიება. მათ შორის ბევრია დღემდე სრულიად უცნობიც. თვითონ ერისთავის ძმა—ივანე, მთავარეპისკოპოსი—გიორგი, დიმიტრი მემღვიმე, არსენ კათალიკოზი. ეს უკანასკნელი ყოფილა: „ყოვლად განთქმული, საღვთოთა წიგნთა თარგმანი და მნათობი“.

დიდად საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ამ საბუთს შემოუნახავს ჩვენთვის, ჯერჯერობით, უძველესი (მე-IX ს. ბოლოსა თუ X საუკუნის დამდეგის) ქართული საბუთის პირი. მასში მოთხრობილია თუ როგორ იყიდა მღვიმის კრებულმა მამულები ქართლში (სოფლები: გავაზი, ცხავერი, გველეთი, კოტმანი) და როგორ ააშენა იქ მიქელ მემღვიმემ ციხე-კოშკი. ამ საბუთში, სხვათა შორის, მოხსენებულნი არიან: ლიხთიმერთა მეფეები — კოსტანტინე და ბაგრატი და კახთა მეფენი ფალესი და კვირიკე.

ეს უკანასკნელი მიწერილია ამ საბუთის მესამე კეფის ზურგზე XV საუკუნის მხედრულით (№ 1 Ad)[1].

IV. შეწირულების წიგნი—ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმის მონასტრისადმი.

დაწერილია მდივანმწიგნობრული ხელით. კარგად დამუშავებული ეტრატის გრაგნილზე, რომელიც სამი კეფისაგან შედგება. შემწირველს, სოფელი ანგროინი, რომელიც მის „ბიძაჲს ძესა გიორგის შვილსა ივანეს გაეყიდნა“, გამოუსყიდნია („უკ—მოვიყიდე“) „ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა“ და შიომღვიმისათვის შეუწირავს. ამ გამონათქვამში, იგულისხმება მონღოლ-თათართა ლაშქრობა ქართველებთან ერთად არაბთა ხალიფატის წინააღმდეგ—1258 წელს. მაშინ დაეცა ბაღდადი და ხალიფატის უკანასკნელი ნაშთებიც სამუდამოდ გაჰქრა. სწორედ ამ ლაშქრობის დროს ბაღდადში ძაგან აბულეთის ძეს საკმაო სიმდიდრე შეუძენია, რომლითაც მას „სოფელი ანგროინი“ ხელახლა გამოუსყიდნია. აღნიშნულის მაგიერ შემწირველი მღვიმის კრებულს სთხოვს თეოდორობა დღეს მისთვის აღაპის

[1] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრის და „ძეგლი“ ვაჰხანის ქებათა. თბილისი, 1896 წ., გვ. 1—3, 58.

დაწესებას. ეს საბუთი 1260 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი. აქ საბუთის მრავალი ისტორიული პირი იხსენიება[1] (№ 5—Ad).

V. ა ღ ა პ ი ს წ ი გ ნ ი შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი ს ა — ზ ო ს ი მ ე ს ა დ მ ი.

გრაგნილი შედგება წითელი აბრეშუმის ძაფით გადაკერებული ეტრატის ორი კეფისაგან. დაწერილია ლამაზი ნუსხურით. სიგელი უთარიღოა, მაგრამ ტექსტში მოხსენებული პირების მიხედვით იგი 1250—1260 წლებით თარიღდება. საბუთი ძვირფას მასალას იძლევა მონასტრის ნიკეიერი მდგომარეობისა, ყოფა-ცხოვრებისა და საზოგადოდ წოდებათა იურიდიულ და ეკონომიურ დამოკიდებულებათა შესახებ. სივლის ზურგზე XIII საუკ. ხელით მიწერილია ორი საბუთი: 1—უდაობის წიგნი კ ა რ ა ჯ ს ძ ე თ ა კ უ ჯ რ ი კ ე ს ა დ ა ბ ა ს ი ლ ი ს მ ი ე რ ვ ი ო რ გ ი მ უ შ ი რ ი ს ძ ი ს ა დ მ ი და გირავნობის წიგნი მ ი ც ე მ უ ლ ი ბ ო რ ჯ ო ლ თ ა, კ ა ვ თ ო ლ ა ს ა დ ა თ ე ვ დ ო რ ე ს მ ი ე რ ტ უ ხ ა ი ს - ძ ე დ ე მ ე ტ რ ე ს ა დ მ ი[2] (№ 4—Ad).

ვ ა ჰ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ ი ს ძ ე გ ლ ი.

საეკლესიო მუზეუმის ძველ საბუთთა შორის ინახება აგრეთვე ვ ა ჰ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ თ ა ძ ე გ ლ ი, რომელიც ეტრატის გრძელ გრაგნილზეა დაწერილი, მსხვილი მრგვლოვანი ნუსხურით, მიხაკისფერი მელანი. გრაგნილი ცამეტი კეფისაგან შედგება; მისი საერთო სიგრძე 5 მეტრსა და 62 სანტიმეტრს უდრის. ეს არის ვაჰანის მონასტრის „წესი და განგება"—მისი ტიპიკონი (შინაგანაწესი). საბუთი შედგენილი ჩანს ქართლის კათალიკოზის მიერ, ერისთავთ ერისთავ ზხარგრძელთან ერთად XIII საუკუნეში. კეფათა გადაკერების ადგილებზე, ზურგის მხრიდან აწერია: „მე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ს ა დ ა მ ი ნ ი შ ნ ა ვ ს" ეს მინაწერები, ამ ძეგლის დამდები მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ ი ს ავტოგრაფი უნდა იყოს. გრაგნილის აშიებზე მოთავსებულია აღნიშნული საუკუნის მრავალი ისტორიული მინაწერი (№ 933—Ad).

ფონდში დაცული საბუთების უდიდესი ნაწილი გვიანფეოდალური ხანისაა (XVI—XVIII ს.). აღნიშნული საუკუნეებისათვის ქარ-

---

[1] თ. ჯ ო რ დ ა ნ ი ა. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰანის ქვაბთა. თბილისი, 1896 წ., გვ. 58—62.

[2] იქვე, გვ. 65—68.

თული დიპლომატიკის მრავალსახეობა აქ მეტად მდიდრულად არის წარმოდგენილი. აქედანაც ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ.

ალთქმის წიგნი: თეიმურაზ პირველისა—ხახულის ღვთისმშობლისადმი, დაზიანებულ გულგულას წყაროს გაკეთების შესახებ, 1641 წ. (№ 52—Ad).

ბრძანებანი: იმამყულიხანისა მაყასადმი—მისი ყმების დაბრუნების შესახებ, [18 ს.], (№ 689—Ad).

ბაქარ მეფისა—ზურაბ კვერჩხაძის [მეფის მოლარის] სასლ-ჯარის მისი ქვრივის და ობლებისათვის დანებების შესახებ, 1717—1719 წ. (№ 491—Ad).

ერეკლე II-სა—თელავის თავადების, აზნაურების, გლეხების და ბაზრის კაცებისადმი თელავის ღვთაების ეკლესიის მამულის შესყიდვის აკრძალვის შესახებ, 1783 წ. 25 ივნისი (№ 56—Ad).

ერეკლე II-ისა—ალავერდის დეკანოზ იოანესადმი ხახულის ღვთისმშობლის ხატის შუამთის ეკლესიისათვის დაბრუნების შესახებ, 1786 წლის 9 აგვისტო (№ 213—Ad).

გიორგი XIII-ისა—ფარეშთუხუცეს ანდუყაფარისადმი, ალამდარბაშ ქაიხოსრო ჯომარდიძისადმი და ალამდარ პაატასადმი ნაზირი დავითის და მისი ძმის სამართლიანად გაყოფის შესახებ, 1799 წ. (№ 688—Ad).

განაჩენი: იესე მეფისა, დომენტი კათალიკოზისა, სვიმონ ბატონიშვილისა, ერეკლე მუხრანის ბატონისა, გიორგი არაგვის ერისთავისა, დავით ქსნის ერისთავისა, ლუარსაბ სარდალ-სახლთუხუცესისა, ავთანდილ ამილახორისა, ავთანდილ მდივანბეგისა, ორბელიძე ერასტისა და სხვათა. რამაზიშვილების, დავითიშვილების და ელიზბარიშვილების გაყოფის შესახებ დავის გამო. დაწერილია ჯარის მდივანმწიგნობარ ბერთველ თუმანიშვილის მიერ, 1715 წლის 27 თებერვალს (№ 1040—Ad).

თეიმურაზ II-ისა—გოგნიაშვილი გიორგისა და ზაზა ჯანდიერაშვილის დავის გარდაწყვეტილების შესახებ, 1743 წლის 14 ივლისისა (№ 1421—Ad).

მსაჯულებისა—იაკობ მაღალაშვილისა: ივანე და გიორგის დავის გამო, 1751 წ., 30 მარტი (№ 1493—Ad).

ერეკლე II-ისა—ამირაჯიბი ზაზასა და თურმანიძე ბეროს დავის გამო, 1772 წლის 3 მარტი (№ 1326—Ad).

იმერეთის მდივანბეგისა—ანტონ მთავარეპისკოპოსისა და მახობა ქუთათელაძის შორის ატეხილი დავის გამო, 1795 წ. (№584—Ad).

თარხნობის წიგნები: კახთა მეფის ალექსანდრე I-სა—დავით გარეჯის მრავალმთისა და დოდორქის მონასტრებისადმი შეუვალობის შესახებ, 1479 წ. ეტრატი. მხედრულით ნაწერი. საბუთის ზურგზე მიწერილია თუ რა ძღვენი უნდა მირთმეოდა მეფეს გარეჯის მონასტრიდან (№ 6—Ad).

მარიამ დედოფლისა—სიონის ღვთისმშობლის ყმებისადმი სამეფო და საეთათრო გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ, 1634 წ. (№ 275—Ad).

როსტომ ქართლის მეფისა—კავთისხეველ იმედა იმნაძე და მისი ძმებისადმი „ყოველგვარი“ გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1634 წლისა ეტრატი. მხედრულით ნაწერი აქვს როსტომის ხელრთვა (№ 931—Ad).

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ისა—ფარეში ალადაშვილი პაატასა და მისი ძმებისადმი ერთგული სამსახურისათვის სამეფო გადასასადებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1748 წ., 12 დეკემბერი (№ 533—Ad).

დავით იმერთა მეფისა— მღვდელ ნიკოლოზ ქოჩიაშვილისადმი გააზატების შესახებ, 1787 წ. 22 ნოემბერი (№ 207—Ad).

მასალები აღმშენებლობის შესახებ: **კათალიკოზი დომენტი I-სა**—ნებართვა ციციშვილი ზაზასადმი ნიჩბისს საყდრის აშენების შესახებ, 1671 წ. (№ 1337—Ad).

ლევან ბატონიშვილისა (ვახტანგ V-ის ძე)—სვეტიცხოვლისათვის ჩრდ. მხრიდან ეკვდერის მიშენების და სარგოს გაჩენის შესახებ, 1678 წ.(№ 30—Ad).

დავით გარეჯის კოშკების გეგმა და ტექნიკური აღწერილობა, **შედგენილი ვახუშტი აბაშიძის** მიერ 1714 წ. (ნახაზი) (№ 554—Ad).

მთავარეპისკოპოსის რომანოზის მიერ ტფილისში სამთავროს ღვთაების ეკლესიის აშენების და ტფილელისათვის სამწყსოდ მიცემის შესახებ [18—19 საუკ.], (№ 42—Ad).

საქართველოს ეკლესიის გეგმები და ფასადები. 1844 წ. (№ 799—Ad).

სანეკრესლოს საზღვრების გეგმა [ნახაზი XIX ს.], (№ 690—Ad).

მოკითხვის წიგნები: **არქიმანდრიტ ბიქტორისა**—**არქიმანდრიტ იოაკიმესადმი**, 1796 წ. 21 იანვარი (№ 236—Ad).

ერეკლე II-ისა ეიღაც „ბრწყინვალე კნიაზისადმი“—მაღლობას უხდის წამლების გამოგზავნის გამო. აქეს ერეკლეს ხელრთვა. 1796 წ. (№ 517—Ad).

ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებისა—ზაალ ბარათაშვილისადმი ზაფხულში დასასვენებლად მიწვევის შესახებ, 1797 წ. (№ 1111—Ad).

ზაქარია—თეიმურაზ მეფის დიაკვნისა—ანტონ I-სადმი, პროკლეს „კავშირისა“ და დიალექტიკის“ გადმოთარგმნის შესახებ, 1756—1772 წ. (№ 1553--Ad).

ნასყიდობის წიგნები: ჩაფქევის ძეთა ვერხუაძსძეთადმი ნაევნახობის მიყიდვის შესახებ. ეტრატი. დაწერილია მდივანმწიგნობრული ხელით [XIII ს.], (№7—Ad).

მიქელ ამბროლიძისა—გიორგი ჩაჩანიძისადმი ვენახის მიყიდვის შესახებ. ეტრატი, მუედრულით [XV-ს], (№ 19—Ad).

თათარაშვილი გიორგისა და თევდორესი—მაღალაშვილი პაატა და დემეტრესადმი მიწის ნასყიდობის შესახებ. ეტრატი, ნუსხურით, 1502 წელს (№ 1653—Ad).

სამნა, შიოშ და ზაქარია ნადირაძეებისა—უმეკა და ნასყიდა ბაჩიაშვილებისადაი საბოსტნე მიწის მიყიდვის შესახებ. ეტრატი დაწერილია 1631 წ. 13 მაისს (№ 1567—Ad).

სულხანიშვილებისა— თუმანიშვილი მდივან ზურაბისა, მდივან სულხანისა, კალანდარისა და ლიპარიტისადმი წოდორეთის სამკვიდრო მამულის მიყიდვის შესახებ. დაწერილია ლამაზი მხედრულით—იოსებ ტფილელის ხელით 1673 წელს (№ 2246—Ad).

ზაალ ელიოზაშვილისა—სახლთუხუცეს ამილბარ მაღალაძისადმი მეტეხელი ბებურისშვილი ოქროასი მთელი ოჯაბით მიყიდვის შესახებ, 1714 წ. (№ 1811—Ad).

ესაია მჭედლიშვილისა—დავით გარეჯის წინამძღვარ ონოფრესადმი წისქვილის დოლაბების მიყიდვის შესახებ, 1719 წ. ივლისში (№ 478—Ad).

მანგლელი ეპისკოპოსის ჯავახიშვილი იოსებისა—მის განაყოფ ავთანდილიშვილი მზეჭაბუკისადმი ქვენადრის ციხის მიყიდვის შესახებ, 1730 წ. ოქტომბერი (№ 1571—Ad].

ცხვარიაშვილი ათანელასი—ლაფერისშვილი ბერუასადმი კალოს მიყიდვის შესახებ, 1746 წ. ივნისი (№ 415—Ad).

ხოვლელი წერეთელაშვილი ბეროსი და მისი შვილის ესტატესი, მაყაშვილ გიორგი, ომან და ლუარსაბისადმი თავნასყიდობის შესახებ, 1747 წ. (№ 33—dA).

იორამ მგალობლიშვილისა—გაბრიელ გედეონიშვილისადმი სოფ. წეროვანის ნაცვლობის და ამავე სოფელში მამულების მიყიდვის შესახებ, 1747 წ. 25 ივნისი (№ 826—dA).

პეტრე ნაკლულაშვილისა—იოანე ბოდბელისადმი ვენახის და სასახლის 110 თუმნად მიყიდვის შესახებ, 1751 წ. (№ 414—Ad).

ყაფილასშვილი ზურაბისა—ზურაბ თექ-თუმანიშვილისადმი შვილის მიყიდვის შესახებ, 1756 წ. ნოემბერი (№ 1131—Ad).

გოგია მხალაძისა—მღვდელ სეხნია სებისკვერაძესადმი შვილის მიყიდვის შესახებ, XVIII ს. (№ 1408—Ad).

V. **სამწყსოს მიბარების წიგნები:** ქრისტეფორე კათალიკოზისა—ელისე თბილელისათვის ზედათრიალეთის სოფლების პირობით მიბარების შესახებ, XVII ს. (№ 47—Ad).

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ისა—რუსეთს ელჩად გაგზავნილი ათანასე ტფილელის სამწყსოს ქრისტეფორე მროველისათვის მიბარების შესახებ, 1752 წ. 29 მაისი (№ 53—Ad).

შეწირულების წიგნები: ქაქანა-ბექა სურამელისშვილის მიქელის ცოლისა—ქვათახევის მონასტრისადმი სოფ ნოსტეს შეწირულების შესახებ. ეტრატი, მდივანმწიგნობრულით, [XIII ს.], დაზიანებულია (№ 9—Ad).

კოსტანტინე პატრონისა—(ალექსანდრე დიდის ძის) სიონის ეკლესიისადმი მისი მამის სულის მოსახსენებლად ქალაქური ლიტრით ორი ლიტრა სანთელის და ერთი ლიტრა საკმელის შეწირულების შესახებ. ეტრატი, 1463 წ. (№ 13—Ad).

ალექსანდრე მეფისა (გიორგის ძე)—სვეტიცხოველისადმი კახეთში, ვეკინის პირს სოფელ ახალშენისა და თორღიანის შეწირულების შესახებ. ეტრატის გრაგნილი დაწერილია 1479, 24 იანვარს, კარის მწიგნობრის იათორის-ძე ვარსიმეს მიერ (№ 1838—Ad).

თაყა ამილახორისა და მისი ძმის აღნიასი—სამთავისის საყდრისადმი სოფ. ნადარბაზევის და ვენახების შეწირულების შესახებ. გრაგნილი ეტრატის სამი კეფისაგან შედგება. კეფები ყვითელი აბრეშუმის ძაფით არის ერთმანეთზე გადაკერე.

ბული. დაწერილია მხედრულით. შემწირველნი სამთავისის საყდრის კრებულს სთხოვენ გარდაცვლილი ძმების ზევდგინისა და შიოშის სულის მოსახსენებლად აღაპის დაწესებას, 1513 წ. (№ 12—Ad).

მ ა ლ ა ქ ი ა ქ ა რ თ ლ ი ს პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს მ ი ე რ ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა დ მ ი მისი „ნაღვაწი" ძვირფასი ნივთების შეწირულების შესახებ, 1531—1532 წ.[1] (№ 16—Ad).

ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ი ს ა—ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა დ მ ი „მტკვრის პირის მიდამოებში" ადგილის შეწირულების შესახებ. აქვს არჩილის ხელრთვა:

„ჰელმწიფე არჩილ ვამტკიცებ ნებითა ღთისათა ამინ". 1670 წ. ივლისის 7 (№ 1837—Ad).

თ ი ნ ა თ ი ნ, ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ვ ი ს ა ს უ ლ ი ს ა დ ა მ ი ს ი თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს ა—ნიკოლოზის ეკლესიისადმი თათრის ხელისგან გამოხსნილი მაზიაშვილი პაატას (ცოლ-შვილით) შეწირულების შესახებ, 1701 წ. (№ 107—Ad).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა—დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა დ მ ი სურამის საბაჟოდან ხუთი ლიტრა სანთლის შეწირულების შესახებ, 1703 წ. 1 იანვრის. აქვს ბატონიშვილების სვიმონისა და ბაქარის დამტკიცებანი (№ 341—Ad).

გ ი ო რ გ ი დ ა დ ი ა ნ ი ს ა—დ ო დ ო ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა დ მ ი გულანის შეწირულების შესახებ, 1706 წ. 23 მაისი (№ 1039—Ad).

ი ო ს ე ბ ნ ი ნ ო წ მ ი დ ე ლ ი ს ა (ვაჩნაძიაა)—ღოდოს მონასტრის წინამძღვარ მ ა რ კ ო ზ ი ს ა დ მ ი ი ო რ ზ ე „წმინდა ნინოს ნაზვრევი მინდვრის შეწირულების შესახებ, 1710 წ. დამამტკიცებელთა შორის არიან: ნინოწმიდელი, ამბა ალაეერდელი, ბოდბელი ზაქარია, ნიკოლოზ სამებელი, ხარეაშნელი, ნეკრესელი და ჰერეთელი (№ 508—Ad).

გ ი ო რ გ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა—დავით გარეჯის მონასტრისადმი შესამოსის შეწირულების შესახებ, 1782 წ. 6. X. (№ 434—dA).

დ ა ვ ი თ ბ ა ს ი ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა—გ ა რ ე ჯ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა დ მ ი თავისთავის შეწირულების შესახებ, 1798 წ. 1 სექტემბერი (№ 392—Ad).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა რ ა ა გ ვ ი ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ს მ თ ა ვ რ ი ს ა დ ა მ ი ს ი ძ მ ე ბ ი ს ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს მ ი რ ი ა ნ ი ს დ ა ფ ა რ ნ ა ო ზ ი ს ა—ა ნ ა ნ უ რ ი ს ღ ვ თ ა ე ბ ი ს ე კ-

[1] გამოც. თ. ჟორდანია. ქრონიკ. II, გვ. 377.

ლ ე ს ი ი ს ა დ მ ი ძველად შეწირული წყალობის წიგნების დამტკიცების შესახებ, 1783 წ. 5 თებერვალი. გრაგნილის სიგრძე 364 სმ, განი—48 სმ. დაწერილია ლამაზი მხედრულით. საბუთი „შეუთხზავს“ კათალიკოს ანტონ I და დაუწერია მცხეთის ეკლესიის დეკანოზს მიხეილს.

არაგვის საერისთავოს მთავარი ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი და მისი ძმები მ ი რ ი ა ნ ი და ფ ა რ ნ ა ო ზ ი უმტკიცებენ ანანურის ეკლესიას არაგვის ერისთავების გიორგის, რევაზ—ნუგზარისძის, იასონის, ყანდურის, ვამიყის, ბარძიმის, უთრუთის, ვახუშტის, სახლთუხუცესი თეიმურაზის შეწირულობას და ერეკლე II განახლებულ გუჯარს (№ 874—Ad).

წ ყ ა ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი: შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი ს ა — ტ ო ხ ა ჲ ძ ი ს ა დ მ ი სამწირველოს წყალობის შესახებ, ეტრატი, დაწერილია მდივანმწიგნობრული ხელით[1] XII—XIII საუკუნეში (№ 3—Ad).

ბ ე გ ა ს უ რ ა მ ე ლ ი ს ა — ტ ო ტ ი ბ ა ჲ ს ძ ე ტ ო რ ო ზ ა ს ა და გიორგისადმი ვენახის, წისქვილის და წალკოტის წყალობის შესახებ, აქვს ბეგა სურამელის დამტკიცება, რომელიც ასე იკითხება: „ქ. მ ე ბ ე გ ა ს ა ჩ ე მ ი თ ა ხ ე ლ ი თ ა დ ა მ ი მ ტ კ ი ც ე ბ ი ა“ XIII ს. (№ 8—Ad).

დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა—გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი მიწის ბოძების შესახებ (აძლევს მიწას სოფ. ქიწნისში რუს გასაყვანად), 1678 წ., (№ 1016—Ad).

თ ე ი მ უ რ ა ზ I-ს ა — ლ უ ა რ ს ა ბ შ ვ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი ძველი წყალობის წიგნების განახლების შესახებ, დაწერილია 1610 წ., აქვს თეიმურაზის ხელრთვა (№ 530—Ad).

ნ ა ზ ა რ ა ლ ი ხ ა ნ ი ს ა—პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ი ტ უ ს ი ა ს ა დ მ ი თუშეთის მებალახეობის წყალობის შესახებ, 1693 წ. 10 ივნისი (№1168—Ad).

თ ე ი მ უ რ ა ზ I-ს ა—მ ე ჯ ი ნ ი ბ ე თ უ ხ უ ც ე ს ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ა დ მ ი თოღას იოსაფათისა და უზუქანთის მოურაობის წყალობის შესახებ, XVII ს. (№ 513—Ad).

ი მ ა მ ყ უ ლ ი ხ ა ნ ი ს ა, მ ი ს ი ძ ი ს ე რ ე ვ ნ ი ს ბ ე გ ლ ა რ ბ ე გ ი ს ა დ ი კ ა ხ ე თ ი ს გ ა მ ვ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა — ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი ს ა დ მ ი (ჩოლოყაშვილისადმი) ბისონის ბოძების

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჟხანის ქვაჲთა. თბილისი, 1896 წ., გვ. 23—25.

შესახებ, 1711 წ. 11 დეკ. დაწერილია მხედრულით მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის ‘მიოშის მიერ (№ 328—Ad).

თეიმურაზ II-სა—ჩოლოყაშვილი გივისადმი კახეთის სახლთუხუცესობის წყალობის შესახებ, 1736 წ. (№ 2244—Ad).

ფანასკერტელი ციციშვილი ზაქარიასი—გივი გვერდწითელისადმი წინწყაროს ნაცვლობის მიცემის შესახებ, 1778 წ. 13 იანვარი (№ 511—Ad).

გიორგი გურიელისა—ბეჟია თავართქილაძისადმი გრიგოლეთის (გურია) მეპაჟეობის წყალობის შესახებ, XVIII ს. (№ 1565—Ad).

ჯამაგირის წიგნები: ნაზარალიხანისა (ერეკლე I-ის)—დავით გარეჯის მონასტრისათვის ჯამაგირად წელიწადში 9 თუმნის დანიშვნის შესახებ, 1696 წ. 18 ნოემბერი (№ 86—Ad).

ლევან ბატონიშვილისა (შაჰყულიხანი)—დავით გარეჯის მეუდაბნოვე ბერებისათვის წინაპართა მიერ გაჩენილი ჯამაგირის წიგნის დამტკიცების შესახებ, 1703 წ. 10 ნოემბერი. საბუთს აქვს ქართლის მეფეთა: იესეს, ვახტანგ VI და ბაქარის დამტკიცებანი—ხელრთვით (№ 90—Ad).

ანა დედოფლისა (იმამყულიხანის მეუღლე)—დავით გარეჯის მონასტრისადმი იმამყულიხანის სადღეგრძელოდ ჯამაგირად წელიწადში ხუთი თუმნის დანიშვნის შესახებ, XVII ს. (№ 76—Ad).

ერეკლე II-სა—დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარ ქრისტეფორესადმი ჯამაგირისა და სარგოს დანიშვნის შესახებ, 1768 წ. 6 იანვარი (№ 369—Ad).

წესი და განგებანი: დავით გარეჯის მონასტრის საქმის გარიგება კათალიკოზი იოანე დიასამიძის, ამბალავერდელის, ნიკოლოზ ნინოწმინდელის და არსენ-ეპისკოპოსისა—წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძის დადგენის შესახებ, 1690 წ. 12 მარტი (№ 349—Ad).

სახლთუხუცესის რიგი და შესავალი, XVII ს. (№ 1836—Ad).

დომენტი კათალიკოზისა—პავლე თბილელისადმი ქალაქის სამწყსოს მიცემის შესახებ, 1710 წ. აქვს დომენტის ხელრთვაც (№ 319—Ad).

მირონის კურთხევის და დარბაზობის წესი—დადებული არჩილ მეფისა და კათალიკოზი მიქელის მიერ მცხეთის სვეტიცხოველისადმი, ნუსხურით XVII ს. (619—Ad).

ბაქარ მეფისა—ვახტანგ ამილახორისშვილისადმი ყორჩიბაშის სარგოს გარიგების შესახებ, 1717 წ. (№ 1349 —Ad).

წესი და განგება დარბაზობისა მეფეთა კურთხევის დროს XVII ს. (№ 560—Ad).

ნინო წმინდის ეკლესიის სამწყსოს საქმის განწესება ანტონ I-ის მიერ. 1771 წ. (№ 185—Ad).

პირობის წიგნები: თევდორე კოტეტიშვილისა--მღვიმელ დედაბერ ბარბარესადმი აღებული ვალის სამაგიეროდ აღაპის გარდახდის შესახებ, დაწერილია ეტრატზე მხედრულით 1512 წელს (№ 11—Ad).

მცხეთის ყმათა—დომენტი კათალიკოზისადმი ერთმანეთში შეღლისა და მტრობის აღკვეთის შესახებ, 1706 წ. (№ 323 —Ad).

ხოსრო კობიაშვილისა—ნიკოლოზ ალავერდელ ენდრონიკესშვილისადმი ალაზნის გამოღმელთა მიერ სჯულის დარღვევის შემთხვევების არდამალვის შესახებ, XVII ს. (№ 824—dA).

არქიმანდრიტი იოანე ნინოწმინდელის, დავით გარეჯის არხიმანდრიტის თეოდოსისა, ნათლისმცემლის არხიმანდრიტის ეფთჳმისა, საგარეჯოს მოურავის ჯამასპისა—სახასო და სანინოწმინდლოს სამღვდელოთა და საეროთა პირობა უქმე დღის არგატეხვის შესახებ, 1735 წ. 14 სექტემბერი (№ 137 —Ad).

ფარემუზ სუფრაჩისა—სვეტიცხოვლის კათალიკოზისადმი მორჩილების შესახებ, XVIII ს. (№ 105—Ad).

საბუთების პირები: ნიქოზის ეკლესიის საბუთებისა (რვეული), XIX ს. (№ 1504—Ad).

ურბნისის ეკლესიის საბუთებისა (რვეული), XIX ს. (№ 1502—Ad).

წილკნის ეკლესიის საბუთებისა (რვეული), XIX ს. (№ 1501—Ad).

მაღალაშვილების საბუთებისა XIX ს. (№ 1670—Ad).

ნუსხები: სვეტიცხოვლის ეკლესიის განძისა,—შედგენილი ლუარსაბ მეფისა და კათალიკოსის (გერმანე) მიერ 1546 წ. 4 თებერვალს. საბუთი წარმოადგენს ქაღალდის გრაგნილს (№ 501 —Ad).

დიღმელ მოლაშქრეთა [XVII საუკ.], (№ 1631—Ad).

სამასპინძლოს გამომღებთა [XVII ს.], (№ 1800—Ad).

პაპუნა დოქიძის ნაშრომ-ნაღვაწისა, XVIII ს. (№ 1656—Ad).

ონოფრე მაჭუტაძის ნაშრომ-ნაღვაწისა და შენაძენისა, 1712 წ (№ 1028—Ad).

მოხისის ღალისა, 1724 წ. (№ 1591—Ad).

დოდოს მონასტრის ნივთებისა, 1760 წ. (№ 144—Ad).

დავით გარეჯის მონასტრის ნინოწმინდის ეკლესიის სამკაულისა, 1764 წ. 20 აპრილი (180—Ad).

ნინოწმინდის ეკლესიის საბუთების ნუსხა, შედგენილი ნინოწმინდელ მიტროპოლიტის საბას მიერ, 1774 წ. 5 ოქტომბერი (№ 135—Ad).

ბეითალმანი ადგილებისა—1773 წ. 10 სექტ. (№ 360—Ad).

სვეტიცხოველისადმი შეწირული ნივთების ნუსხა და მათი ფასი (XVIII ს. ჩამოწერილია სულ 113 ნივთი), მითითებულია ვისგან არის შეწირული და მისი ადგილ-სამყოფელი (№ 507—Ad).

ამილბარ მაღალაძის ქონებისა—XVIII ს. (№ 1873—Ad).

კრწანისის სოფლის და ბაღების კულუხისა, 1781 წ. (№ 1660—Ad).

სვეტიცხოვლის ეკლესიისა—ანტონ II-ძიერ შემატებული შესამოსისა, 1788 წ. 10 მაისი (№ 181—Ad).

ჯიმითის კომლთა ნუსხა, XVIII ს. (№ 1623—Ad).

სვეტიცხოვლის შეძენილი თუ შესაწირავი ნივთებისა, 1780 წ. მაისის 11 (№ 178—Ad).

საამილახვაროს აზნაურიშვილებისა, XVIII ს. (№ 1403—Ad).

აღსარების მთქმელთა, XVIII ს. (№ 939—Ad).

სოფ. პატარძეულში მცხოვრებ ყმა-კომლთა, XVIII ს. (№ 421—Ad).

დავით გარეჯის მონასტრის წიგნებისა, XVIII ს. (№ 317—Ad).

დოდოს მონასტრის წიგნებისა, XVIII ს. (416—Ad).

დოდოს მონასტრის სპილენძის ჭურჭლეულისა XVIII ს. (№ 463—Ad).

წმ. გიორგის ალავერდის ეკლესიის მუღალოელ ყმათა, XIX ს. (№ 588—Ad).

ურბნისის ეკლესიის გუჯრების ნუსხა, XIX ს. (№ 680—Ad).

ი კ ო რ თ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს საბუთებისა, XIX ს. (№ 79—Ad).

ა ს პ ა ნ ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ს საოჯახო წიგნებისა, 1817 წ. (№ 1136—Ad).

ქართულად თარგმნილი წიგნებისა, XIX ს. (№ 910—Ad).

კ ა რ ი ს მ ს ა ხ უ რ თ ა ნ უ ს ხ ა მათი სამსახურის წესითა და რიგით, XVII ს. (№ 620—Ad).

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდი

1907 წელს თბილისში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის თაოსნობით ჩამოყალიბდა და მოქმედება დაიწყო კიდევ ერთმა სამეცნიერო საზოგადოებამ—სახელწოდებით: საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. საზოგადოების მიზანს, შეადგენდა ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის, მისი მდიდარი ისტორიული წარსულის ამსახველი ძეგლების შეგროვება, შენახვა და შესწავლა. ამ საზოგადოების დაარსების ინიციატორი. მისი საქმიანობის ხელმძღვანელი და უცვლელი თავმჯდომარე 1921 წლამდე ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

თავისი კერძო ინიციატივითა და საკუთარი სახსრებით საზოგადოებამ ფართედ გაშალა საქმიანობა საქართველოს ყველა კუთხეში. სამეცნიერო-არქეოლოგიური ექსპედიციების, კერძო პირთა შემოწირულების და შესყიდვის წესით საზოგადოება იძენდა: მატერიალური კულტურის ძეგლებს, ზეპირსიტყვიერ მასალებს, ნუმიზმატიკურ კოლექციებს, განსაკუთრებით კი ძველ ხელნაწერ წიგნებსა და სიგელ-გუჯრებს. შედარებით მოკლე დროის განმავლობაში საზოგადოებამ თავის მუზეუმში წერილობითი ძეგლების თვალსაჩინო რაოდენობას მოუყარა თავი.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საზოგადოების საქმიანობაში დიდი გარდატეხა მოხდა. საზოგადოებამ ახლა მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა და მატერიალურ-მორალური დახმარება ჰპოვა. ამ ახალ ვითარებაში საზოგადოების თავმჯდომარე და მისი მუშაობის ხელმძღვანელი დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი იყო. 1923 წელს, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით, რუსეთის სიძველეთ-საცავებიდან საქართველოს დაუბრუნდა მეფის მთავრობის მიერ რუსეთში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილებისა და სხვა პირთა მიერ საქართველოდან წაღებული ხელნაწერების ნიშვნელოვანი ნაწილი. დაბრუნებულ ხელნაწერთა უმეტესობა, საქართველოს საისტო-

რიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გადაეცა[1]. ამ ღონისძიების შედეგად საზოგადოების მუზეუმს 305 ხელნაწერი შეემატა და ამით მისი ისედაც მრავალრიცხოვანი კოლექციები კიდევ უფრო გამდიდრდა.

მაგრამ მალე, როდესაც საქართველოში საბჭოთა წყობილების წყალობით მრავალი სამეცნიერო დაწესებულება აღმოცენდა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ცენტრ. არქივი, საბჭოთამცოდნეო მუზეუმები რაიონებში და სხვა), რომელნიც უფრო ფართო და უფრო ღრმა მუშაობას ეწეოდნენ სიძველეთა შეკრების, შენახვის და შესწავლის მიმართულებით, ასეთი კერძო საზოგადოების საქმიანობა აშკარად არა საკმარისი აღმოჩნდა. ამიტომაც 1929 წელს საზოგადოებამ ფაქტიურად შეწყვიტა მუშაობა და თავისი სიძველეთსაცავი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ჩააბარა. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, მაგალითად თავისი ძოლვაწეობის განმავლობაში, სულ 3265 ხელნაწერი და სიძველ-გუჯართა დიდი რაოდენობა შეაგროვა. ქრონოლოგიურად ეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა V—XIX საუკუნეთა ფარგლებში თავსდება.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადასვლით ხელნაწერთა სათვალავი არ შეცვლილა, ოღონდ მას დაემატა ამ ფონდის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი „H". დღეისათვის ამ ფონდს გააჩნია:

I. საინვენტარო ჩანაწერები: წიგნი I, II და III.

II. გარდა ამისა, დაბეჭდილია:

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილი ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით. თბილისი, 1946.

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, შედგენილი ლ. ქუთათელაძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1951.

3. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, შედგენილი ქრ. შარაშიძის რედაქტორობით, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით. თბილისი, 1948.

4. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი ელენე მეტრეველის და ელენე ვირსალაძის მიერ, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით. თბილისი, 1950.

[1] მეორე ნაწილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის ცენტრარქივმა ჩაიბარა.

5. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილი ლ. მეფარიშვილისა და ელ. ვირსალაძის მიერ, ალ. ბარამიძის რედაქციით. თბილისი, 1949.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდი თავისი შინაარსით უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია.

მრავალი ძეგლის სამეცნიერო ღირებულება და შნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განუზომელია. განვიხილოთ მხოლოდ ზოგიერთი ნიმუში:

ამ ფონდის უძველესი ხელნაწერები

1. პ ა ლ ი მ ფ ს ე ს ტ ე ბ ი: პალიმფსესტები ამ ფონდში მრავლად მოიპოვება. აქედან ერთი პალიმფსესტური ხელნაწერი შეისწავლა და ნაწილობრივად წაიკითხა კიდეც ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა. ეს არის, შედარებით, პატარა ზომის (15×11½) ხელნაწერი, რომელიც სულ 162 ფურცლისაგან შედგება. მრავალი ფურცელი დაზიანებულია, ჩაშავებულ-დაკრუჭნილია, ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ „თავითგან ბოლომდის მთელი ხელნაწერი სხვადასხვა დროის დაწერილობის ძეგლთაგან შედგენილი პალიმფსესტია: ზოგი ფურცლების თავდაპირველი ტექსტი ასომთავრულით არის ნაწერი, ზოგისა ნუსხახუცურით. მარტო ასომთავრული პალიმფსესტებიც რომ ავიღოთ, აქაც სხვადასხვა დამწერლობასა და სხვადასხვა დროის ხელნაწერებთან გვაქვს საქმე"[1]. ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ წაკითხულ ნაწილში თავდაპირველი ტექსტი დაბადებისა და სახარების საკითხავები გამოდგა. მერმინდელი კი ფსალმუნია. თავდაპირველი ტექსტი ასხვილი მრგლოვანით ყოფილა დაწერილი. ასო ბ-ანი ყველგან თავშეკრული აღმოჩნდა, თანაც ენა მთლიანად ხ-ანმეტი გამოდგა. ყველაფერი ეს ქართულ ენასა და დამწერლობას უძველეს ხანაში ხასიათებდა. სწორედ ამ ნიშნების მიხედვით, ამ ხელნაწერის თავდაპირველი ტექსტი ივანე ჯავახიშვილმა V—VI საუკუნეებით დაათარიღა (№ 999—H).

ამავე ფონდის მეორე პალიმფსესტური ხელნაწერი შეისწავლა და წაიკითხა ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე მ. თავდაპირველი ტექსტი იქაც დაწერილია ლამაზი მრგლოვანით. პალეოგრაფიულად და ენობრივად ძეგლი

[1] ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები. თბილისი, 1923, გვ. 341.

(თავდაპირველი ტექსტი) უაღრესად საგულისხმო აღმოჩნდა. ასო ბ-ანი აქ უკვე ოდნავ თავგახსნილია, თანაც ტექსტი ენობრივად ჰაემეტია. ამ ნიშნების მიხედვით მეცნიერებაში აღნიშნული ხელნაწერის თავდაპირველი ტექსტი VII საუკუნით დათარიღდება.

ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით იერუსალიმის. განჩინება გამოდგა. პალიმფსესტის სვინაქსარული ცნობები უფრო მარტივია არა მარტო იოანე-ზოსიმეს მიერ მეათე საუკუნეში შევსებულ („კრებაჲ თთუეთაჲ წელიწადისათაჲ") კალენდარზე, რომელიც სინას მთაზე გადმოსწერა პროფ. ი. ჯავახიშვილმა (ხელნაწ. № 34), არამედ პროფ. კ. კეკელიძის მიერ გამოცემულს განჩინება-განწესების მეშვიდე საუკუნის რედაქციაზედაც. უნდა დავასკვნათ, რომ უეჭველად, ჩვენი ძეგლი წარმოადგენს იერუსალიმში შემუშავებულის „კანონის" ანუ „წესისა და განგების", ანუ კიდევ „მართლმორწმუნე მოძღუართა განჩინებისა და განწესების") უძველეს რედაქციას"[1] № 1329—H.

2. საგალობლები (ვილ-ეტრატის) IX საუკუნისა. ხელნაწერი შესრულებულია ასომთავრულით. მისი ორი მესამედი დაწერილია ჰილზე („პაპირუს"), ამიტომაც ის დიდ ინტერესს იწვევს, როგორც იშვიათი ეგზემპლარი. კრებულში, სხვათა შორის, აბო თბილელის საგალობელიც მოიპოვება. ის ენობრივადაც დიდად საგულისხმოა. ხელნაწერი ჩამოტანილია წარსული საუკუნის შუა წლებში, პროფ. პორფირი უსპენსკის მიერ სინას მთის ქართველთა მონასტრიდან. ხელნაწერის რაობა თავდაპიველად პროფ. ა. ცაგარელმა გაარკვია [№ 2123—H ა, ბ, გ].

3. ოთხთავი („ჯრუჭის"—I) 936 წლისა. დაწერილია კარგად დამუშავებულ ეტრატზე მსხვილი ლამაზი ასომთავრულით, ორ სვეტად. მას შემოუნახავს ოთხთავის მეტად თავისებური რედაქცია, რომელიც დღემდე ცნობილი რედაქციებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. გადაწერილია შატბერდის სავანეში 936 წელს, ხოლო მოხატულია „კამარათ მწერლის" თევდორეს ხელით 940 წელს. „თავფურცელი შემკულია ჯვრის გამოხატულებით. მას მისდევს რვა სურათი კანონებისა (ფურცლის ორივე მხარეზე თი-

[1] აკაკი შანიძე. ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის (თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. III, თბილისი, 1923, გვ. 358).

ოთხთავი ჯრუჭის—I, კამარათა მოხატულობის ერთი ნიმუში. 936—940 წწ.

თოეულ სახარებას მიუძღვის წყვილ-წყვილი მინიატურა, რომელთა-გან ერთი წარმოადგენს მახარებელს, მეორე კი ან ღვთისმშობელს ყრმითურთ (მათესთან), ან განკურნების სცენას (სხვა მახარებლებ-თან). ხელნაწერში მინიატურები ასეა განაწილებული:

1. ჯვარი (ფ. 1);

2. კანონები (ფფ. 2—5 v);

3. მათე მახარებელი და ღვთისმშობელი ყრმითურთ (ფ. 6 v—7);

4. მარკოზ მახარებელი და ბრმის განკურნება (ფფ. 92—93);

5. ეშმაკეულის განკურნება და ლუკა მახარებელი (ფფ. 143 v—144);

6. განრღვეულის განკურნება და იოვანე მახარებელი (ფფ. 228 v—229).

ოთხთავის შემკულობა საუკეთესო ნიმუშია ხაზოვანი ნახატის მაღალი ხელოვნებისა... „წვრილი, მოქნილი და მრავალმეტყველი ხაზები ნახატისა შესრულებულია კალმით და ისეთივე საკმაოდ ღია სეპიის ფერის მელნით, რომლითაც გადაწერილია მთელი ტექსტი. შეფერილობა ნაწილობრივ ფარავს ნახაზებს".

ხელნაწერს აქვს გადამწერის საგულისხმო ანდერძი და სხვა მინაწერები. ერთ-ერთი მინაწერიდან ირკვევა, რომ ეს ძვირფასი ხელნაწერი ერთ დროს მტრებს ჩავარდნია ხელთ და მათი ხელი-დან ი ო ვ ა ნ ე ა რ წ ა ი შ ვ ი ლ ს ხ ო რ ა ს ა ნ შ ი თერთმეტ ფლუ-რად გამოუხსნია. ეს ხელნაწერი ქართული კულტურის მრავალ-მხრივ საყურადღებო ძეგლია[1] (№ 1660—H).

4. ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა—968 წ. იშვიათად დამუშავებული ეტრატი, ლამაზი კუთხოვანი ნუსხურით, კრცელი წინასიტყვაობითა და გადამწერის ანდერძით. გადაწერილია პა-ლავრაში (იერუსალიმში) ივანე საფარელის მიერ, მ ი ქ ე ლ ხ უ-ც ე ს ი ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი ს შეკვეთით — 968 წელს. დაწე-რილია შავი მელნით, სათაურები კი წითურით. დასაწყისში საზედაო ასოები მოცემულია მხატვრული შემკულობით. ხელ-ნაწერის პირველი ფურცლის ზურგზე გამოხატულია ი ო ა ნ ე ო ქ-რ ო პ ი რ ი—ბაზილიკური ეკლესიის ფონზე. იგი დახატულია მდგო-

---

[1] ეს ძეგლი გამოსცა ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე მ. აქ მოტანილი აღწერილობაც ამ გამოცემის წინასიტყვაობიდან არის ამოღებული (იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. თბილისი, 1945).

შარე პოზაში, მაკურთხეველი ხელით. მისი ტანისამოსის შესაფერადებლად გამოყენებულია თვით ტექსტის მელნის ფერები: შავი და წითელი, ხოლო კანის ფერის გადმოსაცემად მხატვარი ეტრატის ფერით სარგებლობს. საერთოდ, იოვანე ოქროპირის ეს გამოსახულება ხაზოვანი ნახატის საყურადღებო ნიმუშია. ხელნაწერი სინას მთიდან ჩამოტანილია პროფ. პორფირი უსპენსკის მიერ XIX საუკუნის შუა წლებში (№ 2124—H).

5. გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ი ო ა ნ ე ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა და მისი თარგმანება—978 წლის. დაწერილია კარგად დამუშავებულ ეტრატზე კუთხოვანი ნუსხურით, სათაურები, დასაწყისი ასოები—ასომთავრულით. ხელნაწერის ერთი ფურცლის ზურგზე დახატულია იოანე ოქროპირი, ოქროს ფონზე მდგომარე პოზაში—ხელაპყრობილი და წმინდანის ნიმბით. სურათი გვიან განახლებული ჩანს, თუმცა ახალი ფენის ქვეშ მოჩანს ძველიც. მხატვარი იყენებს წითურ, მწვანე და ოქროს ფერებს; კანის ფერის გადმოსაცემად ის აქაც ეტრატის ფერით სარგებლობს. სურათი ჩასმულია ლამაზად შემკულ ჩარჩოში. წიგნის სათაური (ფ. 2) შესრულებულია ლამაზი ასომთავრულით: წითური, მწვანე და ოქროს ფერებით და ეს უკანასკნელიც მოთავსებულია მხატვრულ ჩარჩოში. ტექსტში უხვად მოიპოვება დიდი ოსტატობით შემკული და შეფერადებული საზედაო ასოები. ყველაფერი ეს ხელნაწერის მაღალ მხატვრულ შემკულობას იძლევა. ამ მხრივ მას ადრინდელი პერიოდის მოხატულ ხელნაწერთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. გარდა ამისა, ხელნაწერს ახლავს გადამწერის საყურადღებო ანდერძი, რომელშიაც მოხსენიებულია ბიზანტიაში ბ ა რ დ ა ს კ ლ ი ა რ ო ს ი ს „ფ ი ც ხ ლ ა დ“ განდგომილების ამბავი. როგორც ცნობილია, ქართველთა მეფემ დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ მ ა ბიზანტიის იმპერატორის თხოვნით სწორედ ამ ბ ა რ დ ა სკლიაროსის წინააღმდეგ გაგზავნა თავისი ძლევამოსილი მხედრობა თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი ს წინამძღოლობით და ბერძენთა ქვეყანა დიდი განსაცდელისაგან იხსნა (№ 1346—H).

I. მხატვრული ლიტერატურა

გულუხვადაა წარმოდგენილი ამ ფონდში მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. გარდა ქართველი კლასიკოსებისა, აქ ინახება დიდი რუსი მწერლების: დ ე რ ჟ ა ვ ი ნ ი ს, კ რ ი ლ ო ვ ი ს, პ უ შ კ ი ნ ი ს და სხვათა თხზულებების თარგმანები. არიან აგრეთვე უცხოელი

ავტორებიც. მაგრამ განსაკუთრებული სიუხვით აქ ქართველები არიან წარმოდგენილნი. ქართული მხატვრული ლიტერატურის მრავალსახეობა აქ პირველხარისხოვანი ძეგლებითაა ასახული.

1. შოთა რუსთაველი — ვეფხისტყაოსანი, 1646 წლისა. გადაწერილია იმერეთის სამეფო კარის მდივნის მამუკა ოავაქარაშვილის მიერ სამეგრელოში, ლევან დადიანის კარზე, ტყვეობაში ყოფნის დროს. ამას უნდა ნიშნავდეს მინაწერი, რომელიც ასე იკითხება: „ქ. ღმერთო დაიხსენ მძევლები ამ განსაცდელიდამ; აქედან მშვიდობით წაიყვანე თავის ქვეყანასა. ამინ— კირიელეისონ“ (ფ. 20 v).

ის დაწერილია თეთრ, სქელ ქაღალდზე, მსხვილი მსედრულით, შავი მელნით, ხოლო სათაურები და თითოეული სტროფის პირველი სიტყვა წითურით.

წიგნი მოთავსებულია ტეიფრული ხის ყდაში. ხელნაწერი მოხატულია. აქ სულ 40 მინიატურა მოიპოვება. ისინი, თითქმის ყველანი, თვითონ გადამწერის ნახელავი ჩანს. ამ ნახატებში ადამიანის ყურადღებას ძალაუნებურად იპყრობს მხატვრული ხერხების სისადავე და რეალიზმი.

წინასაფარი ფურცლის ზურგზე (ზედა ნაწილში) დახატულია თვითონ სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, დორზე მჯდომარე; ქვედა ნაწილში კი დახატულია შოთა რუსთაველი, დაჩოქილი, თავის პოემას კარნახობს მდივანს.

ამგვარად, ამ ხელნაწერს შემოუნახავს ჩვენთვის შოთა რუსთაველის ჯერჯერობით უძველესი პორტრეტი. გარდა ამისა, ტექსტის ილუსტრაციებიდან კომპოზიციურად განსაკუთრებით საყურადღებოა:

1. ქაჯეთის ციხის აღება [213r];

2. ქორწილი ტარიელისა, ნესტან-დარეჯანისა და ფრიდონისა [222v];

3. ავადმყოფი ტარიელი [248 v];

4. სიკვდილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა [243 v.].

აღნიშნული მოხატულობა ძვირფას მასალას იძლევა XVII საუკუნის საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის, ტანისამოსის (საერთოდ ქსოვილების), საოჯახო ინვენტარისა და სხვა დეტალების შესასწავლად. ეს ძეგლი ვეფხისტყაოსნის დღემდე ცნობილ ხელნაწერთა შორის უძველესი თარიღიანი ხელნაწერია (№ 599—H).

ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ხელნაწერი XVIII საუკუნისა. საერთო ხედი

2. შოთა რუსთაველი—ვეფხისტყაოსანი. გადაწერილია იშვიათი კალიგრაფიული მხედრულით, შავი მელნით, სათაურები და სტროფის საწყისი სიტყვები ოქრომელნით. ხელნაწერი ჩასმულია ტყავგადაკრულ ოქროტვიფრულ ყდაში. ზედა და ქვედა ყდის შიგნითა მხარეები დაფარულია ოქროცურვილი, ტვიფრული სახეებით.

ხელნაწერი მდიდრულად ილუსტრირებულია. გარდა რამდენიმე ფერით შესრულებული ძვირფასი მინიატურისა, აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ტექსტის შემოხაზვა მხატვრული ჩარჩოთი და ფურცელთა აშიების შემკულობა. ყოველი ფურცლის განიერი აშია დაფარულია მცენარეულ და ცხოველთა მოტივების წნული ნახატებით. ეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციის შემცველია. ის უთარიღოა. ხელისა და ქაღალდის მიხედვით კი XVII საუკუნით თარიღდება (№ 2074—H).

3. შოთა რუსთაველი—ვეფხისტყაოსანი. გადაწერილია მშვენიერი მხედრული ხელით, ბეგთაბეგთანიაშვილის მიერ, ქართლის მეფის გიორგი XI ბრძანებით — 1680 წელს. წიგნი მოზრდილი ზომისაა. აკინძულია და ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. ტექსტი მოთავსებულია ფერადი ხაზებისაგან შედგენილ ლამაზ სწორკუთხედში. მის გარშემო კი ფართო აშიები «უშურველად» შემკულია იმავე მეფის განკარგულებით და საფასით მაღალხარისხოვანი მხატვრობით. აქ მხატვარს დიდი ოსტატობით გადაუწნავს ერთმანეთისათვის ნაირ-ნაირ მცენარეთა: ვაზის, სუროსი და ყვავილთა რტოები. მას მოუხერხებია უაღრესად დამაჯერებლად გადმოეცა ამ მრავალფეროვან ფოთლებში გარეულ ცხოველებისა და ფრინველების მოძრაობაც. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსისა და შესრულების მხრივ იმდენად მრავალფეროვანია, რომ არც ერთი გვერდი არ იმეორებს მეორეს. ყველაფერი ეს მოთავსებულია კიდევ უფრო დიდ ჩარჩოში, რომლის გვერდები საკმაოდ ახლო მისდევენ ფურცლის კიდეებს. ეს ხელნაწერი, როგორც მისი ანდერძი აღნიშნავს, „კეთილ-მშვენიერი“ სანახავია (№ 54—H).

4. ქილილა და დამანა. ხელნაწერი სულხან-საბა ორბელიანის რედაქციისაა.

გადაწერილია XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მხედრულით, საყურადღებო ხელნაწერია (№ 2183—H).

5. მოსე ხონელი—ამირანდარეჯანიანი. გადაწერილია XVII საუკუნეში შავი მელნით, სათაური წითურით (№ 2149—H).

ფოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ერთი გვერდი. XVII ს.

6. არჩილ მეფე—არჩილიანი. გადმოწერილია არჩილის ბრძანებით, მოსკოვში 1685 წელს დაწერილი ნუსხიდან (№ 2116—H).

7. სულხან-საბა ორბელიანი—სიბრძნე სიცრუისა. დაწერილია მხედრულით, შავი მელნით სათაურები—წითურით (№ 2114—H).

8. თეიმურაზ ბატონიშვილი—სამოცეული. ქება ღვთისმშობლისა და სხვა ავტობიოგრაფიული ხასიათის მასალები, რომელშიაც აღწერილია ავტორის ტანჯვა ირანის ციხის კედლებში [რუსეთთან კეთილგანწყობილების გამო]. ავტოგრაფი დაწერილია 1811 წელს. წიგნი გარეგნულადაც საყურადღებოა, ზის მოგრძო, წითელ ტყავგადაკრულ მუყაოს მაგარ ყდაში. ხელნაწერის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ქართული წნული საზედაო ასოების ნიმუშები (№ 2225—H).

9. ბესიკ გაბაშვილი—ლექსები. ავტოგრაფი. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე 1788 წლამდე (№ 2662—H).

10. კრებული—„ავალიშვილის დავთარი". მასში დაცულია: დიმიტრი ორბელიანის, ალექსანდრე ამილახვრის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, დიმიტრი ბაგრატიონის, ვახტანგ ორბელიანისა და სხვათა ლექსები.

გარდა ამისა, მასში დაცულია არჩილ მეფის თხოვნის პირი პეტრე პირველისადმი და ამ უკანასკნელის დადებითი პასუხი და სხვა მასალები. გადაწერილია გიორგი ავალიშვილის მიერ (№ 1103—H).

თეიმურაზ ბატონიშვილი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა. განხილულია უმთავრესად ლექსიკა და ცალკეული გამოთქმები (№ 2523—H).

11. ალ. პუშკინი—ბაღჩისარაის შადრევანი. თარგმნილია პეტერბურგში მიხეილ თუმანოვის მიერ 1830 წელს (№ 2682—H).

12. აქ დაცულია XIX საუკუნის დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა რამდენიმე კრებული [ავტოგრაფები].

გემოვნებით შერჩეული, მცირე ზომის, მაგრამ მოხდენილ წიგნებში ავტორის მიერ საკუთარი ხელით, იშვიათი ლამაზი მხედრულით, ჩაწერილია მისივე უკვდავი ლექსები (№№ 1115—H; 2033—H).

13. აქვე ცალკეა წარმოდგენილი იმავე ავტორის პოემა „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“. დაწერილია ისევე ლამაზი ხელით თვით ავტორის მიერ (№ 2034—H).

14. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ამ ფონდში დაცულია აგრეთვე დიდი ქართველი მწერლის ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს რამდენიმე თხზულება:

„პასუხის პასუხის“ ნუსხები (№№ 571, 2622, 2658—H);

„გამოცანების“ და „კიდევ გამოცანების“ ნუსხები (№ 571, 2622—H).

15. ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თანახმად ანდერძისა, მიიღო დიდი ქართველი პოეტის ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს ლიტერატურული მემკვიდრეობა მთლიანად. ამიტომ დღეს ამ ფონდშია დაცული ა კ ა კ ი ს მდიდარი არქივი, აქ არის მისი ლექსებისა და სხვა თხზულებათა ავტოგრაფები, პოლემიკური თუ სხვა ხასიათის წერილები, კერძო ხასიათის მიმოწერა და სხვა.

XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიისათვის ეს არქივი უაღრესად მნიშვნელოვანია (№ 1509—H).

II. ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

მდიდრულად წარმოდგენილია აქ ფილოსოფიაც. ქართველ ხალხს ამ დარგშიაც მრავალი საგულისხმო ძეგლი შეუქმნია.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს XII საუკუნის უდიდესი ქართველი ფილოსოფოსის—ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს—ნაშრომი. მას უთარგმნია პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღ~თისმეტყველებითნი“ და მისთვის დართულ ვრცელ კომენტარებთან ერთად მას დაუწერია ასევე ვრცელი წინა-და ბოლოსიტყვაობანი. სწორედ აქ, ამ ორიგინალურ ნაწილში, ის საკუთარ ფილოსოფიურ სისტემასაც ანვითარებს. დაწერილია ნუსხურით, ადრინდელ ქაღალდზე, შესაძლებელია ის თვითონ პეტრიწის ხელითაც იყოს შესრულებული. XII საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების გასათვალისწინებლად ეს ძეგლი უაღრესად მნიშვნელოვანია (№ 1337—H).

არისტოტელეს ფილოსოფიური სისტემის შესწავლით ქართული ფილოსოფიური აზროვნება ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს შემდეგაც ყოფილა დაინტერესებული. მას ამ მოძღვრების პროკლე დიადოხოსისეულ სქოლასტიკურ განმარტებაში თვალსაჩინო შესწორებები შეუტანია. ამ მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვანია

ვახტანგ VI, ვახუშტის, ანტონის და სხვათა მოღვაწეობა XVIII საუკუნეში.

ამ მხრივ საგულისხმოა პროკლე დიადოხოსის ქართული თარგმანის XVIII საუკუნის ნუსხები და სხვა. აქ საკმაო სისრულით წარმოდგენილია თვითონ არისტოტელეც. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „განმარტებისათვის“, გადაწერილია თელავში, დავით რექტორის მიერ (№ 2373—H); „პერი არმენეია“, გადაწერილი 1765 წ. (№ 1750—H). თავის ორიგინალობით საყურადღებოა:

დავით ბატონიშვილის „განსჯანი ხარაკტერისათვის ფილოსოფიისა“, რომელშიაც ავტორი საყურადღებო მეთოდოლოგიურ დაკვირვებას იძლევა (№ 2173—H). მისივე „შემოკლებული კატიღორია“ (№ 2246—H).

იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფული ნაშრომი ლოგიკის დარგიდან (№ 2177—H.)

ფრანგ განმანათლებლებიდან აქ აღსანიშნავია მონტესკიეს „გულისხმის ყოფისათვის სჯულთასა“, თარგმნილი დავით ბატონიშვილის მიერ (№ 2179—H).

III. ისტორია და მასალები ისტორიისათვის

უხვად არის ამ ფონდში წარმოდგენილი ისტორია და მასალები ისტორიისათვის (მსოფლიოს, აღმოსავლეთის, რუსეთის, კავკასიის ხალხთა და, განსაკუთრებით კი, საქართველოსი). ანდერძებისა და მინაწერების გარდა, რაც ხელნაწერებში თითქმის ყველგან მოიპოვება და რის ღირებულებაც ისტორიული მეცნიერებისათვის განუზომელია, აქ დიდი რაოდენობით გვხვდება წმინდა ისტორიული ხასიათის პირველხარისხოვანი ძეგლები, ცალკე თხზულებათა თუ კრებულების სახით.

1. „მოქცევა ქართლისაჲ“ [ჰელიშური ვარიანტი], ქართველი ხალხის ეს უძველესი ისტორია მოგვითხრობს ქართველთა გაქრისტიანების, ანუ „მოქცევის“, ამბავს და მისი წინარე ხანის თავგადასავალს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროიდან და წარმოადგენს ქართული ისტორიული აზროვნების ბრწყინვალე ძეგლს IX საუკუნიდან. „მოქცევის“ ტექსტს აქ პირდაპირ მისდევს ნინოს ცხოვრება, რომელსაც ცალკე სათაური არ გააჩნია. როგორც ერთი, ისე მეორე ფრიად საგულისხმო ვარიანტულ სხვაობას იძლევა შატბერდის ცნობილ ნუსხასთან შედარებით. სწორედ აქ მოიპოვება მითითება: ამაზე უფრო ადრე საქართველოში ქართლის მოქცევის კიდევ სხვა წიგნის

არსებობის შესახებ. ამ უკანასკნელის ავტორი გრიგოლ დიაკონი ყოფილა.

თხზულება მოთავსებულია კრებულში, რომელიც გადაწერილია ქაღალდზე XIV საუკუნეში საკმაოდ ლამაზი ნუსხური ხელით.

კრებული აღმოჩენილია არქიმანდრიტ ამბროსის მიერ 1903 წელს ჭელიშის მონასტერში [ნიკორწმიდის მახლობლად, რაჭაში], (№ 600—H).

2. „აფხაზთა ისტორია"—ბაგრატ მეფისა. ძეგლი შეიცავს „აფხაზეთის", ანუ დასავლეთ საქართველოს, პოლიტიკურ ისტორიას უძველესი დროიდან X საუკუნემდე. ის მთლიანად გამოაქვეყნა და ვრცელი შენიშვნები დაურთო ექ. თაყაიშვილმა („ძველი საქართველო", II, ტფილისი, 1913, გვ.46—54). როგორც ექ. თაყაიშვილის გამოკვლევიდან ჩანს, აქ შემონახულია: „ქართული ტექსტი იმისი, რასაც იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი უწოდებს: „აფხაზეთის ისტორიას ბაგრატ მეფისა". ამიტომაც ეს ხელნაწერი დიდი მნიშვნელობის უნიკალური ძეგლია, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი (უმეტესი ნაწილი) ამბროსი ნეკრესელის მიერ (№ 1283—H).

3. ხელმწიფის კარის გარიგება. წესი და განგება დარბაზობისა და საქართველოს სამეფო კარის სხვა ცერემონიალის შესახებ ერთიანობის ხანაში. ძეგლი შედგენილია XIV საუკუნეში, ხოლო გადაწერილია XVII საუკუნეში. ეს ძეგლი აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ექვ. თაყაიშვილმა. თბილისი, 1920 (№ 3097—H).

4. სულთა მატიანე — XIII—XIV საუკუნეებისა, გრაგნილი, თოთხმეტი კეფისაგან შედგება. თითქმის ყველა კეფი პალიმფსესტია. დაწერილია ნუსხურით. ახლავს საყურადღებო ანდერძი. გრაგნილი ჩამოტანილია სვანეთიდან. ტექსტში დასახელებულია სოფლები: კალაში, ცხმარი, ებუდი, დოლი, ლახამლი, ღეშტერი, ეცერი, კიჩხლდაში. ასევე მნიშვნელოვანია XV—XVI საუკუნეთა „სულთა მატიანე" (№ 1401—H), რომლის გრაგნილი 17 კეფისაგან შედგება და დაწერილია ნუსხურით (№№ 2090--2093—H).

5. ათაბაგთა სულთა მატიანე. ერთვის ნუსხურით ეტრატზე დაწერილ დავითნს. მატიანე 1474—1515 წლების ამბებს ეხება. მატიანეში მოხსენებულნი არიან: ბაადურ, პატრონი დედისიმედი, პატრონი ყუარყუარე, პატრონი

ქაიხოსრო და სხვ. დავითნი გადაწერილია XV—XVI საუკუნეებში (№ 1717—H).

6. ფარსადან გორგიჯანიძე—საქართველოს ისტორია. აქ დაცულია თხზულების დასაწყისი ნაწილი XIII საუკუნემდე. დაწერილია XVII საუკუნის ბოლოს ლამაზი მხედრულით. უნდა იყოს ავტოგრაფი (№№ 2492, 2140—H).

7. დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა. დავთარი დაწერილია ნუსხურით—1578 წელს. ტექსტი დაყოფილია მუხლებად (კომლთა მიხედვით), ყოველი მუხლი იწყება სიტყვით: „მართებს". შემდეგ დასახელებულია ყმა გლეხის ვინაობა და მისი ბეგარა (ყოველგვარი) მოცულობის ჩვენებით. დავთარში დასახელებულია სოფლები და ადგილები: ახალსოფელი, ბანოჯა, საყუავისტყე, ქუტირი, მაღლაკი, ფარცხანაყანევი, მესხეთი, ჩუნეში, ოფისკვიჯი, პატრიკეთი, ბუკისუბანი, გეგუთი, ბაში, წყალთაშუა, ჭოლევი, ჭუარისა, ფუტიეთი, ხონი, ჭყუში, კორთხა, დაინტყა, პიტინისხევი, გუბა, ხოლასკური, ალისმერე, ალისუბანი, მუჯირეთუბანი და ბერეთისი.

დავთარი მრავალმხრივ საგულისხმო მასალას იძლევა XVI საუკუნის საქართველოს (კერძოდ კი იმერეთის) სოციალური ურთიერთობის და ეკონომიური ვითარების გასათვალისწინებლად.

საზოგადოებას ეს ხელნაწერი ეპისკოპოსმა კირიონმა შემოსწირა. დავთარი გამოქვეყნებულია ე ქ. თაყაიშვილის მიერ (ტფილისი, 1915), (№ 626—H).

8. ხრონოგრაფი—მსოფლიო ისტორია ძველი აღთქმის წიგნების მიხედვით, ნათარგმნია არჩილ მეფის მიერ რუსეთში. შესაძლებელია მისი ავტოგრაფიც იყოს (№ 2252—H).

9. ქართლის ცხოვრება [საქართველოს ისტორია — უძველეს დროიდან XIV საუკუნემდე]. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული წარსულის ამსახველი, სწორუპოვარი ძეგლი—ქართლის ცხოვრება, ამ ფონდში ფრიად მნიშვნელოვანი ხელნაწერებითაა წარმოდგენილი:

ა. „რუმიანცევისეული"—გადაწერილია XVIII საუკუნის დამდეგს. ეს ახალი ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი უძველესი ნუსხათაგანია. მის აშიებს ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე ავტოგრაფული მინაწერი დღესაც ამშვენებს. წარსული საუკუნის დამდეგისათვის ეს ხელნაწერი თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკაში ყოფილა, მასვე იგი ხელახლა და მეტად მდიდრულად შეუკაზმინებია.

ხოლო 1821 წელს თეიმურაზს იგი რუსეთის კანცლერ გრაფ პეტრე ნიკოლოზისძე რუმიანცევისათვის მიურთმევია. აქედანაა მისი აწინდელი სახელიც: „რუმიანცევისეული“ (№ 2080—H).

ბ. „მაჩაბლისეული“—გადაწერილია გიორგი მაჩაბლის მიერ 1736 წელს ქ. მოსკოვში. ხელნაწერის უდიდესი ნაწილი, მოყოლებული თავიდან: შემოსვლა სპარსთა და მეფობა მირიანისა, ვიდრე ჟამთაღმწერელის მოულოდნელად შეწყვეტილ სიტყვამდე: „და დაიწყო მთიებმა აღმობრწყინება, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელისა თქმად...“ (XIV ს.), გადაწერილია არჩილ მეფის ნაქონი ქართლის ცხოვრების მიხედვით, ამგვარად, მას დღემდე უცნობი არჩილისეული ძველი ქართლის ცხოვრების პირი შემოუნა-



გეორგიევსკის ტრაქტატი—1783 წლისა. დასაწყისი ნაკვეთი, რომელშიაც აღნიშნულია ეკატერინე II და ერეკლე II წოდებულებანი

ხავს. სწორედ ამაშია მაჩაბლისეული ხელნაწერის დიდი სამეცნიერო ღირებულებაც.

აქვე, ბოლოში, მოიპოვება ქართლის ცხოვრების გაგრძელება თავისი პირვანდელი სახით, ვითარცა კომისიის კოლექტიური ნაშრომი. ამ ხელნაწერის თავი და ბოლო ჭალაშვილისეული ხელნაწერის მიხედვით შევსებული ჩანს (№ 2135—H).

გ. „ფალავანდიშვილისეული"—ახალი ქართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ხელნაწერია. ის გადაწერილია ზაქარია ხუცესის მიერ 1761 წელს.

ეს ერთ-ერთი იმ ნუსხათაგანია, რომელიც საფუძვლად დაედო ქართლის ცხოვრების პირველ, ბროსესეულ გამოცემას 1848 წელს. ქართლის ცხოვრების გაგრძელება აქ წარმოდგენილია მერმინდელი გადაკეთებული სახით (№ 988—H).

დ. ქართლის ცხოვრების XII საუკუნის შემოკლებული სომხური თარგმანის გადმოქართულებული პირი (№ 2665—H)

10. ორბელიანი ნიკოლოზ.—მროველის სამწყსოს. დავთარი. აღწერილია რუისის საყდრის სამწყსო XVIII საუკუნის დამდეგისათვის. თან ახლავს ავტორის ვრცელი ანდერძიც. ეს დავთარი განხილული აქვს ივანე ჯავახიშვილს (საქართ. ეკონომიური ისტორია. I, ტფ., 1930, გვ. 10—14, § 2), ხოლო გამოქვეყნებულია მთლიანად ექვ. თაყაიშვილის მიერ (იხ. მისი—„არქეოლოგიური მოგზაურობანი". თბილისი, 1907, გვ. 126—207) (№ 1294—H).

11. კრებული ისტორიული თხზულებებისა. მასში მოთავსებულია სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის ნაშრომები (თითქმის მთლიანად). წამძღვარებული აქვს ისტორიული ხასიათის ქრონიკები 1392—1687 წლებისა (№ 2304—H).

12. გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 წლისა (დედანი). მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის. ეს არის საბუთი, რომელმაც ერეკლე მეფის გენიალური შორსმჭვრეტელობის წყალობით საბოლოოდ გადაწყვიტა ქართველი ხალხის ბედი და ეს უკანასკნელი დიდ რუს ხალხს მტკიცედ დაუკავშირა. დაწერილია საგანგებოდ შემზადებული ეტრატის ფოლიანტებზე კალიგრაფიული მხედრულით, მაგრამ დასაწყისი წინადადებანი და ზოგჯერ ცალკე სიტყვები—მთავრულით, გეორგიევსკის ციხეში (ჩრდილო კავკასია) 1783 წლის 24 ივლისს. ექვსი თვის შემდეგ აღნიშნული ხელშეკ-

რულება მოწონებულ და დამტკიცებულ (რატიფიცირებულ) იქნა ერეკლე II მიერ ქ. თბილისში. აქ არის საამისო ტექსტი, ერეკლეს ხელრთვა და სამეფო (დიდი) ბეჭედი.



XIII 1799 წელს. ძველი საქართველოს პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის ეს ძეგლი დიდმნიშვნელოვანია (№ 2155—H).

15. მირზა მეჰთი—ისტორია სპარსეთის მეფის ნადირ ავშარელისა. თარგმანი დავით ბატონიშვილისა. გადაწერილი ბაგრატ ბატონიშვილის მიერ 1814 წელს (№ 2104—H).

16. დავით ბატონიშვილი—ახალი ისტორია (№ 2133—H).

17. ალ. ორბელიანი—1829 წლის არეულობა საქართველოში (№ 2471—H).



გეორგიევსკის ტრაქტატის დაკიდული ბეჭდები (ერეკლეს სამეფო დიდი ბეჭედი)

18. ისტორია ქსნის ერისთავთა. გადაწერილია 1828 წ. (№ 2496—H).

19. სვიმონ ტაბიძე—ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა „სმენითა და მეხსიერებითა სარწმუნოთა კაცთაგან ცნობით“ აღწერილი. იწყება თავიდან და მოდის აღამაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრების ამბებამდე. ამ უკანასკნელის შესახებ ავტორი დასძენს: „მისთჳს არარა დამიწერიეს ჯერეთ, ვინათგან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებიან“ (№ 1779—H).

20. პარიზის ქრონიკა. გადაწერილია მხედრულით ზაალ ზაალოვის მიერ, XIX საუკუნის დამდეგს. ეს ძეგლი სავსებით ანალოგიურია იმისა, რაც ამავე სათაურით გამოცემულია მარი ბროსეს მიერ პარიზში 1829 წელს (№ 2037—H).

21. ძველი ბაჟი და ნიხრი საქართველოში. საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის უთუოდ საგულისხმოა (№ 2583—H).

22. პლატონ იოსელიანი—ცხოვრება გიორგი XIII. ავტოგრაფი დაწერილია 1867 წელს, ტექსტი გამოცემულია აკაკი გაწერელიას მიერ 1936 წელს, თბილისი (№ 2301—H).

23. დღიური ხოჯავანათ მღვდლის მამა იოვანესი. ნაწარმოებია ქრონოლოგიური წესით, მხოლოდ მნიშვნელოვანი თარიღების მიხედვით. დღიური ძვირფას მასალას იძლევა საქართველოს ისტორიისათვის 1763—1809 წლებში. ის გადაწერილია ივანე მესხის მიერ ახალციხეში (№ 2782—H).

24. საბუთები, კერძო წერილები და პირადი არქივები. ამ ფონდში დაცულია, აგრეთვე, საზოგადოებაში სხვადასხვა დროს შემოსული საბუთები (უმთავრესად კრებულების სახით), კერძო წერილები და პირადი არქივები.

ა. წერილები ანტონ კათალიკოსისა

აქ სულ 23 წერილია დაცული, უმთავრესად, რუსეთიდან მოწერილი (№ 2510—H).

ბ. პავლე პოტიომკინის წერილები ერეკლე მეფისადმი

კრებულში სულ 27 წერილია. ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს. თან ერთვის დავით ბატონიშვილის წერილი გარსევან ჭავჭავაძისადმი—მოზდოკიდან. გადაწერილია სვ. ტაბიძის მიერ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის ეს მასალა უაღრესად მნიშვნელოვანია (№ 2300—H).

გ. წერილები ქართველ ბატონიშვილებისა

აქ დაცულია ოქროპირის, იოანეს, ბაგრატისა და სხვათა მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი 23 წერილი (დედნები). რუსეთში ქართველი ბატონიშვილების ცხოვრებისა და მოღვაწეობის და მათი პოლიტიკური ინტერესის შესასწავლად ეს წერილები მნიშვნელოვანია (№ 3254—H).

დ. წერილები მამია სვიმონის ძე გურიელისადმი

აქ დაცულია 21 წერილი (1809—1820 წლებისა). ეხება გურიაში მეფის რუსეთის დამკვიდრებასთან დაკავშირებით აქტუალურ საკითხებს (№ 2512—H).

ე. კრებული კაცხის მონასტრის გუჯრებისა

კრებულში სულ 28 საბუთია. აქ არის წყალობის, შემოწირულების, პირობის, ნასყიდობისა და სხვა წიგნები. დავთარი გადაწერილია 1797 წელს, მაგრამ ამის შემდეგაც იქ რამდენიმე საბუთის დედანიც ჩაუკერებიათ. დავთარში მოთავსებული საბუთები XVI საუკუნის ბოლოდან—1829 წლამდე ამბავს ეხება. აღნიშნული დროის იმერეთის ისტორიისათვის ეს საბუთები ფრიად მნიშვნელოვანია (№ 1781—H).

ვ. კრებული მღვიმის მონასტრის გუჯრებისა

კრებულში სულ 52 საბუთია მოთავსებული. აქ არის შეწირულობის, წყალობის, გარდაწყვეტილების, პირობისა და სხვა წიგნები. კრებული გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის დამდეგს კრებულს წამძღვარებული აქვს გადაწერის ვრცელი წინასიტყვაობა. კრებული 1729—1819 წლების ამბავს ეხება. ეს საბუთები ძვირფას მასალას იძლევა XVIII საუკუნის იმერეთის სოციალური ურთიერთობის და ეკონომიური ვითარების გასათვალისწინებლად (№ 1705—H).

ზ. როარტაგი ნინოწმინდის საყდრისა

ეს არის ერთიანი სიმტკიცის წიგნი, რომელიც უბოძებია ერეკლე მეფეს ნინოწმინდის საყდრისათვის. ამით მეფე უახლებდა საყდარს ძველი დროის მეფეთა შეწირულებებს. აქ ჩამოთვლილია სათითაოდ ყველა საბუთი, რომელსაც ერეკლე უახლებდა და თან მოტანილია სიტყვა-სიტყვით მათი განგებულების ნაკვეთებიც. რადგანაც აქ მოხსენებული საბუთების უმრავლესობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის, როარტაგის მეცნიერული ღირებულება უაღრესად დიდია. მას ერთვის საბა ნინოწმინდელის მოღვაწეობის ვრცელი მიმოხილვაც (№ 2110—H).

თ. კრებული საორბელოს საბუთებისა

მასში დაცულია სულ 43 საბუთი XVII—XVIII საუკუნეებისა (№№ 2508, 2511—H).

ი. დავთარი—საცაიშლო

დავთარი შეიცავს უმთავრესად ცაიშის საყდრის ყმებისა და ბეგრის ნუსხას. ტექსტი მთლიანად გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის მიერ, ტფილისი, 1913 (№ 2508—H).

აქვეა დაცული იმავე სამწყსოს საბუთების პირებიც 31 საბუთის რაოდენობით, უმეტესად XVIII საუკუნისა (№ 2509—H).

კ. დავთარი საქუთათლოს საბუთებისა

მასში დაცულია 21 საბუთის პირი XVII—XVIII საუკუნეებისა (№ 2752—H).

ლ. მიქელ თამარაშვილი—საარქივო მასალები

მასალები საქართველოს შესახებ ამოწერილია მის მიერ, იტალიაში ყოფნის დროს, ვატიკანისა და იტალიის სხვა არქივებიდან ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ ენებზე. XVI—XIX საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის ეს მასალები უაღრესად მნიშვნელოვანია (№№ 1559—1630—H).

IV. ეთნოგრაფიული მასალები

რადგანაც საზოგადოების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალების შეგროვება შეადგენდა, ამ ფონდში ეთნოგრაფიული ხასიათის დიდძალმა მასალამ მოიყარა თავი. აქ არის ზეპირსიტყვიერი ხალხური მასალები: ლექსები, ზღაპრები, იგავ-არაკები, გამოცანა-ანდაზები, ლეგენდა-თქმულებები, სპეციალური ექსპედიციების თუ ცალკე პირების მიერ ჩაწერილი მასალები და ნარკვევები. სანიმუშოდ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთებს:

1. XVII საუკუნეში კათოლიკე მისიონერების მიერ საქართველოში ჩაწერილი „ორი ზღაპარი“ (№ 1601 ა, ბ—H);
2. ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი (№1052—H);
3. ზეპირთქმულებანი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან (№ 1931—H);
4. ტარიელისა და ავთანდილის სვანური ზღაპარი (№ 1959—H);
5. ფშავში შეკრებილი ზღაპრები (№ 1963—H);
6. კახეთში შეკრებილი ზღაპრები (№ 1964—H);
7. ქართლის ზღაპრები (№ 1965—H);
8. კრებული ხალხური [ჯავახური] ზღაპრებისა (№ 1997 ბ—H);
9. „ფასკუნჯი“ ზღაპარი (№ 1997 ბ—H);

10. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი—ეთნოგრაფიული წერილები (№ 1998 ბ—H);

11. ეთნოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი) (№ 1998 დ—H);

12. ბ. გ ი ო რ გ ი ძ ე. აფხაზეთი და აფხაზნი [საეთნოგრაფო აღწერა] (№ 1998—H);

13. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა—კრებული ეთნოგრაფიული წერილებისა ფშავის შესახებ (№ 1998 ია—H);

14. ხალხური ვეფხისტყაოსანი (№ 1999 ა—H);

15. კრებული—მესხეთ-ჯავახური სახალხო თამაშობანი და ქორწილი (№ 2010 ბ—H) და მრავალი სხვა (საერთოდ კი ამ ხასიათისაა ფონდში) (№№ 1913—2027—H).

V. ს ა მ ა რ თ ა ლ ი

არაჩვეულებრივი სიუხვითაა წარმოდგენილი სამართლის ძეგლები, პირველ რიგში კი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე. წ. კ ო დ ი კ ო ე ბ ი. აქ ამ ძეგლის 42 ცალი მოიპოვება. მათ შორის აღსანიშნავია:

1. ხელნაწერი, გადაწერილი რაჟის ე რ ი ს თ ა ვ ი ს რ ო ს ტ ო მ ი ს დაკვეთით 1751 წელს. საზოგადოებისათვის შეუწირავს ს ვ ი მ ო ნ გ ი ო რ გ ი ს ძ ე წ ე რ ე თ ე ლ ს (№ 1070—H).

2. დიდად საყურადღებოა, აგრეთვე, რუსული სამართლის წიგნებიც, თარგმნილი ქართულად, ე ი რ ე კ ლ ე მ ე ფ ი ს შეკვეთით 1760 წლის ახლო ხანებში. არსებითად კი ეს წარმოადგენს რ უ ს ე თ ი ს მ ე ფ ი ს ა ლ ე ქ ს ი მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ი ს საკანონმდებლო მოღვაწეობის შესანიშნავ ძეგლს (№ 1426—H).

3. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ ფონდში დაცული დავით ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ მეცნიერ ბატონიშვილის მიერ ის დამუშავებულია, როგორც პროექტი, საქართველოში სასამართლო წყობილების გაუმჯობესების მიზნით (№ 2330—H).

4. ეს ძეგლი გამოსაცემად მოუმზადებია ს. გორგაძეს, რაც აგრეთვე ამავე ფონდში მოხვედრილა და აქ ინახება (№ 840—H).

VI. სამხედრო ხელოვნება

თუ ქართლის ცხოვრებას, უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველთა სამხედრო ხელოვნების არა ერთი ბრწყინვალე ნიმუში

აქეს აღბეჭდილი, ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს მესვეურებს, ყოველთვის აინტერესებდა სამხედრო ცოდნის კიდევ უფრო გამდიდრება და სამხედრო მეცნიერების შემდგომი განვითარების შესწავლა. ამიტომაც ეს დარგი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველი ხელნაწერების ფონდში უხვად არის წარმოდგენილი. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს:

1. ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ XVIII საუკუნის დამდეგისათვის შექმნილი ქართული სახელმძღვანელო—„საარტილერიო წიგნი“.

ალექსანდრე ბატონიშვილი არჩილის-ძე, როგორც ცნობილია, იყო პეტრე I პირადი მეგობარი და მისი ქარჯვენა ხელი, რუსეთის უძლეველი და სახელოვანი არტილერიის პირველი უფროსი, მისი პირველი ფელცეხმეისტერი (№ 1069—H).

2. არანაკლებ საგულისხმოა ქართული სამხედრო ხელოვნების დიდი ოსტატის—ერეკლე II თაოსნობით, გაიოს რექტორის მიერ 1784 წ. თელავში რუსულიდან თარგმნილი: „სამხედრო ტიბიკონი“ (წესდება) (№ 2109—H).

3. ასევე უაღრესად საყურადღებოა იმავე ერეკლეს დროს შექმნილი „არტილერიის“ წიგნი (№ 2333—H).

4. მნიშვნელოვანია აგრეთვე წიგნი: „ფორტიფიკაცია“ (№ 2161—H).

5. დიდად საგულისხმოა თავისი სიახლით დავით ბატონიშვილის ნაშრომი არტილერიის შესახებ, რომელიც კრებულშია მოთავსებული (№ 2165—H).

VII. გეოგრაფია—მოგზაურობანი

1. ამ ფონდის გეოგრაფიული ხასიათის მასალათა შორის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი საქართველოს რუკების ატლასი იპყრობს. ეს შრომა ქ. მოსკოვშია შესრულებული 1735 წელს. ატლასი დიდი ზომისაა (53×37), ქაღალდი, ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში. დასაწყისში, გადაშლილი ფურცლის ორივე გვერდზე, წარმოდგენილია საქართველოს ზოგადი რუკა (სამცხე-საათაბაგოთურთ) ფერებში. აქვე დახატულია ავტორის მიერ ზედა ნაწილში, ორ მწკრივად, საქართველოს ცალ-

კეულ კუთხეთა და რუკაზე წარმოდგენილი სხვა ქვეყნების ღერბებიც. ყოველი ღერბი იმ ფერითაა შესრულებული, რომლითაც შეფერადებულია მისი მფლობელი ქვეყანა რუკაზე, ამას მისდევს საქართველოს ცალკეული ნაწილების რუკები: ქართლის, სამცხე-საათაბაგოსა და კახეთის.

ყოველი მათგანი გადაშლილი ფურცლის ორ-ორ გვერდზეა დახატული. ქართლის რუკას თან ახლავს ქ. თ ბ ი ლ ი ს ი ს დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ი გ ე გ მ ა ც. კახეთის რუკის მხოლოდ პირველი ნახევარია შემორჩენილი.

ყველა რუკა გეოგრაფიული ბადის მიხედვითაა შესრულებული და ამიტომ ნამუშევარს დიდი სიზუსტე ახასიათებს. რუკებზე თავ-თავის ადგილას მოცემულია პირობითი ნიშნები და საჭირო ექსპლიკაციაც (№ 2079—H).

2. ამასთან ერთად, აღსანიშნავია იმავე ავტორის: „ა ღ წ ე რ ა აწინდელისა ქართლისა“ (№ 2302—H).

3. გარდა ამისა, აქ მოიპოვება ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს მრავალმხრივ საყურადღებო „მიმოსვლა“ (№ 1014—H).

4. არანაკლებ საყურადღებოა დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს მიერ შედგენილი: „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ზ ო ბ ე ლ მ ხ ა რ ე თ ა ა ღ წ ე რ ა“. აქ წარმოდგენილია: „ახალციხის, ყარსის, ბაიაზეთის, ერევნის, განჯის, ხამსის, ყუბის, კუმუხის, შაქის, ალისულტნის, ქარელთი და იმ ძირობისა, ხუნძახისა, დიდოქისტისა, ღილღვისა, ბზურზუკისა, თუშ-ხევსურისა და ხევის“ აღწერა და აგრეთვე „აღწერა ქერიმ ხანის საქმეებისა“. მოთავსებულია ავტოგრაფულ კრებულში (№ 2673—H).

5. ნ ი კ ო ლ ო ზ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი — მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა მ ც ხ ე თ ი დ ა ნ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ა მ დ ე.

ავტორი თან ახლდა რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს: ი ო ა ნ ე ს, ბ ა გ რ ა ტ ს ა და მ ი ხ ე ი ლ ს. ის დაკვირვებული თვალით აგვიწერს მთელ ამ მოგზაურობას მცხეთიდან — გადასახლების საბოლოო პუნქტამდე. დაწვრილებით ეხება ის რუსეთს, მის სოფლებსა და ქალაქებს. განსაკუთრებით კი დედა-ქალაქებს: მ ო ს კ ო ვ ს ა და პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს. ამასთან ერთად, ის იძლევა მაშინდელი პოლიტიკური ამბების მიმოხილვასაც. მოგზაურობის აღწერას ის 1801 წლის 9 მარტიდან იწყებს.

აღნიშნული მოგზაურობის დღემდე ცნობილ ხელნაწერთა შორის ეს ძეგლი უძველესია (№ 2810—H).

6. ასევე მნიშვნელოვანია გრიგოლ ბატონიშვილის „მოგზაურობა“ (№ 2178—H).

7. „მოგზაურობა“ დიმიტრი მეღვინეთ ხუციშვილისა (№ 2587—H).

VIII. ლექსიკოგრაფია

ამ ფონდში მდიდრულად წარმოდგენილია ლექსიკონები და სალექსიკონო მასალა. უპირველეს ყოვლისა, XVIII საუკუნის უდიდესი ქართველი მეცნიერის და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონები მოიპოვება აქ დიდი რაოდენობით. მათ შორის აღსანიშნავია:

1. საბას ლექსიკონის მოკლე რედაქციის შემცველი ნუსხა მრავალრიცხოვანი მინაწერებით აშიებზე (№ 416—H).

2. დიდად საყურადღებოა ამ ძეგლის ვრცელი რედაქციის შემცველი ავტოგრაფული ნუსხები (№№ 1035, 1429—H).

3. ასევე საყურადღებოა, რედაქციული თვალსაზრისით, საბას ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხა (№ 1668—H).

4. გარდა ამისა, ფრიად საგულისხმოა იოანე ბატონიშვილის ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხა, სამწუხაროდ, ფრაგმენტულად შენახული (№ 2289—H).

IX. სახელმძღვანელო წიგნები

XVIII საუკუნისათვის საქართველოში, ცოდნის სხვადასხვა დარგში, მრავალი სახელმძღვანელო წიგნი იყო. ამ ფონდში მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიპოვება. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს:

ა. გრამატიკა

1. გრამატიკა ანტონ კათალიკოსისა, დაწერილი მის მიერ 1767 წ. (№ 2066—H).

2. მისივე—სიმენტე გრამატიკისა, დაწერილი 1769 წელს (№ 2067—H) (შესაძლებელია ეს ორივე წიგნი ანტონის ავტოგრაფი იყოს).

3. გარდა ამისა, აქვეა უავტორო გრამატიკა, რომელიც 1783 წელს შედგენილი ჩანს (№ 2255—H).

4. დიდად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს გრამატიკის ავტოგრაფული ნუსხა, დაწერილი 1829 წელს (№ 2287—H).

ბ. ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა—ფ ი ზ ი კ ა-მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა.

1. ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი—ბ უ ნ ე ბ ი ს ა თ ' ვ ი ს კ ა ც ი ს ა, (I—II თავი) (№ 1456—H).

2. „შემოკლებული ფიზიკა", უავტორო, 1767 წლისა (№ 2369—H).

3. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი—ფ ი ზ ი კ ა, ავტოგრაფი, 1818 წლისა (№ 2368—H).

4. ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი—არითმეტიკა, გეომეტრია და პლანიმეტრია, ავტოგრაფული ნუსხა (№ 218—H).

გ. ს ა მ დ ი ვ ნ ო წ ი გ ნ ე ბ ი

სამდივნო წიგნებში თავმოყრილია სამოქალაქო, საეკლესიო და კერძო ხასიათის მიმოწერის საუკეთესო ნიმუშები. ხშირია მათ შორის ნამდვილი საბუთებისა და წერილების პირებიც. ასეთი წიგნები მრავალმხრივ საყურადღებოა (№№ 18, 1334—H).

X. კ ა ლ მ ა ს ობ ა—ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა

ქართული ენციკლოპედიის საუკეთესო ნიმუშს ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს კ ა ლ მ ა ს ობ ა წარმოადგენს, დაწერილია დიალოგის წესით. მასში წარმოდგენილია ფილოსოფიისა და მეცნიერების ყველა დარგი: ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და მრავალი სხვა. მკითხველი ყველგან იხიბლება ცოდნის განსაცვიფრებელი სისრულითა და სიღრმით. ქართული აზროვნების ეს ბრწყინვალე ძეგლი მრავალმხრივ საგულისხმოა (№№ 2134, 2153, 2170—H).

XI. ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ამ ფონდში ბიბლიოგრაფიული ხასიათის მრავალი წიგნი მოიპოვება. მათ შორის აღსანიშნავია: ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერების სია, რომელიც შედგენილია მ ა მ ა ი ლ ა რ ი ო ნ ი ს მიერ ათონის მთაზე 1836 წელს.

მამა ილარიონი, ჯერ იმერეთის დედოფლის მ ა რ ი ა მ ი ს მოძღვარი იყო [დედოფალი მარიამი—სოლომონ II თანამეც-

ხედრე], ხოლო დედოფლის სიკვდილის შემდეგ ის ათონის იევრიის [ქართველთა] მონასტერში ბერად აღკვეცილა (№ 2788—H).

საყურადღებოა, აგრეთვე, მიხეილ თამარაშვილის მიერ შედგენილი ტორე დელ გრეკოს მონასტერში (იტალია) დაცული ქართული ხელნაწერების ნუსხა (№ 1601—H).

აქვეა ოლივერ ვარდროპის მიერ გამოგზავნილი ნუსხა ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართული წიგნებისა და ხელნაწერებისა ლათინური ტრანსკრიპციით (№ 1154--H).

ფრიად მნიშვნელოვანია ს. გორგაძის მიერ შედგენილი აკაკი წერეთლის ავტოგრაფების სია და მათი ანბანური საძიებელი (№ 1503—H). მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა მის მიერვე შედგენილი აკაკის ბიბლიოგრაფია. ეს უკანასკნელი გამოირჩევა თავის სისრულითა და სიზუსტით. დიდი ქართველი მწერლის, აკაკის, მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გარკვევა დღეს უამისოდ თითქმის შეუძლებელია (№ 1466—H).

საყურადღებოა აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი—ავტოგრაფი: ცნობანი სამართლის წიგნის ხელნაწერთა შესახებ. აქ აღწერილია ს. პეტერბურგის (აწ ლენინგრადის) საცავების ორი და ერთიც საკუთარი ხელნაწერი (№ 2665—H).

ასევე დიდად საყურადღებოა იოსებ ყიფშიძის მიერ 1915 წელს შედგენილი გაზ. „სახალხო ფურცლის“ საძიებელი. ეს უკანასკნელი შედგენილია ბარათების სისტემით. წარმოდგენილია სულ 191 ბარათი (№ 2430—H).

XII. საეკლესიო მწერლობა

მდიდრულად არის წარმოდგენილი ამ ფონდში საეკლესიო მწერლობაც. გარდა იმისა, რაც ზემოთ, „უძველეს ძეგლებში“, აღნიშნულია, აქ ამ დარგის ეტრატისა და ადრინდელი ქაღალდის მრავალი, მეტად ბრწყინვალე ძეგლი მოიპოვება.

ა. ლიტურგიკა

1. ოთხთავი ბიჭვინტის. დაწერილია იშვიათად დამუშავებულ თეთრ ეტრატზე, ლამაზი ნუსხურით, მუქი მიხაკისფერი მელნით, საზედაო მთავრული ასოები კი ოქროთი, XII საუკუნეში. ხელნაწერის მხატვრული სამკაულებიდან შემორჩენილია მახარე-

ბელთა მხოლოდ ორი სურათი: მარკოზი (ფ. 52) და ლუკა (ფ. 179). სამწუხაროდ, ორივე სურათი მთელ ხელნაწერთან ერთად თვალსაჩინოდ დაზიანებულია. გარდა ამისა, მარკოზისა და ლუკას სახარებები იწყება თავსამკაულებით. იოანეს სახარება კი შემკულია საზედაო ასოთი. ყველაფერი ეს მაღალი ხელოვნებითაა შესრულებული. ხელნაწერი (226 ფ.) უყდოა. ძველი ყდისგან შემორჩენილია მხოლოდ ტყავი. ზედა ტყავზე ჯვრის სახედ ოქროტვიფრული მცენარეული (წნული) მოტივებია. ქვედა ტყავზე კი ასეთივე ოქროტვიფრული მედალიონები. უფრო გვიან, „ესე პ ა ტ ი ო ს ა ნ ი დ ი დ ი ს ა ხ ა რ ე ბ ა“ ვერცხლით შემოუქედიათ ს ო ლ ო მ ო ნ შ ა რ ვ ა შ ი ძ ე ს და მ ი ს ძ ე ს ა რ ზ ყ ა ნ ს. ამ უკანასკნელისაგან დღემდე შემორჩენილია მხოლოდ ზედა და ქვედა ფურცლები, ზედაზე გამოხატულია ჯ ვ ა რ ც მ ა, ქვედაზე—ა ღ დ გ ო მ ა, სათანადო წარწერებით. ამჟამად, ხელნაწერი საგანგებოდ შემზადებულ ბუდეშია მოთავსებული (№ 2120 —H).

2. ო თ ხ თ ა ვ ი „ ჯ რ უ ჭ ი ს—მ ე ო რ ე“. დაწერილია მშვენივრად დამუშავებულ თხელ თეთრ ეტრატზე, მუქი მიხაკისფერი მელნით, ლამაზი ნუსხურით, ორ სვეტად. XII ს. ხელნაწერი, არაჩვეულებრივ მდიდრულად მოხატულია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მასში 334 მინიატურა მოიპოვება. ის იხსნება ათი კამარით (ფ. 1 v.—6), მას მოსდევს შესავალი ფურცელი, რომელზედაც დახატულია ტახტზე მჯდომარე ქრისტეს საზეიმო კომპოზიცია. თითოეულ სახარებას მიუძღვის ცალკე გამოყოფილი სათაური თავსამკაულით, ხოლო სახარების თავში მოცემულია მახარებლის გამოხატულება: მათე (ფ. 8), მარკოზი (ფ. 79), ლუკა (ფ. 123) და იოანე (ფ. 200).

სახარების საკითხავი, საერთოდ, კვადრატული მოყვანილობის თავსამკაულით იწყება, რომელსაც თავისი იშვიათი შემკულობით თითქმის მთელი გვერდი უჭირავს.

თვალსაჩინოების მიზნით, სახარების ტექსტი (ოთხივე მახარებელთან) გავსებულია მინიატურებით და ნაზი, თითქოს მიმქრალი ფერებით შესრულებული საზედაო ასოებით.

ხელნაწერის მთელ ამ შემკულობას, შესრულების მაღალ ოსტატობასთან ერთად, უაღრესი მოხდენილობა, მოტივებისა და ფერების წარმოუდგენელი სიმდიდრე ახასიათებს. მ ო ხ ა ტ უ ლ ი ს ა ხ ა რ ე ბ ი ს მ ს ო ფ ლ ი ო ში ც ნ ო ბ ი ლ ს ა უ კ ე თ ე ს ო ც ა ლ ე ბ ს შ ო რ ი ს ა მ ძ ე გ ლ ს ს ა პ ა ტ ი ო ა დ გ ი ლ ი უ ჭ ი რ ა ვ ს დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ უ ლ ა დ (№ 1667—H).



ილუსტრაცია ჯრუჭის „მეორე“. ლუკა მახარებლის გამოსახულება და სახარების თავსაბჭედელი. XII საუ-

3. ოთხთავი შიომღვიმის. დაწერილია კარგად დამუშავებულ მოყვითალო, მკვრივ ეტრატზე გიორგი ხუცეს მონაზონის მიერ, ლამაზი ნუსხურით 1304 წელს. ტექსტი შესრულებულია მუქი მიხაკისფერი მელნით, საზედაო-მთავრული ასოები კი—წითურით, ალაგ-ალაგ შავითაც. ხელნაწერი მდიდრულად მოხატულია. ის იხსნება ექვსი კამარით (ფ. 13— 16), გარდა ამისა ორი კამარა მათეს სახარებაშია მოხვედრილი (ფ. 31 r+v). კამარებს მისდევს მათეს სახარების თავების ნუსხა, რომელსაც მცირე ზომის, მაგრამ შშვენიერი თავსამკაული აქვს.

თითოეული სახარების თავში მოცემულია მახარებლის გამოხატულება: მათე (ფ. 19), მარკოზი (ფ. 83), ლუკა (ფ. 122) და იოვანე (ფ. 186), ხოლო თითოეულს მიუძღვის მცირე, მაგრამ მეტად მოხდენილი თავსამკაული.

ლუკას სახარებაში ჩართულია, აგრეთვე, ფურცელი, რომლის ცალ მხარეზე გამოსახულია ხარების კომპოზიცია. მეორე გვერდზე კი მხატვრობა დაუმთავრებელია. ხელნაწერის მთელ ამ შემკულობას ფერების შერჩევის დიდი გემოვნება და შესრულების მაღალი ოსტატობა ახასიათებს (№ 1344—H).

4. დავითნი „ჯრუჭის". ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება: ტექსტი (2—170 ფ.) და ილუსტრაციები (1, 171—236 ფ.). ტექსტი XVII საუკუნისაა. ის ზილიხან ბატონიშვილის შეკვეთით ხელნაწერის განახლებასთან დაკავშირებით გადაწერილი ჩანს. ილუსტრაციები კი გაცილებით ადრინდელია. როგორც პირველი ფურცლის ერთი მინაწერიდან ირკვევა, დავითნის ის წიგნი, რომლის შემადგენლობაშიაც თავდაპირველად ეს ილუსტრაციები ყოფილა, XV საუკუნის პირველ ნახევარში სითიხათუნ დედოფლის (ვახტანგ IV-ის თანამეცხედრე) თაოსნობით შეუმზადებიათ.

პირველი ფურცლის უკანა მხარეზე, რომელიც ძველი ხელნაწერიდან არის დარჩენილი, დახატულია ტახტზე მჯდომარე; დავით წინასწარმეტყველი ხოლო 171—236 ფურცლებზე მოცემულია დავითნის იშვიათი თვალსაჩინოება, თუმცა იქ თითო-ოროლა ილუსტრაციაა ახალი აღთქმიდანაც მოიპოვება. ილუსტრაციები დახატულია ფურცლის ორივე გვერდზე. მათ ფურცლის თითქმის მთელი ფართობი უჭირავს და სურათის ამხსნელი ტექსტის გარდა სხვა ყველაფერი უაღრესად შემცირებულია. თითქმის ყველა სურათი წითელ ფონზეა დახატული და ერთი და იგივე ოსტატის ნახელავი ჩანს.

ყველგან ადამიანს ხიბლავს შესრულების მაღალი ოსტატობა. გარდა შესრულების ტექნიკისა, ამ ილუსტრაციებში დიდად მნიშვნელოვანია მხატვრის მიერ ამა თუ იმ მოვლენის გარემოსათვის გამოყენებული: მატერიალური კულტურის ძეგლები, ჩაცმულობა, თავსაბურავი, შეიარაღება, სამხედრო წყობა, საოჯახო ინვენტარი და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს, ქართველი ხალხის მაშინდელი ეთნოგრაფიული ყოფისა და მატერიალური კულტურის გასათვალისწინებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია (№ 1665—H).

5. დ ა ვ ი თ ნ ი თ ე თ რ ო ს ნ ი ს. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით, შავი მელნით, სათაურები და საზედაო ასოები წითურით. ხელნაწერი მდიდრულად მოხატულია. მასში სულ 55 მინიატურა მოიპოვება, რაც ტექსტის იშვიათ თვალსაჩინოებას ჰქმნის. მინიატურები, თითქმის ყველა, შესრულებულია წითელ ფონზე დიდი გემოვნებითა და ოსტატობით. ყველა მინიატურა ტექსტში მერეა ჩაწებებული გადამწერის მიერ საამისოდ დატოვებულ ადგილებში. აღნიშნული მინიატურები თავისი ფერებითა და შესრულების ხერხებით გარკვეულ მსგავსებას ჯრუჭიდან ჩამოტანილ დავითნის ხელნაწერთან პოულობენ. მათ შორის არის პალეოგრაფიული მსგავსებაც.

ეს დავითნი გადაწერილია თეთროსნის წინამძღვრის გერმანოზის მიერ XV საუკუნეში.

ხელნაწერის მეტსახელიდან („თეთროსანი") ჩანს, რომ ის ჭანეთიდან უნდა იყოს წამოღებული. სწორედ იქ, კინტრიშის ხეობაში, სოფ. ღვარაში, არსებობდა სახელგანთქმული თ ე თ რ ო ს ნ ი ს ღვთისმშობლის ხატი და მისივე ეკლესია.

XVI საუკუნეში, თურქების მიერ ლაზისტანის დაპყრობის გამო, თეთროსნის ღვთისმშობლის ხატი და სხვა ინვენტარი სოფ. ღვარადან გადაუტანიათ მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ეკლესიაში, გურიაში. ამ ხელნაწერსაც თეთროსნის ბედი, როგორც ჩანს, მთლიანად გაუზიარებია (№ 75—H).

6. დ ა უ ჯ დ ო მ ე ლ ი. დაწერილია ქაღალდზე ლამაზი ნუსხურით, შავი მელნით, 1681 წელს, სათაურები კი—ოქროთი. ტექსტი (ყოველთვის) მოთავსებულია ოქრომელნით, წითური, მწვანე და ლურჯი ფერის ხაზებით შექმნილ მხატვრულ ჩარჩოში. გარდა ამისა, ხელნაწერი მდიდრულად მოხატულია: აქ არის ორი თავკაზმულობა (ფფ. 2 და 53) და 72 მინიატურა. მინიატურებს ხშირად მთელი გვერდი უჭირავს. მინიატურებში გამოყენებულ ფერთა შორის გაბატონებულია წითელი და ოქროსფერი. ეს ძეგლი

დავითნი ჯრუჭის. მოხატულობის ერთი ნიმუში. XV საუკ

გადაწერილია კათალიკოზ ნიკოლოზ ამილახორის ძის შეკვეთით, რომლის დღეგრძელობას გადამწერი სშირად შესთხოვს ღმერთს (№ 88—H).

7. თ ვ ე ნ ი. დაწერილია კარგად დამუშავებულ ეტრატზე ნუსხურით, X საუკუნეში. ურბნელ მთავარეპისკოპოზის ვლასის ანდერძის თანახმად ეს ხელნაწერი მას 1038 წელს ხელახლა შეუკაზმინებია, „რამეთუ ჟამსა სიგრძისაგან განრყუნილ და უჴმარ ქმნილ იყო". ბოლონაკლულია: აპრილის 23-ზე წყდება (№ 2336—H).

8. თ ვ ე ნ ი. დაწერილია ეტრატზე ნუსხურით, 1049 წელს. წამოღებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან გიორგი ავა-



ხელნაწერის თავსამკაულის ერთი ნიმუში. XII ს.

ლიშვილის მიერ. აქვს ანდერძი და სხვა საყურადღებო მინაწერები (№ 2337—H).

9. ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი. დაწერილია მშვენივრად დამუშავებულ თეთრ ეტრატზე ნუსხა-ხუცურით. ბოლოში მოიპოვება ანდერძი, რომელშიც გადამწერი ლოცვას თხოულობს თავის „მწყალობელის"

დავით ჯიბიძისათვის. შემზადებული უნდა იყოს XI საუკუნის პირველ ნახევარში (№ 2211—H).

10. ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი. დაწერილია იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში—1156 წ. ეტრატზე, ლამაზი ნუსხური ხელით, შავი მელნით, სათაურები კი წითურით. აქ არის მთარგმნელისა და გადამწერის ანდერძები. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ვრცელი ბინაწერები—მოსახსენებელი სულთა. მათ შორის ბევრია ევროპელი (ფრანგები), შესაძლებელია ისინი ჯვაროსნებიც იყვნენ. სვინაქსარი გიორგი ათონელის რედაქციისაა (№ 1661—H).

11. მ ა რ ხ ვ ა ნ ი. დაწერილია ქაღალდზე ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად. შემზადებულია ის აწყურს, 1528 წელს. ანდერძის თანახმად ის „აწყურისა ქალაქსა და მონასტერსა აღზრდილს“ გრიგოლს, ქაიხსრო ზაალის ძე ფანასკერტელ-ციციშვილის დაკვეთით გადაუწერია (№ 1698—H).

12. ს ა კ ი თ ხ ა ვ ნ ი დ ღ ე ს ა ს წ ა ულ თ ა ნ ი. გადაწერილია პეტრიწონის ქართველთა მონასტერში, ქაღალდზე, ნუსხურით, XV საუკუნეში, ყოველ ახალ საკითხავს გააჩნია თავკაზმულობა.

საკითხავთა შორის აქ პ ე ტ რ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ც მ ო ი პ ო ვ ე ბ ა. ეს უკანასკნელი დაწერილია ვინმე მ ა კ ა რ ი მ ე ს ხ ი ს მიერ. რედაქციულად ეს ნუსხა თვალსაჩინო თავისებურებას იძლევა (№ 1760—H).

13. ჟ ა მ გ უ ლ ა ნ ი ყ ა ნ ჩ ა ე თ ი ს ა. გადაწერილია ქაღალდზე, ნუსხა-ხუცურით, ურბნელი ეპისკოპოსის ევდემოზ გლონისთავის ძის შეკვეთით, 1674 წელს. გულანი რამდენიმე პირის მიერ არის ნაწერი, ერთ-ერთი „ცოდვილი ზ ა ქ ა რ ი ა“ ყოფილა. ხელნაწერი მდიდრულად მოხატულია. აქ ბევრია ფერებით ნაწერი მინიატურები და თავ-ბოლოკაზმულობანი. ჟამგულანის კვინკლოსები გავსებულია ისტორიული ხასიათის მინაწერებით (ეს უკანასკნელი გამოქვეყნებულია ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ: „Канчаетские жам-гулани и исторические приписки его кинклоса“, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 29 (№ 1452—H).

14. ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი. ნ ო ტ ე ბ ზ ე გ ა ლ ო ბ ა ნ ი: საუფლო დღესასწაულთა, პეტრე-პავლობის, ღვთისმშობლის მიძინებისა და სხვადასხვა—ჩაწერილია ნოტებზე გურიაში, ფ ი ლ ი მ ო ნ ქ ო რ ი ძ ი ს, მ ა ქ ს ი მ ე შ ა რ ა ძ ი ს ა დ ა ე ქ ვ თ ი მ ე კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ი ს მიერ 9 წიგნად. ჩაწერა დაიწყო 1904 წელს (№ 154—H).



ხელნაწერის კამარათა მოხატულობის ნიმუში. XII ს.

ბ. ა გ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. ამ ფონდის აგიოგრაფიული ხასიათის მრავალ ძეგლთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ერთი კ რ ე ბ უ ლ ი, რომელიც № 341 რიგითი სათვალავის ქვეშ ინახება. მსოფლიო ეკლესიის წმინდანების გარდა აქ მოიპოვება: „მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ა და მ ო თ მ ი ნ ე ბ ა წ მ ი დ ი ს ა ე ვ ს ტ ა თ ი მ ცხ ე თ ე ლ ი ს ა“.

ევსტათი მცხეთელის წამების სამეცნიერო ღირებულება VI საუკუნის (ჩვ. წ-ით) ქართლის (აღმოსავლეთ საქართველო) ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების გასათვალისწინებლად ფასდაუდებელია.

კრებული გადაწერილია X საუკუნის ბოლოსა თუ XI საუკუნის დასაწყისში, ადრინდელ ქაღალდზე, მსხვილი გარკვეული ნუსხურით, „უცბად მჩხრეკალი ი ო ა ნ ე ს“ მიერ (№ 341—H).

2. კ რ ე ბ უ ლ ი (წმინდათა წამებანი, ცხოვრებანი და სხვა საკითხავები) მეტაფრასი. დაწერილია მსხვილი კლასიკური ნუსხურით ქაღალდზე ორ სვეტად, შავი მელნით, სათაურები წითურით. ზოგი სტატიის მთარგმნელებია თეოფილე (ფ. 99) და ექვთიმე მთაწმინდელი (ფ. 125, 473). კრებული არსენ იყალთოელის მიერ უნდა იყოს გადაწერილი XI საუკუნის ბოლოსა თუ XII საუკუნის დასაწყისში. მის აშიებზე მინაწერებში მოხსენებული არიან: პატრონი ბოცო და ბეშქენ, ბექა, ბოცოს ძე ვადა, პატრონი შალვა, პატრონი ყუარ-ყუარე და მრავალი სხვა. აღნიშნული კრებულის მნიშვნელობა დიდია (№ 1347—H).

3. წ ა მ ე ბ ა წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ა დაწერილია ეტრატზე, ნუსხურით, სათაურები წითურით, XV საუკუნეში. საყურადღებოა, რომ აქ წმინდა გიორგის შესხმა ლექსად არის გამოთქმული და ეს უკანასკნელი ს ი მ ე ო ნ შ ო თ ა ძ ე ს განეკუთვნება (№ 1752—H).

გ. ე გ ზ ე გ ე ტ ი კ ა

1. ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე—თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ფ ს ა ლ მ უ ნ თ ა. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით, სათაურები და საზედაო მთავრული ასოები წითურით, XII საუკუნეში. შემორჩენილია მხოლოდ ნაწყვეტი. ხელნაწერი წარმოადგენს ფსალმუნთა თარგმანების შესავალს. შესავალი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა (იხ. ძველი საქართველო, ტ. III, განყ. I, გვ. 242) (№ 1758—H).

2. ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი—მ ა თ ე ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა. დაწერილია ქაღალდზე მხედრულით, სათაურები წითურით, ამ-ბრო სი ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს ხ ე ლ ი თ, XVIII საუკუნეში. ჩამოტანილია შიომღვიმიდან ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მ ი ე რ (№ 1345—H).

დ. ჰ ო მ ი ლ ე ტ ი კ ა

1. კ რ ე ბ უ ლ ი—ს წ ა ვ ლ ა ნ ი. დაწერილია ეტრატზე, ნუსხურით, სათაურები წითურით, 1040 წელს, გადაწერილია გრიგოლ ხარიტონწმინდელის მიერ პალავრაში. აქ არის სიტყვები იოანე ოქროპირისა, ბასილი ეპისკოპოსისა, სწავლანი წმინდისა ეფრემისი და სხვების. აქვს ვრცელი ანდერძები: გადამწერ-შემწირველისა (№ 1662—H).

2. გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი დ ა ბ ა ს ი ლ დ ი დ ი—კ რ ე ბ უ ლ ი. დაწერილია ეტრატზე ნუსხურით, სათაურები წითურით. კრებულში წარმოდგენილია აღნიშნული ავტორების სწავლანი და სიტყვები. თარგმნილია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს მ ი ე რ. ხელნაწერი შემზადებულია XI—XII საუკუნეში (№2251—H).

ე. ა ს კ ე ტ ი კ ა

ი ო ა ნ ე ს ი ნ ე ლ ი—კ ლ ე მ ა ქ ს ი. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით, სათაურები და კალიგრაფიული საზედაო ასოები წითურით. ხელნაწერის სქოლიოები საგანგებოდ მოხატულია. თარგმანი ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. გადაწერილია ვინმე ნიკრაჲს მიერ XII საუკუნეში.

ჩამოტანილია ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მ ი ე რ ჯ რ უ ჭ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი დ ა ნ 1919 წ ე ლ ს (№ 1669—H).

ვ. კ ა ნ ო ნ ი კ ა

1. დ ი დ ი ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით, სათაურები და საზედაო [მთავრული] ასოები წითურით, XIII საუკუნეში. გარდა მსოფლიო საეკლესიო კრებებისა, აქ მოთავსებულია კანონები ზოგიერთი ადგილობრივი კრებისაც. ჩამოტანილია ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მ ი ე რ ჯ რ უ ჭ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი დ ა ნ 1919 წ ე ლ ს (№ 1670—H).

2. ტ ი ბ ი კ ო ნ ი—ს ა ე კ ლ ე ს ი ო. დაწერილია ეტრატზე, ნუსხურით. ზოგიერთი ფურცელი ხელნაწერში მერე ჩაკერებული ჩანს: მათ შორის ფ. 145-ე X საუკუნის მრგვლოვანითაა დაწერილი. სათაურები—წითურით. ხელნაწერი გადაწერილია გიორგი ხუცესმონაზონის მიერ.

საზოგადოებამ ეს ხელნაწერი შიო მღვიმის მონასტრიდან მიიღო 1917 წ. (№ 1349—I-I).

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველი საბუთების ფონდი

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველი საბუთების ფონდში აღრიცხულია სულ 15108 სიგელ-გუჯარი და სხვა დოკუმენტები. ქრონოლოგიურად ისინი განეკუთვნებიან XII—XIX საუკუნეებს. აღნიშნული ფონდი უხვ მასალას იძლევა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური თავგადასავლის, სოციალური ურთიერთობის, ეკონომიური ისტორიისა და სხვა საკითხების გასათვალისწინებლად. ფონდში მოცემულია, აგრეთვე, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების ამსახველი მასალები თათარ-მონღოლთა, თურქებისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან ერთად, აქ დაცულია მასალები ქართველი ხალხის დაახლოებისა და კავშირის შესახებ დიდ რუს ხალხთან.

ამ ფონდის მასალების აღსანიშნავად, ჩვეულებრივ სათვალავთან ერთად, იხმარება პირობითი ნიშანი: „Hd".

დღეისათვის ფონდს გააჩნია საინვენტარო ჩანაწერების რვა წიგნი: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII.

ამ ფონდის უძველესი საბუთები. ფონდში დაცულია საქართველოს ერთიანობის ხანის (XI—XV ს.) საბუთების მნიშვნელოვანი რაოდენობა. სანიმუშოდ, ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ.

1. ერთიანი წიგნი—გიორგი მეფისა, ნაბოძები შიომღვიმისადმი: დაწერილია მშვენივრად დამუშავებული ეტრატის გრაგნილზე. გრაგნილი ხუთი კეფისაგან შედგება, რომელნიც ფერადი აბრეშუმის ძაფით არიან ერთიმეორეზე გადაკერებულნი. დაწერილია ლამაზი მდივანმწიგნობრულით 1170 წელს.

ამით გიორგი მეფე შიომღვიმის მონასტერს უმტკიცებდა მისთვის ძველად ნაბოძებ ყველა სიგელს. მათ შორის, ის ასახელებს: „დიდისა მეფეთამეფისა პაპისა ჩუენისა დავითისი (აღმაშენებელი) და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხუანი ძუელნი ზრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი". ამის შემდეგ მოცემულია „შიომღვიმის მთელი ქონე-



გ ი ო რ გ ი III-ის ერთიანი წყალობის წიგნი. ბოლო ნაკვეთი და თვითონ მეფის ხელრთვა. 1170 წ.

ბისა და უპირატესობათა შესახები წინანდელი საბუთების მოკლე, მაგრამ არსებითი და ნიშანდობლივი შინაარსი". ამაშია, სწორედ, ამ საბუთის უაღრესად დიდი სამეცნიერო ღირებულებაც. საბუთს ბოლოში აქვს გიორგი მეფის ხელრთვა, მშვენიერი მდივანმწიგნობრულით შესრულებული.

გარდა ამისა, საბუთს თავის დროზე ჰქონია დაკიდული ბეჭედი, საქართველოს სამეფო სამდივანმწიგნობროში მიღებული წესის თანახმად. საფიქრებელია, რომ ეს ბეჭედი ოქროსი უნდა ყოფილიყო და ასეთ საბუთსაც მაშინ „ოქრობეჭედი" ეწოდებოდა. აწ, ამ ბეჭდისგან დარჩენილია მხოლოდ ათი წყვილი ამოკრილი ადგილებისა საბუთის უკანასკნელ კეფზე დაკიდული ბეჭდის ზონრისათვის. ეს საბუთი ქართული დიპლომატიკის უძვირფასესი ძეგლია (№ 1351—Hd).

2. წყალობის წიგნი—საქართველოს მეფის დავითისა, ჭარმაული ჭაუნასშვილი გრიგოლისადმი შუანის ხევს სოფელ ლაუშაის ბოძების შესახებ. დაწერილია კარგად დამუშავებული მკვრივი ყვითელი ეტრატის გრაგნილზე ლამაზი მდივანმწიგნობრული ხელით 1351 წელს. გრაგნილი ოთხი დიდი ზომის

კეფებისაგან შედგება, ისინი ერთმანეთზე ფერადი ძაფით არიან გადაკერებულნი. სიგელი დაწერილია მეფის მწიგნობრის იაკობ უგანისძის ხელით. სიგლის ბოლოში მოიპოვება მეფის ხელრთვა: ქ. მტკიცეა ნებითა ღმრთისაითა".

მეფის ხელრთვის ბოლოში აქაც მოიპოვება დაკიდული ბეჭდის ზონარისათვის გამოკრილი ადგილები. ამას მისდევს ა ბ რ ა მ ქ ა რ თ ლ ი ს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა და მსახურთუხუცესის ს უ რ ა მ ე ლ ი ს—დამტკიცებანი (№ 1330—Hd).

3. წ ყ ა ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ფ ი ს ა— ე ზ ო ს ჩ უ ხ ჩ ა რ ე ხ ა ვ თ ა ნ დ ი ლ ზ ე ე დ გ ი ნ ი ძ ი ს ა დ მ ი გ ო რ ი ს მ ო ურ ა ობ ის „სამკუიდროდ" ბოძების შესახებ.

დაწერილია კარგად დამუშავებული ეტრატის გრაგნილზე, ლამაზი მხედრულით 1430 წელს. გრაგნილი ორი კეფისაგან შედგება. საერთოდ ის დიდი ზომისაა (86×25,5). საბუთი დაწერილია ალექსანდრე მეფის კარის მწიგნობარ კაკლას ძის მიერ. საბუთის ბოლოში არის ალექსანდრე მეფის ხელრთვა: „ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ".

(დაბეჭდილია საქ. სიძ., III, დამატ., გვ. 5) (№ 1348—Hd).

4. წ ყ ა ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ფ ი ს ა (დიდი)—გამრეკელ, ზაქარია, კახა, ზაზა ჯავახიშვილებისადმი მამულის ბოძების შესახებ.

დაწერილია ქაღალდზე ლამაზი მხედრულით „ფრიად საწყალობელის მესტუმრისა და კარის მწიგნობრის" კლიმი კაკლასძის ხელით 1440 წელს. ბოლოში აქაც მოიპოვება ალექსანდრეს ხელრთვა: „ქ. ვამტკიცებ" (№ 1991—Hd).

5. წ ყ ა ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი გ ი ო რ გ ი მ ე ფ ი ს ა—ფ ი ლ ი პ ე ე რ ი მ ა ძ ი ს ა დ მ ი „ყოვლისა ფ[ერ]ისა და სათხოვარისაგან"— განთავისუფლების შესახებ. დაწერილია ეტრატზე ლამაზი მხედრულით—1453 წლის 6 აგვისტოს. ბოლოში არის ხელრთვა: „გიორგი" (№ 1055—Hd).

6. წ ყ ა ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი გ ი ო რ გ ი მ ე ფ ი ს ა—ზ ა ქ ა რ ი ა, კ ა ხ ა და ზ ა ზ ა ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა დ მ ი ს ო ფ ე ლ ი ა ვ კ ე თ ი ს და ი ი ს ც ი ხ ი ს ბ ო ძ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. დაწერილია ეტრატზე ლამაზი მხედრულით 1463 წელს. საბუთის ბოლოში ნათქვამია: „დაიწერა პიტაკი ესე ქორონიკონსა რნა, თუესა სეკდენბერსა გ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათჩუიდმეტესა ჭელითა ჩუენისა მწიგნობრის იათორისძისა ვარსიმვსითა", იქვე არის გიორგი მეფის ხელრთვაც: „მტკიცეარს ნებითა ღთისათა" (№ 1347—Hd).

ფონდში დაცული საბუთების უდიდესი ნაწილი გვიან ფეო-

დალური ხანისაა (XVI—XVIII ს.). აღნიშნული საუკუნეებისათვის ქართული დიპლომატიკის მრავალსახეობა აქ მეტად მდიდრულად არის წარმოდგენილი. აქედანაც ჩვენ სანიმუშოდ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ:

ა ნ გ ა რ ი შ ი ს წ ი გ ნ ი

მანუჩარ მდივნისა (თუმანიშვილის) ოქროს დახურდავების შესახებ [XVIII], (№ 3611).

ა ნ დ ე რ ძ ი

ზაალ დავითიშვილისა—შვიღებისადმი [XVIII], (№ 738).

ბატონყმობის წიგნები

იესე ღვინიაშვილისა—დავით თარხნიშვილისადმი, 1744 წ. (№ 1735); დათუნა ფეიქრისშვილისა—ერასტი გოსტაშაბიშვილისადმი, 1773 წ. (№ 4520); მამუკა ლომჯანიძისა—ოთარ ამილახვარისადმი, 1788 წ. (№ 162); სარქისა აღა ხახანიშვილისა—უზბაშ ზურაბ ფალავანდიშვილისადმი, 1797 წ. (№ 666); ზაზანასშვილებისა—რევაზ ერისთავისადმი, 1800 წ. (№1307).

ბრძანების წიგნები

სიმონ II-ისა—ანდუყაფარ ამილახვარისადმი მამულების დაბრუნების შესახებ, 1619—1629 წწ. (№ 2115); ერეკლე პირველისა—მდივან შიოშბეგ თუმანიშვილისათვის—ყაენისაგან ნაბოძები სარჩოს შენარჩუნების შესახებ, 1703 წ. (№ 37); იმამყულიხანისა—თიანეთის მოურავ რამაზ სუფრაჯისადმი ფარემუზაშვილებისათვის ყმა-მამულების ბოძების შესახებ, 1715 წ. (№ 5); მაჰმადყულიხანისა ერისთავ—სახლთუხუცეს ქაიყუბადისათვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, 1723 წ. (№ 19); ბაქარ მეფისა—იასაულისადმი უნაძისათვის უპატრონო მამულის ბოძების შესახებ, 1723 წ. (№ 4351); მაჰმადყულიხანისა გივი ეაჩნაძისათვის გავაზის მოურაობის ბოძების შესახებ, 1729 წ. (№ 2191); ისაყ-ფაშისა ასლან ონანაშვილისათვის მამულის შენარჩუნების შესახებ, 1734 წ. (№ 3121); თეიმურაზ II-ისა—ნიკოლოზ აბაშიძის დანიშვნის შესახებ სურამისა და ალის მოურავად, 1745 წ. (№ 1285); მისივე—ზაალ ეშიკაღასბაშისადმი მეგობრული დამოკიდებულების შესახებ სომეხ დათათარ მოსახლეობასთან, 1751 წ. (№ 2187); ერეკლე II-ისა ქიზი-

ყის მოურავად რევაზ ანდრონიკაშვილის დანიშვნის შესახებ, 1772 წ. (№ 1304); მისივე—ქაიხოსრო ჩოლაყაშვილის დანიშვნის შესახებ ხევსურთა, ფშაველთა და თიანელთა მოურავად, 1774 წ. (№ 2540); მისივე—თეიმურაზ ჯავახიშვილისადმი აპრილის თვის მორიგი ლაშქრის გამოყვანის შესახებ, 1778 წ. (№ 1792); გიორგი ბატონიშვილისა—თიანეთის მოურავისადმი ქაიხოსრო სახლთუხუცესის მამულის დაცვის შესახებ, 1784 წ. (№ 6444); დავით იმერთა მეფისარაქის ერისთავად ანტონის დანიშვნის შესახებ, 1784 წ. (№ 2343); ერეკლე მეორისა—გლახა მახვილაძისა და იესე მორდალისათვის ციხის სახიზრად გადაცემის შესახებ, 1789 წ. (№ 1729); აღამაჰმადხანისა—ირაკლი მეორისადმი რუსეთთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, 1796 წ. (№ 11000); გიორგი მეცამეტისა — ბეჟან ფალავანდიშვილისადმი ფცას კოშკის ასაგებად ურმის ბეგარის გაწერის შესახებ, 1799 წ. (№ 1765); მისივე — ნავთლულის მოურავისადმი ნავთლულელთათვის მეათედი ღალის დადების შესახებ, 1799 წ. (№ 5106); მისივე—ნაცვალ ბერიაშვილისადმი ციხის მცველების მიცემის შესახებ ენისელთ მოურავის შვილისათვის, 1800 წ. (№ 993); ისაყ-ფაშისა—აყრილი სოფლების გადაცემის შესახებ მამუკა მუხრანბატონისათვის, XVIII ს. (№ 10); გორის მაზრის „ისპრავნიკ“ კრუპიანსკისა—გაღმამხარის მცხოვრებელთადმი მთავრობის მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების შესახებ, 1812 წ. (№ 3944); სოფრონიოს იმერთა არქიეპისკოპოსისა—ხონის ეკლესიის იგუმენ მამა ვასილისადმი ხონის საეკლესიო საბუთების მიტანის შესახებ არქიეპისკოპოსის კანცელარიაში (იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც ეკლესიამ მიიღო დოკუმენტების ჩანაწერების შედგენის შესახებ) 1829 წ. (№ 6732).

განაჩენის წიგნები

მდივანბეგ ბეჟან ბარათაშვილის, მეღვინეთუხუცეს ღაზნელ ღაზნელიძისა და კარის მდივან ნასრი თუმანიშვილისა—გიორგი საააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის დავის შესახებ, 1620 წ. (№ 6259); შაჰნავაზისა—გივი ამილახორისა და ელიზბარ ქსნის ერისთავის სამამულო დავის შესახებ, 1639 წ. (№ 2113); იასე თუმანიშვილისა—ლიპარიტ და ლაზარე თუმანიშვილთა სათამასუქო დავის შესახებ, 1709—1711 წწ. (№ 45); მსაჯულებისა—ქაიხოსრო აბაშიძისა და ზაალ დავითაშვილის სამამულო დავის შესახებ,—1780 წ. (№ 537); ირაკლი II-სა—ფალავანდიშვილებისათვის მამუ-

ლის გაყოფის შესახებ, 1783 წ. (№ 432) ;ანტონ კათალიკოსისა-ტუსიშვილისა და ქაიხოსრო სახლთუხუცესის საურმე გზის თაობაზე დავის შესახებ, 1801 წ. (№ 1250).

გარიგების წიგნები

ალექსანდრე კახთა მეფისა—ჟიაურელებისათვის გადასახდელი ულუფის დაწესების შესახებ, 1593 წ. (№ 2092); შაჰნავაზისა—დირბის მოურავის რიგისა და სარგოს დაწესების შესახებ, XVII ს. (№ 484); ირაკლი მეორისა—კახეთში სახელმწიფო მოხელეთა შორის ბაეების განაწილების შესახებ, 1750 წ. (№ 309): მისივე—ქიზიყის მოურავის სამოსამართლო უფლების განსაზღვრის შესახებ, 178€ წ. (№ 1787);

გაყრილობის წიგნები

დოლმაზა და პაპია შანშიაშვილებისა, 1767წ. (№2992); ქსნის ერისთავის შვილებისა, 1774 წ. (№ 5339); პაპუნა და მამუკა წერეთლებისა, XVIII (№ 2161).

გლოვის წიგნები

თეკლა ბატონიშვილისა—მაიასადმი ერეკლე მეორის სიკვდილის გამო, 1798 წ. (№ 3136); გრიგოლ წერეთლისა—კონსტანტინე თარხანოვისადმი დავით თარხანოვის სიკვდილის გამო, 1840 წ. (№ 5059).

დავთრები და ნუსხები

მორიგი ლაშქრისა, 1774 წ. 1 იანვარი (№ 1722); იგივე, XVIII ს. (№№ 1613, 11640, 11643, 11644); სამეფო ნივთებისა, 1788 წ. (№ 3585); ნოქრის თეთრისა, XVIII ს. (№ 3561); ძაფისა და სხვა ნივთთა საღებავებისა, XVIII ს. (№ 991); გურაძიშვილთა ყმებისა, 1781 წ. (№ 178); ჯარისათვის სურსათის გადამხდელი სურამელი გლეხებისა, 1784 წ. (№ 437); ჯარში გამსვლელი ყმებისა, 1789 წ. (№ 2183); საამილახვაროს ყმებისა და მამულებისა (შედგენილი ერასტი და დიმიტრი თუმანიშვილების მიერ ერეკლე მეორის ბრძანებით), 1791 წ. (№ 1617); ბოგანო გლეხებისა, 1798 წ. (№ 583); თათარი მეკომურებისა, 1799 წ. (№№ 919, 920); ტყვეთა მსყიდველებისა, XVIII ს. (№ 5516); თუმანიშვილთა ისტორიული საბუთებისა, XVIII ს. (№ 1630); ქვემო საციციანოს მამულებისა, XVIII ს.

(№ 960); დავითიშვილთა ყმებისა, XVIII ს. (№ 708); მოხეველებისა, XVIII (№ 5318); ბეგარისა და ყმებისა, XVIII ს. (№№ 3897-დან 3905-დე); ტყვია-წამლის გადამხდელებისა, XVIII ს. (№ 3038); ქართლის აღწერისა, XVIII ს. (№№ 1606, 1610, 1611, 1612); ქართლის სოფლების აღწერისა (აღწერილია სამწევრისის, ნიჩბისის, წაკისის, თელეთის გლეხები, აზნაურები და დაუსახლებელი მამულები), XVIII ს. (№ 11638); საორბელიშვილოს აღწერისა, XVIII ს. (№ 1364); საფალავანდიშვილოს აღწერისა, XVIII ს. (№ 1365); კახეთის აღწერისა, XVIII ს. (№№ 1603; 1605, 1607, 1608, 1609).

თხოვნის წიგნები

დომენტი კათალიკოსისა—ბეგლარბეგისადმი სკრელი მამასახლისის მიერ ტყვეების უკან გამოყვანის შესახებ, XVIII (№ 2687); ზაალ ყაფლანიშვილისა—ირაკლი მეორისადმი დავით სარდლის მიერ წართმეული ყმების დაბრუნების შესახებ, 1784 წ. (№ 2033); ახალდაბელებისა—მისადმი, სარწყავის დაბრუნების შესახებ, 1792 წ. (№ 2043); თბილისის მოქალაქეებისა—მისადმი ნივთიერი დახმარების შესახებ, 1796 წ. (№ 123); ქართლ-კახეთის თავად-აზნაურებისა—იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი, საქართველოში მარკიზ პაულუჩის დატოვების შესახებ (რომელსაც აქებენ კახეთში გლეხთა აჯანყების ჩაქრობის გამო), 1812 წ. (№ 3043).

იჯარის წიგნები

დარეჯან დედოფლისა—იასე უსტიაშვილისადმი, სამღებროს იჯარით გაცემის შესახებ, 1796 წ. (№ 408); დავით გოსტაშაბიშვილისა—სარდლის ყმა აივაზა და დარჩია ესიტაშვილისადმი ალგეთზე წისქვილის იჯარით გაცემის შესახებ, 1808 წ. (№ 2045).

მზითვის წიგნები

დავით ქსნის ერისთავის ასულისა და უზბაშ ქაიხოსრო ავალიშვილის ცოლის ელენესი, 1713 წ. (№ 6); მეჭედელ გოგია ხოსრუაშვილის ქალის თალალასი, XVIII ს. (№ 3567).

მფარველობის წიგნი

გიორგი იმერთა მეფისა — გიორგი საakაძისადმი, 1619 — 1626 წწ. (№ 14632).

მოყვრობის წიგნი

ბეგა მანდატურთუხუცესისა და კახა ჯავახიშვილისა (ქორწინების ნიადაგზე), XIII—XIV სს. (№ 11625).

ნასყიდობის წიგნები

ვირშელ რამადანაშვილისა—გიორგი ტერიაშვილისადმი მამულის მიყიდვის შესახებ, 1612 წ. (№ 7966); ერეკლე ფალავანდიშვილისა—როდამ ბატონიშვილისადმი ყმა-მამულების მიყიდვის შესახებ, 1715 წ. (№ 459); ოთარ გერმანოზიშვილისა სახლების შესყიდვის შესახებ, 1723 წ. (№ 3062); თამაზა ქიტიაშვილისა—მღთისია ოთინაშვილისადმი შვილის მიყიდვის შესახებ, 1741 წ. (№ 487); დიმიტრი ამილახორისშვილისა—ციციშვილებისადმი სოფელ დოესის მიყიდვის შესახებ, 1754 წ. (№ 973); აღა ოსეფასშვილისა — გოგია სარაჯისშვილისადმი დუქნის მიყიდვის შესახებ, 1796 წ. (№ 1666); ჟამიერაშვილებისა—მესხიშვილებისადმი წისქვილის მიყიდვის შესახებ, XVIII ს. (№ 678); სუხიტაშვილებისა — გუგუნაშვილებისადმი საურმე გზის მიყიდვის შესახებ, XVIII ს. (№ 686).

პირობის წიგნები

გერმანე კუმურდოელი მთავარეპისკოპოსისა—ევაგრი ქართლის კათალიკოსისადმი მორჩილების შესახებ, XV—XVI ს. (№ 2130); გასპარა ხითარიშვილისა—გივი თუმანიშვილისადმი გიორგი მეფესთან ქირმანში წასვლის შესახებ, 1703—1709 წწ. (№ 32); ხობია მეტრეველისა—როსტომ ფალავანდიშვილისადმი „კუდიანობაზე“ (ე. ი. „ორი სულის“ ქონებაზე) ხელის აღების შესახებ, 1780 წ. (№ 7661); ქვემო ავჭალელებისა—ზაალ ბატონისადმი კვირა დღის შენახვის შესახებ, 1802 წ. (№ 3924); მამია გურიელისა—სოლომონ მეორისადმი მორჩილების შესახებ, 1806 წ. (№ 13914).

სინანულის წიგნი

გოდერძისა — ირაკლი II წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, XVIII ს. (№ 294);

შეჩვენების წიგნი

ეფთვიმე გენათელისა — სიმონ ღვინეფაძისადმი საეკლესიო შამულის მიტაცების გამო, 1819 წ. (№ 3166).

შეწირულობის წიგნები

ლუარსაბ I-ისა—მცხეთის ეკლესიისადმი მცხეთის საყდრის-შვილთა გათარხნების შესახებ, 1540 წ. (№ 1373); დავით ქართლის მეფისა—თბილისის სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიისადმი აბანოს შეწირვის შესახებ. 1505 წ.—1525 წწ. (№ 14592); ლუარსაბ I-ისა—ქვათახევის მონასტრისადმი მალისა და საურის ამოკვეთის შესახებ, XVI ს. (№ 1372); გიორგი იმერთა მეფისა—იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი გლეხების შეწირვის შესახებ, 1619 წ. (№ 11273); ზაქარია კათალიკოსისა—შიომღვიმის მონასტრისადმი ბელტის ციხეში მამულების შეწირვის შესახებ, 1629 წ. (№ 2391); როსტომ მეფისა—დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი სამეფო გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1642 წ. (№ 1053); კაცია დადიანისა—ხარების ეკლესიისადმი 20 მარჩილის შეწირვის შესახებ, 1780 წ. (№ 9012); სოლომონ II-ისა—ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტრისადმი ყმა-მამულების შეწირვის შესახებ, 1809 წ. (№ 1329).

წ ე რ ი ლ ე ბ ი

თეიმურაზ II-ისა—ზაალ თვაჭრი-აღასადმი აზატხანთან ურთიერთობის შესახებ, 1750 წ. (№ 8137); სოლომონ I-ისა—ექიმ ანტონ გულდენშტეტისადმი ამ უკანასკნელის ქართლიდან იმერეთში გადასვლის შესახებ, 1772 წ. (№1378); დავით იმერთა მეფისა—მაქსიმე კათალიკოსისადმი (პეტერბურგში) ბერი წულუკიძის განდგომის შესახებ, 1785 წ. (№ 1406); ირაკლი II-ისა—იოსებ მიშკარბაშისადმი ომარ-ხანის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, 1788 წ. (№ 208); დარეჯან დედოფლისა—თავისი შვილისადმი ეკატერინე იმპერატორის სიკვდილისა და მის ადგილზე პავლეს დასმის შესახებ, 1797 წ. (№ 423); გიორგი XIII-ისა—ბაგრატ ბატონიშვილისადმი გავაზის ‘გალავნის მშენებელ მუშათა ურჩობის შესახებ, 1799 წ. (№ 1004); სოლომონ II-ისა—პავლე ციციანოვისადმი პეტერბურგში გასაგზავნი იმერეთის დეპუტატების შერჩევის შესახებ, 1805 წ. (№ 3036).

წყალობის წიგნები

გიორგი ბრწყინვალისა—შალვა მეაბჯრეთუხუცესისადმი მამულის ბოძების შესახებ, 1339 წ. (№ 11626); ლეონ კახთა მეფისა—ანდერმან ჩოლაყაშვილისადმი ყმების ბოძების შესახებ, 1568 წ.

(№ 14430); ალექსანდრე კახთა მეფისა—მაყა მაყაშვილისადმი მამულის ბოძების შესახებ, 1589 წ. (№ 14423); ლუარსაბ II-ისა—თბილისის ამირთამირა გიორგი სააკაძისადმი საბარათიანოში ყიშლაღის ნასოფლარის ბოძების შესახებ, 1608 წ. (№ 1942); ზაქარია კათალიკოსისა—კანდელაკ შიო ეგაძისადმი მამულის ბოძების შესახებ, 1623 წ. (№ 9446); თეიმურაზ I-ისა—გურამისშვილებისადმი სოფელ ლერწამის ბოძების შესახებ, 1627 წ. (№ 2108); ალექსანდრე იმერთა მეფისა—ბეჟან წერეთლისადმი სახასო საჩხერის ნახევარის ბოძების შესახებ, 1639 წ. (№14666); როსტომ მეფისა—ელიზბარ სოლაღაშვილისადმი სოფელ კუმისის ბოძების შესახებ, 1657 წ. (№ 1350); შაჰნავაზისა—ქაიხოსრო წერეთლისადმი ყმა-მამულების ბოძების შესახებ, 1660 წ. (№ 2457); ვიგი ამილახორისა—თუმანიშვილებისადმი მამულების ბოძების შესახებ, 1669 წ. (№ 2029); ნიკოლოზ კათალიკოსისა—ძეგვლებისადმი კულუხის ბეგარის შემცირების შესახებ, 1678 წ. (№ 2918); ლევან ბატონიშვილისა—იესე რუსიშვილისადმი ხევისთაობის ბოძების შესახებ, 1683 წ. (№ 2181); ერეკლე I-ისა—მდივან ზურაბ თუმანიშვილისადმი წედისის მოურაობის ბოძების შესახებ 1688 წ. (№ 1999); გიორგი XI-ისა—ფარეშუნ ჯავახიშვილისადმი გლეხების სამეფო გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1692 წ. (№ 4142); გულშარ დედოფლისა—ივანე და გიორგი სააკაძეებისადმი ნოსტეს სასახლის ბოძების შესახებ. XVII ს. (№ 1355); იმერეთის სამეფოს სახლთუხუცეს სეხნია ჩხეიძისა—ქაიხოსრო წერეთლისადმი ყმა-მამულების ბოძების შესახებ, XVII ს. (№ 2179); იესე მეფისა—გოსტაშაბიშვილებისადმი სამეფო გადასახადებისაგან მათი განთავისუფლების შესახებ, 1715 წ. (№ 1753); ბაქარ მეფისა—ელიზბარ დავითისშვილისადმი სახლკარის ბოძების შესახებ, 1718 წ. (№ 462); ვახუშტი ბატონიშვილისა—იესე გარსევანიშვილისადმი სოფელ ნადარბაზევის ბოძების შესახებ, 1723 წ. (№ 5336); ისაყ-ფაშისა—შანშე ქსნის ერისთავისადმი კუმისის მამულთა მფლობელობაზე დასტურის მიცემის შესახებ, 1726 წ. (№ 2382); ალექსანდრე იმერთა მეფისა—პაპუნა და დავით წერეთლებისადმი გასამყოფლო სარგოს ბოძების შესახებ, 1736 წ. (№ 1910); ალექსანდრე კახთა მეფისა—გივი ჩოლაყაშვილისადმი კახეთის სამეფო კარის სახლთუხუცესობის ბოძების შესახებ, 1736 წ. (№ 9677); სოლომონ I-ისა—სამტრედიელ საეკლესიო ყმებისადმი საურის ამოკვეთის შესახებ, 1761 წ. (№ 10143); ერეკლე II-ისა—იოანე მუხრანბატონისადმი სარგოს დანიშვნის შესახებ, 1778 წ. (№ 2132); მისივე—აიდემურ

ვაჩნაძისადმი კახეთის სამხედრო იასაულად დანიშვნის შესახებ, 1781 წ. (№ 10900); ანტონ პირველისა—იოანე გედეონის ძისადმი სამცხეთოს სარდლობისა და ძეგვის მოურაობის ბოძების შესახებ, 1783 წ. (№ 1712); ერეკლე II-ისა—სარდალ დავით ციციშვილისადმი თბილისის ქალაქის მოურაობის ბოძების შესახებ, 1784 წ. (№ 13150); ერეკლე II-ისა—ბილანიშვილისადმი აზნაურობის ბოძების შესახებ, 1789 წ. (№ 1545); მისივე—ზაალ ანდრონიკაშვილისადმი, მარტყოფის მოურაობის ბოძების შესახებ, 1790 წ. (№ 1732); დავით საქართველოს გამგებლისა—ქსნის ერისთავის შვილებისადმი მათი სამკვიდრო მამულების (მაღნარ-დვალეთი, მეჯვრისხევი, მეჯუდა, პატარა ლიახვის ხეობა). ბოძების შესახებ, 1801 წ. (№ 6148); სოლომონ II-ისა—ბოქოულთუხუცეს ვახუშტი წერეთლისადმი მოღალატე ჯღერიას ნაყმევი ობჩელი გეწაძის ბოძების შესახებ, 1804 წ. (№ 1905).

ხარჯის წიგნები

სეიდაბადის ბაღის გაშენებისა (თბილისში), 1753 წ. (№ 1634); გასვენებისა, სულის მოხსენებისა და სალოცავისა, 1777 წ. (№ 530); ქორწილის სამზადისისა, 1779 წ. (№ 3554); ოთახების გაკეთებისა, 1799 წ. (№ 3562); ეკლესიის აშენებისა, 1805 წ. (3573); წისქვილის აგებისა, 1810 წ. (№ 3556); დავით თუმანოვის დამარხვისა, 1827 წ. (№ 3052).

ხელშეკრულება

სამხედრო კავშირის შესახებ ირაკლი და სოლომონ მეფეთა და ოდიშისა და გურიის მთავართა შორის, 1790 წ. (№ 1335).

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ახალი ფონდი

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ახალი ფონდი 1929 წელს ჩამოყალიბდა—იმ დღიდან, როდესაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელნაწერთა განყოფილება გაიხსნა. დღიდან დაარსებისა მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება თავისი სამეცნიერო ექსპედიციებით, შესყიდვისა თუ სხვა დაწესებულებათაგან ექსპონატების მიღების წესით იძენდა და იძენს ძველ ხელნაწერ წიგნებსა და საბუთებს. ხელნაწერთა განყოფილების სხვა ფონდებისაგან განსხვავებით ეს ახალი ფონდი მზარდი ფონდია. ის ახლაც იმატებს ხელნაწერებსა და საბუთებს, მისი კოლექციები დღითი დღე იზრდება.

დღესდღეობით ამ ფონდში 963 ხელნაწერი აღირიცხება. აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან არის შემოსული. ასეთია მარტვილის კოლექცია, რომელიც ძველადვე იყო ჩამოტანილი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ და დროებით საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა. ასეთებია შემოქმედის, ჩხარის, ქუთაისის, გურიანთის და ცაგერის ეკლესია-მონასტრების კოლექციები.

ამავე ფონდში შემოვიდა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გადმოცემული ხელნაწერების თვალსაჩინო კოლექცია (№№ 713—794—Q).

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს 1945 წელს გადმოეცა პარიზიდან დაბრუნებული ქართული ხელნაწერების მდიდარი კოლექცია, რომელიც 1921 წელს მენშევიკურმა მთავრობამ საზღვარგარეთ გაიტანა. ხელნაწერთა კოლექციის ერთი ნაწილი კერძო საზოგადოებათა მუზეუმების ფონდებიდან იყო გატანილი, ამიტომ მათ თავისი რიგითი სათვალავი ჰქონდათ. ამის მიხედვით ის ხელნაწერები თავთავის ფონდებს დაუბრუნდა, ხოლო დანარჩენები, რომლებიც საზღვარგარეთ გატანამ-

დე ცალკეული მონასტრების (გელათის, მარტვილის) საკუთრებას შეადგენდა, შეუერთდა საქ. სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ახალ (Q) ფონდს.

ამ ფონდის ხელნაწერთა აღსანიშნავად, რიგით სათვალავთან ერთად, იხმარება პირობითი ნიშანი „Q“.

დღეისათვის ამ ფონდს გააჩნია საინვენტარო ჩანაწერების დავთარი № I.

ამ ფონდის ხელნაწერები არ არის ერთგვაროვანი თავისი ხასიათით. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა დარგისა და მნიშვნელობის ხელნაწერები X საუკუნიდან XX საუკუნემდე.

მდიდარია ეს ფონდი საქართველოს ისტორიის მასალების შემცველი ხელნაწერებით. აქ დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ორი უნიკალური ნუსხა: ანასეული და ჭალაშვილისეული.

ქართლის ცხოვრება—ანასეული. ხელნაწერი გადაწერილია 1479—1496 წლებში კახთა მეფის ალექსანდრეს მეუღლის ანა დედოფლის განკარგულებით. ქართლის ცხოვრების ამ ნუსხაში შესულია „ძველი ქართლის ცხოვრების“ ხუთი თხზულება: 1. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგან მამათა და ნათესავთა;

2. ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა;

3. წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი;

4. მატიანე ქართლისაჲ;

5. ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი.

გარდა ამ ხუთი თხზულებისა, ხელნაწერმა შემოგვინახა ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის აქამდე უცნობი თხზულება.

ქართლის ცხოვრების ამ უძველეს ნუსხას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართლის ცხოვრების შედგენილობის შესწავლისათვის, ასევე ცალკეული ისტორიული ფაქტების დადგენისათვის.

ხელნაწერი აღმოაჩინა აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1913 წელს ლამისყანაში ჯამბაკურ-ორბელიანების საგვარეულო ბიბლიოთეკაში (№795—Q).

ქართლის ცხოვრება—ჭალაშვილისეული. ხელნაწერი შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი ძველი, ხელნაწერის ძირითადი ნაწილი—გადაწერილი XVI—XVII საუკუნეებში, ხოლო მეორე—ხელნაწერის თავი და ბოლო, გადაწერილი, 1731 წელს მოსკოვში ერაჯ ჭალაშვილის მიერ. მრავალმხრივ არის ქართლის ცხოვრების ეს ნუსხა მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი იმით,

რომ ხელნაწერმა შემოგვინახა თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის აქამდე უცნობი თხზულება და სწავლულ კაცთა კომისიის კოლექტიური ნაშრომი ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“ ყველაზე სრულად და თავისი პირვანდელი სახით.

ხელნაწერი გამოავლინა და შეისწავლა 1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა (№ 207—Q).

მნიშვნელოვანია სვანური სულთა მატიანე, ეტრატის გრაგნილი, სიგრძით სამი მეტრი. ერთმანეთზე გადაკერებულია ეტრატის 14 კეფი. გრაგნილი პალიმფსესტური ხასიათისაა, ძველი ტექსტი დაწერილია X საუკუნის მსხვილი ასომთავრულით, ხოლო ახალი ტექსტი—XIV—XV საუკუნეთა მსხვილი ნუსხურით. ახალი ტექსტი წარმოადგენს სვანეთის კრების მატიანეს (№ 267—Q).

საინტერესოა ქართლის ბაგრატიონთა გენეალოგია, შედგენილი ვახტანგ VI მიერ. ხელნაწერი - ჩამოტანილია მოსკოვიდან ვახტანგ VI შორეული ნათესავის სტოგოვის ოჯახიდან. ხელნაწერი ვახტანგ VI ავტოგრაფია. გენეალოგია იწყება ადამ და ევათი და მიდის ვახტანგ VI მემკვიდრეებამდე. ცალკეულ მეფეებთან დაკავშირებით ვახტანგ VI ზოგიერთი ცნობებიც აქვს დართული. ვახტანგ VI თვითონ ასე ახასიათებს თავის ნაშრომს: „მრავლის ჭირითა და შრომით ეს ადამს აქათი ბაგრატიონთა ნათესაობა მე, ბატონიშვილმა ვახტანგ, გამოვიღე და ასე აღვწერე ვიდრე ჩვენამდე, ხოლო იმერეთის მეფისა და კახის ბატონის ნათესაობა მრავალს ვეცადე შემეტყო—რომლის ტომისაგან იყო და ვერვისგან შევიტყე...და თუ თვითონ იპოვნიან და რომლისაც ტომისაგან არიან დაეწერებიან, მე დიდად მიამება“ (№ 884—Q).

ამ ფონდშივეა დაცული ბაგრატიონთა გენეალოგიური ხე, შედგენილი XVIII საუკუნის მიწურულში. ამის შემდგენელს გამოუყენებია ვახტანგის გენეალოგია და ამასთანავე შეუვსია იგი კახთა და იმერთა ბაგრატიონებიხ გენეალოგიით (№ 158—Q).

დაცულია ფონდში აგრეთვე: კვინკლოსები მნიშვნელოვანი ისტორიული მინაწერებით (№ 605—Q); ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია და გეოგრაფია (XIX ს., №№ 476, 165—Q); დავით ბატონიშვილის შედგენილი საქართველოს ისტორია (XIX ს., № 494—Q); მემუარული ხასიათის ნაწყვეტი, რომელიც ეხება XIX საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიის მთიელებთან ბრძოლას (№ 194—Q); პატრი ქრისტეფორე კასტელის ნახატების ფოტოპირების ალბომი (დედნები ინახება პალერმოს ბიბლიოთეკაში). ალბომში თავ-

შოყრილია ქრისტეფორე კასტელის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (გურია, სამეგრელო, ქართლი) გაკეთებული ჩანახატები. ეს სურათები მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს XVII საუკუნის საქართველოს ყოფაცხოვრების შესასწავლად. ალბომი შედგენილია მ ი ქ ე ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, მისივე ხელით თითოეულ სურათს მიწერილი აქვს ახსნა-განმარტება (№ 582—Q).

ქ ა რ ტ ა ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა ზოგიერთი სოფლისა ისმითის სანჯაყში (1919, № 873); მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ ამიერკავკასიაში (XX ს., № 847 ბ—Q); მ ო გ ო ნ ე ბ ა ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან (XX ს., № 800—Q); შემოსავალ-გასავლის დ ა ვ თ რ ე ბ ი (XX ს., №№ 934—952—Q) და სხვ.

მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ფონდში წარმოდგენილია მთელი თავისი მრავალფეროვანებით. „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს“ 28 ნუსხაა ამ ფონდში დაცული. ამათგან რამდენიმე XVII საუკუნისაა, რედაქციულის თვალსაზრისითაც საინტერესო.

ყურადღებას იპყრობს „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს“ ეგრეთწოდებული მ დ ი ვ ნ ი ს ე უ ლ ი ნუსხა, დაწერილი XVII საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით. ტექსტი ვრცელი რედაქციისაა. ხელნაწერს ყდის შიდა მხარეზე მიწერილი აქვს ხელნაწერის უკანასკნელი მფლობელის დავით მდივნის ცნობა, რომ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი იმერეთის მეფე ს ო ლ ო მ ო ნ ს ჯილდოდ მიუცია ჯარების სარდალ ხ ა ხ უ ლ ა ბ ა შ ი ძ ი ს ა თ ვ ი ს (№ 779—Q); ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს მეორე, აგრეთვე XVII საუკუნის ხელნაწერი, დაწერილია მშვენიერ თხელ ქაღალდზე, შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით. ტექსტი ჩასმულია ვარაყით და საღებავებით მოხაზულ ჩარჩოებში. ტექსტი ვრცელი რედაქციისაა (№ 261—Q).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის თავთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა სომხეთის მშრომელთაგან საჩუქრად ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ხელნაწერი მიიღო. ხელნაწერი XVII საუკუნისაა, ვრცელი რედაქციის, ძალზე დაზიანებული, დაწერილია კალიგრაფიული მხედრულით. ხელნაწერი საგანგებო ბუდეშია მოთავსებული, რომელზედაც დამაგრებულია ვერცხლის ფირფიტა რუსთველის პორტრეტით (№ 930—Q).

მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები ამ ფონდში მოგვიანო ხანის ნუსხებითაა წარმოდგენილი.

ხაგმირო ეპოსი: ამირანდარეჯანიანი, გადაწერილი XVII ს. (№ 340—Q) და XIX ს. (№6 19-Q); ყარამანიანი, გადაწერილი XIX ს. (№№ 162, 172, 253, 396—Q); ალექსანდრიანი, გადაწერილი 1762 წ. (№ 735—Q), XVIII ს. (№ 736—Q); ბეჟანიანი, გადაწერილი XIX ს. (№№ 775, 604—Q); სირინოზიანი, გადაწერილი XIX ს. (№ 357—Q).

სატრფიალო ეპოსი: ვისრამიანი, გადაწერილი XVIII ს. (№ 355—Q); ლეილმეჯნუნიანი, გადაწერილი XIX ს. (№ 573—Q); ქალვაჟიანი, გადაწერილი XVIII ს. (№ 745—Q); ომანიანი, გადაწერილი XVIII ს. (№ 421—Q).

საზლაპრო ეპოსი: რუსუდანიანი, გადაწერილი XIX ს. (№ 353—Q); მირიანი, გადაწერილი XIX ს. (№№ 756, 754—Q); ჩარდავრიშიანი, გადაწერილი XVIII ს. (№ 723—Q), XIX ს. (№ 252—Q).

დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი: ქილილა და დამანა, გადაწერილი 1782 წ. (№ 418—Q), XVIII ს. (№ 861—Q); ეზოპეს იგავები, გადაწერილი 1853 წ. (№ 918—Q).

ისტორიული ეპოსი: ქეთევანიანი თეიმურაზ პირველის, გადაწერილი XIX ს. (№ 380—Q); ქეთევანიანი დ. ბაგრატიონის, გადაწერილი XIX ს. (№№ 422, 344—Q); გაბაასება რუსთველისა და თეიმურაზის, არჩილ მეფის, გადაწერილი XIX ს. (№ 561—Q).

ცალკეულ ავტორთა თხზულებები: არჩილ მეფე, არჩილიანი, გადაწერილი XVIII ს. (№ 770—Q), XIX ს. (№№ 203, 173—Q); იოანე ბატონიშვილი, ქალმასობა, დასაწყისი ნაწილი, ავტოგრაფი (№ 720—Q); ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გადაწერილი მელქისედეკ ქავკასიძის მიერ არა უგვიანეს 1737 წლისა. ტექსტი ნასწორებია ვახტანგ VI მიერ (№ 548—Q).

XIX საუკუნის მწერალთა თხზულებები: ბარბარე ჯორჯაძე, ლექსთა და მოთხრობათა კრებული, ავტოგრაფული ნუსხა, XIX ს. (№ 4); გ. ერისთავი, „პოეტი, ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“, კომედია (XIX ს. № 363—Q); გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ პირველის სადღეგრძელო, ტოლუმბაშიდან XIX ს. (№ 1—Q); აკაკი წერეთელი, ლექსები. ავტოგრაფი, (№ 793—Q). ილია ჭავჭავაძე, აჩრდილი, პირველი ვარიანტი, ავტოგრაფი 1860 წ. (№ 181—Q); ილია ჭავჭავაძის ბოემა განდეგილის ფრანგული თარგმანი, შესრულებული ელისაბედ ორბელიანის მიერ (№ 792—Q); ილ. ჭავჭავაძე, ლექსთა კრებული, 1896

წელს ცენზურაში გატარებული. კრებულში შესულია შემდეგი ლექსები: „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ქართველის დედას“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „მესმის, მესმის“, „მუშა“, „იანიჩარი“, „უსულდგმულო ცხოვრება“, „გაზაფხული“ (№ 347—Q).

პუბლიცისტური წერილები: ილ. ჭავჭავაძე, სტატია „იანოვსკის წერილის გამო“, ავტოგრაფი (№ 874—Q); მისივე გეგმა წერილისა ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის“ შესახებ (№ 190—Q); ლავრენტი არდაზიანი, რენანის შრომის „იესო ქრისტეს“ კრიტიკა, ავტოგრაფი (№ 784—Q) და სხვ.

ძველ ხელნაწერთა ახალ ფონდში დაცულია აგრეთვე მასალები ქართველ მოღვაწეთა პირადი არქივებიდან.

ალ. სარაჯიშვილის არქივიდან: მოთხრობა „ავგიორგი“; შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ; საგაზეთო წერილები (№ 372—Q).

ს. ხუნდაძის არქივიდან: ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „საახალწლო პურ-ღვინო“; კერძო წერილები სხვადასხვა პირებთან (23 ცალი); ეგ. ნინოშვილის სურათი; სურათი როტშილდის ქარხნის მუშა-მოსამსახურეების, რომელთა შორის არიან ეგ. ნინოშვილის ამხანაგებიც (№ 402—Q).

ივანე ელიაშვილის არქივიდან: ისტორიული რომანი „უკედავნი“, დღიურები, მემუარები, მოთხრობები და სხვა მასალები (№№ 403-404-Q); წერილები ივ. ელიაშვილთან: ნ. მარის, რომანოზ ფანცხავასი, აკაკის, მისი შვილის ალექსი წერეთლის, ტასო მაჩაბლის, ნინო ნაკაშიძის, გრ. ვოლსკის, ალექსანდრე სუმბათაშვილის (იუჟინის), პროფ. ვ. პეტრიაშვილის. ამავე არქივშია დაცული აკაკის ლექსები: „აღსდეგ გმირთ-გმირო“ (ავტოგრაფი), „ჟულიკო“ (ნაბეჭდი), „პარიზი“ და აგრეთვე აკაკი წერეთლის სახელობის საზოგადოების წესდება.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის არქივიდან: აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ფ. მახარაძის, კირილე ლორთქიფანიძის, ალ. ცაგარელის, პეტრე უმიკაშვილის და სხვათა წერილები (№№ 389, 443—Q); აგრეთვე ჟურნალ „ჯეჯილის“ მასალები (№ 445—Q).

ფოლკლორული მასალები: ხალხური თქმულებები შ. რუსთაველზე (№ 408—Q); ხალხური ლექსების კრებული (№ 314—Q);

მოგზაურობა-მემუარები: ტიმოთე გაბაშვილი, „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“, XVIII ს.

(№ 80—Q); ს. ს. ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში", გადაწერილი XIX ს. (№ 742—Q); ოსმალეთში მოგზაურობა, ნაწყვეტი, XIX ს. (№ 196—Q);

გრამატიკა და ლექსიკონები: გრამატიკის სახელმძღვანელო ლათინთათვის, შედგენილი 1724 წელს. გრამატიკას ერთვის ლათინურ-ქართული ლექსიკონი (№ 500-Q); ქართული გრამატიკა შედგენილი ზურაბ შანშოვანისმიერ რუსეთში, უნიკალური ხელნაწერი. XVIII ს. (№ 860—Q).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონების მნიშვნელოვანი ნუსხები: ლექსიკონი, გადაწერილი საბას ძმის ზოსიმეს მიერ. ლექსიკონი მოკლე რედაქციისაა, გააჩნია სულხან ორბელიანის შესწორებანი, XVIII ს. (№ 400—Q); ლექსიკონი, გადაწერილი მოსკოვში საბას გარდაცვალების შემდეგ 1728 წელს ზოსიმეს მიერ. ლექსიკონი ვრცელი რედაქციისაა (№ 953—Q); ლექსიკონი, გადაწერილი დავით რექტორის მიერ და მის მიერვე შევსებული (№ 401—Q).

ქართულ-თურქული ლექსიკონი, XVIII ს. (№ 98—Q); რუსულ-ქართული ლექსიკონები XIX ს. (№№ 728, 729, 282, 346—Q) და სხვ.

ბიბლიოგრაფია: აკად. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ავტოგრაფი (№ 700—Q); მ. ჯანაშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა, სამ ტომად, ავტოგრაფი (№ 578—Q); მ. ჯანაშვილი, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა 1041 ნომრიდან 1804 ნომრამდე (№ 579—Q); მ. ჯანაშვილი, აწყურის სვინაქსარის აღწერილობა (№ 574—Q); ს. გორგაძე, სამართლის წიგნებისა და ფილოსოფიური ხასიათის ხელნაწერების აღწერილობა (№ 788—Q).

მიმოწერა: თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი მარიბროსესადმი, ავტოგრაფი, 1845 წ. (№ 888—Q); გრიგოლ ორბელიანის პირადი და საქმიანი მიმოწერა 1833 წლიდან 1882 წლამდე, 643 ფურცელი (№ 155—Q); გრ. ორბელიანის ორი წერილი, ავტოგრაფი, 1882—1883 წ. (№ 932—Q); ნიკ. ბარათაშვილის წერილი, ავტოგრაფი, 1845 წ. (№ 419—Q); წერილები ათონის წინამძღვარ ბენედიქტესადმი დავით ჩუბინაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ეპისკოპოს ლეონიდისა და სხვათა, 1872—900 წლები (№ 150—Q); ეგ. ნინოშვილის

წერილი ალექსანდრე თოიძისადმი, 1888 წ. (№ 152); ირ. ევდოშვილის წერილი პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი, 1912 წ. (№ 932); ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა— ი. ჭავჭავაძის, ანტონ ფურცელაძის, ალ. ყაზბეგის, პ. უმიკაშვილის, გ. წერეთლის, ა. გულისაშვილის წერილები სოფრომ მგალობლიშვილისადმი (№ 373—Q); თედო რაზიკაშვილის წერილები (№ 778—Q).

სამართალი: Q ფონდში დაცულია ვახტანგის სამართლისა და ვახტანგის კოდიკოს 27 ნუსხა. მნიშვნელოვანია მეფის ასულის მზეხათუნისათვის გადაწერილი ვახტანგის კანონები, XVIII ს. (№ 229—Q). აღსანიშნავია სამართლის წიგნებიდან აგრეთვე ბექა-აღბუღას სამართლის შემცველი უძველესი, 1672 წელს გადაწერილი ხელნაწერი, რომელსაც გააჩნია ვახტანგ VI ხელით გაკეთებული მინაწერები, ხელნაწერში აღბეჭდილია ის დიდი მუშაობა, რომელიც ვახტანგმა ჩაატარა სამართლის წიგნების შეგროვების და შესწავლის მიზნით (№ 206—Q).

ფილოსოფია, ლოღიკა, რიტორიკა. ზურაბ შანშოვანის მიერ სომხურიდან თარგმნილი პორფირის „ხუთნი ჴმანი“ და არისტოტელეს „ათნი ქუსმეტყუსლებანი“.

პორფირი ზ. შანშოვანს უთარგმნია ვახტანგ VI განკარგულებით 1736 წელს მოსკოვს, ხოლო არისტოტელე კი მას უთარგმნია ვახუშტი ბატონიშვილის ბრძანებით და უშუალო მონაწილეობით. ამის შესახებ ზ .შანშოვანის ანდერძში ვკითხულობთ: „კეთილმოყვარულთა მკითხველთა მიმართ: აღვასრულე და ვთარგმნე წიგნი ესე ათი ქვედთქმულობისა, გინა შესმენილობისა კატეღორიასა დიდისა ფილასოფოსთ-ფილასოფოსისა არისტოტელისა სომხურის ენისაგან ქართუსლთა ენათა ზედა, ბრძანებითა ძისა ცხებულისა მეფისა ქართულსლთასა ვახტანგ ბაგრატიონისა სიბრძნის მოყვარულ ვახუშტისათა, რათა არა ვიყავ ფრიად მოადგილე ქართუსლთა ენისა, არამედ სიყვარულმან ძისა მეფისმან მიმაყოფინა ჴელჰყვად და შემწეობამან მისმან აღმასრულებინა არა მარტივად თავით ჩემით, არამედ ნება მიდგომითა ორთავე...ჟამსა მწიროსბისასა მოსკოვს დედაქალაქსა, ქორონიკონსა 1736...'' ხელნაწერი ვახუშტი ბატონიშვილის ავტოგრაფია (№ 860—Q).

ფონდში დაცულია პროკლე დიადოხელის „კავშირნის“ გვიანდელი ნუსხები, გადაწერილი XVIII-XIX ს. ს. (№ 17—Q); არისტოტელეს კათიღორიის შეყვანილობა ანტონ პირველის, გადაწერილი XVIII ს. (№ 584—Q); ფილოსოფიური კრებულები

ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა დ ა გ რ. ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს თ ხ ზ უ-ლ ებ ებ ის შ ემ ც ვ ე ლ ი, გ ად ა წ ერ ილ ი XVIII ს. (№ 260—Q); მ ე ტ ა ფ ი-ზ ი კ ა ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ი ს ა, გ ად ა წ ერ ილ ი XVIII—XIX ს. ს. (№ 97—Q); ლ ო ღ ი კ ა ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ი ს ა, გ ად ა წ ერ ილ ი XVIII—XIX ს. ს. (№ 95, 15, 597—Q); პ ო რ ფ ი რ ი ს შ ე ყ ვ ა ნ ი ლ ო ბ ა, გ ად ა წ ერ ილ ი XIX ს. (№ 256—Q); რ ი ტ ო რ ი კ ა მ ხ ი თ ა რ ს ე ვ ა ს-ტ ი ე ლ ი ს ა, გ ად ა წ ერ ილ ი XVIII—XIX ს. ს. (№ 14, 329—Q) და სხვ.

ფონდში დაცულია მეტად მნიშვნელოვანი ნუსხები სამკურ-ნალო წიგნების ანუ კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ე ბ ი ს.

უ ს წ ო რ ო კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი, სამკურნალო წიგნების ერთი უძ-ველესი ნუსხა, გადაწერილი XIV—XV საუკ. ნუსხურით. ხელნაწერი ნაკლული და დაზიანებულია (№ 26—Q);

კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი, დაუთხანის მიერ შედგენილი XVI საუკუნე-ში სტამბოლში (№ 270—Q).

ზ ა ზ ა ს ე უ ლ ი კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი, ხელნაწერი 1935 წელს ჩა-მოიტანა დოკ. თ. ჭ ყ ო ნ ი ა მ ქალაქ გორკიდან[1], სადაც ხანგრძლი-ვად ცხოვრობდა ქართველ ბატონიშვილთა რამდენიმე თაობა. ხელნაწერი დიდი ზომისაა, შეიცავს 1368 გვერდს, დაწერილია XV საუკუნის მსხვილი მხედრულით. კარაბადინი გადაწერილი ყოფი-ლა „ბრძენთამთავრისა“ და „მკურნალის“ ზაზა ფანასკერტელის შე-კვეთით. ზაზა ფანასკერტელის ეს ეპიტეტი მოწმობს იმას, რომ ის არამარტო ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, არამედ ბრძე-ნი და მკურნალი. ამ წიგნს მისთვის წმინდა პრაქტიკული (სამ-კურნალო) მნიშვნელობაც ექნებოდა. კარაბადინი ორ ნაწილისა-გან შედგება: პირველი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა, შეიცავს დია-გნოსტიკის საეთო წესებს, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს 200-მდე სამკურნალო რეცეპტს. ხელნაწერი, როგორც ირკვევა ანდერ-ძიდან, 1709 წელს ვ ა ხ ტ ა ნ გ VI განკარგულებით ხელმეორედ დაკაზმულა. სავარაუდოა, რომ ამ დროისათვის ხელნაწერი ვახ-ტანგის საკუთრება იყო (№ 877—Q).

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა, ფ ი ზ ი კ ა. სასწავლო წიგნები მათემატიკაში, XVIII ს. (№№ 815, 816, 824—Q); შემოკლებული ფიზიკა, თარგმანი ანტონ პირველისა, XVIII ს. (№ 491—Q).

ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ქ მ ე: სამხედრო წესდება XVIII საუკუნის პირ-ველი ნახევრის (№ 24—Q); ძლევისათვის მტერთა ზედა, გადაწე-რილი ბაგრატ ბატონიშვილის მიერ 1830 წელს (№ 161—Q).

ს ა ე ტ ლ ო დ ა ს ა მ თ ვ ა რ ი ო: XV—XVI საუკუნის სამთვარიოს ფრაგმენტი (№ 352—Q), საეტლო XVIII ს. (№№ 586, 74—Q).

[1] თ. ჭ ყ ო ნ ი ა. გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი. ლიტ. ძიებანი, ტ. IV, 1948.



წყაროსთავის ოთხთავი. ქეედა ყდა, მოოქრილი ვერცლი, მოქედილი ბეჭა ოპიზარის მიერ. XII ს. ოქრომჭედლობის წესაბინნავი ნიმუში

ამ ფონდში საეკლესიო მწერლობის მრავალი დარგია წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ხელნაწერებით.

აგიოგრაფია: მეტად მნიშვნელოვანია 1030 წელს გადაწერილი აგიოგრაფიული კრებული წმიდა გიორგისა და წმიდა თეოდორეს წამების შემცველი. გადაწერილია ხელნაწერი ბაგრატ კურაპალატის მეფობაში „სვეტსა ზედა ქყონდიდისასა", ხელითა იოვანე მესვეტისა, ვახტანგ ფარჯანიანის განკარგულებით (№ 240—Q). მნიშვნელოვანია აგრეთვე XIII ს. მეტაფრასი, დიდი ზომის ქაღალდის ხელნაწერი, დაწერილი მშვენიერი კალიგრაფიული ნუსხურით. ხელნაწერი შეიცავს რამდენიმე თვის სადღესასწაულო საკითხავებს გამოკრებით. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ წმიდათა ცხოვრება-წამება. ა. ცხოვრება, მოქალაქობა და ღვაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ნინოჲსი. ეს არის ქართველ განმანათლებლის ცხოვრება-მოღვაწეობის ერთი მეტად მნიშვნელოვანი რედაქცია, ე. წ. არსენისეული რედაქცია, სრული სახით. ბ. ცხოვრება ილარიონ ქართველისა. ილარიონ ქართველი IX საუკუნის ცნობილი მოღვაწეა, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი უცხოეთში გაატარა. მისი ცხოვრება არაერთგზის აღიწერა ქართველი და ბერძენი ავტორების მიერ. ილარიონის ცხოვრების ყველა რედაქცია მეტად მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს ქართველთა სამონასტრო ცხოვრების ისტორიისათვის. ჩვენს ხელნაწერში დაცული ილარიონის ცხოვრება ახალი რედაქციაა, ამ ბოლო დროს გამოვლენილი. გ. წამება და ღვაწლი წმიდათა დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი. დავით და კონსტანტინე ეწამნენ მურვან ყრუს შემოსევის დროს (736—738). მათი მეტაფრასული წამება დამუშავდა XIII საუკუნეში. ჩვენმა ხელნაწერმა შემოგვინახა მეტაფრასულად დამუშავებული წამების უძველესი ნუსხა (№ 762—Q); მეტაფრასი, გადაწერილი ეფთჳმე საყვარელიძის ბრძანებით ნეკრატიოს ციმცაძის მიერ XVI საუკუნის მიწურულში. ხელნაწერში, შესულია: მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, წამება წმიდისა ბარბარასი, ცხოვრება მარიამ მეგვიპტელისა და სხვ. (№ 39—Q); მეტაფრასი, XVI—XVII საუკუნეებში გადაწერილი, შეიცავს ბალავარის სიბრძნის ერთ მნიშვნელოვან და სრულ ნუსხას (№ 40—Q); დედათა მეტაფრასი, გადაწერილი XVII ს. (№ 831—Q); მეტაფრასი, გადაწერილი 1766 წელს (№ 485—Q); მეტაფრასი, გადაწერილი ოსე გაბაონის მიერ 1801 წ. (№ 112—Q); მამათა ცხოვრება, გა-

დაწერილი XVIII—XIX ს.ს. (№ 300—Q); დედათა ცხოვრება, გადაწერილი XIX ს. (№ 882—Q); ანტონ პირველის მარტირიკა (XVIII ს., № 12—Q).

ცალკე ცხოვრებები: ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, გადაწერილი XIX ს. (№№ 48, 49—Q); ცხოვრება მაქსიმე აღმსარებლისა, გადაწერილი XVII ს. (№ 848—Q); ცხოვრება ისაკ ასურისა, გადაწერილი XIX ს. (№ 423—Q); ცხოვრება იოანე ოქროპირისა, გადაწერილი XVIII—XIX ს. ს. (№ 16—Q); წამება ეკატერინასი, გადაწერილი XIX ს. (№ 555—Q); ცხოვრება ანდრიასალოსისა, გადაწერილი XIX ს. (№ 727—Q) და სხვ.

აპოკრიფები: ავგაროზები, გადაწერილი XVIII—XIX ს. ს. (№№ 277, 265, 283—Q); ღვთისმშობლის აპოკრიფი, გადაწერილი XIX ს. (№ 289); მოთხრობა დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა, გადაწერილი XIX ს. (№ 426—Q); შელოცვები, გადაწერილი XIX ს. (№ 313—Q).

ასკეტიკა. XI საუკუნის ეტრატის დიდი ფოლიანტი, დაწერილი მსხვილი ათონური ნუსხით. კრებული შეიცავს: ა. სიტყვის გებაჲ, რომელ იქმნა შორის მაქსიმესსა და პიროს კონსტანტინეპოლელ პატრიაქისა მწვალებელისა. ბ. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი, ნეტარისა თალასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა მაქსიმესაგან. ხელნაწერი გადაწერილია გლახაკი ისაკის მიერ (№ 34—Q).

კლემაქსი, გადაწერილი XVIII ს. (№№ 568, 628, 826—Q); გვირგვინი, გადაწერილი XIX ს. (№№ 171, 540, 567, და სხვა); ედემი, რომელ არს სამოთხე, გადაწერილი XIX ს. (№ 524—Q); სამოთხის ყვავილი, გადაწერილი XIX ს. (№ 46—Q); შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათა ნ. ტფილელის გადაწერილი XIX ს. (№ 894—Q).

დოგმატიკა: X—XI საუკუნის ხელნაწერის ფრაგმენტი, დოგმატიკური ხასიათის თხზულების შემცველი (№ 209—Q). არსენ იყალთოელი, დოგმატიკონი, გადაწერილი XVIII ს. (№№ 50, 51-Q); პეტრე მოგილა, აღსარება მართლისა სარწმუნოებისა, გადაწერილი XVIII ს. (№ 167—Q); ს. ს. ორბელიანი, სამოთხის კარი, გადაწერილი XVIII ს. (№ 516—Q); კატეხიზმო, გადაწერილი XVIII ს. (№№ 615, 571—Q).

ეგზეგეტიკა: დავითნის თარგმანება ეფრემ მცირისა. უძველესი ქაღალდის თარიღიანი ხელნაწერი, გადა-

წერილი 1091 წელს. ხელნაწერი დაიწერა შავსა მთასა, სანახებსა სუმეონისსა, მონასტერსა მამისა ეზრაჲსსა, ჴელითა ი ო ა ნ ე ხ უ ც ი-



წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი. ქვედა ყდა, ნოოქრვილი ვერცხლი, მოჭედილი ბ ე ქ ა ო პ ი ზ ა რ ი ს მიერ. XII საუკუნის ოქრომჭედლობის წესანიშნავი ნიმუში



ბგერათა ლოხეკი. ბერი მახარებელის გამოსახულება თავსაბურველი, XI საუ-

სა მთავარაჲსძისაჲთა". ხელნაწერი გადაწერილია ეფრემ მცირის სიცოცხლეშივე 1080 წლის დედნიდან (№ 37—Q).

მათეს თავის თარგმანება, ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმნილი. დიდი ზომის ეტრატის ორი ხელნაწერი, ამ თარგმანების შემცველი ერთ-ერთი უძველესი და კარგად შენახული ნუსხაა. ხელნაწერები დაწერილია მშვენიერ თეთრ ეტრატზე მსხვილი ათონური XI ს. ნუსხით (№№ 99, 100—Q).

ეგზეგეტიკური ხასიათის კრებული, XVII საუკუნეში გადაწერილ ხელნაწერში შესულია იგივე მასალა, რაც X საუკუნის ცნობილ შატბერდის კრებულში: გრიგოლ ნოსელის „ექუსთა დღეთათჳს", ეპიფანე კჳპრელის „პატიოსან თუალთათჳს", „სახისმეტყველი", „კურთხევისათვის ათორმეტთა ნახეტთა" და სხვ. (№ 41—Q).

ჰიმნოგრაფია: X საუკუნის საგალობელთა ფრაგმენტები, რომლებიც დაუცავს იფარულ პალიმფსესტს. ხელნაწერი ჩამოტანილია აკად. ა. შანიძის მიერ სვანეთიდან (№ 215—Q); საგალობლების შემცველი ხელნაწერთა ფრაგმენტები XI—XII საუკუნეების (№ 116—Q);

ფიტარეთის ძლისპირები, ხელნაწერი გადაწერილია XVII საუკუნეში ფიტარეთის ძველ საგალობელთა კრებულიდან. ხელნაწერში შესულია: ა. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. ბ. ძლისპირნი სამწუხრონი. გ. წმიდასა და დიდსა პარასკევსა ციისკრად საგალობელი, რომელსა ეწოდების შეხუᲪტილიანი. ძლისპირებს ერთვის ჭრელების ნუსხა. ძლისპირებს მრავალ ადგილას გაჩნიათ ძველი ნევმატური ნიშნები, ამის გამო ამ ხელნაწერს ძველი ქართული სანოტო სისტემის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს (№ 298—Q), საციისკრო ძლისპირები, XVIII ს. (№ 244—Q); დაუჯდომელი, გადაწერილი XVIII ს. (№ 810—Q); ოქტოიხოსი, გადაწერილი XVIII ს. (№ 626—Q); ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადატანილი ქართული საეკლესიო გალობა. ეს პარტიტურები, 34 წიგნის რაოდენობით, ზედაზნის მონასტრის ბერმა ეფთვიმე კერესელიძემ 1935 წელს გადმოსცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. პარტიტურები შეიცავს შემდეგ მასალას: სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი 8 ხმა (№ 672—Q); აღდგომის რვა ხმა (№ 673); წირვის სამი წესი (№ 674—Q); სხვადასხვა დღესასწაულთა საგალობლები (№ 678—Q) და სხვა მრავალი. ამ პარტიტურებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული საგალობლების დაცვისა და შესწავლისათვის.



ამოლაფის ციხესთან, გალავანი. XI-XII სს.

სამღვდელმსახურო წიგნები: ფონდში დაცულია გულანების მნიშვნელოვანი ცალები: ერკეთის გულანი, დიდი ზომის ხელნაწერი, გადაწერილი 1578—1605 წლებში ეფთჳმე საყვარელიძის ინიციატივით (№ 87—Q); შემოქმედის გულანი, დიდი ზომის ფოლიანტი (1004 ფ.), იწონის ორ ფუთს, დაწერილია სქელ ქაღალდზე ნუსხურით. გულანში შესულია რამდენიმე სამღვდელმსახურო წიგნი, მთელი წლის მანძილზე სახმარი. გულანს გააჩნია კვინკლოსი, მნიშვნელოვანი ისტორიული მინაწერებით, XVIII ს. (№ 103—Q); ჩხარული გულანი, XVIII ს. (№ 105—Q); გურიანთული გულანი, XVIII საუკუნეში გიორგი ნაკაშიძის ინიციატივით გადაწერილი (№ 104—Q); კაცხის გულანი XVIII საუკუნის, მნიშვნელოვანი ისტორიული მინაწერებით (№ 632—Q).

გარდა გულანებისა, ფონდში დაცულია სხვადასხვა საღმვდელმსახურო წიგნები: კურთხევანები, გადაწერილი XIII — XIV ს.ს. (№ 186—Q); XVII—XVIII ს.ს. (№№ 660, 636—Q); კონდაკები, გადაწერილი XVII—XVIII ს.ს. (№№ 299,263—Q); სვინაქსარები, გადაწერილი XII—XIII ს.ს. (№ 275—Q), XVI—XVII ს.ს. (№ 125); პარაკლისები, გადაწერილი XVIII—XIX ს.ს. (№№ 302, 20, 237—Q) და სხვ.

ბიბლიოლოგია: შესანიშნავი ხელნაწერებითაა წარმოდგენილი საეკლესიო მწერლობის ეს დარგი Q ფონდში.

გელათის ოთხთავი. ხელნაწერი 1921 წელს გატანილი იყო საქართველოდან და მხოლოდ 1945 წელს დაუბრუნდა საქართველოს სხვა ქართულ განძეულობასთან ერთად. დაწერილია ხელნაწერი მშვენიერ თეთრ ეტრატზე XI საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით. გელათის სახარება თავისი მხატვრული ღირებულებით მსოფლიო მნიშვნელობისაა. მას გააჩნია 259 მინიატურა, თავსამკაულები და საზედაო ასოები. ხელნაწერის დასაწყისში მოთავსებულია 14 კანონი დიდი ხელოვნებითა და ოსტატობით შესრულებული: კანონები შემკულია ვარაყზე გაკეთებული მდიდარი ორნამენტებით. მინიატურები გამოირჩევა თავისი სიფაქიზითა და დახვეწილობით. მინიატურების კოლორიტულობა და ვარაყის ბრწყინვალება ანცვიფრებს მაყურებელს. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერმა ცხრა საუკუნეს გაუძლო, ის მშვენივრად არის შენახული. როგორც გამორკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ხელნაწერის გაფორმებაში მონაწილეობა მიუღია რამდენიმე მხატვარს, ამიტომ მინიატურები განსხვავდებიან არა



მოქვის ოთხთავის ერთი ჯეერდი (1300 წ.)

მარტო შესრულების ხასიათით, არამედ კოლორიტით და კომპოზიციით (№ 908—Q).

წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი. ხელნაწერი მოთავსებულია მოოქროვილ ვერცხლის ყდაში, რომელიც ბ ე ქ ა ო პ ი ზ ა რ ი ს მიერ არის მოქედილი. ყდის ერთ მხარეზე ვედრების გამოსახულებაა, ხოლო მეორეზე—ჯვარცმის. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებათა შორის იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე ოქრომქედელი ბ ე ქ ა ო პ ი ზ ა რ ი“, ხოლო მეორე წარწერიდან ირკვევა, რომ ხელნაწერის მომგებელი ყოფილა ი ო ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი. ხელნაწერი გადაწერილია ორი გადამწერის მიერ: იოანე ფუკარალისძისა და გიორგი სეთაისძის მიერ 1195 წელს. ბ ე შ ქ ე ნ ო პ ი ზ ა რ თ ა ნ ერთად, ბ ე ქ ა ო პ ი ზ ა რ ი XII საუკუნის ო ქ რ ო მ ქ ე დ ლ უ რ ი ს კ ო ლ ი ს უ დ ი დ ე ს ი წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ა (№ 907—Q).

ბ ე რ თ ა ს ო თ ხ თ ა ვ ი. ხელნაწერი მოთავსებულია ვერცხლის მოოქროვილ ოქროქედურ ყდაში, რომელიც ოპიზის ოქრომქედლური სკოლის მეორე ცნობილი წარმომადგენლის ბეშქენ ოპიზარის ნახელავს წარმოადგენს. ეს არის ბეშქენ ოპიზარის ხელოვნების ერთადერთი ნიმუში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ბერთას ოთხთავის ყდაზე, ისევე როგორც წყაროსათვის ხელნაწერის ყდაზე, გამოსახულია ვედრება და ჯვარცმა. ის გარემოება, რომ ბეშქენის სტილს ახასიათებს თავისებური არქაიზმი, მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ ბეშქენი უფროსი თაობის ოსტატი უნდა ყოფილიყო, ხოლო ბექა კი—ბეშქენის მოწაფე (№ 906—Q).

ტ ბ ე თ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი. XII საუკუნის ხელნაწერი, რომელიც ჩასმულია ვერცხლის მოქედილ ყდაში ჯვარცმის გამოსახულებით. ყდა ხელნაწერზე უფრო ადრეულია (XI საუკ.) და თავისი მხატვრული ღირებულებით ქართული ოქრომქედლობის ერთ-ერთ უშესანიშნავეს ნიმუშს წარმოადგენს (№ 929—Q).

ვ ა რ ძ ი ი ს ო თ ხ თ ა ვ ი. XII საუკუნის ხელნაწერი, მეტად ორიგინალური მინიატურებით და თავსამკაულებით (№ 899—Q).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე უ ლ ი ო თ ხ თ ა ვ ი. XII საუკუნის ხელნაწერი, შეძენილი ვახტანგ VI შორეულ ნათესავ სტოგოვისაგან. ხელნაწერი, სტოგოვის კოლექციის სხვა ხელნაწერებთან ერთად, მუზეუმს გადამოეცა 1947 წ. ხელნაწერი მნიშვნელოვანია თავის მხატვრული გაფორმებით, გააჩნია მშვენივრად შესრულებული თავსამკაულები (№ 880—Q).

ო თ ხ თ ა ვ ი. XII საუკუნის, მინიატურებითა და თავსამკაულებით. ხელნაწერი ჩასმულია მოგვიანო ხანის ვერცხლის მოქედილ ყდაში (№ 900—Q).



ბერთას ოთხთავი. ზედა ყდა. მოოქრვილი ვერცხლი, მოჭედილი ბეშქენ ოპიზარის მიერ.
XII საუკუნის ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში

მოქვის ოთხთავი, გადაწერილი 1300 წელს. ხელნაწერი მოქვის საეპისკოპოსო კათედრის კუთვნილება ყოფილა, მდიდრად არის მოხატული და შემკული, მას გააჩნია დასაწყისში 10 კანონი, ქრისტეს და მოციქულთა გამოსახულებები და მინიატურები დიდი რაოდენობით (152 ცალი). კანონები შემკულია რეალისტურად შესრულებული ფრინველებითა და მცენარეული ორნამენტებით. ხელნაწერის ბოლოს მოთავსებულია ღვთისმშობლის გამოსახულება, ღვთისმშობლის წინ მუხლმოყრილია მოქვის არქიეპისკოპოსი დანიელი.

ხელნაწერში დიდი რაოდენობითაა მცენარეული ორნამენტებითა და ცხოველური გამოსახულებებით შემკული საზედაო ასოები. მოქვის ოთხთავის გადამწერი და გამფორმებელია ბერი ეფრემი. მოქვის ოთხთავს, გელათისა და ჯრუჭის მოხატულ ხელნაწერებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნების ისტორიისათვის (№ 902—Q).

ოთხთავი, გადაწერილი 1687 წელს. ხელნაწერი ჩასმულია ვერცხლის მოქედილ ბუდეში. ბუდის ყუას გააჩნია წარწერა: „მოიხსენე უფალო სახლთუხუცესი ზურაბ და მეუღლე მისი დადიანის ასული თამარ და ძე მათი გრიგოლ მეუღლით“ (№ 911—Q).

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველი საბუთების ახალი ფონდი

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველი საბუთების ახალი ფონდი დღეისათვის 7967 საბუთს შეიცავს. ქრონოლოგიურად ეს საბუთები XIV—XIX საუკუნეებს განეკუთვნება. აქ მეტ-ნაკლებად მთლიანი კოლექციის სახით წარმოდგენილია საბუთები გადმოცემული: რევოლუციის მუზეუმის მიერ (№№ 1609—1626); ქართული ხელოვნების ინსტიტუტის მიერ (№№ 7286—7296); რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ (№№ 6740—6861); რუსთაველის მუზეუმის მიერ (№№ 6861—6873) და საბუთები ამოკრეფილი თბილისის გუბერნიის გამმიჯნავი კომისიის არქივიდან (№№ 1670—3629).

საბუთების ერთი ნაწილი ჩამოტანილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციების მიერ ქიზიყიდან, რაჭიდან და სხვა.

გარდა ამისა, ამ ფონდში შესულია საბუთები კერძო პირთა არქივებიდან: მ. ჯანაშვილის არქივიდან (№№ 3693—3723, 4048—4074); ვასილ კარბელაშვილის არქივიდან (№№ 3730—3760, 4085—6596); ალექსანდრე ეპისკოპოსის არქივიდან (№№ 3869—4047); ათას ცალამდე საბუთი შემოსულია ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ოჯახიდან.

ფონდის დანარჩენი საბუთები შესყიდულია მუზეუმის მიერ კერძო პირებისაგან.

ამ ფონდში დაცული საბუთები აშუქებს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას (XIV საუკუნიდან), ბატონყმურ ურთიერთობას, მიწისმფლობელობის საკითხებს, სახელმწიფო წყობილებას, სამხედრო საქმეს, სამართლის წესებსა და წარმოებას, გვიანფეოდალური საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას და სხვა საკითხებს. სხვებისაგან განსხვავებით აღნიშნული ფონდი დღესაც მზარდი ფონდია. ამ ფონდის საბუთების აღსანიშნავად რიგით სათვალავთან ერთად იხმარება პირობითი ნიშანი—„Qd". ფონდს მოეპოვება საინვენტარო აღწერის დავთრები: წ. I, II, III, IV, V და VI.

ანგარიშის წიგნები

შაქარასი—მანუჩარ მდივნისადმი, 1784 წ. (№ 7652); ციხეში მდგომ ქიზიყელებისა და მუხრანელებისა—იოსებ ზუბიაშვილისადმი ცხრა დღის ულუფის მიღების შესახებ, 1790 წ. (№ 7685); თუმანიშვილებისა—მამულებიდან აღებული ღალის შესახებ, 1792 წ. (№ 7795); მანუჩარ თუმანიშვილისა და სეიდაბათის ბაღის იჯარადარ ვართანასი, 1800 წ. (№ 7752); თუმანიშვილებისა—ბაღის მოსავლის დახარჯვის შესახებ, 1800 წ. (№ 7749); მანუჩარ მდივნისა და მესანთლე ვართანასი, 1803 წ. (№ 7658); თუმანიშვილებისა—სოფ. ახალდაბიდან აღებული კულუხის შესახებ, 1804 წ. (№ 7785).

არზები

იესე ოსესძისა—ერეკლე II-სადმი გავაზიდან ყმის აყრის შესახებ, 1764 წ. (№ 6801); გიორგი თუმანიშვილისა—ერეკლე II-სადმი მოსული ყმის აუყრელობის შესახებ, 1787 წ. (№ 247); ნინი ჯავახიშვილის ქვრივისა—ერეკლე II-სადმი უმამულო ყმის სათხოვარისაგან გათავისუფლების შესახებ, 1787 წ. (№ 1009); გიორგი იბრეიმაშვილისა—ერეკლე მეფისადმი თავისი ყმის მიერ ვენახის გაყიდვის გაბათილების შესახებ (ახლავს ერეკლე II ოქმი „თავადის შვილის ყმა სხვას მებატონეს მამულს ვერ მიჰყიდის თუ არ თავისის მებატონის შეკითხვითა და დასტურითა"), 1789 წ. (№ 784); თარაშვილებისა—ერეკლე მეფისადმი წისქვილის წართმევის შესახებ, 1772 წ. (№ 7248); გაბრიელ ყაისის შვილისა—ერეკლე II-სადმი მისთვის სესხად მიცემული 13 თუმნის დაბრუნების შესახებ, 1774 წ. (№ 7115); მთავარეპისკოპოს პაისიოსისა—ერეკლე II-სადმი მკვეთელების მიერ საეკლესიო მამულების მითვისების შესახებ, 1788 წ. (№ 2190); აზნაურ კლიმიაშვილის ქვრივისა—ერეკლე II-სადმი თავად ციციშვილის ძალმომრეობის შესახებ, 1794 წ. (№ 706); სახასო აზნაურიშვილის გაბრიელ კობახიძისა—ერეკლე II-სადმი ზედსიძეთათვის მამულების დამტკიცების შესახებ, 1797 წ. (№ 7067).

ბრძანების წიგნები

ვექილ ალიყულიბეგისა—მდივან გორჯასპისა, ელიზბარ თაზისშვილისა და რევაზ მაღალაშვილისადმი. საბარათაშვილოში და

სომხითში სახელმწიფო გამოსაღებების აკრეფის შესახებ, 1738 წ. (№ 7199); ერეკლე II-ისა—უცნობი პირისადმი დაკარგული კაცის მამულების მისი ქალებისათვის დამტკიცების შესახებ, 1755 წ. (№ 7239); თეიმურაზ II-ისა—ამილახორისადმი ზემო-ქართლის ჯარის თავისი ნუზლით გამოგზავნის შესახებ, 1758 წ. (№ 212); ერეკლე II-ისა—გიორგი ყულარაღასისადმი თავისი ჯარით განჯაში წასვლისა და იქაური საქმეების გარიგების შესახებ, 1767 წ. (№ 6980); ერეკლე II-ისა—გიორგი ყულარაღასისადმი სამაჩაბლოში წასვლისა და იქაური საქმეების გარიგების შესახებ, 1772 წ. (№ 6956); ერეკლე II-ისა—რევაზ ამილახორისა და გიორგი ყულარაღასისადმი გაგზავნილი დავთრების მიხედვით ჯარის გამოყვანისა და მტრის დახვედრის შესახებ, 1772 წ. (№ 6983); ერეკლე II-ისა—ქიზიყის მოურავ რევაზისადმი თადია უზბაშის წასული ყმის აყრისა და მამულზე დაბრუნების შესახებ, 1772 წ. (№ 2066); ლევან ბატონიშვილისა—იჯარადარ სულხანასადმი არაგვის ბაღის იჯარის ანგარიშიდან გლახა მუშრიბისათვის ჯამაგირის მიცემის შესახებ, 1779 წ. (№ 7377); ერეკლე II-სა—თადია ნაცვლისადმი შირაქში ყარაულის მოშლის დამნაშავეთა დასჯის შესახებ, 1782 წ. (№ 1663); ერეკლე II-სა—მდივანბეგ იესე ამილახვარისადმი ანანიაშვილების აყრისა და მათ სამკვიდრო მამულზე დასახლების შესახებ, 1784 წ. (№ 2202); ერეკლე II-სა—იესე ამილახვარისადმი ზემო ქართლის ამილახვარის სასარდლოში რუსის ჯარისათვის სურსათის გამოღების შესახებ (თან დართულია გამომღებთა სიაც), 1784 წ. (№ 7128); ერეკლე II-ისა—ენისელებისადმი დიმიტრი მოურავისათვის სარგოს განწესებისა და ენისელების მიერ სამოურაოს გადახდის შესახებ, 1785 წ. (№ 550); ბატონიშვილ იულონისა—იოსებ ნახუცრიშვილისადმი თელეთგორის რუს გასაყვანად თარხნიანთაგან მუშების გამოყვანის შესახებ, 1785 წ. (№ 2194); ერეკლე II-ისა—იასაულ ავალიშვილისადმი ჯარისათვის სოფლებზე შეწერილი მაჰარის ქიზიყში ჩამოტანისა და მეღვინეთათვის მიბარების შესახებ, 1787 წ. (№ 7109); ერეკლე II-ისა—გამოსაღების ამკრეფისადმი იოანე თაქთაქიშვილის ყმებისათვის გამოსაღებების პატიების შესახებ, 1789 წ. (№ 7114); იულონ ბატონიშვილისა—სარდალ მოურავისადმი ზიზა უზბაშის აყრილი გლეხების დაბრუნების შესახებ, 1791 წ. (№ 2611); ერეკლე II-ისა—ვეფხის ციხის მოურავ ერასტი ჩოლოყაშვილისადმი გრემის ციხისათვის მორიგის მიცემის შესახებ, 1793 წ. (№ 576); არაგვის მპყრობელ ვახტანგ ბატონიშვილისა—ნაცვალ იასე ჩქარიაულისადმი მკვლელე-

ბის დაპერის შესახებ, 1794 წ. (№ 3831); ერეკლე II-ისა—მელიქ გოშტაშაბისა და ზაზა მეითრისშვილისადმი კახეთის ელებისათვის შეწერილი სურსათის გამორთმევის შესახებ, 1795 წ. (№ 7116); ერეკლე II-სა—მდივანბეგ ბეჟანისა და მდივან დავითისადმი ენისელის მცხოვრებთათვის მამულების დაყოფის შესახებ, 1795 წ. (№ 558); გიორგი მეფისა—მუშრიბ შინჯიაშვილისადმი დარჩაშვილების სამამულო დავის გადაწყვეტის შეჩერების შესახებ, 1798 წ. (№ 7254); გიორგი XII-ისა—ფარეშთხუცეს გორჯასპი ნათანლიშვილისადმი თარაშვილებისათვის შეწერილი სურსათის პატიებისა და გამორთმეულის უკან დაბრუნების შესახებ, 1799 წ. (№ 7258); დავით ბატონიშვილისა—სამთავისის დეკანოზ იოანესადმი ეკლესიაში რუსეთის იმპერატორისა და თვითონ დავითის („მემკვიდრეობითა ყოვლისა საქართველოჲსათა“) ზოხსენების შესახებ, 1800 წ. (№ 3847).

განაჩენისა და გარდაწყვეტილების წიგნები

ალექსანდრე ციციშვილის, პაატა აბაშიძის, ფარსადან სარდლისშვილის და სამთავნელ ეპისკოპოზის ბენეტიტესი—ამირანდო და დემეტრე ამილახორებისადმი სამამულო დავის შესახებ, 1754 წ. (№ 827); კონსტანტინე მუხრანბატონის, ჯიმშერ ერისთავის, სულხან ეშიკალასბაშის, საგარეჯოს მოურავ იორამის და იესე მაჩაბლისა—დავით ერისთავისა და გიორგი ყულარაღასისადმი სახლისკაცობის რიგის შესახებ, 1756 წ. (№ 6955); მდივანბეგებისა—სარდალ ალექსანდრესა და მისი სახლისკაცებისადმი სახლისკაცობის რიგის შესახებ, 1765 წ. (№ 2605); მოსამართლეებისა—გივი ყანდუაშვილისადმი საწისქვილოს შესახებ, 1775 წ. (№ 755); ხოსიკა და ბერუკა არჯევანიძეებისა—კაცია კოკელაძისადმი სამამულო დავის გარდაწყვეტილების შესახებ, 1778 წ. (№ 1308); საქართველოს მსაჯულთ შეკრებილობისა—ადამ ყარაგოზისშვილისა და გოგია გრიგოლაშვილისადმი სამამულო დავის გარდაწყვეტილების შესახებ, 1780 წ. (№ 2200); არაგვის საერისთაოს მპყრობელ ვახტანგ ბატონიშვილისა—ჭარელებისადმი, 1782 წ. (№ 885); მდივანბეგთ სასამართლოსა—დავით და ზაქარია ციციშვილებისადმი მძოვრეთის ციხის გამო დავის შესახებ, 1783 წ. (№ 841); საქართველოს მსაჯულთ შეკრებილობისა—მოურავ ჯამასპისადმი აბრამ მღვდლის მიერ თავისი სიძის ვენახის გამოსყიდვის შესახებ, 1790 წ. (№ 1643); გორელი ქეთხუდებისა—იოსებ და სტეფანა პაპაშვილებისადმი სასახლის აგდილზე დავის შესახებ, 1790 წ. (№ 782); მსაჯულთ შე-

კრებილობისა—ხოდაშნელებისადმი აწყურელებთან სადაო მთის შესახებ, 1790 წ. (№ 786); საქართველოს მსაჯულთ შეკრებილობისა—რევაზ და დავით თაყაშვილებისადმი ამოწყვეტილი ქაიხოსროს ყმისა და მამულის გამო დავის შესახებ, 1792 წ. (№ 2030); სარდალი იოანე და ნიკოლოზ ორბელიანებისა—ყულარელებისადმი, 1797 წ. (№ 692); ქიზიყის ნაცვალ თარიმანისა—გიორგი დარჩასშვილისა და ჩიტოშვილებისადმი სამამულო დავის გარდაწყვეტილების შესახებ, 1798 წ. (№ 7252); ანაგის ქევხა ზაალისა და ანაგის უფროს კაცებისა—გიორგი დარჩასშვილისა და მისი სახლის კაცების კალო-საბძლის გამო დავის გარდაწყვეტილების შესახებ, 1798 წ. (№ 7253); „სასამართლოსი" დემეტრე ხიმშიაშვილის ლუარსაბ ლოლაძისადმი საჩივრის შესახებ (განაჩენი გამოტანილია ვახტანგის სამართლის თანახმად), 1809 წ. (№ 830).

გაყრის წიგნები

სიოფა და დანიელა მამუკაშვილებისა, 1729 წ. (№ 6921); როსტომ ჩიკოიძის და ბიძინა ჩუბინიშვილისა—ვასილ და გაბრიელისადმი, 1775 წ. (№ 7064); თაყასი და სტეფანესი, 1785 წ. (№ 844); ქაიხოსრო ნახუცრიშვილისა—იოსებ ნახუცრიშვილადმი მამულის, ყმისა და სახელოს გაყოფის გამო, 1788 წ. (№ 2169); მეფის ძის იოანესი და მდივანბეგებისა—ციციშვილებისადმი, 1800 წ. (№ 2607).

გაცვლილობის წიგნები

ავთანდილ ჯავახიშვილისა—როტინა ჯავახიშვილისადმი მამულების გაცვლის გამო, 1721 წ. (№ 1023); გიორგისა—დათვიასშვილებისადმი მამულების გაცვლის გამო, XIX ს. (№ 614).

გირავნობის წიგნები

ქაიხოსრო ჯავახიშვილისა—მზეკაბუკ ჯავახიშვილისადმი ხუთი თუმანი ვალის გამო ოცი დღით ყმის დაგირავების შესახებ, 1736 წ. (№ 1002); გორელი ალიხანასი—ივანე გარსევანიშვილისადმი ვალში ვენახის დაგირავების შესახებ, 1779 წ. (№ 3844); შანშე ერისთვის შვილისა—დურგალ ნონისადმი ვალში სახლის დაგირავების შესახებ, 1795 წ. (№ 688); ვახტანგ დოლენჯიშვილისა—ანუკა სარდლის ქალისადმი ვალში ყმის დაგირავების შესახებ, XVIII ს. (№ 3824).

ვალის წიგნები

ნასყიდა გასპარასშვილისა—გორჯასპი მდივნისადმი, 1766 წ. (№ 7625); სტეფანა გასპარაშვილისა—ავაქა ტაშირელისადმი, 1766 წ. (№ 7626); ბაღდადანთ სტეფანასი—მეჩითე კოკუზასადმი, 1766 წ. (№ 7627); ოსეფა გიორგის შვილისა—ფეიქარ[სტეფანე დავითასშვილისადმი, 1767 წ. (№ 7602); არუთინა ავთანდილასშვილისა—უზბაშ შაქარასადმი, 1782 წ. (№ 763); მეთევზე აღალოასი—ბაშბეუქანთ ამირასადმი, 1792 წ. (№ 857); სოლომონ მდივნისა—მანუჩარ მდივნისადმი, 1792 წ. (№ 7867); გიორგი მეფისა—იოანე ბეგთაბეგიშვილისადმი, 1797 წ. (№ 689); გლახა მამაცაშვილისა—მიტროპოლიტ იუსტინესადმი, 1801 წ. (№ 335).

თავდახსნილობის წიგნები

რამაზ ცალქალამანიძისა—მღვდელ იოანე წივილაძისადმი, 1719 წ. (№ 7051); ფარსადან ეზიტასშვილისა—გელია შინჯიკაშვილისადმი ტყვეობიდან დაბრუნების გამო განთავისუფლების შესახებ, 1788 წ. (№ 1439); ამირაღანთ გიორგისა—მეჩითე სესიასადმი, 1797 წ. (№ 3126); ზაქარია გურამისშვილისა—ქრისტეფორე შარაშიძისადმი ,1809 წ. (№ 751).

იჯარის წიგნები

მანუჩარ თუმანიშვილისა—ვართანასადმი ბაღის იჯარით გაცემის შესახებ, 1790 წ. (№ 7591); სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებისა—არუთინას შვილ ვართანასადმი ბაღის იჯარით გაცემის შესახებ, 1799 წ. (№ 7751); მანუჩარ თუმანიშვილისა—მეწვრილმანე ვართანასადმი ბაღის იჯარით გაცემის შესახებ, 1800 წ. (№ 7748); მანუჩარ თუმანიშვილისა—ანტონ სუქანასშვილისადმი ბაღის იჯარით გაცემის შესახებ, 1804 წ. (№ 7750).

მიმართვის წიგნი

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველობისა—ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარის ასათიანისადმი თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების შეერთების შესახებ (მიმართვას ხელს აწერს ი. ჭავჭავაძე), 1888 წლის 5 აპრილი (№ 4076).

მოწმობის წიგნები

მოურავ ჰაპუასა, ასისთავ ასლანისა და სხვათა, თადია ალადაშვილის მიერ მეფის განაჩენის მიხედვით დაფიცების შესახებ,

1764 წ. (№ 7242); პეტრე უნაძის, გიორგი ქებაძის და იასე დედა ნასშვილისა, ბერი ხანისშვილისა და პაპუნა ხმიადასშვილის მიერ ივანე დაფქვიაშვილისათვის ხუთი დღის მიწის ნასყიდობის სიგელის განახლების შესახებ, 1768 წ. (№ 744); გომელ კაცთა მოწმობა — რომ ტორიკაშვილი გომელი მკედირი არ არის, 1794 წ. (№ 3777); ძულია ღრუბელაძის მოწმობა—თვითმარქვია ხიმშიაშვილები არც ძაგნაკორაში სახლებულან და არც ხიმშიაშვილები არიან, 1796 წ. (№ 6842); იმერეთის დედოფალ ანასი—იობ მიქელაშვილისადმი მიქელაშვილების აზნაურობის შესახებ, 1820 წ. (№ 7055); მარიამ დედოფლისა და გიორგი XII-ის ძეთა—იონა ხელაშვილისადმი იონა ხელაშვილისა და მისი წინაპრების დამსახურების შესახებ, 1832 წ. (№ 7967); პეტერბურგის სემინარიის რექტორის ანატოლისა —იპოდიაკონ იოანე ხელაშვილისადმი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 1812 წ. (№ 7060).

მოხსენების წიგნი

ანაგის ქევხა ზაალისა—მეფე გიორგი XII-სადმი დარჩაშვილების სამამულო დავის გამო მეფის გარდაწყვეტილების შესრულების შესახებ, 1798 წ. (№ 7255).

ნასყიდობის წიგნები

1. ყმის ნასყიდობის წიგნები: რამაზ ყორღანაშვილისა—როსტომ ყორღანაშვილისადმი, 1679 წ. (№ 2022); დათუნა მეზვრიშვილისა—იოთამ ხაშარაძისადმი თავისი შვილის გაყიდვის შესახებ, 1713 წ. (№ 745); ქიზიყის მოურავის შვილის დემეტრესი—მირიმანაანთ ოსეფასადმი, 1721 წ. (№ 501); იოსებ არღუთაშვილისა—გიორგი ყალუაშვილისადმი, 1749 წ. (№ 658).

2. მიწის ნასყიდობის წიგნები: ქიპაშვილისა—თაყა და გულბათისადმი, XIV, ეტრატი (№ 7013); ბარამიშვილებისა — ამბრია სულაშვილისადმი, XVI—XVII ს.ს. ეტრატი (№ 1355); ნონიკო ალაპისშვილისა—ციხოველ იმნაძესადმი, 1659 წ. ეტრატი (№ 1446); შოშიტა სალარიშვილისა—დავით, პეტრე და ზაქარიასადმი, 1666 წ. ეტრატი (№ 6893); ბერიკა ტურიკაშვილისა—ზურაბა იმნაძესადმი, 1689 წ. (№ 1480); როინ მეღვინეთხუცესშვილისა—ზაალ წინამძღვრისშვილისადმი საკომლო მამულის გაყიდვის შესახებ, 1702 წ. (№ 750); გოშფარ ჯავახიშვილისა—როინ ფარემუზას შვილისადმი საგლეხო მამულის გაყიდვის შესახებ (ვეზირ ისაჰყფაშას ბრძანებით და დასტურით), 1726 წ. (№ 1025); ზუბიანთ გა-

ბრიელას შვილის ბეროასი—პაპას შვილ გოდერძასადმი, 1750 წ. (№ 522); პატარკაც მამნიაშვილისა—სიხარულა ჩიტრეკაშვილისადმი, 1758 წ. (№ 749).

3. ვენახის ნასყიდობის წიგნები: იესე დეკანოზიშვილისა—ანა დავითიშვილისადმი, 1701 წ. (№ 1793); ელიკა ლომსაძისა—პაპუა ორჯონიკიძისადმი, 1748 წ. (№ 663); იორამ ნამორაძისა—პეტრეს შვილ მიქელასადმი ვენახის „საწნახლითა და ქვევრით“ ნასყიდობის შესახებ, 1715 წ. (№ 6896); დიმიტრი გარსევანასშვილისა—გორის მამასახლისის ყმა მეჩითე სესიასადმი, 1787 წ. (№ 3125).

4. ბაღის ნასყიდობის წიგნები: სულოანთ გოგინას შვილ ამირანასი—ავეტიქასშვილ გასპარასადმი, 1746 წ. (№ 517); სადედოფლო ყმის მოქალაქე დილანა როსტომაშვილისა—იოანე მუხრანბატონისადმი თავისი ბატონის—დარეჯან დედოფლის ნებართვით გარეთუბნის ბაღის გაყიდვის შესახებ, 1780 წ. (№ 1613).

5. სასახლის ადგილის და სახლკარის ნასყიდობის წიგნები: რამაზ მაკავარიანისა—მამუკა ორჯონიკიძისადმი, 1736 წ. (№ 740); გოგია აბრამაშვილისა—ქაიხოსრო ორჯონიკიძისადმი, 1751 წ. (№ 718).

6. ნაფუძრის ნასყიდობის წიგნი გიორგი ჯოლობორდის შვილისა—გიორგი და დავით ჯავახიშვილებისადმი „ბატონის ჩვენის კითხვითა და მათის ბრძანებითა“, 1720 წ. (№ 821).

7. კალო-საბძლის ნასიყიდობის წიგნი გიორგი ორჯონიკიძისა—მამუკა ორჯონიკიძისადმი, 1716 წ. (№ 824).

8. საწისქვილოს ნასყიდობის წიგნი ღვთისია გედუასშვილისა — დიმიტრი გარსევანიშვილისადმი, 1793 წ. (№ 1722).

ნუსხები

1. ბეგრის ნუსხები: თუმანიშვილებისა, ყმებზე შეწერილი პურის აღების შესახებ, 1795 წ. (№№ 7632, 7636); გლეხებზე გაწერილი ბეგრისა—XVIII ს. (№ 7190); სოფ. იკოთის მცხოვრებლებზე გაწერილი ფულადი გადასახადისა—XVIII ს. (№ 6971); სოფ. ქარჩოხის მცხოვრებლებზე გაწერილი ფულადი გადასახადისა—XVIII ს. (№ 7183); გიორგი XII-ის „მემკვიდრეს და ხიზან“-ზე გაწერილი ფულადი გადასახადისა—XVIII ს. (№ 7182); სათუმანი-

შვილოს ღალისა—XVIII ს. (№ 7155); მანუჩარ და პატარკაც თუმანიშვილების წილი ხელთუბნის მამულების ღალისა—1805 წ. (№ 7848).

2. ხარჯის წიგნები: მანუჩარ თუმანიშვილისა, 1787 წ. (№ 7384); თუმანიშვილების მიერ ბაღის კედლის გაკეთებისა, 1789 წ. (№ 7836); მანუჩარ თუმანიშვილისა, 1789 წ. (№ 7601); მანუჩარ და ზურაბ თუმანიშვილების მიერ ბერბუკის წისქვილის გაკეთებაზე გაწეული ხარჯისა, 1791 წ. (№ 7841).

3. ხალხის აღწერის ნუსხები: არაგვის ხეობისა—1774 წ. (№ 6936); გომიჯვრელებისა და თელათგორელებისა, რომელნიც სხვაგან არიან წასულნი—XVIII ს. (№ 7149); ქსნისხეველებისა (კომლობრივ და სულადობის მიხედვით)—XVIII ს. (№ 7168); ვანათის საკომლოებისა—XVIII ს. (№ 7158).

4. ყმების ნუსხები: თუმანიშვილებისა—XVIII ს. (№ 7159); წერეთლისა და ბურნაძის აზნაურიშვილებისა—XVIII ს. (№ 7152); დავით ერისთავის საუარესოდ ნარგები ყმებისა—XVIII ს. (№ 7148).

5. მორიგე ჯარის ნუსხები: (შეიარაღების დასახელებით) 1774—1785 წ. (№№ 6964, 7016).

პირობის წიგნები

ქართლისა და კახეთის მოსამართლეებისა—გიორგი ყულარაღასისადმი დავით ერისთავის დაფიცების შემდეგ მისი გაყრის დაწყების შესახებ, 1768 წ. (№ 6957); პაატა და თომა მელვინეთ-ხუციშვილებისა ერთობის შესახებ, XVIII ს. (№ 412).

სარგოს წიგნები

თეიმურაზ II-ისა—გორჯასპი მდივნისადმი, 1746 წ. (№ 7686); ერეკლე II-ისა—გიორგი ერისთვისშვილისადმი, 1781 წ. (№ 6982); ერეკლე II-ისა—გიორგი ერისთვისშვილისა, მისი სახლობის და შვილებისადმი, 1793 წ. (№ 6989).

სითარხნის და აზატობის წიგნები

სვიმონ მეფისა—მეაღაპე პაპუნა ქობულაშვილისადმი სახელმწიფო გამოსაღებებიდან გათარხნებისა და ყოველ ამაღლება დღეს სვეტიცხოველის წინ აღაპის გადახდის შესახებ (მეორე გვერდზე კ-ზ ქრისტეფორეს მიერ მიცემული სითარხნის წიგნი იმავე პაპუნა ქობულაშვილისადმი, საეკლესიო გამოსაღებებიდან გათარხნების შესახებ), 1623 წ. ეტრატი (№ 7062); იმამყულიხანისა—დათუნა

ატიაშვილისადმი საურის აზატობის შესახებ, 1720 წ. (№ 772); ქიზიყის მოურავ პაპუასი—გიორგი ალადაშვილისადმი ულუფის აზატობის შესახებ, 1767 წ. (№ 7245); კათალიკოზ ანტონისა—ორამ დრეიძისადმი „ყოვლის გამოსაღებისა, სათხოვრისა და ბეგრისაგან" გათავისუფლების შესახებ, 1777 წ. (№ 6911); თეიმურაზ I-ისა—დათუკა თარიშვილისადმი სათხოვარისა და გამოსაღებებისაგან გათავისუფლების შესახებ (საბუთს შემდეგ ამტკიცებენ: ერეკლე II, 1772 წ. გიორგი XII, 1798 წ.) 1647 წ. (№ 7235).

ყმობის წიგნები

მარტიროზ დავითაშვილისა — დავით ბერატიშვილისადმი, 1761 წ. (№ 733); პეტრე კახიშვილისა—დავით ბაბალაშვილისადმი, 1766 წ. (№ 664); ძამა ძამანაშვილისა—სოლომონ მგალობელისადმი ვალის გადაუხდელობის გამო ყმობის შესახებ, 1769 წ (№ 760); ვახნელი ბერი ივანე კახიშვილისა—დავით ბაბალაშვილი, სადმი მისი ვალის გადახდის გამო ყმობის შესახებ, 1785 წ (№ 518); იესე გულიასშვილისა—თავის ბატონ გოგია და ქაიხოსრო. ჯავახიშვილებისადმი ტყეობიდან დაბრუნების შემდეგ თავის სამკვიდრო მამულში მოსვლისა და ყმობის შესახებ, 1786 წ. (№ 1030).

შერიგების წიგნი

ქაიხოსრო უსუბეგიშვილისა—დავით გოსტაშაბიშვილისადმი, 1718 წ. (№ 2026).

შეყრილობის წიგნები

ჯავახიშვილებისა—1735 წ. (№ 1026); ბეჟან, ზურაბ, ავთანდილ და გაბრიელ ნახუცრიშვილებისა—თავის ბიძაშვილ გიორგი ნახუცრიშვილისადმი, 1751 წ. (№ 2126); ბირთველ ფარარისშვილისა და პაპუა ელიზბარიშვილისა, 1754 წ. (№ 167); პაპუა ელიზბარიშვილისა და გოგია გარსიაშვილისა, 1770 წ. (№ 196).

შეწირულების წიგნები

კონსტანტინე მეფისა—იერუსალიმის „პატიოსანი ჯვარისადმი" „მოსაველისა და საშოვრისაგან" ოცისთავის შეწირვის შესახებ, 1558 წ. (№ 1447); სვიმონ მეფისა—გორის ჯვრის ეკლესიისადმი მამულის საალაპოდ შეწირვის შესახებ, 1590 წ. (№ 430) ლუარსაბ მეფისა—რუისის

ტაძრისადმი მამულის შეწირვის შესახებ, XVI ს. (№ 345); როსტომ მეფისა „წმ. გიორგის სადგრისასა-"დმი ყმების შეწირვის შესახებ, 1644 წ. (№ 2880); მდივანბეგ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილისა—გარეჯის მონასტრისადმი მამულის შეწირვის შესახებ, 1782 წ. (№ 2854); სოლომონ II-ისა—წმ. გიორგის ეკლესიისადმი გლეხების (მამულებით) შეწირვის შესახებ, 1804 წ. (№ 7234).

წერილები

თეიმურაზ მეფისა — პაატა აბაშიძისადმი, 1756 წ. (№ 754); ერეკლე II-ისა —იოანე და ნიკოლოზ ამილახორის შვილებისადმი მათი ქართლში დაბრუნების ნებადართვის შესახებ, 1784 წ. (№ 809); ერეკლე II-ისა —იოანე ამილახორისშვილისადმი მისი ქართლში დაბრუნების შესახებ, 1785 წ. (№ 810); ერეკლე II-ისა—დავით ალექსიშვილისადმი თელავის სემინარიის რექტორად დანიშვნისა და მისი სარგოს შესახებ, 1790 წ. (№ 1068); ერეკლე II-ისა— ვინმე მოხელისადმი (მოკითხვას უთვლის დავით რექტორს), 1792 წ. (№ 1069); კათალიკოზ ანტონისა—წმ. გიორგის მოხელეებისადმი ბესარიონ ერისთავის წმ. გიორგის ეკლესიის ყმისა და მამულის შემოსავლის და სამწყსოს გამგედ დანიშვნის შესახებ, 1796 წ. (№ 6978); გიორგი მეფისა—თაგაურო ოსებისადმი მათი ქართლში ხიზნად გადმოსვლის შესახებ, 1799 წ. (№ 1617); ხუნძახის ბატონ ომარიანისა—თომასადმი (მეღვინეთხუციშვილი) ანდელი ქარავნის დაკავების შესახებ, XVIII ს. (№ 411); დავით რექტორისა—ვახტანგ ბატონიშვილისადმი, 1814 წ. აპრილის 12 (№ 7288); გიორგი ავალიშვილისა—თეკლა ბატონიშვილისადმი—1835 წ. (№ 6917); დიმიტრი ყიფიანისა—ალექსანდრე ცაგარლისადმი იაკობ გოგებაშვილის ხელით წიგნების გაგზავნის შესახებ, 1872 წ. (№ 878); გრიგოლ ორბელიანისა—ვ. კარბელაშვილისადმი, 1882 წ. 2 მარტი (№ 6521).

წილის ბარათები

ფირანის წილი გლეხებისა—1782 წ. (№ 1470); ედიშერის წილი გლეხებისა—1798 წ. (№№ 7298, 7299); ყულარაღასის წილი ცხრაზმელ გლეხებისა—XVIII ს. (№ 7147).

წყალობის წიგნები

1. მ ა მ უ ლ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი: ალექსანდრე მეფისა—გამრეკელ-ჯავახიშვილისადმი, 1440 წ. (№ 1007 პირი); გიორ-

გი მეფისა—ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისადმი, 1463 წ. (№ 991 პირი); კონსტანტინე მეფისა—ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისადმი, 1466 წ. (№ 1010 პირი); სვიმონ მეფისა—პაპუნა მაღალაძისადმი თრიალეთის სოფელ ეძანისა და ჩოჩეთის „მამულად" ბოძების შესახებ, 1561 წ. (№ 6994); კათალიკოს დომენტისა—დავით ტერიშვილისადმი, 1600 წ. (№ 4); ერეკლე დავით მეფის ძისა—გურგენა შაავერდინაშვილისადმი, 1626 წ. (№ 1655); ნაზარალიხანისა — გიეი თუმანიშვილისადმი, 1688 — 1703 წ. (№ 6918); ერეკლე II-ისა—ოთარ ამილახვრისადმი მამულის „საკუთრად" წყალობის შესახებ, 1789 წ. (№ 676); სოლომონ II-ისა— მეთოდი ერისთავისადმი, 1799 წ. (№ 6696).

2. ყმის წყალობის წიგნები: სვიმონ მეფისა—პაპუნა მაღალაძისადმი, 1561 წ. (№ 6994); ციცი ციციშვილისა—პაპუნა მაღალაშვილისადმი, „მემკვიდრე" ყმის თავისი ნასყიდობით წყალობის შესახებ, 1665 წ. (№ 7010); ერეკლე II-ისა—პეტრე ავალიშვილისადმი, 1768 წ. (№ 667); ერეკლე II-ისა—თაეის დისწულ მარიამისა და მისი შვილის მოურავ დიმიტრისადმი, 1782 წ. (№ 6920);

3. სითარხნის წყალობის წიგნები: გიორგი მეფისა—გორელებისადმი ულაყის სითარხნისა და მთის ბოძების შესახებ, 1683 წ. (№ 1970); ნაზარალიხანისა—სოროზან თარიშვილისადმი ყმის საურის ამოკვეთისა და წისქვილის წყალობის შესახებ, 1693 წ. (№ 7236); ერეკლე II-ისა—მამუკა გურასშვილისადმი ყვარლის ციხესთან ბრძოლაში დამსახურების გამო გამოსაღებებიდან გათარხნებისა და მამულების ბოძების შესახებ, 1755 წ. (№ 7063); გიორგი ჯაფარიძისა—მეფვილდიშვილებისადმი ლაშქრობისა და საუდიეროსაგან განთავისუფლების შესახებ, 1769—1776 წ. წ. (№ 6960); კათალიკოს ანტონისა—ყალუანთ ბაღდასარასადმი სახელმწიფო ბაჟისაგან და „საჩვენოს ბაჟისაგან" გააზატების შესახებ, 1784 წ. (№ 679); ერეკლე II-სა—ალის მამასახლის იოანე ყულიჯანაშვილისადმი შემოტანილ ან გასატან საქონელზე ბაჟისაგან გათარხნების შესახებ, 1789 წ. (№ 7022); ერეკლე II-ისა—გიორგი ბეჟიაშვილისადმი „სახლი და მამული"-ს სახელმწიფო სათხოვრისა და ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ, 1794 წ. (№ 1650); სოლომონ II-ისა—მელქონა მეფისაშვილისადმი ბაჟის ამოკვეთის შესახებ, 1796 წ. (№ 6699); გრიგოლ დადიანისა—მღვდელ გაბრიელ ჩიხლაძისადმი გამოსაღებებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1802 წ. (№ 1315); ალექსანდრე ბატონიშვილისა—განა განასშვი-

ლისადმი სამეფოში დაბრუნების შემდეგ ბაქისაგან გათავისუფლების შესახებ, 1813 წ. (№ 6898).

4. მოხელეობის წყალობის წიგნები: ერეკლე I-ისა—ლაზარე ქუმსიაშვილისადმი ყარაიას მეყორეულობის ბოძების შესახებ, 1676 წ. (№ 7873); კონსტანტინე მეფისა—გარსევან ჩოლოყაშვილისადმი თუშთ მოურაობის ბოძების შესახებ, 1727 წ. (№ 884); ალექსანდრე მეფისა—ბაანა ჩხეიძისადმი ქვიტირისა და სვირის მოურაობის ბოძების შესახებ, 1740 წ. (№ 6938); ერეკლე II-ისა—თავის დისწულ დიმიტრისადმი „შენის სახლის სახელო ენისელთ“ მოურაობის ბოძების შესახებ, 1769 წ. (№ 590); ერეკლე II-ისა—თადია ნაცვლიშვილისადმი ქიზიყის მებაჟეობის ბოძების შესახებ, 1776 წ. (№ 1652); ერეკლე II-ისა—გრიგოლისადმი გაღმა მხარის საქმეების გარიგების შესახებ, 1785 წ. (№ 589); იულონ ბატონიშვილისა—სოლომონ ჯავახიშვილისადმი შინდისის ხასადრობის ბოძების შესახებ, 1797 წ. (№ 76).

5. ციხის წყალობის წიგნი: ალექსანდრე მეფისა—აბაშიძისადმი, 1738 წ. (№ 1482).

6. დუქნის წყალობის წიგნი: თეიმურაზ მეფისა—გიორგი მათესშვილისადმი, 1758 (№ 1651).

7. სახლკარის წყალობის წიგნი: ვახტანგ ჯანიშინისა—ბელქუა დანიბეგაშვილისადმი, 1710 წ. (№ 502).

8. კონის წყალობის წიგნი: ვახტანგ VI-ისა—იესე დეკანოზისადმი, 1722 წ. (№ 603).

9. სიმტკიცის ერთიანი სიგელი: ერეკლე II-ისა—დავით ქობულაშვილისადმი ძველი წყალობის წიგნების დამტკიცების შესახებ, 1785 წ. (№ 6697).

პირადი საარქივო ფონდები

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია აგრეთვე დიდ საზოგადო მოღვაწეთა და სახელმწიფო მოხელეთა პირადი საარქივო ფონდები; მასში წარმოდგენილ მასალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიისათვის. ასეთია საარქივო ფონდები: დიმიტრი ყიფიანის[1], მიხეილ და გიორგი თუმანიშვილების, ალექსანდრე ხახანაშვილის, მიხეილ თამარაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის, ევგენი ვეიდენბაუმის, ალექსანდრე ოქროპირიძის (ეპისკოპოსი), ვასილ კარბელაშვილის, ალექსანდრე ჯაბადარის, ილია ნაკაშიძის და მიხეილ მაჩაბლის.

1. დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი

პირადი საარქივო ფონდი № 1. მასალები (საბუთები) 1819—1887 წლებისა; შესანახი ერთეულები 629; საინვენტარო აღწერა.

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი დაიბადა 1814 წელს სოფ. მერეთში (გორის რაიონი). 1830 წელს დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ოლტა ხანს სამაზრო სასამართლოში მუშაობდა, ხოლო შემდეგ თბილისის გიმნაზიაში დანიშნეს მასწავლებლად.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დ. ყიფიანი სხვებთან ერთად რუსეთში გადაასახლეს. გადასახლებიდან სამშობლოში 1837 წელს დაბრუნდა.

1830 წლიდან 1886 წლამდე 56 წლის განმავლობაში დ. ყიფიანი ეწეოდა დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მან პირველმა ითავა საქართველოში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის სათანადო მუშაობის ჩატარება. მისი თაოსნობითა და მხურვალე მონაწილეობით დაარსდა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატიული საზოგადოება, ქართული თეატრი, ქართული პერიოდული პრესა, საადგილმამულო ბანკი და მრავალი სხვ.

---

[1] იხ. დიმიტრი ყიფიანის არქივი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. თბილისი, 1951.

იგი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს წევრი 1849 წლიდან, თბილისის საგუბერნიო გიმნაზიის საპატიო მზრუნველი 1859 წლიდან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სასკოლო საქმეებში.

1860-იან წლებში დ. ყიფიანი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა საგლეხო რეფორმის მომზადების საქმეში და სხვ.

დ. ყიფიანი ეწეოდა აგრეთვე ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თარგმნიდა ქართულ ენაზე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მწერლების ნაწარმოებებს. წერდა ისტორიული ხასიათის ნარკვევებს, ადგენდა სახელმძღვანელოებს, თანამშრომლობდა რუსულ და ქართულ პერიოდულ პრესაში.

დ. ყიფიანი მოჰკლეს 1887 წლის 24 ოქტომბერს ქ. სტავროპოლში. მისი ცხედარი გადმოასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს ქ. თბილისში მთაწმინდაზე.

დ. ყიფიანის ფონდში დაცულია რუსულ და ქართულ ენებზე დაწერილი შემდეგი დოკუმენტები:

I. ბიოგრაფიული მასალები დ. ყიფიანის შესახებ (იხ. №№ 1—72);

II. დ. ყიფიანის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები (№№ 73—124), მათ შორის: მოთხრობა—„გურიის უკანასკნელი მთავრის ასული ეკატერინე ჩიჩუა“ (№ 74); ნარკვევი—„ადგილმამულთა მდგომარეობა საქართველოში“ (№ 75—76); სტატია კატკოვის საპასუხოდ, დაბეჭდილი გაზ. „კავკაზში“, 1865 წ., № 83 № 80); ნარკვევი—„ზოგი რამ ბორჯომის ისტორიიდან“ (№ 83); უსათაურო ლექსი—„როს შეირყევა ზღუა მშარის წყლისა“ (№ 84); გრამატიკული შენიშვნები—„სახელი არსებითი“ და სხვ. (№ 85); ბომარშეს—„ფიგაროს ქორწილი“, თარგმანი (№ 86); წერილი გაზ. „კავკაზის“ რედაქტორისადმი, გაზეთის № 247-ში დაბეჭილ ნ. ნიკოლაძის სტატიის გამო, ქალაქის თვითმართველობის შესახებ (№ 88); წერილი გაზ. „დროების“ რედაქტორისადმი 1880 წლის 7 დეკემბერს (№ 89); სტატია გაზ. „კავკაზში“ (№ 348) მოთავსებული იანოვსკის წერილის საპასუხოდ, სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ, 1881 წ. (№ 90); წერილი დავით ჩუბინიშვილისადმი მის მიერ შედგენილი გრამატიკის შესახებ, 1881 წ. (№ 91); დღიურების ნაწყვეტი (№ 92); წერილი გაზ. „კავკაზის“ რედაქტორისადმი გაზეთის № 328-ში მოთავსებული წერილის გამო მისი „ქართული გრამატიკის“ შესახებ, 1882 წ. (№ 94); გაზ. „კავკაზის“ რედაქტორის დავით ერისთავსა და

დ. ყიფიანს შორის მიმოწერა გაზეთში' დასაბეჭდად გაგზავნილი სტატიების შესახებ, 1882—1884 წ. (№ 96); წერილი „დროების" რედაქტორისადმი ბანკის შესახებ (№ 99); აზრი—„ბუნების კარის" შესახებ (№ 101); „ყაზარმობა ანუ საქმე 1832 წლის ქართველთა შეთქმულებაზე", 1884 წ. (№ 103); სტატია—„თავდები უფრო მოვალეა ვიდრე ვალის აღებები", 1884 წ. (№ 104); სტატია სასამართლო პროცესის შესახებ, „უახლესი ესკიზი. მომრიგებელ მოსამართლე კომპასით ხელში", 1884 წ. (№ 107); მიმოწერა დ. ყიფიანის ხელნაწერის („მოგონების") „რუსკაია სტარინა"-ში დაბეჭდვის შესახებ, 1885 წ. (№ 110); დ. ყიფიანის საუბრის ტექსტი ბორჯომში დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან, 1885 წ. (№ 111); ნაწყვეტი ლღიურიდან, ჩაწერილი რუსეთიდან საქართველოში მგზავრობის დროს, 1880-იანი წ. (№ 115); დ. ყიფიანის ხელით გადაწერილი—„რეი გომეცის როლი", 1880-იანი წლ. (№ 119); დ. ყიფიანის უცნობი პიესის ნაწყვეტი დასაწყისიდან 1880-იანი წლ. (№ 120); წერილები „ივერიის" რედაქტორისადმი საბანკო საკითხებზე, 1886 წ. (№ 121); „ყაზარმობა ანუ საქმე ქართველთა შეთქმულობაზედ 1832 წლისა", თარგმანი რუსულიდან ქართულად კოტე ყიფიანის მიერ, 1893 წ. (№ 122); დ. ყიფიანის მემუარების—„წრთვნა სულისა"-ს ქართული თარგმანი (1930-იანი წლ.) (№ 124);

III. დ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს ა მ ს ა ხ ვ ე ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი (№ 125—155);

IV. 1) დ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს ა მ ს ა ხ ვ ე ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი (№ 156—192); მათ შორის: მიმოწერა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ, 1842 წ. (№ 156); ბორჯომის წყლების შესახებ ბარონ ჰაქსტჰაუზენის მოთხოვნა, 1848 წ. (№ 157); მიმოწერა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოებასა და დ. ყიფიანს შორის, 1850 წ. (№ 158); მიმოწერა ჟურ. „ცისკარი"-ს გამოცემის შესახებ, 1854 წ. (№ 159); დ. ყიფიანის აზრი ჟურ. „ცისკარი"-ს პროგრამის შესახებ, 1854 წ. (№ 160); მასალები თბილისის სახელმწიფო ბანკის შესახებ, 1869 წ. (№ 168); საქმე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შესახებ, 1879—1882 წ. (№ 175, 179, 180); დ. ყიფიანის განცხადება დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზისძისადმი, ბორჯომის საუფლისწულო მამულის გლეხთა საქმის შესახებ, 1884 წ. (№ 185); დ. ყიფიანის სიტყვა ეგზარხოს პავლესადმი თბილისში ჩამოსვლის დროს,

1884 წ. (№ 186); ილია ჭავჭავაძის წერილი მილოცვით დ. ყიფიანისადმი, მისი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩევის გამო, 1885 წ. (№ 188); დ. ყიფიანის სიტყვა თქმული სენაკის—„საზნაურო სკოლაში 1885 წ. (№ 189); დ. ყიფიანის მიმართვა საქართველოს ეგზარხოს პავლესადმი, ქართული სკოლებისათვის შემოღებული სასწავლო გეგმის შესახებ, 1886 წ. (№ 191); სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკელელობის გამო, საქართველოს ეგზარხოს პავლეს მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ დ. ყიფიანის წერილი, 1886 წ. (№ 192) და სხვ.

IV 2) მასალები საგლეხო რეფორმის შესახებ (№ 193—234); მათ შორის: მოხსენებითი ბარათი „მთავრობის ღონისძიებათა" შესახებ, ქართველ ბემამულეთა და გლეხთა შორის ურთიერთობის გამოსარკვევად, 1843 წ. (№ 193); მოხსენებითი ბარათი ბატონყმურ დამოკიდებულებათა გამოსარკვევად მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული ზომების შესახებ, 1843 წ. (№ 194); თბილისის გუბერნიის მაზრების უფროსთა და მოსამართლეთა მიერ საგუბერნიო სამმართველოსთვის წარდგენილი ცნობები, მემამულეთა და გლეხთა შორის ურთიერთობის შესახებ, 1840-იანი წლ. (№ 195); მასალები ბატონყმობაზე საქართველოში, 1840-იანი წლ. (196); დებულება საქართველოს მემამულეთა და გლეხთა შესახებ, შედგენილი დ. ყიფიანის მიერ ვახტანგ მეფის კანონისა და ძველი ადათ-ჩვეულებების მიხედვით, 1840-იანი წლ. (№ 198); ცნობები მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობის შესახებ საქართველოში, 1840-იანი წლ. (№ 199); დ. ყიფიანის აზრი ბატონყმობის გაუქმების შესახებ, 1862 წ. (№ 204); მასალები საგლეხო რეფორმის პროექტისათვის, 1862 წ. (№ 210); „შეკრება ოცდაერთის ჰაზრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ", შედგენილი დ. ყიფიანის მიერ, 1863 წ. (№ 212, 213); „რიცხვი და სახელები პირთა, ვისიც ჰაზრი არის შემოტანილი გლეხთა განთავისუფლების შესახებ", 1863 წ. (№ 214); სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის აზრი გლეხთა განთავისუფლების შესახებ, 1863 (217, 226); პროექტი გლეხთა განთავისუფლების შესახებ (№ 218), დ. ყიფიანის მოხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე გლეხთა განთავისუფლების შესახებ (№ 219); გლეხთა და მემამულეთა შორის ურთიერთობის შესახებ საქართველოში (№ 223); მოხსენებითი ბარათი ბატონყმურ დამოკიდებულებაზე ამიერკავკასიაში (№ 224); პროექტები გლეხთა განთავისუფლების შესახებ (№ 225); წესები თბილისის გუბერნიისათვის გლეხთა განთავისუფ-

ლების შესახებ, 1865 წ. (№ 227); მოსაზრებანი ბატონყმური დამოკიდებულების შესახებ (№ 232).

IV. 3) დ. ყიფიანის სამსახურებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 235—307); მათ შორის: კავკასიის სასწავლო ოლქის საქმიანობაში დ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ, 1851—1862 წლებში (№ 258); მიმოწერა კავკასიის მთავრობის დაწესებულებებში საქმის წარმოების გაუმჯობესების შესახებ, 1853—1861 წლებში (№ 263); მასალები ამიერკავკასიის დაწესებულებათა რევიზიისათვის, 1857 წ. (№ 271); დ. ყიფიანის პროექტი დებულებისა კახეთის თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს შესახებ, 1857 წ.(№ 272); პროექტი ინსტრუქციისა ამიერკავკასიის შემოწმებისა და შესწავლისათვის (№ 278); მასალები ალექსანდრე დგებუაძისა და დავით ელიავას საქმის გარშემო, 1858 წ. (№ 279); მეფისნაცვლის ბარიატინსკის „უქეეშეკრდომილესი" ანგარიში 1857—1858 წლებისა და მასალები ამ ანგარიშისათვის (№ 289); დ. ყიფიანის აზრი მუსულმანური უმაღლესი წოდების უფლებების შესახებ, 1861 წ. (№ 294) და სხვ.

IV. 4) მასალები სამეგრელოს სამთავროს შესახებ (№№ 308—349); მათ შორის: ეკატერინე დადიანის წერილები დ. ყიფიანისადმი (№ 310); მიმოწერა სამეგრელოს მთავრის ქონებათა მეურვეობის უფლების შესახებ, 1857—1859 წ. (№ 313); მასალები დ. ყიფიანის სამეგრელოს მთავრის ქონებათა მეურვეობის შესახებ, 1857—1868 წ. (№ 314); სამეგრელოს სამთავროს სახლის ქონებაზე დაწესებული მეურვეობის შესახებ, 1857—1858 წ. (№ 317); სამეგრელოს მთავრის უძრავი ქონების საინვენტარო დავთარი, 1858 წ. (№ 318); შემოსავალ-გასავლის წიგნი სამეგრელოს მთავრის მცირეწლოვანი მემკვიდრის სამეურვეო ქონებისა, 1858—1866 წ. (№ 320); დავა სასამართლოში დ. ყიფიანსა და ნიკო მინგრელსკის შორის, 1859—1872 წლ. (№ 322); თავად მინგრელსკისა და ეკატერინე დადიანის ქონების შემოსავალ-გასავლის ანგარიში, 1859—1866 წ. (№ 327); კონსტანტინე ლევანის ძე დადიანის წერილები დ. ყიფიანისადმი (№ 337); სამეგრელოს სამთავროს 1867 და 1868 წლების ანგარიში (№ 346); დავა სასამართლოში დ. ყიფიანსა და კონსტანტინე დადიანს შორის (№ 348); ნიკო მინგრელსკის მემკვიდრეობის დროებითი კომისიის საქმე (№ 349) და სხვ.

V. მიმოწერა (სხვადასხვა პირთა წერილები დ. ყიფიანისადმი, დ. ყიფიანის წერილები სხვებისადმი (№№ 350—591); მათ შორის: დ. ყიფიანის წერილები გრ. ორბელიანისადმი (№ 391);

კოტე ყიფიანის (№ 440); მიხ. თუმანიშვილის (№ 446); ალექსანდრე ორბელიანის (№ 461); ნიკო ცხვედაძის (№ 551); იონა მეუნარგიას წერილები დ. ყიფიანისადმი (№ 555); ნინო ჭავჭ ვაძე-გრიბოედოვას წერილები ნინო ყიფიანისადმი (№ 537) და სხვ.

VI. სხვადასხვა მასალები (№ 592—629); მათ შორის აღსანიშნავია: ქაიხოსრო და ვახტანგ ბატონიშვილების წყალობის სიგელი ვახუშტი ლევანის-ძე აბაშიძისადმი, 1711 წ. (№ 592); ალექ-



ნიკოლოზ ბარათაშვილი. „მერანი" (დასიწყისი). ავტოგრაფი

სანდრე ჭავჭავაძის (?) ლექსი „კელავ მარად ამ ჩემს სურვილსა" (№ 594); ამიერკავკასიაში მმართველობის წესების შემდგენ კომისიის ჟურნალი, 1840 წ. (№ 595); უცნობი პირის სიტყვა კავკა-

სიის სასწავლო ოლქის გახსნის გამო გამართულ ზეიმზე, 1847 წ. (№ 598); იოაკიმ რომანოვის მიერ შედგენილი „ქართულ-რუსული ანბანის“ გარშემო (№ 609); კატკოვის სტატია — „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ ამქართა აჯანყების შესახებ თბილისში (№ 614); თბილისის კლუბის წესდება, 1866 წ. (№ 615); ზებატონე ავალიშვილების საადგილმამულო განაწესი (№ 616); სიტყვები ტერეზა მამია გურიელის ასულ დადიანის გარდაცვალების გამო (№ 620); მოხსენება ამიერკავკასიის „პრიკაზის“ გადაკეთებისა და ამ „პრიკაზის“ წინაშე დავალიანებულ საქართველოს თავადაზნაურობისათვის შელავათების მიცემის შესახებ (№ 624) და სხვ.

2. პროფ. ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი

პირადი საარქივო ფონდი № 2. მასალები 1841—1916 წლებისა; შესანახი ერთეულები 551; საინვენტარო აღწერა.

პროფ. ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი დაიბადა 1864 წლის 3 იანვარს ქ. გორში. დაამთავრა თბილისის ვაჟთა I გიმნაზია. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვში. დაამთავრა უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, სადაც დარჩა სამუშაოდ. 1900 წლიდან კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში. სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე მუშაობდა მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტში. ასწავლიდა რუსეთის ისტორიას და რუსული ლიტერატურის ისტორიას მოსკოვის ქალთა I და II გიმნაზიაში.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის საკითხებზე, მისი კაპიტალური ნაშრომია — „ნარკვევები ქართულ სიტყვიერების ისტორიიდან“ ოთხ ტომად რუსულად, მისი შემოკლებული რედაქცია ქართულად ორ ტომად. სისტემატურად თანამშრომლობდა რუსულ და ქართულ პერიოდულ პრესაში. იყო სხვადასხვა კულტურულ საზოგადოებათა (მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება; ბუნებათმცოდნეობის, ანტროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოება; ქართველთა შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება; საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება და სხვ.) ნამდვილი წევრი და მხურვალე მონაწილეობას იღებდა მათ მუშაობაში.

ალექსანდრე ხახანაშვილმა მთელი თავისი ქონება უანდერძა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. იგი გარდაიცვალა

1912 წელს ქ. სამარაში. დასაფლავებულია ქ. თბილისში დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ფონდში დაცულია რუსულ და ქართულ ენაზე დაწერილი ხელნაწერი საბუთები, მათ შორის:

I. ბიოგრაფიული მასალები ალ. ხახანაშვილის შესახებ (№ 1—14);

II. ალ. ხახანაშვილის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები (№ 15—72); მათ შორის: ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან (№ 15); საქართველოს ისტორიის წყაროების მიმოხილვა (№ 16); მასალები და ლექციები საქართველოს ისტორიიდან (17, 18); საგვარეულო წყობა ძველ საქართველოში (№ 20); არეულობანი კავკასიაში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში (21); ლექციები და მასალები ქართული სამართლის ისტორიიდან (22); აღწერა ქართულ ოთხთავებისა, მათი ტექსტის გამოცემის საკითხისათვის (№ 28); შედგენილობა ბიბლიის ათონური ნუსხისა და ამონაწერები ოთხთავიდან (№ 29); ლექციები წაკითხული თბილისში ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიიდან (№ 34); შენიშვნები და კონსპექტები სიტყვიერების თეორიის საკითხებზე. (№ 35); მასალები, ნარკვევები და შენიშვნები ხალხური შემოქმედებიდან (№ 38); ბიოგრაფიული ნარკვევი თეიმურაზ ბაგრატიონის (ბატონიშვილის) შესახებ (№ 40); მასალები ეთნოგრაფიის საკითხებზე (№ 41); არქეოლოგიური მოგზაურობანი სვანეთში (წარწერები ზემო და ქვემო სვანეთის ხატებისა, ჩანაწერები და სხვა) (№ 43, 44); დღიურები უცნობი პირის არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ საქართველოსა და აზერბეიჯანში (№ 45); ლექსი „პატარა ცემს“ (№ 46); ლიბრეტო—„თქმულება შოთა რუსთაველზე“ (№ 50); მასალები ქართველურ და კავკასიურ ენათა შესახებ (№ 51); სალექსიკონო მასალა ქართულ-რუსული 398 ფირფიტა (№ 52); რეცენზიები სხვადასხვა წიგნებზე (№ 54); შენიშვნები და ლექციების კონსპექტები რუსეთისა და უცხოური ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე (№ 55, 56); კონსპექტები ბიზანტიის ეკლესიის ისტორიიდან სხვადასხვა ავტორების მიხედვით (№ 57); ბიბლიოგრაფიული ამონაწერები და მითითებანი (№ 58); რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან— სხვადასხვა დროს საქართველოდან რუსეთში ელჩების გაგზავნის შესახებ (№ 62); პეტრე დიდის ეპოქის მიმოხილვა. შეხედულება მის რეფორმებზე; მეფისწული ალექსი (№ 63, 64); წერილი—„ზრუნვა კავკასიაზე“, მიმოხილვა ვორონცოვ-დაშკოვის საქართველოში მუშაობის დროს (№ 65); ანგარიშები სამეცნიერო მივლინებებისა (№ 66); ანტონი-

ნის სტატია: ქართველების შესახებ დურნოვოსა და „ქართველის“ (ფსევდონიმია) სტატიების მიხედვით (№ 67); ისტორიულ-ლიტერატურულ-გეოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნები (№ 71); უბის წიგნაკები (№ 72);

III. ალ. ხახანაშვილის სამეურნეო მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№ 73, 74);

IV. ალ. ხახანაშვილის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№ 75—87); მათ შორის: პროგრამა „საქართველოს ენციკლოპედია“-სი—ცაგარლის, ვ. პეტრიაშვილისა და ხახანაშვილის რედაქციით (№ 75); წესდება მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოებისა (№ 76); ოქმები მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის სექციისა (№ 77); შენიშვნები რუსულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთების შესახებ (№ 79);

IV. ალ. ხახანაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 80—87).

V. მიმოწერა (სხვადასხვა პირთა წერილები ალ. ხახანაშვილისადმი და მისი წერილები სხვადასხვა პირებისადმი) (№№ 88—404); მათ შორის: ჰ. შუხარტისა (№ 115); კირიონის (№ 116); მოსე ჯანაშვილისა (№ 120); განდეგილისა (№ 121); მარჯორი უორდროპისა (№ 123); არტურ ლეისტისა (№ 134); გრაფინია უვაროვასი (№167); კორნელი კეკელიძისა (№ 184); ალ. ცაგარლისა (№ 190); იაკობ გოგებაშვილისა (№ 194); ვასილ პეტრიაშვილისა (№ 199); იროდიონ ევდოშვილისა (№ 207); ზაქარია ფალიაშვილისა (№ 251); გრ. ყიფშიძისა (№ 258) და სხვ.

VI. სხვადასხვა შეკრებილი დოკუმენტალური მასალები (№№ 405—427); მათ შორის: ივ. მარგიანის სტატია—„რომელ ენაზე ადიდებდნენ და ადიდებენ ღმერთს სვანები“ (№ 412); ლევ ტოლსტოის პასუხი სინოდის დადგენილებაზე № 414); გ. ამილახვრის შენიშვნები დრუჟინინის და ე. მარტინოვის წერილზე—„События в Японскую войну“ (№ 415); ვერდერევის „ჰოლანდია და ჰოლანდიელები“ (თარგმნილი ქართულად) (№ 416); გიორგი ფერაძის ნაშრომი“: „ახსნა და პალეოგრაფილული შედარება ხუცურთა და სლავიანურთა ანბანთა შორის, თუ როგორ და რანაირად თავდაპირველად წარმოშობილ არიან ერთი მეორისაგან“ და სხვ. (№ 417); ნ. დურნოვოს წერილი ეგზარხოსისადმი ქართული ეკლესიის შევიწროებული მდგომარეობის შესახებ (№ 419); „თორნიკე ერისთავის“ რუსული თარგმანი (№ 421) და სხვ.

ქართველ მეფეთა ფოტოსურათები (№ 428—436): თამარ მეფის, თეიმურაზ II, პატარა ,ალის, გიორგი XII, იოანე, იულონ და ბაგრატ ბატონიშვილებისა.

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ფოტოსურათები (№ 437—459): შოთა რუსთაველის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, დ. ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, ეგნატე ნინოშვილის, ალ. ხახანაშვილის, ილია ოქრომჭედლიშვილის და სხვ.

ღია ბარათები ქართველ მოღვაწეთა სურათებით (№№ 460—465); ქართველ ტიპების ფოტოსურათები (№№ 468—473).

ალ. ხახანაშვილის სხვადასხვა დროის ფოტოსურათები (№№ 474—481);



ილია ჭავჭავაძე. „მეცმის, მესმის"... ავტოგრაფი

ალ. ხახანაშვილის ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავების ფოტოსურათები (№№ 482—507);

ალ. ხახანაშვილი თავის მოწაფეებთან ერთად, ფოტოსურათები (№№ 508—514);

ალ. ხახანაშვილის მოწაფე ქალთა ფოტოსურათები (№№ 515—549);

სიგელ გუჯრების პირები, გამოსაცემად შეკრებილი პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ (№ 550); ინსტრუქცია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა მოწყობისათვის (№ 551).

3. ევგენი გუსტავის ძე ვაიდენბაუმი

პირადი საარქივო ფონდი № 3. მასალები 1770—1917 წლებისა, შესანახი ერთეულები 831; საინვენტარო აღწერა.

ე. გ. ვაიდენბაუმი დაიბადა 1845 წლის სექტემბერს, პეტერბურგში. დააამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგი. 1877 წლიდან 1918 წლამდე მსახურობდა კავკასიაში სხვადასხვა თანამდებობაზე: გ ნსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკად სოხუმის ოლქის უფროსთან; კავკასიის საგთო სამმართველოს უფროსად; თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საქმის მწარმოებლად კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიაში; მეფისნაცვლის საბჭოს წევრად და სხვ.

გარდაიცვალა 1918 წლის 15 იანვარს ქ. თბილისში[1].

ფონდში დაცულია რუსულ ენაზე დაწერილი მასალები:

I. ბიოგრაფიული მასალები ვაიდენბაუმის შესახებ (№№ 1—5);

II. ე. ვაიდენბაუმის შემოქმედებითი ამსახველი მასალები (№№ 6—67); მათ შორის: დღიურები (1887 წ.—1915 წლების) (№№ 6—19); ყარსის ოლქში მოგზაურობის შესახებ, 1879 წ. (№ 21); ნაწერები კავკასიისა და კერძო პირების შესახებ (№ 22); კავკასიის მეგზური (№ 23); სხვადასხვა ჩანაწერები კავკასიის შესახებ (№ 24, 25, 26 28); დიპლომატიური ურთიერთობის დასაწყისი საქართველოსთან (№ 29) საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ XVIII საუკ. მეორე ნახევრსა და XIX საუკ.დასაწყისში (№ 30); ნარკვევი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან XIX საუკ. დასაწყისში (№ 31);

[1] ვაიდენბაუმის ბიოგრაფიისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ, იხ. ლ. მ. მელიქ ეტბეგის წიგნი: „Е. Г. Вейденбаум, как Кавказовед". ჟურ. „Известия Кавказского Музея". ტ. III, ცალკე ამონაბეჭდი, თბილისი, 1919 წ.

მასალები თბილისის ისტორიისათვის 1801 წლიდან (№ 32); სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიისათვის (№ 33,34); რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობიდან პეტრე პირველის დროს (№ 36); შენიშვნები გულისტანისა და თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებების შესახებ (№—37); დარუბანდის გადასასვლელის აღწერილობა (№ 41); ნარკვევი მუღანის შესახებ (№ 42); აღწერილობა გეგმითურთ თერგის ქალაქისა და მდინარე თერგისა (№ 44); ისტორიოგრაფიული ნარკვევი ჩაჩნების შესახებ (№—45); ჩანაწერები დაღესტნის ზნეჩვეულების შესახებ (№ 46); ფოლკლორული მასალები კავკასიისა და კავკასიელ ხალხთა შესახებ (№ 47); სტატისტიკური მასალები კავკასიის შესახებ (№ 48); ნარკვევი ერმოლოვის ცხოვრების შესახებ (№ 49); ნარკვევები ივანე ოსიპის-ძე სიმონოვიჩის, ი. ვ. ვიტკევიჩის, ა. ი. კრასოვსკის, და ივ. ყორღანოვის ცხოვრების შესახებ (№№ 50. 51, 52, 53); მიმოხილვა კრონშტადტის დაარსების შესახებ (№ 57); მასალები ინდოეთის ეთნოგრაფიიდან (№ 58); შენიშვნები რუსული სიტყვიერების შესახებ (№ 59); შენიშვნები პოლარული ექსპედიციების შესახებ (№ 61); ჩანაწერები თბილისიდან მოსკოვამდე მოგზაურობის შესახებ (№ 67).

აქვე ინახება აგრეთვე ე. ვეიდენბაუმის ვრცელი ნაშრომი რუსულ ენაზე: „მასალები კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული ლექსიკონისათვის“.

ავტორს შეუკრებია მდიდარი საარქივო და ნაბეჭდი მასალები XIX საუკუნისათვის კავკასიაში, მოღვაწე პირების, ისტორიულ მოვლენათა და ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილების შესახებ. მასალები წარმოდგენილია ფირფიტებზე. აქ დაცულია 23360 ფირფიტა და 1560 ისტორიული პირის თუ მნიშვნელოვან მოვლენათა სურათები (ფოტო და ისე ჩანახატი). ყველაფერი ეს საყურადღებო მასალას წარმოადგენს აღნიშნული საუკუნის საქართველოს და კავკასიის სხვა ხალხთა ისტორიისათვის. ფირფიტები დალაგებულია რუსული ანბანის მიხედვით.

III. ვაიდენბაუმის ქონებრივი მდგომარეობისა და სამეურნეო მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№—68—72);

IV. ვაიდენბაუმის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 73—120); მათ შორის: მიმართვა, კავკასიის არმიის მთავარსარდლის გადაწყვეტილებით პ. კ. უსლარის შრომის „Древнейшая история Кавказа“-ს გამოქვეყნებისა და მისი ორგანიზაციის შესახებ

(№ 73); პობედონოსცევის მიერ ვაიდენბაუმის ყურადღების გამახვილება კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე თავისუფალი კაზაკებით დასახლების შესახებ (77); მასალები სოხუმის ოლქის მართველობის შესახებ (№ 79); მასალები კავკასიის სასოფლო-სანეურნეო გამოფენის შესახებ, 1888—1912 წ. (№ 81); მასალები გლეხების დაკითხვის შესახებ, მომრიგებელ შუამავალ ერისთავისა და ბოქ-ულ ჩიკვაიძის უკანონო მოქმედებასთან დაკავშირებით, 1898 წ. (№ 87); მასალები სომეხ-თათარია დამამშვიდებელი კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ, 1906 წ. (№ 93, 94); მიმართვები ქ. სოხუმსა და შავი ზღვის გუბერნიაში საპაოსნო ფლოტილიის შენახვის ხარჯების შესახებ (№ 101); მასალები ბაქანალის ოლქის შესახებ, 1907—1908 წ. (№ 102); მიმართვები მდ. მტკვარზე თევზისაგერ კომპანიის საქმიანობის შესახებ, 1908 წ. (№ 104); მასალები გრიგორიანთა სკოლებისათვის დებულების გამომუშავების შესახებ, 1909 წ. (№ 107); აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების მიმართვა ეურ. „Мир Ислама"-ს გამოცემის შესახებ (№ 113); მიმართვა ფელიცინის მიერ ყუბანისა, სტავროპოლის და ვლადიკავკაზის არქივებიდან ამოკრებილი მასალების ბეჭდის შეჩერებისა და „აქტების" XIII ტომის ბეჭდის პირობების შესახებ, 1914 წ. (№ 114); მიმართვა ქ. თბილისში მაჰმადიანთა ორაღლესი დაწყებითი სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ, 1916 წ. (№ 115); მასალები შემახისა და დარუბანდის გუბერნიებში მიწისმფლობელობის შესახებ (№ 120).

V. მიმოწერა (სხვადასხვა პირთა წერილები ე. ვაიდენბაუმთან; ე. ვაიდენბაუმის წერილები სხვადასხვა პირებისადმი) (№ 121—342; 639—821); მათ შორის: გ. ი. რადეს (№ 125); გოაფინია უვაროვასი (№ 163); გ. შერვაშიძის (№ 211); მიხ. შერვაშიძის (252, 292); ლ. ნ. ტოლსტოის 1903 წ. (№ 670); ი. მეუნარგიას (792).

VI. სხვადასხვა მასალები (№№ 343—637); მათ შორის: ბიოგრაფიული მასალები ი. ნ. აბხაზის შესახებ (№ 345); რუსეთის იმპერატორების მიერ გაცემული წყალობის სიგელები აზნაურ ოპოჩინინებზე (№ 346); კავკასიელ ნოღაველთა ავტოგრაფები შეკრებილი ვაიდენბაუმის მიერ (№ 347); მასალები ერევნის ექსპედიციის შესახებ, 1804 წ. (№ 349); ე. ე. ლაჩინოვის დღიური 1817 წლის სპარსეთში მოგზაურობის შესახებ (№ 354); მასალები დეკაბრისტების შესახებ (№ 360, 364, 365); ა. ბ. ოპოჩინინის ლექსთა კრებული და გრიბოედოვის კომედიის შესახებ (№ 366); ისტორი-

ული ოფიციალური ცნობები ეჩმიაძინის ეკლესიის შესახებ, 1829—1865 წლ. (№ 372); ალბომი კავკასიაში რუს მოღვაწეთა ფაქსიმილეებისა (XIX საუკ-ის პირველი ნახევარი), (№ 374); დოკუმენტალური მასალები კავკასიელი მთიელების შესახებ, 1832 წ. (№ 377); მოგონებანი გენერალ-ლეიტენანტ ბეკლემიშევისა დარგოს ბრძოლებისა და 1846 წ. ყაბარდოში შაბილის შემოსევის შესახებ (№ 397); აღწერილობა სვანეთისა ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მიმოხილვით 1846 წ. (№ 398); მ. ქ. მამაცაშვილის სამსახურებრივი მოღვაწეობის შესახებ, 1850 წ. (№ 404); ერევნის გუბერნიის რუკის მუსულმანური ტოპონიმიკა, 1852 წ. (№ 408); ჩანაწერები პოლკოვნიკ დე-საეესი თურქეთთან ომის შესახებ, 1854—1855 წ. (№ 414); ჩანაწერები დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის ყირიმში მოგზაურობისა და რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ, 1865 წ. (№ 415); აფხაზეთი, მისი ზნე-ჩვეულებისა და შინამოწყობის შესახებ (სამ ნაწილად), 1857 წ. (422); ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობისა და განათლების სისტემის შესახებ, 1858 წ (№ 429); ნ. კოლუბაკინის დღიური 1859 წ. სპარსეთში მოგზაურობის შესახებ, 1859 წ. (№ 434); რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წერილები ადოლფ პეტრეს-ძე ბერჟესადმი (№ 438); შარიატმცოდნეობის შესახებ, 1881 წ. (№ 440); მოხსენებითი ბარათი სუხარევისა, მფლობელებისაგან ყმა გლეხის განთავისუფლების შესახებ, 1864 წ. (№ 450); მასალები თბილისის ამბოხების შესახებ, 1865 წ. (№ 458); მოხსენება დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, 1865 წ. (№ 460); მასალები კაიტაღო-თაბასარანის ოლქის შესახებ, 1868 წ. (№ 467); ბარათი ამიერკავკასიაში ციხეების აშენების შესახებ, 1868 წ. (№ 468); არღუნის ოლქის იჩქერიელთა დახასიათება, 1869 წ. (№ 471); ნაშრომი გ. ვაიდენბაუმისა ბოტანიკურ-ზოოლოგიურ-გეოლოგიური შინაარსისა, 1873 წ. (№ 480); მასალები კავკასიის ადგილობრივი ჯარის შექმნის შესახებ, 1875—1876 წ. (№ 488); ა. ბ. იპოლიტოვის ნარკვევი ჩეჩნების მითოლოგიის შესახებ, 1880 წ. (№ 502); ა. გეშთეიგერის ბელუსტანში მოგზაურობის შესახებ, 1881 წ. (504); მასალები თურქესტანის შესახებ, 1884 წ. (№ 511); სტატისტიკური ცხრილები საერო დაწესებულებათა შესახებ, 1887 წ. (№ 519); ბ. კ. უსლარის შრომა — „კავკასიური ენების ანბანის შედგენის“ შესახებ, 1887 წ. (№ 520); შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი—ახალი დებულებანი საგუბერნიო და სამაზრო ერობის დაწესების შესახებ, 1888 წ (№ 521); საქმე დაღესტნის ოლქის ადმინისტრატიულად დაყოფის შესახებ, 1898 წ. (№ 533);

ა. ბერეეს შენიშვნები სხვადასხვა პირთა შესახებ, 1898 წ. (№ 534); მასალები გეოგრაფიული საზოგადოებისა არქეოლოგიურ-გეოგრაფიული ხასიათის გამოკვლევათა შესახებ სხვადასხვა ქვეყნებისა, XIX ს. (№ 535); მასალები შეკრებილი ე. ვაიდენბაუმის მიერ, 1905 წლის რევოლუციის შესახებ გორის მაზრაში (№ 563); მასალები სამურზაყანოს აჯანყების შესახებ, 1905—1907 წ. (№ 567); მასალები სახელმწიფო დუმის დაწესება-არჩევნების შესახებ, 1905—1906 წ. (№ 569); მ. შერვაშიძის წერილი აფხაზეთის უკანასკნელი მფლობელის უფლებების აღდგენის შესახებ, XIX საუკ. (№ 601); მასალები კავკასიის ეთნოგრაფიის შესახებ (№ 608); მასალები ოლთის ოლქის ადგილმდებარეობის შესახებ (№ 614); მოკლე მიმოხილვა აფხაზეთის მითოლოგიის ზნე-ჩვეულებების შესახებ (№№ 622, 623); გრაფ მ. ნ. მურავიოვის მიერ ქვეყნის მართველობისა და ამბოხებათა ჩაქრობის შესახებ (№ 624); დარვინის თეორიის ახალი პალეონთოლოგიური კანონმდებლობის შესახებ (№ 633); ბიბლიური თქმულებანი საქართველოზე დ. პეტუხოვისა (№ 636).

4. ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი

პირადი საარქივო ფონდი № 4. მასალები 1841—1900 წლებისა; შესანახი ერთეულები 181; საინვენტარო აღწერა.

ბარონ ნიკოლაი დაიბადა 1821 წელს. დაამთავრა ცარსკოეს-ელოს ლიცეუმი ვერცხლის მედლით. მუშაობდა ნოეოროსიისკის და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორთან, შემდეგ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან. 1848 წელს იგი დანიშნულ იქნა მეფის ნაცვლის მოძრავი კანცელარიის დირექტორად კავკასიაში და ამიერკავკასიაში. 1850 წ. ცოლად შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალი სოფიო.

იგი სხვადასხვა დროს, 1861 წლამდე იყო კავკასიის სამმართველოს საბჭოს წევრი და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს უფროსი კავკასიაში და ამიერკავკასიაში. 1861 წელს გადაყვანილ იქნა კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველად; 1862 წელს დაინიშნა განათლების მინისტრის მოადგილედ და საცენზურო სამმართველოს წევრად; შემდეგ სენატორად, კავკასიის მეფის ნაცვლის სამმართველოს უფროსად და საბატონო გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდო-

შარედ და სტატსეკრეტრად; 1875 წლიდან დაიხიშნა სახელმწიფო საბ-ჭოს წევრად, 1894 წლიდან სახალხო განათლების მინისტრად და სხვ.

1894 წლიდან ალექსანდრე ნიკოლაი წერდა მოგონებებს და სტატიებს, რომლებსაც ბეჭდავდა გაზეთ „კავკაზში“ და „ზაკავკაზ-სკი კრაი“-ში. გარდაიცვალა 1899 წელს. დაკრძალულია თავის საგვარეულო აკლდამაში „მონრეპო“-ში, ვიბორგის მახლობლად.

ფონდში დაცულია რუსულ ენაზე დაწერილი შემდეგი საბუთები:

I. ბიოგრაფიული მასალები ბარონ ნიკოლაის შესახებ (№№ 1—6);

II. ბარონ ნიკოლაის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები (№№7—10); სტატია საშუალო სკოლების რეორგანიზაციის შესახებ, 1880 წ. (№ 7); სტატია მთავრობის მიმდინარე საშინაო პოლიტიკის შესახებ. 1880 წ. (№ 8); მოგონებები—„საგლეხო რეფორმები ამიერკავკასიაში, 1891 წ. (№ 9); თეზისები, აზრი და შეხედულებანი განათლებაზე (№ 10);

III. ბარონ ნიკოლაის ქონებრივი მდგომარეობისა და სამეურნეო საქმიანობის ამსახველი მასალები (№№ 11—12);

IV. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 13—128); მათშორის: სტემიბროვსკის ცნობა 270 ტყვე მთიელების ქართველ ტყვეებზე გადაცელის შესახებ, 1855 წ. (№ 13); ბაქოს სამხედრო გუბერნატორის მოხსენება ბაქოს გუბერნიის შესახებ, 1863 წ. (№ 17); ბუსლაევის მოხსენება მღელვარების შესახებ ზაქათალაში, 1863 წ. (№ 18); საგანგებო მინდობილობათა მოხელის დოლენკოს სტატია მიმდინარე ამბების შესახებ შუა აზიაში, 1864 წ. (№ 27); ბარონ ნიკოლაის მოხსენება მეფისნაცვლისადმი ქართველ მემამულეებისათვის საგანგებო დათმობის გამოთხოვის შესახებ გლეხთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით, 1864 წ. (№ 41); ბარონ ნიკოლაის მოხსენება მეფისნაცვლისადმი თეატრის შესახებ, 1864 წ. (№ 45); ბარონ ნიკოლაის მოხსენება მეფისნაცვლისადმი ხელოსანთა საამქროების შესახებ, 1866 წ. (№ 52); ბარონ ნიკოლაის მოხსენება და კონ. ლორთქიფანიძის წერილები სამეგრელოს ყოფილი მთავრის მამულების აღწერის შესახებ, 1866—1870 წ. (№ 56); მოხსენება მეფისნაცვლისადმი კავკასიის რკინიგზის მიმართულებისა და მოწყობის შესახებ, 1869—1871 წ. (№ 60); მოხსენება ევროპიდან სპარსეთში და სპარსეთიდან ევროპაში ამიერკავკასიის ტრანზიტით საქონლის გატანის შესახებ, 1869 წ. (№ 63); გ. მუხრან-

ბატონის წერილი კოვარტის მაღაროში პოლიციასა და მუშებს შორის მომხდარი შეტაკების შესახებ, 1872 წ. (№ 81); მოხსენება უმაღლეს სასწავლებლებზე ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ. 1881 წ. (№ 88); ბარონ ნიკოლაის შენიშვნები კომისიის დადგენილებაზე კავკასიის საოლქო საშუალო სკოლებში ძველი ენების სწავლების შესახებ, 1881—1882 წ. (№ 91); მასალები რეალური სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ, 1882 წ. (№ 95); ამიერკავკასიის სამოსწავლო ოლქის ზზრუნველის იანოვსკის წერილი და მოხსენება რეალური სკოლის პროგრამის გადამუშავების შესახებ, 1893—1894 წ. (№ 100); მეზენცევის წერილები ა. ნიკოლაისადმი განათლების სამინისტროში საქმის მდგომარეობის შესახებ (№ 114); განსაკუთრებული აზრი განათლების მინისტრ ნიკოლაისა კომისიის დადგენილების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში ზედამხედველობის გაძლიერებისათვის (№ 118); მოსაზრებანი აღმოსავლეთ კავკასიის თანდათან დაპყრობის შესახებ (№ 122); შენიშვნები უნივერსიტეტის პროექტის შესახებ (№ 124);

V. მიმოწერა (სხვადასხვა პირთა წერილები ბარონ ნიკოლაისადმი) მისი წერილები სხვებისადმი (№№ 129—160); მათ შორის: მიხეილ ვორონცოვის, 1850—1856 წ. (№ 131); კონ. ფონ-კაუფმანის შამილთან ვაჭრობის შესახებ, 1855 წ. (133) და სხვ.

VI. სხვადასხვა მასალები (№№ 161—164); მათ შორის: შამილის წერილი კაპიტან რუნოვსკისადმი თერგის და დაღესტნის ოლქების მცხოვრებთა დავის შესახებ, 1854 წ. (№ 161) და სხვ.

VII. მასალები ბარონ ნიკოლაის ნათესავების შესახებ (№№ 165—181); მათ შორის: ლ. პ. ნიკოლაის დღიურიდან ამონაწერი კავკასიის ომების შესახებ, 1847—1857 წლ. (№ 165); ლ. პ. ნიკოლაის დღიურიდან ამონაწერი უნგრეთის კომპანიის შესახებ, 1849 წ. (№ 166); შამილის წერილები ლეონტი ნიკოლაისადმი, 1854—1855 წლებისა (№ 169); შამილის ნაიბის—გეზოვის არაბული წერილები ლეონტი ნიკოლაისადმი, 1855 წლ. (№ 170); ლ. პ. ნიკოლაის წერილი შამილის შვილ ჯემალ-ედინთან, 1855 წ. (№ 171); შამილის შვილის ჯემალ-ედინის წერილები ლეონტი ნიკოლაისადმი, 1855—1857 წლებისა (№ 172); ლეონტი ნიკოლაის წერილი შამილისადმი, 1855 წ. (№ 174) და სხვ.

5. მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი

პირადი საარქივო ფონდი № 5. მასალები 1812—1927 წლებისა; შესანახი ერთეულები 222; საინვენტარო აღწერა.



ეკაკი წერეთელი. „რუსთველის სურათზე“ — ავტოგრაფი

მიხეილ მაჩაბელი დაიბადა 1858 წელს ქ. თბილისში. 1878 წელს მან თბილისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო 1880 წლამდე სწავლობდა მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვსკის აკადემიაში, რომელიც მიატოვა სტუდენტთა არეულობის გამო და სამშობლოში დაბრუნდა. იგი იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე მიწათმოქმედების სამინისტროს უწყებაში.

სამსახურებრივი მოვალეობის გარდა, მიხ. მაჩაბელი მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი იყო თბილისში არსებულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე 1914 წლიდან 1921 წლამდე. ბეჭდავდა პერიოდულ ქართულ და რუსულ პრესაში ტ ფ ი ლ ი ს ე ლ ი ს ფსევდონიმით ეკონომიურ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან წერილებს. აქვს რუსულად დაბეჭდილი წიგნი—„გამოკვლევა თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხკაცთა ეკონომიური ყოფაცხოვრებისა“ („Исследование економического быта государственных крестьян Тионетского уезда“). იყო გაზეთი „Закавказье“-ს რედაქტორი და სხვ.

ფონდში დაცულია რუსულ და ქართულ ენაზე დაწერილი შემდეგი დოკუმენტები:

I. ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი მ ი ხ. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ (№№ 1—8);

II. მ ი ხ. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ებ ი თ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ა მ ს ა ხ ვ ე ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი (№№ 9—26); მათ შორის: საზიარო მიწის მფლობელობა საქართველოში და მიზეზი მისი დაფუშვისა, 1881 წ. (№ 11); მოხსენება სახელმწიფო სათათბიროს 1906 წელს (№ 15); საგაზეთო სტატიების შაეები (№ 17, 19); პოეტური ჰიმნი—„კავკასია“ (№ 18); ლექცია—„თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში“, 1913 წ. (№ 21); სიტყვა საქართველოს პარლამენტში მიწის დეკრეტის შესახებ, 1918 წ. (№ 23); სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვები საქართველოს პარლამენტში, 1918 წ. (№ 24); მოხსენება საქართველოში შინამრეწველობის მდგომარეობის შესახებ, 1927 წ. (№ 26); და სხვ.

III. მ ი ხ. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი დ ა ს ა მ ს ა ხ ურ ებ რ ი ვ ი მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს ა მ ს ა ხ ვ ე ლ ი მ ა ს ა ლ ებ ი (№ 27—85); მათ შორის: მასალები კომისიისა—„მაჩვენებელი გზისა და საშუალებისა, თუ როგორ შეინარჩუნოს მამული მკვიდრმა მცხოვრებმა“, 1907 წ. (№ 30); საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, 1906—1919 წლ. (№ 31); ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საქმეები (№№ 32—40); ანგარიშები, მოხსენებები, ინსტრუქციები, პროექტები, მიმო-

წერა და ცნობები მიწათმოწყობის შესახებ საქართველოში (№№ 41—49, 51—52, 57, 60—72); ხიზანთა საკითხის შესახებ, 1911 წ. (№ 50); კახელ მევენახეთა საზოგადოება—„კახეთი"-ს წესდება, ანგარიშები, სიები და სხვ. 1898—1908 წლ. (№№ 54—55); კახეთის რკინიგზის შესახებ, 1894—1912 წლ. (№ 56); აგრარული საკითხის შესახებ, 1900 წლ. (№ 59); მიხ. მაჩაბლის მოხსენებები და სხვა მასალები საქართველოში შინამრეწველობის მდგომარეობის შესახებ, 1920—1926 წ. (№ 82) და სხვ.

IV. მიმოწერა: მიხ. მაჩაბლის წერილები სხვადასხვა პირებისადმი; სხვადასხვა პირთა წერილები მიხ. მაჩაბელთან (№№ 86—187); მათ შორის: ილია ჭავჭავაძის, 1885 წ. (№ 94); ივანე მაჩაბლის (№ 102); ანტონ ფურცელაძის, 1906 წ. (№ 118); იაკობ გოგებაშვილის, 1909 წ. (№ 132); აკაკი წერეთლის (№ 133); ვალერიან გუნიას (№ 136); გ. თუმანიშვილის (№ 137); ნიკო ლომოურის (№ 138); ექვთიმე თაყაიშვილის (№ 139); ნიკო ნიკოლაძის (№ 144); ალექსანდრე ცაგარლის (№ 161); კოტე ყიფიანის (№ 162); ზაქარია ჭიჭინაძის (№ 174) და სხვ.

V. სხვადასხვა მასალები (№№ 188—222); მათ შორის: ალექსანდრე ბატონიშვილის წყალობის წიგნი გოგია შოშიაშვილისადმი (პირი), 1812 წ. (№ 188); საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიისათვის (№ 191); ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ჩანაწერები, 1885 წ. (№ 193); კ. ჩივაძის ნარკვევი ვახტანგ VI სამართლის კანონების შესახებ, 1891 წ. (№ 194); საქმე დუხობორების შესახებ, 1895—1896 წ. (№ 195); ა. ,ვიტაშვილის სტატიები—ცხოვრება და მოღვაწეობა ვახტანგ VI „რუსეთში", 1910 წ. (№ 209); ამონაწერი სახელმწიფო მიწებისა და მამულების თბილისის სამმართველოს საქმეებიდან სოფ. ჩარგალში მცხოვრებ ლუკა პავლესძე რაზიკაშვალის (ვაჟა-ფშაველას) შესახებ, 1912 წ. (№ 215); პიესები: „ივანობის ღამე", დრამა ოთხ მოქმედებად ზუდერმანისა (№ 219); „ავგაროზი" (№ 220); „სიმონი" (№ 221) და სხვ.

6. იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი

პირადი საარქივო ფონდი № 6. მასალები 1860—1912 წლებისა; შესანახი ერთეული 272; საინვენტარო აღწერა.

დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 28 ოქტომბერს (ახ. სტილით) სოფ. ვარიანში, გორის მაზრაში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სას-

წავლებელი, შემდეგ სასულიერო სემინარია. უმაღლესი განათლება მიიღო კიევში; სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ დაამთავრა და დაბრუნდა სამშობლოში. აკადემიაში სწავლის დროს იგი ეცნობა რუსეთის გამოჩენილი მოღვაწეებისა და მოაზროვნეების: გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ბელინსკის და სხვათა გამანთავისუფლებელ იდეებს. შეისწავლა აგრეთვე გამოჩენილი პედაგოგების: პიროგოვის, კორფის, უშინსკის და სხვათა პედაგოგიური აზროვნება და მოღვაწეობა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე დაიწყო მოღვაწეობა.

იგი მუდმივ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა მეფის ხელისუფლების მოხელეებისაგან, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ მაშინ კავკასიის განათლების სისტემის ხელმძღვანელობაში.

იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, არის თვალსაჩინო წარმომადგენელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციურ გამანთავისუფლებელი მოძრაობისა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებული ებრძოდა ცარიზმის ბიუროკრატ მოხელეებს: იანოვსკის, კუვშინსკის, კერსკის, ვოსტორგოვს და სხვა მათ მსგავს პირებს.

ი. გოგებაშვილი ავტორია ცნობილი სახელმძღვანელოებისა: „დედაენა“, „ბუნების კარი“, „Русское Слово“, რომლებზედაც ათეული წლების განმავლობაში იზრდებოდნენ ახალი თაობები. სახელმძღვანელოებს გარდა, მას ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური და პედაგოგიური ხასიათის სტატიები, რომლებიც იბეჭდებოდა მაშინდელ რუსულ და ქართულ პერიოდულ პრესაში.

მასვე ეკუთვნის მხატვრული საბავშვო მოთხრობები: „იავნანამ რა ჰქმნა?“, „ასპინძის ომი“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, „თავდადებულნი ქართველნი“ და სხვ.

არ იყო არც ერთი ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი საქმე, რომელშიაც მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. იაკობმა მთელი თავისი ქონება უანდერძა ქ. ზ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს. დაკრძალულია თბილისში, მამადავითის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ფონდში დაცულია ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილი შემდეგი ხელნაწერი დოკუმენტები:



იაკობ გოგებაშვილი. პუბლიცისტური წერილის ნაწყვეტი. ავტოგრაფი

I. იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები, ავტოგრაფები და ნუსხები; მათ შორის: ქართული დედნის შესახებ, 1883 წ. (№ 1); „ჭრელი წერილები“ (№ 3); „სუსტი მოძრაობა გონებისა ჩვენში“ (№ 4); „დაბალი ღობე ერთა შორის“, 1894 წ. (№ 5); „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“ (ბატ. ნასიძის წერილის გამო) (№ 6); „ერთი პოლემიკის გამო“ (წერილი რედაქციისადმი) (№ 7); „ნაბოლარა“ (საგრამატიკო შენიშვნა), 1894 წ. (№ 8); „ბრმა წინამძღოლობა“ (№ 9); „მსხვერპლი დედა-ენის უცოდინარობისა“, 1884 წ. (№ 10); „უსამართლო ინსინუაცია“ (№ 11); „დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი“ (№ 13); მასალა ანბანის ბოლოსათვის (№ 15); „დაშნაკცაკანების სადიკტატორო მადა“ (№ 23); „ჩემი სიყმაწვილის ამბები“ (№ 24); „უშვერი ცილისწამება“ (№ 25); „რა დავკარგეთ?“ (№ 26); „ორი ნიმუში უკუღმართობისა ხალხის განათლებაში“ (№ 27); „აფორიზმები“ (№ 28); „საპგვარი მოხელე“ (№ 29); „სახალხო გაზეთის“ მეთაურის საპასუხოდ (№ 30); „პრინციპიალური პედაგოგიური შენიშვნა“ (№ 31); „მისაბაძი მაგალითი“ (№ 32); „ზეციური გამათრახება ქართველის ქალებისა“ (№ 33); „მცირე შენიშვნა“ (№ 34); გიორგი წერეთლის—„ჭორი და ცილისწამება“-ს საპასუხოდ (№ 35); „წინასიტყვაობა“ (№ 36); „ჩვენებური ვირთაგვები“ (№ 37); „ჩვენი გულუბრიყულობა“ (№ 38); სტატიები—სწავლა განათლების შესახებ და „ისტორიული ცნობა სამოსწავლო გეგმისა“ (№ 39); „კიდევ ქართული დეფექტი“ (№ 40); სტატისტიკური ცნობები ი. გოგებაშვილის წიგნების წლიური გასავლის შესახებ, 1910—1911 წლ. (№ 41); „სამწუხარო მოვლენა პედაღოგიაში“ (პასუხი უ. ნათიევს) (№ 43); საკვირაო სკოლების მნიშვნელობა 1881 წ. (№ 44); ვინ და როგორ გადაიღო პირველად ნოტებზე ქართული სახალხო სიმღერები სახალხო სკოლებისათვის, 1881 წ. (№ 45); კიდევ უდროო მსხვერპლი სიკვდილისა (№ 46); არითმეტიკის სახელმძღვანელოს დასაწყისი, განყოფილება პირველი (№ 47); პატარა პასუხი დიდს მსწავლულსა (ბ-ნი ჯავახიშვილის წერილის გამო) (№ 48); სააზნაურო გიმნაზიის განახლების შესახებ (№ 49); უდიდესი დღის ვარმები (№ 50); განმარტებითი წერილი სამეურნეო სასწავლებლის გეგმისა, რომელიც არსდება სოფელს წინამძღვარიანთ კარში (№ 51); სახელმძღვანელოების შესახებ (№ 52); რაოდენობა და წარმატება ყოველგვარ სასწავლებლებში რუსებისა, ქართველებისა და სომეხებისა (№ 53); ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში, 1885 წ. (№ 54); სწავლის კურსი სახალხო სკოლებში (№ 55); სწავლების კურსი

სასოფლო სკოლებში, 1882 წ. (№ 56); მიროპოლსკის რევიზიის გამო, 1881 წ. (№ 57); ბიბლიოგრაფია ჟურნალი „ნობათის“ შესახებ, 1884 წ. (58); სიმართლეს ვერსად წაუხვალთ (პასუხად გ. წერეთელს), 1894 წ. (№ 59); მასალები თსხულებათა სრული კრებულისათვის (სტატიების მაჩვენებლები, სარჩევი და სხვ.), 1883 წ. (№ 60); ორი ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან: „თავდადებული ქართველი ეჯიბი“, „ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“ (№ 61); ჭრიანტელი ანუ პასუხი დიდსა და პატარა ნადიაკვნარებსა (№ 62); სამოსწავლო გეგმა წერა-კითხვის საზოგადოების პირველდაწყებითი სკოლებისა, 1886 წ. (№ 63); შინაური მიმოხილვა, 1880 წ. (№ 65, 71); შენიშვნა (ბ. ნ. დ. ყიფიანის სტატიაზე, დიმიტრი ყიფიანის შესახებ), 1895 წ. (№ 66); გამოწვევა (პოლემიკა თ. ჟორდანიასი) (№ 68); პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები (№ 69); მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, 1890-იანი წლ. (№ 74); საღმთო ისტორია, 1860-იანი წ. (№ 75); კერსკის ანგარიშის წინააღმდეგ („Опровержение отчета Керского“), 1873 წ. (№ 81); თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის შესახებ (№ 86); სახალხო სკოლები საქართველოში და სასწავლო გეგმა იანოვსკისა (№ 87); ადგილობრივი სასულიერო სემინარია (№ 90); საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (№ 103); ხმა საქართველოდან (№ 104); სასწავლო ოლქში ქართული ენისა და ქართველების უუფლებობის შესახებ (№ 109); იძულებითი განმარტება სემინარიის საქმის გამო (№ 11); თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ზედამხედველად მუშაობის შესახებ (№ 114); მოხსენებითი ბარათი 1899—1904 წ. (№ 123); ქართული სამრევლო-საეკლესიო სკოლების კრიზისი (№ 124); წერილი საქართველოდან. წერილი მეორე (№ 125); ამერიკა ლინკოლის სიკვდილის შემდეგ, 1866 წ. (№ 126); ქართული ეკლესიის მონური მდგომარეობის შესახებ, 1905 წ. (№ 129); პასუხი „რუსკოე სლოვოს“ გადამსინჯავ კომისიის ოქმის შესახებ (№ 130); ახლანდელი მდგომარეობა საქართველოში“ (№ 131); რევიზორ კერსკის ანგარიშის განხილვა (№ 132); სახელმძღვანელოების ტექსტუალური მასალა (№ 133); მოთხრობები: 1) თავდადებული ქართველი ეჯიბი; 2) სამასი თავდადებული გლეხი; 3) ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად; 4) საშინელი სასჯელი მოღალატისა (№ 135); „როდნოე სლოვოს“ დახასიათება „კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ (№ 136); კავკასიის სასწავლო ოლქის საბჭოს ოქმის ამონაწერი „რუსკოე სლოვოს“ შესახებ, 1889 წ. (№ 137).

II. მიმოწერა (ოფიციალური და კერძო პირთა წერილები იაკობ გოგებაშვილისადმი (№№ 149—268); მათ შორის: სამსონ ყიფიანის (№ 149); ანა მუსხელიშვილის (№ 150); გრიგოლ ვოლსკის (№ 151); თ. მთავრიშვილის (№ 152); ნიკო ღომოურის (№ 153); ლუარსაბ ბოცვაძეს (№ 154); სილოვან ხუნდაძის (№ 156); ივანე გომელაურის (№ 157); თედო სახოკიასი (№ 158); ეკატერინე გაბაშვილის (№ 159); დავით კლდიაშვილის (№ 160); თედო რაზიკაშვილის (№ 161); ალექსანდრე ცაგარლის (№ 162); იონა მეუნარგიას (№ 163); პროფ. პეტრიაშვილისა და მისი მეუღლის (№164); ნიკო ღოღობერიძის (№ 165); ოლღა ჭავჭავაძის (№ 168); შალვა გოგებაშვილის (№ 169); კონსტანტინე მამაცაშვილის (172); ალექსი ჭიჭინაძისა (173); ვ. პეტრიაშვილის (№ 182); ვარლამ ბურჯანაძის (№184); ალექსანდრე ხახანაშვილის (№ 190); კონსტანტინე ფოცხვერაშვილის (№ 197); მელიტონ ბალანჩივაძის (№ 198); პეტრე მელიქიშვილის (№ 202); დავით მიქელაძე—მეველეს (№ 204); მარიამ დემურიას (№ 206); ნიკო ხიზანიშვილის (№ 209); ივანე გომართლის (№ 216); მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის (№ 218); ეგნატე ნინოშვილის (№ 219); ალექსანდრე ყიფშიძის (№ 220); პართენ გოთუას (№ 221); კოტე ყიფიანის (№ 222); ილია ზურაბიშვილის (№ 223); არსენ წითლიძის (№ 225); მარჯორი უორდროპის (№ 227); პეტრე უმიკაშვილის (№ 228); ალექსანდრე შანშიაშვილის (№ 232); პეტრე ჭარაიას (№ 242) და სხვ.

III. სხვადასხვა მასალები: დიმიტრი ყიფიანის რეცენზია—„დედა-ენის“ შესახებ, 1876 წ. (№ 14); სვიმონ გუგუნავა—წერილი „იევრიის“ რედაქციისადმი (№ 16); აკაკი წერეთლის წერილები ი. გოგებაშვილისადმი (№18); აკაკი წერეთლის საბავშვო ლექსები (№ 20); ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობა—„სხვადასხვა გვარი ქორწილი“ (№ 42); ვახტანგ თელაშვილის ნაწერები (№79, 147); თბილისის ქართული დაწყებითი სკოლების საგნების პროგრამა (№ 84); წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება (№ 88); ეგ. ნინოშვილის—„განკარგულება“ (თარგმანი რუსულად); შიო არაგვისპირელის—„იუდა“ ფსიქოლოგიური ეტიუდი (თარგმანი რუსულად) (№ 95); ვინ დავასახლოთ აფხაზეთში? (რუსულად) (№ 96); ხევსურული ხალხური სიტყვიერების მასალები (№ 100); გრ. ორბელიანის წერილი ოლღა ილიას ასულ გრეზნინსკისადმი (ამონაწერი), 1879 წ. (№121); დავით მიქელაძის—მეველეს წერილი ლევ ტოლსტოისადმი და ნ. გუსევის პასუხი, 1908 წ. (№ 269); გრ. ორბელიანის წერილები დიმიტრი ივანეს-ძე სვიატოპოლსკ-მირსკისადმი (პირები) (№ 271); იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების—„დედა-ენის“ I და II ნაწ. კლიშეები (№ 272);

7. ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილი

პირადი საარქივო ფონდი № 7. მასალები 1879—1933 წლებისა; შესანახი ერთეული 52; საინვენტარო აღწერა.

დაიბადა 1858 წლის 1 იანვარს სოფ. ქვემო ჭალაში (გორის მაზრა); დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია 1881 წელს. 1882 წელს სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში. შემდეგ მუშაობდა გალობის მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ფონდში დაცულია:

I. ბიოგრაფიული მასალები ვასილ კარბელაშვილის შესახებ (№№ 1—5).

II. მიმოწერა, სხვადასხვა მასალები (№№ 6—52); მათ შორის: პროგრამები გალობისათვის საქართველოს სასულიერო სკოლებში 1890 - 1895 წ (№ 6); მუსიკალური ხელნაწერები (№ 13); ნოტები საეკლესიო საგალობლებისა (№ 14) და სხვ.

8. მიხეილ ბერთველის ძე თუმანიშვილი

პირადი საარქივო ფონდი № 8. მასალები 1802—1912 წლებისა, შესანახი ერთეული 573; საინვენტარო აღწერა.

პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ თუმანიშვილი დაიბადა 1819 წელს სოფ. ხელთუბანში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის სათავადაზნაურო პანსიონში, შემდეგ, საელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს იგი იყო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა თბილისის გუბერნიის კანცელარიას და ითვლებოდა საგუბერნიო სამმართველოს მრჩეველად (Советник). დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე 1864 წლის საგლეხო რეფორმისა და კავკასიის გლეხთა მოშუბი კომისიის საქმიანობაში. ამ საკითხებზე მისი წერილები იბეჭდებოდა კრებულში: „—Сборник сведений о Кавказе“ და „Сборник материалов по описанию Тифлис. губ.“-ში.

იგი ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობასაც. თარგმნა პუშკინის ლექსები და პოემა: „Я помню чудное мгновение“, „Зимний вечер“, „Бахчисарайский фантан“ და სხვ. მისი თხზულებათა კრებული გამოიცა 1881 წ. „მოლაყბის“ ფსევდონიმით. ბეჭდავდა პუბლიცისტური ხასიათის სტატიებს ჟურ. „ცისკარში“.

გარდაიცვალა 1875 წელს ქ. თბილისში.

ფონდში დაცულია:

I. ბიოგრაფიული მასალები მიხ. თუმანიშვილის შესახებ (№№ 1—18);

II. მიხ. თუმანიშვილის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები (№№ 19—33); მათ შორის:

სიტყვა წარმოთქმული ერეკლე მეფის სასახლის განახლებისადმი მიძღვნილ ზეიმზე, 1851 წ. (№ 19); ლიტერატურული წერილი მეზურნე ალექსის შესახებ (№ 21); დღიური (№ 22); ეთნოგრაფიული ნარკვევი საქართველოს მცხოვრებთა შესახებ (№ 23); შენიშვნები ქართული თეატრის შესახებ (№ 24); რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა, XVIII საუკ. დასაწყისიდან XIX საუკ. პირველ მეოთხედამდე (№№ 25—26); წერილი გოეთეს „ფაუსტის" მნიშვნელობის შესახებ (№ 29); ისტორიული ნარკვევი საქართველოს შესახებ (№33); ბატონყმობა საქართველოში, 1860 წ. (№ 176—178); რეცენზია სათავადაზნაურო გიჟნაზიაში წარმოდგენილ გ. ერისთავის კომედიის „გაყრის" შესახებ, 1850 წ. (№332).

III. მიხ. თუმანიშვილის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 34—497); მათ შორის: ბრძანებანი სრულიად რუსეთის უმაღლესი მთავრობისა საქართველოში (№ 36); კამერალური აღწერა 1841 წლის თბილისის მოხარკე მცხოვრებთა (№ 48); ანგარიში საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორისა 1844 წ. (№ 54); განცხადება გაზ. „კავკაზის" გამოცემის შესახებ (№ 61); ინსტრუქცია ქუთაისში დაარსებული დროებითი კომისიისათვის, იმერეთისა და გურიის მაღალი წოდების პირადი უფლებების გამოსარკვევად (№ 63); მოხსენება ბატონებისა და გლეხების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საქართველოში (№ 69); წერილი თელავში მეფის სასახლის აღდგენის შესახებ (№ 98); მასალები თბილისის გუბერნიის ისტორიულ-სტატისტიკურ-ეთნოგრაფიული აღწერილობისათვის, 1856 წ. (№ 138); ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ, 1783—1830 წ. (№ 161); თავადაზნაურთა აზრი გლეხთა განთავისუფლების შესახებ, 1860 წ. (№ 170); მასალები გლეხთა განთავისუფლების შესახებ (№№ 179. 180, 184, 186, 187, 190, 193, 194, 197, 202, 208, 209, 218); გლეხთა განთავისუფლების შესახებ, 1864 წლის დებულების თარგმანი ილია ჭავჭავაძის მიერ, ავტოგრაფი (№ 219); ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი საბატონო გლეხების მდგომარეობის შესახებ (225, 227, 235, 236, 238, 239); მასალები სამეგრელოს სამთავროს გლეხთა განთავისუფლების შესახებ (№№ 254, 255, 262, 265).

დ. ყიფიანის წერილი მ. თუმანიშვილისადმი სათავადაზნაურო ბანკის შექმნისათვის ჩამოყალიბებული კომიტეტის არჩევის შესახებ (№ 261); ნაკაზი ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხების

მიერ მიწების გამოსყიდვის შესახებ, 1870 წ. (№ 290); ნარკვევი ბატონყმობის შესახებ საქართველოში (№ 374); ცნობები საქართველოს სამხედრო გზის შესახებ (მეგზური) (№ 375); მიწადმოწყობის პროექტი აფხაზეთის და სამურზაყანოს შესახებ (№ 384); ცნობები 1850 წ. თბილისში ქართული თეატრული დასის ჩამოყალიბების შესახებ (№ 392); მიხ. თუმანიშვილის მოხსენება საქართველოში განათლების შესახებ (№ 438); მოხსენება რუსეთის ჯარების ბრძოლების შესახებ საჩეჩნეთში (№ 487).

IV. მიმოწერა. მიხ. თუმანიშვილის წერილები სხვადასხვა პირებისადმი; წერილები მიხ. თუმანიშვილისადმი (№№ 498—518).

V. სხვადასხვა მასალები (№ 519—555); მათ შორის: ალ. ჭავჭავაძის მოხსენება შავი პირის გაჩენის შესახებ ერევნის გუბერნიაში, 1841 წ. (№ 522); გ. ერისთავის წერილი—მარლინსკის სიკვდილის გამო, 1950 წ. (№ 524); პეტერბურგის მსახიობთა—ვინოგრადოვისა და ნიკოლაევის თბილისში ჩამოსვლის შესახებ (№ 537); გენეალოგიური ცხრილი საქართველოს სამეფო ოჯახისა (№ 544); მასალები გ. ორბელიანის იუბილეს შესახებ (№ 545) ჟურნალი—„Цветок Тифлисской гимназии“, 1835—36 წ. (№ 572) და სხვ.

ამას გარდა ხელნაწერთა განყოფილების Q ფონდში ცალკეული ნომრების ქვეშ დაცულია მიხ. თუმანიშვილის არქივის შემდეგი მასალები: სხვადასხვა პირთა კერძო წერილები (№ 440) რუსულ და ქართულ ენებზე მიხეილ თუმანიშვილისადმი (469 წერილი).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების S ფონდში № 5348-ის ქვეშ დაცულია თუმანიშვილების XIX საუკუნის საბუთები (365 ფურცელი).

9. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი

პირადი საარქივო ფონდი № 9. მასალები 1829—1920 წლებისა; შესანახი ერთეული 361; საინვენტარო აღწერა.

გ. თუმანიშვილი დაიბადა 1854 წელს თბილისში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში. 1875 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1875 წლიდან 1893 წლამდე იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში, სხვადასხვა თანამდებობაზე. აგი აწარმოებდა ლიტერატურულ მუშაობას. სწერდა კრიტიკულ წერილებს გაზ. „დროებაში“. თანამშრომლობდა, „ივერიაში“, რუსულ ჟურნალ-გაზეთებში: „Вестн. Евро-

ны", 1881—85 წ., „Русская Мысль", 1890 წ., „Голос" და სხვ. 1891 წლიდან რედაქტორობდა გაზეთ „Новое Обозрение"-ს. მან ცალკე ბროშურები გამოაქვეყნა: „К вопросу об открытии высшего учебн. завед. на Кавказе" 1906 г.; „Кавказский университет", „Характеристики и воспоминания".

გ. თუმანიშვილის ენერგიული მონაწილეობით 1879 წლიდან აღდგენილ იქნა ქართული თეატრი, მოეწყო მუდმივი დასი, რომლის პირველ რეჟისორადაც თვითონ იყო. 9 წლის განმავლობაში იგი თავმჯდომარეობდა ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობას.

გარდაიცვალა 1920 წელს თბილისში.

ფონდში დაცულია რუსულ და ქართულ ენებზე შემდეგი მასალები:

I. ბიოგრაფიული მასალები გიორგი თუმანიშვილის შესახებ (№№ 1—17).

II. გ. თუმანიშვილის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები (№№ 18—108); მათ შორის: მოგზაურობანი 1875 წ. (№ 20); რეცენზია ს. ავალიანის ნაშრომებზე („Разбор работ С. Л. Авалиани по крестьянск. вопросу на Кавказе", 1914 წ. (№ 32); სტატია აკაკი წერეთლის შესახებ („Князь Акакий Церетели"), 1915 წ. (№ 33); კრიტიკულ-ისტორიული ნარკვევი ქართული დრამატურგიის შესახებ (№ 60); სტატია—სამხედრო ბეგარა კავკასიაში (№ 66); პედაგოგიური ხასიათის ნარკვევი (№ 67); ნარკვევი—კავკასიის მწერლები რუსულ ბელეტრისტიკაში (№ 68); სწავლა-განათლების მდგომარეობა კავკასიაში (№ 72); სწავლა-განათლების მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და რუსეთის სახალხო განათლების სისტემა (№ 89).

III. სამეურნეო ხასიათის ამსახველი მასალები (№№ 109—115).

VI. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 116—174); მათ შორის: მასალები თბილისის პირველი თეატრის ისტორიისათვის, 1845—1890 წ. (№ 116, 119); მასალები უმაღლესი სკოლის გახსნის შესახებ თბილისში, 1897—1917 წ. (№ 120, 167, 168, 172); მასალები გაზეთ „Новое Обозрение"-ს სარედაქციო საქმიანობის შესახებ (№ 169, 170).

V. პირადი მიმოწერა. კერძო ხასიათის წერილები გ. თუმანიშვილისა და სხვებისადმი (№№ 174—245);

მათ შორის: გ. თუმანიშვილის წერილები მამისადმი (№ 178); ფიზიოლოგ ივანე თარანიშკილის წერილები (№ 183); პეტრე უმიკაშვილის (№ 184); კოტე ყიფიანის (№ 191); გ. თუმანიშვილის წერილი მაქსიმ გორკისადმი, მისი ორი ლექსის დაბეჭდის ნებართვის შესახებ (№ 243).

VI. სხვადასხვა შეკრებილი მასალები (№ 246—361); მათ შორის: თბილისის საამქროს შესახებ, 1864—1867 წლ. (№ 255); ოცი წელი დაღესტნის მთებში პორუჩიკ ყარამან სამველოვისა, 1868 წ. (№ 263); მტკვარზე ნაოსნობის მოწყობის შესახებ, 1869—1870 წ. (№ 264); უმაღლესი სკოლის დაარსების შესახებ ამიერკავკასიაში, 1898 — 1919 წ. (№ 276). ნ. ნიკოლაძის წერილი— „Крешенский разсказ“ (№ 312); ალ. გარსევანიშვილის წერილი, ძაგინას ძველი ციხის შესახებ (№ 313); იაკობ გოგებაშვილის წერილები ვასილ თუმანიშვილისადმი (№ 360).

ამას გარდა ხელნაწერთა განყოფილების Q ფონდში ცალკეული ნომრის ქვეშ დაცულია გ. თუმანიშვილის არქივის მასალები: სხვადასხვა პირთა კერძო წერილები რუსულად გ. თუმანიშვილისადმი (533 წერილი) (№ 437, № 442); გ. თუმანიშვილის წვრილი წერილები, დღიურები, დეპეშები, შენიშვნები და სხვა მასალები (398 ფურცელი) (№ 435, № 436);

10. მიქელ (ალექსანდრე) თამარაშვილი

პირადი საარქივო ფონდი № 10. მასალები 1628—1915 წლებისა; შესანახი ერთეული 1045; საინვენტარო აღწერა.

პატრი მიქელ (ერისკაცობაში ალექსანდრე) თამარაშვილი დაიბადა 1858 წელს ახალციხეში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სამრეველო სკოლაში. 20 წლისა ბერად აღიკვეცა. სასულიერო განათლების მისაღებად ესპანეთში იყო გაგზავნილი ორი წლით; შემდეგ საფრანგეთში წმ. ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში. მუშაობდა ევროპის სიძველეთა საცავებში: ვატიკანის, კაპუჩინების და სხვაგან ქართული საარქივო მასალების გასაცნობად.

1891 წელს საფრანგეთში მან დაბეჭდა წერილი—სომხების მიერ ქართველ კათოლიკეთა შევიწროების შესახებ. 1903 წელს გამოაქვეყნა შრომა: „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“; 1904 წელს წიგნი—„პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკობას“, 1910 წელს ფრანგულ ენაზე დაბეჭდა: „ისტორია ქართული ეკლესიისა“ (L'église géorgienne).

მ. თამარაშვილი ტრაღიკულად დაიღუპა სანტმარინელაში (რომის მახლობლად) 1911 წელს.

ფონდში დაცულია შემდეგი:

I. ბიოგრაფიული მასალები მ. თამარაშვილის შესახებ (№№ 1—24);

II. მ. თამარაშვილის შემოქმედებითი მუშაობისამსახველი მასალები (№№ 25—56); მათ შორის: დიონიზიო კარლო დაპიაჩენცა, ილმორის ცნობები XVII საუკუნის საქართველოზე (№ 25); საბა-სულხან ორბელიანის წერილი, ამოწერილი საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან (№ 33); ისტორია ქართული ეკლესიისა („L'église géorgienne"), ავტოგრაფი და ნუსხები (№№ 42, 43, 44, 45, 46) და სხვ.

III. მ. თამარაშვილის სამეურნეო ხასიათის საბუთები (№№ 57—67);

IV. მ. თამარაშვილის საზოგადოებრივი და სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ (№№ 68—93); მათ შორის: მ. თამარაშვილის მოხსენებები ქართველთა კათოლიკურ ეკლესიაში ქართული ენის აკრძალვის შესახებ (№№ 69, 71) ამონაწერები დომინიკელების არქივიდან (№ 85); მ. თამარაშვილის მოხსენება ქართველ და სომეხ კათოლიკეთა განხეთქილების შესახებ (№ 92); მისივე მოხსენება საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის შესახებ (№ 93) და სხვ.

V. მიმოწერა (კერძო წერილები, დეპეშები და სადარბაზო ბარათები მ. თამარაშვილთან და მისივე წერილები სხვადასხვა პირებისადმი), №№ 94—776; მათ შორის: თედო სახოკიას (№ 416 ა); სიმონ ქვარიანის (№ 449); ნ. ღოლობერიძის (№ 453); აკაკი წერეთლის (№ 467); ზ. ჭიჭინაძის (№ 469).

VI. შეკრებილი სხვადასხვა მასალები (№№ 777—1045); მათ შორის: პაპი ინოკენტ XI წერილები იბერიის მეფე გიორგისადმი (ვატიკანის არქივიდან), 1688 წ. (№ 781); ალ. ხახანაშვილის წერილები: 1) ქართული სახარების გამოცემის შესახებ; 2) ქართველ კათოლიკეთა შესახებ (№ 910); საქართველოს სამეფო ღერბის სურათი და მისი ახსნა-განმარტება (№ 912); მარი ბროსეს წერილი უცნობისადმი, 1911 წ. (№ 1023); სურათები: ერმაკოვის კოლექციიდან (№ 1034); კასტელის კოლექციიდან (№ 1035); წმინდა საბას მონასტერი იერუსალიმის მახლობლად (ფოტო) (№ 039); ჯვრის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად (ფოტო) (№ 1040);

11. ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარი (1861—1933)

პირადი საარქივო ფონდი № 11. მასალები (საბუთები) 1881—1930 წლების; შესანახი ერთეული 43; საინვენტარო აღწერა.

ა. ჯაბადარი დაიბადა 1861 წელს. სწავლობდა პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, საიდანაც 1887 წელს გამორიცხული იყო ხალხსნურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. მისი თაოსნობით შედგა „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა", რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული წიგნის გამოცემის საქმეში. 1894 წლიდან 12 წლის მანძილზე სცემდა ჟურ. „მოამბეს", რომელსაც უკანასკნელად რედაქტორობდა კიდეც.

1900 წლიდან ა. ჯაბადარი სათავეში ჩაუდგა გაზ. „ცნობის ფურცლის" გამოცემას. მანვე მოაწყო თბილისში სანიმუშო სტამბა.

უკანასკნელ წლებში იგი მუშაობდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში და საწარმოო კავშირის გამგეობაში (1925 წ.). მან დაწერა „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი და ეკონომიკა", რომელიც მის არქივშივე ინახება.

ფ ო ნ დ შ ი დ ა ც უ ლ ი ა შ ე მ დ ე გ ი: ალ. ჯაბადარის—„საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი და ეკონომიკა" (№ 1); „ჩემი მოგონებანი" 1881—1917 წ. (№ 2).

ა. ჯ ა ბ ა დ ა რ ი ს საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 3—22); მათ შორის აღსანიშნავია მასალები ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ საქართველოში (№№ 5—19) და სხვ.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა შ ე კ რ ე ბ ი ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი: (№№ 24—43): მათ შორის: ბირჟა და სავაჭრო პალატები საფრანგეთში, 1898 წ. (№ 30) და სხვ.

12. ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე

პირადი საარქივო ფონდი № 12. მასალები (საბუთები) 1850—1899 წლებისა; შესანახი ერთეული 433; საინვენტარო აღწერა.

ალექსი დავითის-ძე ოქროპირიძე დაიბადა 1824 წელს გორის მაზრაში. თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ ბერად აღიკვეცა და სახელად ალექსანდრე უწოდეს. 1869 წლიდან იყო გორის ეპისკოპოსად. თავის ძირითად მოვალეობასთან ერთად ეწეოდა საზოგადოებრივი და სამეცნიერო ხასიათის მოღვაწეობასაც. იგი მრავალ საქველმოქმედო საზოგადოებათა საპატიო წევრი იყო. მან

განაახლა მრავალი ხუროთმოძღვრების ძეგლი—ეკლესიები: სოხუმის, ჯვარის, შიომღვიმის, ზედაბნის და სხვ.

მისი საფასით გამოიცა ძველი ქართული მწერლების თხზულებანი: „მზამეტყველება“ და სწორმეტყველება ანტონ კათალიკოზისა, საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი და სხვა.

გარდაიცვალა 1907 წლის 11 ნოემბერს და დაკრძალულ იქნა შიომღვიმის მონასტერში.

ფონდში დაცულია: I. ალექსანდრე ეპისკოპოსის შესახებ ბიოგრაფიული, საზოგადოებრივი, სამსახურებრივი, სამეურნეო და სხვა საქმიანობის ამსახველი მასალები (№№ 1—240).

მიმოწერა (კერძო წერილები და დეპეშები ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი და მისი სხვებისადმი) (№№ 241—405); მათ შორის: იაკობ გოგებაშვილისა (№ 252) და სხვ.

შეკრებილი, სხვადასხვა მასალები (№ 406—433).

13. ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე (1866—1923)

პირადი სარქივო ფონდი № 13. მასალები 1880-იანი წლებიდან; შესანახი ერთეული 82; საინვენტარო აღწერა.

ილია ნაკაშიძე დაიბადა 1866 წელს თბილისში. 1895 წელს მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩაება საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მუშაობაში. სისტემატურად ბეჭდავდა პუბლუცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს „ივერიაში“, „კვალში“, „კავკაზში“ და სხვ.

გარდაიცვალა 1923 წელს თბილისში. დაკრძალულია ქარფველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ფონდში დაცულია: I. ილია ნაკაშიძის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები (№№ 1—76);

მათ შორის: დიდ ციმბირის გზაზე (№ 1); სოც. დემოკრატების მოღვაწეობა გურიაში (№ 2); სურათი—ფიქრნი და შთაბეჭდილებანი (№ 16); წერილი მუშების მიმართ (№ 19); პოეტი—ბუნებისმეტყველი (ჰენრიხ დავით თოროს ცხოვრება და ნაწერები (№ 20); რეცენზია—„ურიელ აკოსტა“ (ხუთმოქმედებიანი ტრაგედია კ. გუცკოვის, თარგმანი ბაქრაძისა) (№ 29); გურიის ამბები (№ 35, 71); სომეხ-თათართა მტრობის შესახებ (№ 36); წერილები

უცხოეთიდან (№ 37); როგორ გაეცანი ლ. ნ. ტოლსტოის (№ 39); ბახმაროს შესახებ (№ 46); წერილი ნ. ნიკოლაძის შესახებ (№ 53); ამერიკელი მწერლის ჯეკ ლონდონის შესახებ (№ 59); რეცენზია ჟურ. „ნაკადულის“ შესახებ (№ 66); მოგონება ცემში გატარებულ დროზე (№ 69) და სხვ.

II. სხვადასხვა შეკრებილი მასალა (№№ 77—82); მათ შორის: ლექსი „მარსელიეზა“ (№ 78); „ვითა ეთერი“—ლექსი აკაკი წერეთლისა (№ 80) და სხვ.

14. გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი

პირადი საარქივო ფონდი № 14. მასალები 1878—1904 წლებისა; შესანახი ერთეული 17; საინვენტარო აღწერა.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი დაიბადა 1842 წელს სოფ. გორისაში. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

1866 წელს მისი ხელმძღვანელობით დაარსდა გაზეთი „დროება“, 1868 წელს „სასოფლო გაზეთი“, 1871 წელს ყოველთვიური ჟურნალი „კრებული“.

1893 წლიდან გამოდის „კვალი“, რომელსაც გ. წერეთელი რედაქტორობდა 1897 წლამდე. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მხატვრული თხზულებანი: „მგზავრის წერილები“, „ცხოვრების ყვავილები“, „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“, „პირველი ნაბიჯი“, „გულქანი“ და სხვ. გარდაიცვალა 1900 წელს.

აქ არის წარმოდგენილი გ. წერეთლის არქივის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც საარქივო მასალის გარჩევის დროს აღმოჩნდა. მასში შემონახულია სამეურნეო ხასიათის და სხვა სახის წერილობითი მასალები 17 შესანახი ერთეულით (№№ 1—17).

ამას გარდა ხელნაწერთა განყოფილების Q ფონდში ცალკეული ნომრების ქვეშ დაცულია გ. წერეთლის არქივის შემდეგი მასალები: „დარია“, დრამა 4 მოქმედებად, „გულქან“, „ოჯახის ასული“, ნაწყვეტები (№ 384) 359 ფურც.; ისტორიულ-პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები და შენიშვნები რუსულ და ქართულ ენაზე (№ 385), 384 ფურ.

ისტორიული ხასიათის ჩანაწერები, ლექსები აკაკისა (ხალხური), ვაჟა-ფშაველასი და სხვა (№ 387) 23 ფურც.

წერილები გ. წერეთლისადმი (№ 388); აკაკი წერეთლის, დ. ხოშტარიას, რომანოზ ფანცხავას, ნიკო მარის და სხვებისა (176 ფურცელი). სხვადასხვა პირთა კერძო წერილები გიორგი წერეთლისადმი ქართულად, რუსულად და გერმანულად (№ 441) 134 წერილი.

გ. წერეთლის ავტოგრაფები: რომანი—„გულქანი", „პირიმზე", „მეამბოხენი" (№ 787).

ამას გარდა ხელნაწერთა განყოფილების სხვადასხვა ფონდებში დაცულია ქართველ მოღვაწეთა პირადი საარქივო მასალის ნაწილი ძველ ხელნაწერთა ახალ (Q) ფონდში:

ალექსანდრე სარაჯიშვილის (№ 372): 1) ავგიორგი (მოთხრობა); 2) „ვეფხისტყაოსნის" ტექსტები და შენიშვნები, საგაზეთო წერილები და სხვა (171 ფურცელი).

სვ. ხუნდაძის არქივიდან ეგ. ნინოშვილის შემდეგი მასალები (№ 402); 1) მოთხ. „საახალწლო პურ-ღვინო" (ფურ. 7); 2) საპაასო (2 ფურ.); 3) კერძო წერილები სხვადასხვა პირებისადმი (23 ცალი); განცხადება სოფ. ჩოჩხათის მამასახლისისადმი, 1893 წლის (1 ფურ.); 5) ეგ. ნინოშვილის სურათი (1 ც., 6); როტშილდის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სურათი, რომელშიც არიან ეგ. ნინოშვილის ამხანაგები (1 ც.).

ივანე ელიაშვილის ნაწერები: (№ 403); 1) ისტორიული რომანი—„უკვდავი" (66 ფურ.); 2) ღღიურები (15 ფურ.); 3) „ჩემი მემუარები (მოგონებანი), (23 ფურ.); 4) წვრილი მოთხრობები და სხვა მასალები (249 ფურ.);

ივანე ელიაშვილის არქივიდან (№ 404); წერილები ივ. ელიაშვილისადმი: ნ. მარის (1 წერილი); რომანოზ ფანცხავას (7 წერ.); აკაკი წერეთლის და მისი შვილის ალექსი წერეთლის (9 წერ.); ტასო მაჩაბლის (5 წერ.); სხვადასხვა პირებისაგან (13 წერ.); „ნაკადულის" რედაქციისა და ნინო ნაკაშიძისაგან (7 წერ.); გრ. ვოლსკის (1 წერ.); ალექსანდრე სუნბათაშვილის (იუჟინის) (1 წერილი და 2 ც. სადარბაზო ბარათი); პროფ. ვ. პეტრიაშვილის და მისი მეუღლის (4 წერ.); აკაკის ფონდის ანგარიშები და ქვითრები; საისტორიო საეთნოგ. საზოგადოების მიმართვები ივ. ჯავახიშვილისადმი აკაკის გარდაცვალების შესახებ და სხვა (5 ფ.); აკაკის ლექსები: „აღსდეგ გმირთ-გმირო", ავტოგრაფი; „ეულიკო" (ნაბეჭდი); „პარიზი" (ბეეთანას) უცნობი ხელით; აკაკი წერეთლის სახელობის საზოგადოების წესდება (2 ც.).

ანასტასია თუმანაშვილი-წერეთლის არქივის ნაწილი შესულია Q ფონდში ცალკეული ნომრების ქვეშ, შემდეგი: მიმოწერა— აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ფ. მახარაძის, კირილე ლორთქიფანიძის, ალ. ცაგარლის, პეტრე უმიკაშვილის და სხვათა 227 წერილი (№ 389, № 443); „მერქენის ასული“ თარგმანი ფრანგულიდან ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის მიერ (№ 444); ეურნალ „ჯეჯილის“ მასალები (სურათები, ნახატები და სხვ.) (№ 445).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების— S ფონდში № 5346-ით დაცულია გრიგოლ და ზურაბ წერეთლების საგვარეულო საბუთები, მიმოწერა და სხვ. (1631 ფურცელი).

ამავე ფონდის № 5347-ით დაცულია სეიმონ გოდაბრელიძის საოჯახო მიმოწერა და საბუთები (130 ფურცელი).

რუსულ ხელნაწერთა კოლექცია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია რუსული ხელნაწერების კოლექცია. მასში ირიცხება 359 ხელნაწერი და 2190 დოკუმენტი.

ქრონოლოგიურად ეს მასალა XVIII—XIX საუკუნეებისაა. ეს კოლექცია ჩამოყალიბებულია იმ ხელნაწერებისაგან, რომელნიც შეძენილი იყო კერძო საზოგადოებათა მუზეუმების მიერ სხვადასხვა დროს. ის ახლაც მზარდი ფონდია. აღნიშნულ საუკუნეთა საქართველოს ისტორიის გასათვალისწინებლად რუსული ხელნაწერების კოლექცია უაღრესად მნიშვნელოვანია. სანიმუშოდ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ.

1. ისტორია და მასალები ისტორიისათვის

1. მ. ბ რ ო ს ე. „История Грузии" ორ ნაწილად. პირველი ნაწილი იწყება უძველესი ხანიდან და გრძელდება 1469 წლამდე. მეორე ნაწილი კი იწყება 1469 წლიდან და თავდება 1744 წლით [№№ H 2039] (Ros 239), [H 2040] (Ros 240).

2. ამ კოლექციაში დაცულია დ ი მ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს რამდენიმე შრომა. მაგ. მისი ავტოგრაფები: „Кинтришский участок" (Ros 19); ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა: „Заметки дорожныя" (Ros 34); სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ჩანაწერები: „Летопись кавказской археологии за 1885—1886 год" [H 2669], (Ros 260); „Отчет об археологических находках 1886 г. на Кавказе преимущественно в Сухумском округе [H 2668] (Ros 333); შავად დაწერილი ნაშრომი, რომელიც ეხება კავკასიის უძველეს ისტორიას [H 3062] (Ros 304) და სხვა.

3. ცალკე წიგნადაა შეკრული ხელნაწერი ნ ი კ. გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს ა რომლის სათაურია „Из истории Грузии". ისტორია იწყება ანტიკური ხანის მწერლების ცნობებით, ლაპარაკია ლაზების, სვანების და მეგრელების შესახებ. ავტორი იყენებს მოსე ხორენელის და ლეონტი მროველის ცნობებს. ეხება ალ. მაკედონელის ლაშქრობას. განიხილავს ძველი ქართული ხალხური სიმღერების შედგენილობას და სხვ. [№ H 2877] (Ros 280).

4. კრიტიკული შენიშვნები უცნობი პირისა ივ. შოპენის შრომის: „Новыя заметки на древн. ист. Кавказа и его обитателей“-ს გამო [H 708] (Ros).

5. აღსანიშნავია თათარყან დადეშქელიანის ნაწერები. მათ შორის: „Историческая заметка о происхождении названия „Кавказ“ [H 1962] (Ros 237), რომელსაც დართული აქვს სვანური ლექსები; „Материалы для этнографии и истории Сванетии“ [H 2757] (Ros 264); რვეულის დასაწყისში დაუწერელია 32 ფურცელი, შემდეგ კი იწყება „О происхождении Дадешкелиановых“, რასაც ერთვის დადეშქელიანების გენეალოგიური ტაბულა. ერთნაერთისაგან დამოუკიდებელი რამდენიმე ფურცლისაგან შედგება საქმე, რომლის სათაურია: „Историческия, археологическия и географическия заметки [H 3039] (Ros 301); ამ საქმეში შესულია რუკები: აზიის წინა მხრის, გურიის, სვანეთის ნაწილების (ორი ცალი); შერვაშიძეების XVII საუკუნის გენეალოგიური ტაბულა, აფხაზეთის, ქართლ-სამცხე-არტონუჯ-ტაოს, კახეთ-გარდაბანის მეფე—მთავართა გენეალოგიური ტაბულა და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ თათარყან დადეშქელიანისავე „История картвельской (грузинской) ветви народов“ [H 1951] (Ros).

6. შეიძლება ცალკე გამოვყოთ პლატონ იოსელიანის ნაშრომები. მისი ნაშრომიდან აღსანიშნავია: „Отрывок из истории Грузии (с IV в. по X в.)“ [A 540] (Ros 140); სომხურიდან თარგმნილი „История грузинского народа“ [A 1799] (Ros 172); „Колхида“ [H 3073] (Ros 314); „Зугдиди“ [H 3070] (Ros 311); „Жинвани“ [H 5117] (Ros 131) და სხვ.

7. ხელნაწერში: „Жизнь царя Ираклия или политическое состояние Грузии в XVIII столетии в кратце“ მოთხრობილია ერეკლეს ისტორია მისი დაბადებიდან ომარ-ხანის ლაშქრობამდე [H 2481] (Ros 247).

8. სათაურით „Поход 1770 года, письма царя Ираклия“ წარმოდგენილია ანა დედოფლისადმი გაგზავნილი ერეკლეს ორი წერილის თარგმანი[1]. ამ ხელნაწერშივეა დავით რექტორის მიერ ლეონ ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ქების თარგმანი [H 3032] (Ros 298).

9. „Историческая справка о событиях в Грузии гл. обр. в 1-ой четверти 19-го столетия“. ავტორი აღნიშნული არ არის.

[1]) ამ წერილების დედნიდან გადაღებული ფოტო-პირები დაცულია ფოტო-პირების კოლექციაში.

მოკლედ მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან. ეხება გიორგი XII-ს მეფობას, ალექსანდრე ბატონიშვილის მოსვლას საქართველოში ლეკებითურთ, რუსული მართებლობის დამყარების შემდეგ მომხდარ ამბებს, ვიდრე გულისტანის ზავამდე [H 2476] (Ros 246).

10. თბილისის ისტორიისათვის საყურადღებოა ხელნაწერები: „Предисловие (к описанию древностей г. Тифлиса [H 2501] (Ros) და ერიცოვის მიერ შეგროვილი მასალა სათაურით: „Город Тифлис, его прошлое и настоящее" [H 1631] (Ros 227).

11. რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია საყურადღებო გენეალოგიური ტაბულები ა) „Генеалогия грузинских царей" (H 5114) (Ros 128) და ბ) „Генеалогическая таблица грузинских и имеретинских царей потомков Баграта III" [H 3026] (Ros 293);

12. თბილისის ამქრებს ეხება ამ კოლექციაში დაცული ორი ხელნაწერი: ა) „О тифлисском амкарстве" [H 2503] (Ros) და ბ) „Об амкарах (цехах в Тифлисе и об устройстве их)" [H 2838] (Ros 269).

13. საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ხელნაწერებია: ბ. კ. უსლარის „Обзор событий в Мингрелии в 1855 году" [H 2836] (Ros 267)[1] და ე. ვეიდენბაუმის: „Возмущение в Мингрелии в 1857 году" [H 2837] (Ros 268); ავტორი ეხება აჯანყების მიზეზებს, აჯანყების მსვლელობის ისტორიას, უტუ მიქავას როლს ამ აჯანყებაში და სხვ.

14. საქართველოს ეკლესია-მონასტრებს ეხება ორი ხელნაწერი [№№ A 475] (Ros 139) და [H 2502] (Ros).

15. ამ კოლექციის ერთი ხელნაწერი ეხება ქართლის ცხოვრებას. ავტორი ქართლის ცხოვრებას თვლის სხვადასხვა პირთა მიერ შედგენილად და არ იზიარებს აზრს, რომ იგი ერთიანი ნაწარმოებია [H 3028] (Ros 294).

16. მნიშვნელოვანია ექ. თაყაიშვილის ავტოგრაფი: „Отношения России к Грузии за древний период".

ავტორი ფიქრობს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იწყება ხაზართა დროიდან. მოყავს თქმულება დინარ დედოფალზე (თამარ მეფე), ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას თამარის დროს და სხვ. [H 2473] (Ros 243).

---

[1] ეს შრომა დაბეჭდილია სათაურით: „Гурийский отряд в 1855 году" 1880 წ. „Кавказский сборник"-ის IV ტომში.

17. რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია სომხურიდან თარგმნილი „О происхождении князей Орбелиановых“ [H 930] (Ros 207).

18. საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო მასალაა დაცული მეფეების, დედოფლების, ბატონიშვილების და სხვადასხვა პირთა რუსულად თარგმნილ წერილებში [№№ H 3031] (Ros 297);— „Письмо Ираклия II о походе в Индию 1738—1740 г.г.;“ [H 3078] (Ros 316):—„Переписка грузинскаго царя Вахтанга царицей Русуданой, царевичей Бакара, Вахушта и др., с графом Сем. Андр. Салтыковым (1734—1737 г. г.)“; [H 3079] (Ros 317):—„Переписка о супруге (царице) и сыне царя Арчила Вахтанговича, царевиче Александре и др.“; [H 3080] (Ros 318):—„Переписка о царе Ираклие (II) о моздокской епархии и проч. (1784—1793)“; [H 3085] (Ros 319):—„Копия переписки о царе Теймуразе (I), царевиче Мирнане и др“.

ასევე [№№ H 3086] (Ros, 320), [H 3087] (Ros 321), [H 3088] (Ros 322), [H 3089] (Ros 323) და სხვ.

19. ნიშვნელოვანი ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ რუსულად ნათარგმნ ქართულ დოკუმენტებში [S 5115] (Ros), ირანის შაჰების ფირმანების რუსულ თარგმანებში [S 5121] (Ros 131), სადაც დაცულია შაჰ-აბასის ბრძანება მამუკა-ბეგისადმი, ერეკლეს თხოვნა შაჰისადმი და ა. შ.

20. ისტორიული ხასიათის ხელნაწერებია აგრეთვე: „Всеобщая история“ [A 1797] (Ros 170) (პლატონ იოსელიანის ხელნაწერებიდან), „Вторая часть царствования Бориса Годунова“, [H 2474] (Ros 244) (ე. თაყაიშვილის საქმეებიდან), ოსეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა [H 2932] (Ros 287), „Описание древней мраморной плиты найденой в гор. Анапе (1880 г.) [H 2883] (Ros 282), „О закавказских армянах“ (H. 2475) (Ros 245) და სხვ.

II. ეთნოგრაფია

1. ფშავის ისტორიულ ეთნოგრაფიული აღწერილობა [S 5119] (Ros 132).

2. უცნობი ავტორის „О тохумах“ [H 2849] (Ros).

III. მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურის ისტორია

1. რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია ვეფხისტყაოსნის ნაწილების სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთა

მიერ შესრულებული თარგმანები. მათგან აღსანიშნავია: [№ H 1172] (Ros) (გადათარგმნილია 623 სტროფი); [H 1174] (Ros 210) (გადათარგმნილია 1—399 სტროფი); [H 2613] (Ros) (გადათარგმნილია 5 თავი ნავროცკის თხზულით); [H 2666] (Ros 259) რომენსკის მიერ გადათარგმნილი შესავალი (31 სტრ.).

2. აქვეა დაცული აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა თარგმანები: ა) პოემა „ვორონცოვი"-ს რუსული თარგმანი შესრულებული ნ. ა. ჩარეკოვას მიერ [H 1510] (Ros); ბ) ისტორიული ზღაპრის „გორგ-ასლანის" თარგმანი [№ H 1511] (Ros); გ) აკაკის სამი ლექსის თარგმანი: „Мой юбилей", „Песнь—песней" და „Лебединая песнь" [H 1512] (Ros); უნდა აღვნიშნოთ აკაკის რუსული ავტოგრაფები: ლექცია „О барсовой коже" [H 1495] (Ros) და სხვ.

3. ამ კოლექციაშია გრიბოედოვის კომედია (ხელნაწერი) —„Горе от ума", ნაკლული, აკლია III მოქმედების ნაწილი და მეოთხე მოქმედება მთლიანად [H 682] (Ros).

4. ლიტერატურის ისტორიიდან აღვნიშნავთ პალმიერის სტატიას—„Грузинские переводы библии" [H 3055] (Ros 303); ალ. სარაჯიშვილის: „Сходство в идее любви и изображении ея у авторов европейских и у Руставели" [H 1173] (Ros 209) და ლექციების ჩანაწერი: „О грузинской литературе" 1884 წლისა (შეიძლება იყოს ხახანაშვილისა) [H 1175] (Ros 211).

IV. ფოლკლორი

1. სამი ავარული სიმღერის თარგმანი. [H 1176] (Ros 212).

2. სოლომონ ზვანბაიას—„Краткий очерк мифологии абхазской" [H 2840] (Ros 270).

3. თათარუან დადეშქელიანის შეკრებილი—„Сванетския сказки и сказания" [H 1961] (Ros 236).

V. სამართალი

რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული სამართლის წიგნებიდან აღსანიშნავია:

1. ვახტანგ VI კანონების თარგმანი. დიმ. ბაქრაძის შენიშვნებით [№ S 5110] (Ros 125).

2. „Статьи законов (царя Вахтанга) кои комитет, учрежденный в г. Тифлисе полагает вполне или частью сохранить, изъяснить и дополнить в виде местных узаконений для Грузино-Имеретинской губернии" [H 3071] (Ros).

3. „Греческие законы из сборника грузинских законов царя Вахтанга VI“ [H 712] (Ros 201).

4. „Сборник адатов по Гунибскому и Казикумухскому округам“ [H 2845] (Ros).

VI. ლექსიკონები

რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია ორი ლექსიკონი:

1. ოსურ-რუსული ლექსიკონი [H 1462] (Ros 217), კირიონ ეპისკოპოზის შემოწირული, ნაკლული. სიტყვები განმარტებულია ცალკე ფურცლებზე და შეკრულია კონებად. ანბანის მიხედვით.

2. რუსულ-ოსური ლექსიკონის ნაწილი (განმარტებულია მხოლოდ A, Б, B), რომელიც შეუდგენია დ. ჭონქაძეს [H 670] (Ros 181). ლექსიკონს დასაწყისში აქვს მინაწერი: „ოსური ლექსიკონი, რომელიც შეუდგენია დ. ჭონქაძეს. დანარჩენი ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა. ესენი ვიპოვნეთ დეკანოზის გრ. პაველიაშვილის სახლის ყავარში ე. კ.“.

VII. სხვადასხვა

გარდა ზემოთ მითითებულისა რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში მრავალი სხვა მნიშვნელოვანი მასალაცაა. მათგან ჩვენ გამოვყოფთ შემდეგს:

1. ილია ჭავჭავაძის რუსული ავტოგრაფები: ა) „Заметки и выписки из книг Маркса-Энгельса“ (Ros 94); ბ) ამონაწერები მარქსის, შტომლერის, ლასალის, ბიუხერის და სხვათა შრომებიდან (Ros 97); გ) მოხსენებები და ჩანაწერები (Ros 95) და სხვ.

2. თავად გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის წერილები (ავტოგრაფები) ბარბარე ილიას-ასულ ორბელიანისადმი (1864 წ. 21 ივლისიდან 1882 წ. 21 აპრილამდე) [№ H 2839] (Ros 334).

3. ლევ ტოლსტოის წერილი (ავტოგრაფი) ილია ნაკაშიძისადმი გურულების შესახებ. 1905 წ. 1. II თარიღით [S 5107] (Ros 124).

4. არტურ ლაისტის მოგონება (ავტოგრაფი) „У Акаки Церетели“, 1886. [H 3130] (Ros 324).

5. ცალკე საქმეთაა შეკრული დიკაბრისტების ჩვენებანი გრიბოედოვის შესახებ. ის წარმოდგენილია სათაურით: „Грибоедов, коллежский ассесор служащий секретарем по дипломатической части при главноуправляющем в Грузии“ [№ H 2071] (Ros).

Дорогой Илья Григорьевич!
Очень жаль, что я не могу
знакомиться с лицевыми
и за все уважительные
К. Ом. сообщить, я очень
прошу что рано не
Вистоли, я в Орел
спать ночь и опять
рано я не
уже надо
Свободин К. ом. сообщить
Сарнов и
Орлами
прошлое
гария я не
существовали
завтра
лих



ლევ ტოლსტოის პირადი წერილი ილია ნაკაშიძისადმი
(ბოლო ნაკეთი). ავტოგრაფი

6. ხელნაწერთა ამ კოლექციაში ინახება 1907 წ. თბილისის მასწავლებელთა მიერ ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით შედგენილი: „Программа грузинскаго языка для правительственных учебных завелений“ [H 2884] (Ros 283). ამ პროგრამას დართული აქვს ექ. თაყაიშვილის ხელით დაწერილი თხოვნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი.

7. საინტერესოა თათარუან დადეშქელიანის წერილი: „Приват-доцент Н. Марр и его „наука“ [H 1954] (Ros 236). პასუხი ნ. მარის წერილზე: „Грузинский поэт Акакий об армянах“[1].

8. აღსანიშნავია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული სხვადასხვა მასალები ალექსანდრე ცაგარლის არქივიდან [№№ A 1760] (Ros), [A 1749] (Ros).

9. აქვეა მასალები ალ. ცაგარლის [A 1750] (Ros) და პლ. იოსელიანის [H 3063] (Ros 305) ბიოგრაფიებისათვის.

10. ცალკე ხელნაწერადაა წარმოდგენილი სამეცნიერო აკადემიის საჯაზო მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების სია [H 112] (Ros).

11. აქვეა დაცული ჩაიკოვსკის სიმღერის „Ночевала тучка золотая“-ს ხელნაწერი ნოტები ოთხი ხმისათვის, სიტყვები მ. ლერმონტოვისა. ჩაწერილია 1887 წ. 5 ივლისს ბორჯომში [H 3048] (Ros).

რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში გარდა წიგნებისა ინახება აგრეთვე საბუთებიც. ისინი თითქმის ყველა XIX საუკუნეს განეკუთვნება, ან ქართული საბუთების პირებია.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ რუსულ საბუთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის მიერ ნაბოძები დამტკიცების წიგნი ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XIII-სადმი. იმპერატორი ამ საბუთით 1783 წლის ტრაქტატის თანახმად ამტკიცებდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე გიორგი XIII, ხოლო მის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილს.

საბუთი დაწერილია საგანგებოდ შემზადებულ ეტრატზე 1799 წლის 18 აპრილს. ხელს აწერს იმპერატორი „პავლე“ და მისი კანცლერი გრაფი მიხეილ კოჩუბეი (№ 2190).

---

[1] ნ. მარის ეს სტატია დაბეჭდილი იყო „Новое Обозрение“-ში, №№ 4841, 4842.

საყურადღებოა წერილები: ა) გრაფ კოჩუბეისა გიორგი XIII-სადმი თავის მემკვიდრეობითურთ სამეფო ტახტზე დამტკიცების სიგელისა და სამეფო რეგალიების გამოგზავნის შესახებ (№ 1171); კახელ თავადების ფიცის წიგნი რუსეთის იმპერატორის ერთგულების შესახებ, № 1278; ბ) უცნობი პირისა თეკლა ბატონიშვილისადმი ამ უკანასკნელის ორდენით დაჯილდოვების შესახებ 1825 წლის 25 თებერვლის თარიღით (№ 1126) და სხვა.

გ) ლავრენტი მარის-ძე ბროსესი, ილია ჭავჭავაძისადმი. ბორდოდან ლიტერატურის გადმოგზავნის შესახებ (№ 1276).

სომხური ხელნაწერების კოლექცია

სომხური ხელნაწერების ფონდი შეიქმნა 1930 წელს. ფონდში ირიცხება 210 ხელნაწერი წიგნი. მათი დიდი რაოდენობა გადმოტანილია სხვადასხვა საზოგადოებათა ყოფ. მუზეუმების კოლექციებიდან (S, H, A); ნაწილი გადმოცემულია რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტიდან 1942 წელს, ხოლო ნაწილი შეძენილია კერძო პირთაგან უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე.

სომხური ხელნაწერები შინაარსის მხრივ სხვადასხვაგვარია, უმრავლესობა საეკლესიო მწერლობიდანაა.

ისტორია და მასალები ისტორიისათვის

სტეფანე ტარონელის (XI საუკუნის დამდეგის მოღვაწის)—სომხეთის ისტორია, № 7 (XVIII ს.); სამოელ ანელის (XII საუკ. მოღვაწის)—ქრონიკები, № 15 (XVIII ს.); მხითარ გოშის (XII—XIII საუკ. მოღვაწის)—სომხური სამართლის კრებული, № 14 (1862 წ.); თბილისის აღება აღა-მაჰმადხანის მიერ 1795 წელს, № № 22, 98.

მედიცინა

ამირ დოვლათ აშასიელის (XV საუკ. მოღვაწის)—სწავლა მკურნალობის შესახებ, № 80 (XVII ს.), № 6 (XIX ს.) და სამედიცინო ლექსიკონი № 52 (XVII ს.); უცნობი ავტორის კარაბადინი № 89 (XIX ს.).

ხახელმძღვანელო წიგნები

ქიმია № 72 (XIX ს.); ალქიმია № 153 (XVII ს.); სომხური ენის გრამატიკა № 87 (XVIII ს.); ლოგიკა № 145 (XIX ს.).

ლექსიკოგრაფია

სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი № 21 (XVIII ს.).

ხაეკლესიო მწერლობა

სომეხ საეკლესიო მწერალთა თხზულებანი: გ რ ი გ ო ლ ნ ა რ ე-კ ე ლ ი ს ა (X საუკ. მოღვაწის), № 34 (გადაწერილია 1358 წელს) და გ რ ი გ ო ლ ტ ა თ ე ვ ე ლ ი ს ა (XIV საუკ. მოღვაწის), № 19 (XVIII ს.).

ბიბლიოლოგია

ფრაგმენტები ბ ი ბ ლ ი ი დ ა ნ, დაწერილი IX—X საუკუნის მრგვლოვანი სომხურით №№ 102, 135, 181.

ო თ ხ თ ა ვ ე ბ ი: №№ 4, 18, 25,—27—XIV ს-ისა; №№ 17, 23—XV ს-ისა; №№ 24, 28—XVI ს-ისა.

ჰაგიოგრაფია

მ ა მ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა, № 92 (XVII ს.).

ჰიმნოგრაფია

ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი: № 78 (XV ს.); № 124 (XVI ს.); № 21 (1808 წ.) და სხვ.

ჰომილეტიკა

ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი—XVII—XVIII საუკუნეებისა, №№ 36, 47, 54, 55, 59.

ლიტურგიკა

ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი, №№ 1, 3, (XVI—XVII ს.).
კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი, № 41 (XVII ს.)

ეგზეგეტიკა

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა დ ა ვ ი თ ნ ი ს ა, № 16 (XVII ს.) და თ ა რ გ-მ ა ნ ე ბ ა ე ქ ვ ს თ ა დ ღ ე თ ა, № 12 (1825 წ.).

დოგმატიკურ-პოლემიკური წერილები

№ 60 (XIX ს.).

ბერძნული ხელნაწერების კოლექცია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ბერძნული ხელნაწერების მცირერიცხოვანი კოლექცია. მასში სულ 23 ხელნაწერი ირიცხება. ეს კოლექცია შედგენილია კერძო საზოგადოებათა მუზეუმებში სხვადასხვა დროს შემოსული ბერძნული ხელნაწერებიდან. ქრონოლოგიურად ისინი X—XV საუკუნეებს განეკუთვნებიან. მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა აღნიშნული კოლექცია მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია. ამათგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ.

1. კორიდეთის სახარება.

დიდი ზომის სქელტანიანი ხელნაწერი [242 ფ.], დაწერილია მთავრულით, კარგად დამუშავებულ, ყვითელ, მკვრივ ეტრატზე, X საუკუნეში. შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ყდა, [ტყავგადაკრული ხის ფიცარი], რომელსაც ვერცხლის ჭედური სამკაული დღესაც ამშვენებს. ეს არის მაღალი ოსტატობით შესრულებული ჯვარცმა, ასომთავრული ქართული წარწერით.

ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ხშირად იხსენიება სოფ. კორიდეთი, რომლის მონასტერსაც თავის დროზე ეს სახარებაც ჰკუთნებია. ასეთი სახელწოდების სოფელი ქართლაც იყო სამხრეთ საქართველოში [ართვინის ოლქი]. XVI საუკუნეში, თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს ოკუპაციის დროს, სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად ეს სახარებაც ჩრდილოეთით გაუხიზნავთ: სვანეთში წაუღიათ 1853 წელს. გენერალ ბარტოლომეის ეს ძვირფასი ხელნაწერი უნახავს კალის თემში (სვანეთში) და მისი მოკლე აღწერილობაც შეუდგენია. ამის შემდეგ, ამ ხელნაწერმა თითქმის „მთელი" რუსეთი შემოიარა. აკად. ბროსეს მეშვეობით უკან დაბრუნებული, იგი გაბრიელ ეპისკოპოსის ხელში მოხვედრილა. ამ უკანასკნელს ხელნაწერი გელათის საყდარში მოუთავსებია, საიდანაც ის საეკლესიო მუზეუმში შემოვიდა.

სპეციალისტების აზრით სახარების ეს ნუსხა რედაქციულად უაღრესად საგულისხმოა. მან თავის დროზე მრავალი მკვლევარის ყურადღება მიიქცია. მოსკოვის საიმპერატორო არქეო-

ლოგიურმა საზოგადოებამ მარკოზის სახარება, ამ ნუსხის მიხედვით, ფოტოტიპიურად გამოსცა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს ა შ ი ე ბ ი დ ა ფ ა რ უ ლ ი ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი თ. უკანასკნელთა უმეტესობა შესრულებულია მდიყანმწიგნობრული ხელით. აღნიშნულ მინაწერებში მოხსენებული არიან X—XV საუკუნეთა სამხრეთ საქართველოს ისტორიული პირები და ცნობილი საზოგადო მოღვაწენი: ი ვ ა ნ ე ჭ ი ა ს ძ ე, ბ ე შ ქ ე ნ, მ ო ო ვ ა ნ, ბ ე ქ ა, ყ ო თ ლ ა ر ს ლ ა ნ და სხვები.

ერთ-ერთ მინაწერს ძველი საქართველოს კლასობრივი ბრძოლის მეტად საგულისხმო სურათი შემოუნახავს: კორიდეთის მახლობლად, სოფ. თიხჩეში ერთ დიდ მემამულეს, მ ო ო ვ ა ნ ს მიწები ჰქონია. ეს უკანასკნელი მას კორიდეთის მონასტრისათვის შეუწირავს. შეწირულების წიგნი შემწირველს მისი უკეთ დაცვის მიზნით, კორიდეთის სახარების დაუწერელ ფურცელზე მოუთავსებია. ამის შემდეგაც ამ მამულით სოფელი ჩვეულებრივ სარგებლობდა, ხოლო განსაზღვრულ გამოსაღებს ყოველწლიურად უხდიდა მონასტერს. ერთხელ „თიხჩელებს ეს მიწები მოულოდნელად თავიანთ საკუთრებად გამოუცხადებიათ. კორიდეთის მონასტერს რომ თავისი შელახული უფლება აღედგინა და სასამართლოში დაემტკიცებინა, რომ თიხჩელების მიერ მითვისებული მიწები მონასტრის ქონებაა, უნდა თვით შეწირულების წიგნის დედანი წარედგინა. მაგრამ როდესაც ბერებს კორიდეთის სახარება ხელში აუღიათ და გაუსინჯავთ, შეწირულების წიგნი იქ ვეღარ უპოვიათ—მ თ ე ლ ი ფ უ რ ც ე ლ ი ა მ ო ჭ რ ი ლ ი და მ ო პ ა რ უ ლ ი ყ ო ფ ი ლ ა[1]“. ბრძოლის ამგვარი ხერხით სოფელს მონასტრის ყმობისაგან თავი დაუხწევია და ერთხანს მაინც თავისუფლება მოუპოვებია. მსგავსი მინაწერები მის აშიებზე ბლომად შოიპოვება. საერთოდ აღნიშნულ მინაწერბს X—XV საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, სოციალური ურთიერთობის, ეკონომიური ისტორიის და სხვა საკითხების გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვთ. თავისი განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულების გამო, ეს მინაწერები რამდენიმეჯერ ყოფილა გამოქვეყნებული და მეცნიერული კვლევა-ძიების ცალკე საგანიც გამხდარა (№ 993—A).

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. სოციალური ბრძოლის ისტორია IX—XIII საუკუნეებში საქართველოში—თბილისი, 1934, გვ. 7.

2. ოთხთავი—ეტრატზე, 89×62 სმ, ნაკლული, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XII ს. ეკუთვნის. III, IV, V გვერდებზე მოთავსებულია მახარებელთა გამოხატულებანი (№ 206—A).

3. საგალობელი—„პატივად წმინდისა ქართველისა ევფვმისა, შედგენილია ბერძენთაგან". გადმოწერილია ათონის მთაზე პლ. იოსელიანის მიერ 1849 წელს (№ 3032—S).

4. ცნობილი ბერძენი ნეოპლატონიკოსის იოანე იტალის (XI ს.) გამოუქვეყნებელი შრომები ბერძნულ ენაზე. შეიცავს 4 რვეულს. ეს ხელნაწერი მუზეუმს შემოსწირა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა. № 890—Q.

თურქულ ხელნაწერთა კოლექცია

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ძველი თურქული ხელნაწერებისა და ფირმანების კოლექციაც. მასში აღრიცხულია 487 ხელნაწერი და 119 ფირმანი. ქრონოლოგიურად ეს მასალა XV—XIX საუკუნეებს განეკუთნება.

აღნიშნული ფონდი ჩამოყალიბდა უმთავრესად კერძო საზოგადოებათა (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების) მიერ შეძენილი თურქული ხელნაწერებიდან. აქ არის აგრეთვე მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციების მიერ ჩამოტანილი და კერძო შეძენის წესით მოპოვებული ხელნაწერებიც. ამ ფონდის ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა რელიგიური შინაარსისაა: ყურანი, მისი კომენტარიები, ლოცვანი და სხვ. მაგრამ აქ მოზრდილი ნაწილი საერო ხასიათისაა: მხატვრული ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია და მეცნიერების სხვა დარგები.

1. მუზეუმში დაცულ თურქულ ხელნაწერებიდან ჩვენ სანიმუშოდ მხოლოდ ერთს დავასახელებთ. მისი სათაურია: გურჯისტანის ვილაჲეთის დიდი დავთარი.

ეს. არის საშუალო სისქის ქაღალდის მოგრძო ხელნაწერი (42×15), რომელიც 245 ფურცლისაგან შედგება და ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ტვიფრულ ყდაში.

დაწერილია თურქულ ენაზე, არაბული დამწერლობის მდივანმწიგნობრული ხელით, ძირითადად, ყოველგვარი დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე. თავის შინაარსით ეს არის „ოფიციალური დოკუმენტი, საბეგრო დავთარი, ოსმალო ხელისუფალთა მიერ შედგენილი, მათ მიერ „გურჯისტანის ვილაჲეთად“ წოდებული და ოსმალეთის იმპერიისათვის შეერთებული შემდეგი ქართული პროვინციებისთვის: სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტაანი (მტკვრის ხეობა), ტაო (ჭოროხის ხეობა) და აგრეთვე ახლანდელი ბორჯომის ხეობა, ვიდრე სოფ. ქვიშხეთამდე“.

შინაარსის მიხედვით ძეგლი შეიძლება სამ მთავარ ნაწილად დაიყოს: ერთ ნაწილს (გვ. 1—6) შეადგენს „გურჯისტანის ვილაჲეთის კანონთა წიგნი“ ე. წ. ḳ̄ანუნ-ن̄ამე. ეს ḳ̄ანუნ-ن̄ამე შედგება 21

قانونۀ نامۀ ولایت گورجستان

ولایت گورجستانۀ سنگستانۀ اولوب طپراقلاری
از اولماغلی دفتر عتیق موجبنجه هر نفر باشنه طوتدقلری
وکالری یرلری ایله یکری بش آلتی آیینجه قید اولنمیه
لر ایسه وکالرندن زمینلرنده رسم چفت ورسم بنه
ورسم دخانیه وورلیق گورجستانۀ کفهیی حسن قید
اولنمدقدن صکره اولنۀ یرلرده سالاریله آلماز
وعورتلر تصرف ایلدکلری بوز وطالی قومباب وقوتیر
خانه قید اولنوب اوزرلرنده بهسنی ورسومنی ویرمکدن معاف
اولنۀ الماق جایز وکلدر ورعایانۀ یری قوزاولوب
طپراغی قالسه اوغلنه انتقال ایدر مگر موروث کیمسه
اوغلی اولماسه قزنه انتقال ایلمز طوره جغی اولور

თავისაგან და შეიცავს კანონებს მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობისა და სხვადასხვა გადასახადისა და სოციალურ ფენათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. აქვე მოცემულია სისხლის სამართლის კანონები და წესები აღებ-მიცემის შესახებ. მეორე ნაწილში (გვ. 7—21 და 393—402) მოცემულია მაშინდელი ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით, გეოგრაფიულად დალაგებული სია, დასახელებული და დაუსახელებელი პუნქტებისა, რომლებიც გადასახადთა ობიექტს შეადგენენ. ამ მარტივ სიასთან ნაკვენებია მოცემულ ობიექტზე შეწერილი გამოსაღების ჯამი (ახჩებში). ძეგლის მესამე და ძირითადი ნაწილი (გვ. 22—392 და 403—503) ყველაზე უფრო ვრცელია და მოცემული სოფლის გამოსაღებთა სახეობისა და მოსახლეობის შესახებ დეტალური ხასიათის მასალის შემცველია. ამავე ნაწილში ჭარბადაა წარმოდგენილი ისტორიულ-ეკონომიური თვალსაზრისით მეტად საყურადღებო მონაცემების შემცველი მინაწერები.

თურქ ხელისუფალთ ეს დავთარი 1595 წლისთვის შეუდგენიათ, როგორც ჩანს მათ მიერ საქართველოს ამ ნაწილის ოკუპაციისთანავე. მეცნიერული თვალსაზრისით აღნიშნული დავთარი მრავალ მხრივ საგულისხმოა. უპირველესად ყოვლისა, აქ მოცემულია საქართველოს ამ ნაწილის სახალხო მეურნეობის ვითარების უტყუარი სურათი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის „მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეკონომიური დოვლათიანობა და მაღალი კულტურის ტრადიციები“ ახასიათებდა.

გარდა ამისა, ეს არის თურქეთის მიმძლავრების აშკარა აქტი, რომელიც მან ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლაში თავზე მოახვია ქართველი ხალხის მშობლიურ მიწა-წყალს, მისი კულტურის ისტორიულ კერას—სამცხე-საათაბაგოს. დავთარში ხშირად არიან მოხსენებულნი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი და სხვა ისტორიული პირები: სვიმონ—ქართლის მეფე, მისი ქალიშვილი—ელენე, მანუჩარ-ათაბაგი, დედისიმედი, მაწყვერელი და მრავალი სხვა.

ძვირფას მასალას შეიცავს ეს დავთარი საქართველოს აღნიშნული კუთხის მოსახლეობის და საერთოდ მისი ისტორიული გეოგრაფიის გასათვალისწინებლად. ეს ძეგლი ძვირფასი ისტორიული დოკუმენტია. ის საქვეყნოდ ღაღადებს, საქართველოს ამ კუთხეში, ქართველი ხალხის კანონიერი უფლე-



გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი
(ორი სხვადასხვა გვერდი)

ბებისა და სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობას[1] [№ 478].

გარდა ხელნაწერი წიგნებისა, მუზეუმში დაცულია თურქული ფირმანების საკმაოდ დიდი რაოდენობაც. აი მათი ზოგიერთი ნიმუშები: არზრუმის ფაშისა—იოანე ბერის დანიშვნის შესახებ მაწყვერელ ეპისკოპოსად (ჩილდირის ბეგლარბეგის წარდგენით), 1649 წ. (№ 14); სულთანისა—თურქი მოხელეებისათვის ალთუნყალის სანჯაყში [ადიგენთან] მამულების ბოძების შესახებ, 1649 წ. (№ 11); მისივე—გორის ციხის რაბათის ქეთხუდისათვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, 1723 წ. (№ 33); თურქეთის ჯარის სარდლისა—ქართველების მმართველად თავად დავით თარხანოვის დანიშვნის შესახებ, 1745 წ. [№ 38]; სულთანისა—მეჰმედ საჰიფისათვის ალთუნყალის უფროსობის ბოძების შესახებ, 1763 წ. (№ 21).

[1] ამ ძეგლის ქართული თარგმანი: გურჯისტანის ვალაიეთის დიდი დავთარი გამოაქვეყნა ს. ჯიქიამ (თბილისი, 1941). აქ მოტანილი აღწერილობა და სხვა ნაწყვეტები ამოღებულია ამ გამოცემის წინასიტყვაობიდან.

სპარსული ხელნაწერების კოლექცია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპარსულ ხელნაწერთა კოლექცია შეიცავს 641 ხელნაწერს. კოლექციაში გაერთიანდა შემდეგი ხელნაწერები: ა. მაჯდ ოხსალტანეს ხელნაწერთა კოლექცია (№ № 1—191).

ბ. სპარსული ხელნაწერები, შეძენილი ხელნაწეროა განყოფილების მიერ 1928 წლიდან.

გ. სპარსული ხელნაწერები, გამოყოფილი ქართულ ხელნაწერთა ფონდებიდან.

სპარსული კოლექცია მდიდარია ისტორიული, ლიტერატურული, საღვთისმეტყველო, ასტრონომიული და სამკურნალო ხასიათის ძეგლებით.

ისტორია: შერეფ-ედ-დინ ალი ეზდი, ზაფარ-ნამე (თემურლენგის ისტორია № 266); ისკანდერ მუნში, შაჰ აბაზ დიდის ისტორია (№ 12); მეჰდი ხანი, ნადირ შაჰის ისტორია, გადაწერილი 1769 წელს, ხელნაწერი მდიდრულად არის აკინძული, გააჩნია ქართული მინაწერი: „საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის არის, სპარსეთიდან მოტანილი 1810 წ." ხელნაწერში დაცულია აგრეთვე იმავე ავტორის ინშა, მიმოწერის ნიმუშები (№ 264); მირზა-იუსუფ ყარაბაღელი, კავკასიის ისტორია, დაწერილი 1855 წელს გრიგოლ ორბელიანის წინადადებით (№ 195); ვასაფი, მონღოლ ხელმწიფეთა ისტორია ირანში. იწყება ვარაყით შემკული უნვანით, ვარაყიან ჩარჩოებშია ჩაწერილი ტექსტი (№ 10); შემს-ოდ-დინ-ქაში, მონღოლების ისტორია, ტ. III და IV, გადაწერილია კარგი ნასთალიკით 1602 წელს (№ 84); სისთანის ისტორია, გადაწერილი 1862 წელს (№ 124); მოინ ოდდინ მოჰამედ ესფეზარი—ქალაქ ჰერათის ისტორია დაარსებიდან ჰიჯრის 875 წლამდე, გადაწერილი 1698 წელს (№ 35).

მხატვრული ლიტერატურა: სპარსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია ფირდოუსის შაჰ-ნამეს ძველი და მნიშვნელოვანი ნუსხები:

ა. შაჰ-ნამე, დიდი ზომის ხელნაწერი (544 ფ.), დაწერილია ოთხ სვეტად, კარგი ნასთალიკით, გააჩნია უნვანი და ექვსი მინიატურა, გადაწერილია 1591 წელს, აკლია დასაწყისი (№ 620).

ბ. შაჰ-ნამე, პროზული, გადაწერილი XIX ს. პირველ ნახევარში (№ 462).

ხაკანი, ნაწარმოებთა კრებული. დაწერილია წვრილი გარკვეული ნასთალიკით, გადაწერილია XIX ს. (№ 71).

ანვარი, დივანი, გადაწერილი 1472 წელს წვრილი კალიგრაფიული ნუსხით 1472 წელს (№ 164).

სენაი, დივანი (№ 160).

ნიზამი განჯელი: ა. ხამსე, გადაწერილი 1428 წელს, დაწერილი კარგი ნასთალიკით ოთხსვეტად. ყოველ პოემას წინ უძღვის კარგად შესრულებული უნვანი. ტექსტი ჩაწერილია ვარაყიან არჩოში. ხელნაწერში დაცულია ხამსეს ხუთივე პოემა:

1. საიდუმლოებათა საგანძური,
2. ხოსროვ და შირინი,
3. ლეილა და მეჯნუნი,
4. შვიდი მთიები (სურათი),
5. ისკანდერ ნამე, ორივე ნაწილი (№ 458).

ბ. ხამსე, ხელნაწერი გადაწერილია წვრილი ნასთალიკით ოთხსვეტად 1561 წელს. ხელნაწერი მდიდრულად არის შემკული. პოემების დასაწყისში მცირე უნვანი. ტექსტი ჩაწერილია ვარაყიან ჩარჩოში. ხელნაწერში დაცულია ხუთივე პოემა (№ 623).

გ. შვიდი მთიები (სურათი). ხელნაწერი გადაწერილია 1572 წელს. გააჩნია ოთხი მინიატურა. დასაწყისი აკლია. ტექსტი ჩაწერილია ვარაყიან ჩარჩოში (№ 251).

საადი: ა. ბუსთანი, ნაკლული, გადაწერილი კარგი ნასთალიკით 1579 წელს (№ 68).

ბ. გოლესთანი, ნაკლული, გადაწერილი 1585 წელს (№ 38).

ჯელალ ედინ რუმი, ა. მესნევი. ხელნაწერი დაზიანებულია, გადაწერილია ოთხ სვეტად ნასხით 1432 წელს, აშიებზე ხელნაწერს გააჩნია მრავალი საყურადღებო მინაწერი (№ 420).

ბ. მესნევი, პირველი ორი წიგნი. დაწერილია წვრილი კარგი ნასთალიკით. გვერდები და სვეტები ჩასმულია ვარაყიან და ფერად ჩარჩოში. გადაწერილია 1646 წელს (№ 257).

ჰაფიზი, დივანი, პატარა ტანის კრეული მინიატურებით (№ 580).

ჯამი: ა. ოქროს ძეწკვი, ტექსტი ჩასმულია ვარაყიან ჩარჩოში, ხელნაწერი შემკულია მდიდრული უნვანებით. გადაწერილია 1560 წელს (№ 273).

ბ. შვიდი ტახტი (პოემების კრებული). ხელნაწერი შემკულია მდიდრული უნვანებით, გადაწერილია XVIII საუკუნეში (№ 614).

გ. ბეჰარისტანი, ნაკლული ხელნაწერი, შემკული უნვანით (№ 627).

დ. დივანი, დიდი ზომის ხელნაწერი, კარგად გაფორმებული უნვანებითა და ტექსტისათვის ჩარჩოებით. გადაწერილია 1565 წელს ქ. ტაშკენტში (№ 263).

ამირ ხოსროვ დეჰლევი: ა. დივანი, გადაწერილია წვრილი კარგი ნასთალიკით 1591 წელს (№ 28).

ბ. ხამსე, გადაწერილი 1651 წელს (№ 73).

ხაკანი (ფათალი შაჰ)—დივანი, მდიდრულად გაფორმებული, გააჩნია დიდი ოსტატობით შესრულებული სამი უნვანი ხელნაწერის ყოველი გვერდი შემკულია ფოთლოვანი ორნამენტით. გადაწერილია კალიგრაფიული ნასთალიკით XIX საუკუნეში (№ 612).

ჰოსეინ ვაიზ ქაშეფი—ქილილა და დამანას განახლებული რედაქცია, გადაწერილია 1807 წელს (№ 18); ჩარდავრიშიანი (№№ 607, 355); გულანდამიანი (№ 130).

სპარსულ ხელნაწერთა კოლექციაში აღსანიშნავია აგრეთვე: ტრაქტატი აკროსტიხების შესახებ (№ 447); სპარსული ლექსიკონი, სორურის შედგენილი, გადაწერილი 1642 წელს. ლექსიკონს ბოლოში დართული აქვს მეტაფორულ გამოთქმათა ლექსიკონი (№ 5); სპარსული განმარტებითი ლექსიკონი (ფარჰანგე ჯაჰანგირი), გადაწერილი 1654 წელს (№ 24); ოთხთავი, გადაწერილი 1696 წელს. ხელნაწერს გაკეთებული აქვს მთარგმნელ-გადამწერის კომენტარები (№ 55); სამკურნალო წიგნები (№№ 27, 321).

ულუღ-ბეგის ცნობილი ასტრონომიული ტრაქტატი ტაბულებით. ხელნაწერი მეტად მდიდრულად არის შემკული (№ 621).

გარდა სპარსული ხელნაწერებისა ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია 168 სპარსული საბუთი, ჰოქმები და ფირმანები. ამათგან მნიშვნელოვანია:

შაჰ-აბაზ დიდის ფირმანი ქართლის ვექილად ქაიხოს-

რო-ბეგ ბარათაშვილის დანიშვნის შესახებ, გაცემული 1626 წელს (№ 100).

შაჰ-სეფის ფირმანი ქაიხოსრო-ბეგის სახელზე სურამის მიდამოებში თეიმურაზის დამარცხების შესახებ, გაცემული 1635 წელს (№ 2).

შაჰ სეფის ფირმანი როსტომ მეფის კეთილშობილთა ამალაში ჩარიცხულ ღულამ კაპუნა ციციშვილის ჯამაგირის შესახებ, გაცემული 1641 წ. (№ 3).

შაჰ-სეფის ფირმანი საქართველოს საკათალიკოსო მამულის მოწესრიგების შესახებ, გაცემული 1642 წ. (№ 4).

შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი ნაზარალის ბიძაშვილს ევდემოზის კათალიკოსად დამტკიცების შესახებ, გაცემული 1701 წ. (№ 45).

შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი თბილისის მეციხოვნეთა ჯამაგირის შესახებ, გაცემული 1701 წ. (№ 16).

შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი ქართლისა და კახეთის მეფეებისადმი საეკლესიო მამულებზე კათალიკოზის უფლების განმტკიცების შესახებ, გაცემული 1708 წ. (№ 47).

ერეკლე II ბრძანება ივანე აბაშიძის სახელზე, მიმოფანტულ გლეხთა დაბრუნებისათვის ხელის შეწყობის შესახებ, გაცემული 1737 წ. (№ 65).

ნადირ-შაჰის ფირმანი სარდლობისა და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველებისადმი, გაცემული 1735 წელს (№ 109).

ნადირ-შაჰის ფირმანი ელიზბარ ყაფლანიშვილის თბილისის ოლქის ეშიკაღასიბაშად დამტკიცების შესახებ, გაცემული 1742 წელს (№ 27).

სეფიანთა ტახტის მაძიებელ შაჰ-ზადას ფირმანი ქართლის დიდებულთა და მდაბიოთა სახელზე გივი ამილახორთან გაერთიანებისა და უსუფ ფაშასთან დაკავშირების შესახებ, გაცემული 1744 წ. (№ 28).

გარდა სპარსული საბუთებისა ძველი ქართული საბუთების ფონდებში დაცულია ორენოვანი (სპარსულ-ქართული) საბუთები

ხელნაწერთა ფოტოპირების კოლექცია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გარდა ხელნაწერებისა, დაცულია ფოტოპირებისა და მიკროგადაღებათა კოლექცია.

ეს კოლექცია შეიცავს მუზეუმის ფონდების უნიკალურ ხელნაწერთა და საქართველოს გარეთ დაცულ ხელნაწერთა პირებს. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა. XI საუკუნის ხელნაწერის ფოტო. ხელნაწერი ძველი და ყველაზე სრული ნუსხაა ამ მნიშვნელოვანი ძეგლისა, დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ფოტოპირი შემოწირულია აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს მიერ (ფ. პ. Q—580).

პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს ქართული მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ტ ვ ი პ ი კ ო ნ ი ს ქართული ტექსტი (მიკროგადაღება). ტვიპიკონი შედგენილია გრიგოლ ბაკურიანის მიერ მის მიერვე დაარსებულ პეტრიწონის მონასტრისათვის. დედანი წარმოადგენს XI საუკუნის ხელნაწერის პირს, გადმოწერილს XIX საუკუნეში. ტვიპიკონი დაცულია სოფიის სახალხო ბიბლიოთეკაში. ტვიპიკონის მიკროგადაღება ბულგარეთიდან ჩამოტანილია აკად. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ 1949 წელს (მ. გ. Q—917).

ა დ ი შ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი (ფოტოპირი). ხელნაწერი გადაწერილია შატბერდში 897 წელს. ხელნაწერი დიდხანს ინახებოდა ზემო სვანეთში, სოფ. ადიშში, ხოლო ამჟამად დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ადიშის ოთხთავის ფოტოპირები, ნატურალური ზომით, გაკეთებულია ერმაკოვის მიერ. ფოტოპირები საფუძვლად დაედვა ექ. თაყაიშვილისა და ალ. ხახანაშვილის მიერ მომზადებულ ამ ოთხთავის ფოტოტიპურ გამოცემას. ფოტოპირები ოთხ ალბომად არის შეკრული (ფ. პ. № 62).

გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა (ფოტოპირი). დედანი, XII ს. ხელნაწერი, ინახება იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში. მუზეუმის ფოტოპირები გადმოღებულია ა კ ა დ. ნ. მ ა რ ი ს მიერ იერუსალიმში გაკეთებული ფოტოპირებიდან (ფ. პ. № 82).

ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, ფოტოპირი. დედანი გადაწერილია მელქისედეგ კავკასიძის მიერ. დედანი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში (ფ. პ. № Q—804).

მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი" (ფოტოპირი). დედანი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდში. ხელნაწერი მნიშვნელოვანია იმით, რომ ნასწორებია ავტორის მიერ (ფ. პ. № Q—804).

პარიზული ვეფხისტყაოსანი, მიკროგადაღება. XVII საუკუნეში გადაწერილი დედანი დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (ფ. პ. № 84).

ქართლის ცხოვრება (შევსებული), ფოტოპირი. დედანი, თეიმურაზ ბატონიშვილის კოლექციის XVIII ს. ხელნაწერი, დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში.

ქართლის ცხოვრება (შევსებული), ფოტოპირი. დედანი, იოანე ბატონიშვილის კოლექციის XVIII ს. ხელნაწერი, დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდში.

თეიმურაზ ბატონიშვილი, „ტფილისისთვის უფლისა ბროსეტისადმი უწყება", ავტოგრაფი (ფოტოპირი). ხელნაწერი შეიცავს ისტორიული ხასიათის მასალებს მარი ბროსესთან გაგზავნილს. მასალებს წინ უძღვის თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი მარი ბროსესთან. დედანი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 76).

თეიმურაზ ბატონიშვილის ლექსიკოლოგიური შრომები, ავტოგრაფი (ფოტოპირი). მასალები გაგზავნილია ავტორის მიერ მარი ბროსესთან, დედანი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. №№ 69, 77).

ქართველთ მეფობა, ქართველ მეფეთა ქრონოლოგიურად შედგენილი სია (ფოტოპირი). ქართველთ მეფობა გადმოღებულია მარი ბროსესათვის მარიამ—მაკრინეს გადაწერილ ერთ-ერთ ხელნაწერიდან. ფოტოპირის დედანი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 70).

ძველ ქართულ ნათარგმნ წიგნთა კატალოგი, შედგენილი დავით რექტორის მიერ 1810 წელს. ავტოგრაფი (ფოტოპირი). დედანი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 65).

ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს რუკა, ავტოგრაფი (ფოტოპირი). დედანი ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 64).

მამუკა ბარათაშვილი, ქება მეფისა ბაქარისა (ფოტოპირი). დედანი ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 63).

ვახტანგ VI, ქება (ფოტოპირი). დედანი ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 72).

ერეკლე II წერილები ანა დედოფლისადმი, ავტოგრაფი (ფოტოპირი). დედნები დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ № 68).

XVII—XVIII ს.ს. დოკუმენტები, უმთავრესად ქართველ მეფეთა მიმოწერა რუსეთის იმპერატორებთან (ფოტოპირი). დედნები დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 78).

წერილები იმერეთის დედოფალ ანასადმი, მიწერილი ოსე გაბაონის და ზაქარია არქიმანდრიტის მიერ (ფოტოპირი). დედნები დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში (ფ. პ. № 78).

პორფირი უსპენსკის არქივის ნაწილი (ფოტოპირი). ამონაწერები ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერებიდან, ბერძნულ-ლათინური ტექსტები რუსული თარგმანებითა და კომენტარებით (H—3145).

ნ. მარი, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ფოტოპირი). დედანი დაცულია ლენინგრადში (ფ. პ. № 65).

გზამკვლევში მოხსენებულ ქართულ ხელნაწერთა საძიებელი

ისტორია

			თარიღი	№	გვ.
ზოქცევაჲ ქართლისაჲ,			973—976	S-1141	44, 46
„	„	ბელიშური	XIV	H-600	172—173
ქართლის ცხოვრება,		ანასეული	1479—1496	Q-795	211
„	„	ბალაშვილისეული	XVI—XVII		
			და 1731	Q-207	212
„	„	მარიამ დედოფლი-			
		სეული	1633—1646	S-30	46, 72
„	„	რუმიანცევისეული	XVIII	H-2080	174—175
„	„	„ ნაწყვ.	XVIII	S-3226	47
„	„	მ. ჯანაშვილისეული	XVIII	S-4730	47
„	„	მაჩაბლისეული	1736	H-2135	175—176
„	„		XVIII	A-131	135
„	„	ბარათაშვილისეული	1761	S-25	47
„	„	დადიანისეული	XVIII	S-354	47
„	„	ფალავანდიშვილისეული	1761	H-988	176
„	„	შევსებული	1822	S-5316	48
„	„	„	XIX	S 5314	48
„	„		XIX	H-2665	176
„	„	ჩუბინაშვილისეული	XIX	S-3566	46—47
ბ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ ა რ ს ა დ ა ნ					
საქართველოს ისტორია			XVII	H-2492,	174
				H-2140	174
ვ ა ხ ტ ა ნ გ VI					
ბაგრატიონთა გენეალოგია, (ავტოგ.)			XVIII	Q-884	212
„	„		XVIII	Q-155	212
ვ ა ხ უ შ ტ ი					
ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა			1774	S-281	48
„	„		1785	S-4736	48
„	„		1787	A-1230	135
„	„		XVIII	A-756	135
„	„	შემოკლებული	XVIII	S-5311	48—49
„	„		XVIII (II ნახ.)	S-3960	48
„	„		1816	S-4990	48
„	„		XIX	Q-475,	212
				Q-165	212

	თარიღი	№	გვ.
ვახუშტი			
აღწერა აწინდელისა ქართლისა	XVIII	H-2302	184
ჩხეიძე სეხნია, ორბელიანი			
პაპუნა			
ისტორიული თხზულებები	1773	H-2304	176
ბაგრატ მეფე			
აფხაზთა ისტორია (კრებულში)	XVIII	H-1283	173
ორბელიანი სტეფანოზ			
ორბელიანთა გვარის ისტორია	1801	A-864	136
ანტონ I			
შთამომავლობისათვის საქართველოს			
მეფეთა	XVIII	A-1137	136
ხერხეულიძე ომან			
ცხოვრება საქართველოს მეფის ირაკლი			
მეორისა	1820	A-1224	135
„ „ „ „	1842	A-1178	135
დავით ბატონიშვილი			
ახალი ისტორია	XIX	H-2133	178
„ „	XIX	Q-494	212
თეიმურაზ ბატონიშვილი			
საქართველოს ისტორია	XIX	A-1767	136
დადიანი ნიკოლოზ			
ქართველთა ცხოვრება	XIX	S-9	49
ტაბიძე სვიმონ			
ცხოვრება მეფის ირაკლისა	XIX	H-1779	178
საქართველოს ისტორიიდან—ნაწყვ.	XIX	A-1230	135
საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ	XIX	A-1767	136
ისტორია ნადირ ავშარელისა	1814	H-2104	178
ისტორია ქსნის ერისთავთა	1828	H-2496	178
ორბელიანი ალექსანდრე			
1829 წლის არეულობა საქართველოში	1865	H-2471	178
იოსელიანი პლატონ			
ცხოვრება გიორგი XIII-ისა	1867	H-2301	179
გერგეტის სულთა მატიანე	XV	A-1085	135
სულთა მატიანე	XV—XVI	H-2090—2093	173
ათაბაგთა სულთა მატიანე	XV—XVI	H-1717	173—174
მესხური ხელნაწერის სულთა მატიანე	XVI	S-1246	49
მესხური დავითნის მატიანე	1561—1587	S-947	46
კჯნელოსი	XVII—XVIII	Q-605	212
პარიზის ქრონიკა	XIX	H-2037	178
ხელმწიფის კარის გარიგება	XVII	H-3097	173
გეორგიევსკის ტრაქტატი	1783	H-2073 ა,ბ	176—177
საჯარო პაექრობა თელავის სემი-			
ნარიაში	1792	H-2291	177

	თარიღი	№	გვ.
ძველი ბაკი და ნიხრი საქართველოში	XIX	H-2583	178
დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა	1578	H-626	174
ორბელიანი ნიკოლოზ			
მროველის სამწყსოს დავთარი	1715	H-1294	176
დავთარი საცაიშლო	XIX	H-2508	180
დავთარი საქუთათლოს საბუთებისა	XIX	H-2752	181
დავთრები შემოსავალ-გასავლის	XX	Q-934—952	213
კაცხის მონასტრის გუჯრების კრებული	1797	H-1781	180
როარტაგი	1788	H-2110	180
მღვიმის მონასტრის გუჯრების კრებული	XIX	H-1705	180
კრებული საორბელო საბუთებისა	XIX	H-2508	180
„ „ „	1819	H-2511	180
სამდივნო წიგნები	XVIII	H-18, 1334	186
კავკასიის მთიელებთან ბრძოლა XIX ს. პირველ ნახევარში	XIX	Q-194	212
მოხსენებები საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ ა/კავკასიაში	XIX	Q-847ბ	213
მოგონება ქუთაისის საზოგადოების ცხოვრებიდან	XX	Q-800	213
დღიური ხოჯავანათ მღვდლის მამა იოვანესი	XIX	H-2782	179
იოანე ბატონიშვილი „სჯულდება“—კანონ-პროექტი	1799	H-2155	177—178
ლარგვისის არხიმანდრიტის პაფნოტის „ვნებათა“ აღწერა	1821	S-1206	49
მზითვის წიგნი ელისაბედ ბატონიშვილისა	XVIII	H-1052	181
ბეჭდების ლეგენდები	1863	A-925	136
კასტელი ქრისტეფორე			
ალბომი (ფოტოპირები)	XX	Q-582	213
იოსებ ფლავიოსი			
იუდეანთა ისტორია	XIII	A-675	136
იოსიპოს ფლავიოსი			
წიგნი ჰურიაისაჲ	1834—1835	S-315—319	
		320—321	50
ბრძოლისათვის იუდაელთასა	1836—1837	S-322—324	50
შჯდთა კრებათა მოთხრობა, თარგმ. 1153 წ.	XVIII	S-2397	51
გიორგი ამარტოლი			
ხრონოგრაფი	XIII	A-174	136
„	XVII	A-685	136
„	XVIII	H-2252	174
„	1805—1806	S-1177	51

	თარიღი	№	გვ.
სტრათემანი			
თეატრო ანუ ასპარეზი მატიანული	1740	S-420	50
ლევან ბაქარის ძე			
ანბავნი გინა ისტორიანი	1763	S-385	50
მსოფლიო ისტორია	1769	A-657	136
ძველი ისტორია	1792	S-204	51
ჰეროდოტეს ისტორია	1836	S-309	51
კორნელიოს ტაციტი			
წელიწერაჲ	XIX	S-1674	50
კვინტოს კურციოსი			
საკმეთათვის ალექსანდრე მაკედონელისა	XIX	S-394	51

გეოგრაფია—მოგზაურობა

ვახუშტი			
ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა	XVIII	A-756 ,1230	138
დავით რექტორი			
საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა	XVIII	H-2673	184
„ „ „	XVIII	S-196	53
გეოგრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის			
სიმგრგულისათვის	1730	A-1007	138
მსოფლიო გეოგრაფია	1737	S-1743	53
„ „	1752	A-717	138
სამგზავრო გეოგრაფია	1788	S-141	53
გეოგრაფია სამგზავროდ სახმარი	XVIII	A-1414	138
ვახუშტი			
საქართველოს რუკების ატლასი	1735	H-2079	183
კავკასიის რუკები, ვახუშტის მიხედვით	XIX	S-3703	54
რუკა ქართველ მაჰმადიანთა სოფლების ისმითის სანჯაყში	1919	Q-873	213
ყიფიანი მიხეილ			
კავკასიის რუკა	1868	S-3227ბ	54
ორბელიანი ს. ს.			
მოგზაურობა ევროპაში	XIX	Q-749	216
გაბაშვილი ტიმოთე			
მოხილვა	XVIII	Q-80	215—216
„	XVIII	S-3244	54
„	XVIII	H-1014	184
ონიკაშვილი ნიკოლოზ			
მოგზაურობა მცხეთიდან პეტერბურგამდე	1801	H-2810	184
„ „ „	XIX	S-5082	54

	თარიღი	№	გვ.
ავალიშვილი გიორგი			
მოგზაურობა	[1820]	S-450	54
გრიგოლ ბატონიშვილი			
მოგზაურობა	XIX	H-2178	185
მელვინეთ-უხუცესი დიმიტრი			
მოგზაურობა	XIX	H-2587	185

სამართალი

ბექა-აღბუღა			
სამართალი	1672	Q-906	217
ვახტანგ VI			
სამართლის წიგნები	1703- 1712	S-3683	51—52
ვახტანგ VI-ის სამართლის წიგ-ნის შესავალი და საძიებელი	1703—1712	S-2457	52
ვახტანგ VI			
სამართლის წიგნები	1751	H-1070	182
„ „	XVIII	Q-229	217
„ „	1829	S-3682	52
„ „	XIX	A-874	138
„ „	1825	A-296	137
„ „	XIX (დასაწყ.)	S-1275	52
„ „	XIX	A-875	137
„ „	XIX	A-784	138
„ „	XIX	A-847	138
ალექსი მიხეილის ძე			
რუსული სამართლის წიგნები	1721	S-3614	52
„ „ „	1760	H-1426	182
დავით ბატონიშვილი			
სამართალი	XVIII	H-2330	182
„ (პირი)	XX	H-840	182
ვახტანგ VI			
დასტურლამალი	XIX	S-1507	52
მუსულმანთა სარჯულო წიგნი	XVIII	S-174	53

სამხედრო საქმე

ხარბაზნის სწავლა, ალ. ბატონი-შვილის თარგმანი	1722	H-1069	183
„ „ „	XVIII	S-167	39
არტილერიის წიგნი	XVIII	H-2333	183
სამხედრო ტიბიკონი	1784	H-2109	183
სამხედრო წესდება	XVIII	Q-24	218
ფორტიფიკაცია	XVIII	H-2161	183
დავით ბატონიშვილი			
არტილერიის წიგნი	XVIII—XIX	H-2165	183
ძლევისათვის მტერთა ზედა	1830	Q-161	218

გრამატიკა, ლექსიკონები

	თარიღი	№	გვ.
ორბელიანი ს. ს.			
გრამატიკა (ლექსიკონში)	XVII—XVIII	S-247	47
გრამატიკის სახელმძღვანელო ლა-თინთათვის	1724	Q-500	216
შანშოვანი ხურაბ			
გრამატიკა	XVIII	Q-860	216
ანტონ I			
ქართული ენის გრამატიკა	1754	A-531	136
გრამატიკა	1767	H-2066	185
ქართული ენის გრამატიკა	XVIII	A-553	136
„	1768	S-419	42
სიმეტნე გრამატიკისა	1769	H-2067	185
ქართული ენის გრამატიკა	1782	A-720	136
დავით ბატონიშვილი			
ქართული ენის გრამატიკა	1795	A-408	137
გაიოზი			
გრამატიკა	1787	S-35	42
დავით ბატონიშვილი			
გრამატიკა	1790	S-532	42
იონა ხელაშვილი			
ანბანის განმარტება	1828	A-1004	137
დავით ბატონიშვილი			
ქართული ენის გრამატიკა	1850	A-795	137
დადიანი ნიკო (I)			
ქართული გრამატიკა ყრმათათვის	1821	A-1019	137
იოანე ბატონიშვილი			
გრამატიკა	1827	H-2287	186
„	1783	H-2255	185
კირილე ალექსანდრიელი			
ლექსიკონი (კრებულში)	XII	A-65	137
ორბელიანი ს. ს.			
ლექსიკონი (ნუსხური ხელით)	XVII—XVIII	S-247	42
„	1716	H-1658	185
ქართული ლექსიკონი	1719—1720	A-1473	137
„ „	1721—1722	A-75	137
„ „	1728	Q-953	216
„ „	1731	A-1703	137
„ „	1745	A-1157	137
„ „	1755	S-4748	42
„ „	1758	S-2727	42—43
„ „	1758	S-2696	43
„ „	1763	A-873	137

	თარიღი	№	გვ.
ორბელიანი ს. ს.			
ლექსიკონი	XVIII	S-2987	43
„	XVIII	H-416	185
„	XVIII	Q-400	216
„	XVIII	H-1035	185
„	XVIII	H-1429	185
„	XVIII	A-1473	137
„	XVIII	A-1074	137
„	XVIII	A-1113	137
„	XVIII	A-1201	137
„	XVIII	A-1211	137
„	XVIII	A-1704	137
„	XIX	Q-401	216
„	1807	A-172	137
„	1816	A-288	137
„	1828	A-1428	137
იოანე ბატონიშვილი			
ლექსიკონი (ნაწყვ.)	XVIII—XIX	H-2289	185
ლათინურ-ქართული ლექსიკონი	XVIII	S-4742	44
ლათინურ-თათრული ლექსიკონი	XVIII	S-2880	43—44
სალექსიკონო შენიშვნები	XVIII	S-3715	44
ჩუბინაშვილი დ.			
ქართულ-რუსული ლექსიკონის დედანი	XIX	S-3714	44
რუსულ-ქართული ლექსიკონი	1823	S-2387	43
„ „	2828	A-1148	137
„ „ ორ ტომად	1832	S-3712	44
„ „	„	S-3713	44
თეიმურაზ ბატონიშვილი			
ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი	1843	S-3716	43
იონა ხელაშვილი			
რუსულ-ქართული ლექსიკონი	XIX	S-22	43
სალექსიკონო მასალა	XIX	S-3677	43
ქვარიანი ს.			
ქართულ-რუსული ლექსიკონი	1893—1896	A-1295	137
ოქროპირიძე ნ.			
რუსულ-ქართული ლექსიკონი	XIX	A-1594	137
რუსულ-ქართულ-სვანური ლექ-სიკონი.	XIX	A-1603	137
რუსულ-ქართული ლექსიკონი	XIX	Q-728	216
„ „	XIX	Q-729	216
„ „	XIX	Q-282	216
„ „	XIX	Q-346	216
ქართულ-თურქული ლექსიკონი	XVIII	Q-98	216
მიქელაძე ევსევი			
ქართულ-ბერძნული ლექსიკონი	XIX	A-1329	137

	თარიღი	№	გვ.
წინამძღვრიშვილი ანდრია			
ფრანგულ-ქართული და ქართულ-ფრანგული ლექსიკონი	1896	A-114	137
საბუნებისმეტყველო რუსულ-ქართული ლექსიკონი	1814	A-1727	137
განმარტება ეფესტყაოსნის ზოგიერთი სიტყვისა	XIX	H-2523	170
ასტრონომიულ-კალენდარული მეცნიერება და ასტროლოგია			
ასტრონომიული ტრაქტატი (კრებულში)	1188	A-65	132
აბუსერიძე ტბელი			
ასტრონომიულ-კალენდარული ტრაქტატი	1233	A-85	135
1233 წლის ასტრონომიულ-კალენდარული ტრაქტატი	XVI	S-312	36—37
ულუღ-ბეგი			
ვარსკვლავთა კატალოგი	1737	S-161	37
საეტლო და სამთვარიო	XV—XVI	Q-352	218
საეტლო	XVIII	Q-586	218
ფიზიკა-მათემატიკა, ბუნებისმეტყველება			
გეომეტრია, ვახტანგ VI-ის შენიშვნებით	1725	S-167	37—38
მათემათიკის სასწავლო წიგნი	XVIII	Q-815	218
„ „	XVIII	Q-816	218
„ „	XVIII	Q-824	218
ვახტანგ VI			
წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნა, ვახუშტის ხელით	XVIII (40-იან. წლ.)	S-3721	38
შემოკლებული „ფიზიკა“	1767	S-114	38
„ „	XVIII	Q-491	218
„ „	1767	H-2369	186
იოანე ბატონიშვილი			
კალმასობა	1813—1828	S-5374	40
ქართულ-რუსულ-ლათინური საბუნებისმეტყველო ლექსიკონი	1814	S-3986	40
ბახლიძე იოანე			
საბუნებისმეტყველო ლექსიკონი	1821	S-362	40, 44
დავით ბატონიშვილი			
ფიზიკა	1818	H-2368	186
იოანე ბატონიშვილი			
არიფმეტიკა, გეომეტრია და პლანიმეტრია	XVIII—XIX	H-218	186

	თარიღი	№	გვ:
„მოკლედ მოთხრობა ჰაერსა შორის მროკველისა გუნდისა“	1788	S-136	39

სამკურნალო წიგნები

კარაბადინი უსწორო	XIV—XV	Q-26	218
ფანასკერტელი ზაზა			
კარაბადინი	XV	Q-877	218
„წიგნი სააქიმოჲ“	XV—XVI	S-1274	40—41
დაუთხანი			
კარაბადინი	XVI	Q-270	218
„	1854	S-1095	41
„	1785	A-760	138
ცხენის კარაბადინი	1788	A-652	138
„ „	XIX	A-671	138
აბდულ მიქელაძის მიერ აჭარაში ნაპოვნი სამკურნალო წიგნი	XVIII	S-2493	41
კარაბადინი	XVIII—XIX	A-769	138

ეთნოგრაფია, ხალხური ზეპირსიტყვიერება

გიორგიძე პ.			
აფხაზეთი და აფხაზნი	XIX	H-1998	182
თავისუფალი სვანი			
ეთნოგრაფიული წერილები	XIX	H-1998 ბ	182
ეთნოგრაფიული წერილები	XIX	H-1998დ	182
მესხურ-ჯავახური სახალხო თამაშობანი და ქორწილი	XIX	H-2010ბ	182
ვაჟა ფშაველა			
ეთნოგრაფიული წერილები	XIX—XX	H-1998ია	182
თქმულებები შ. რუსთაველის შესახებ	XX	Q-408	218
ხალხური ვეფხისტყაოსანი	XIX	H-1999ა	182
ხალხურ ლექსთა კრებული	XIX—XX	Q-314	215
ზეპირთქმულებანი სოლომონ მეფის შესახებ	XIX	H-1931	181
ფასკუნჯი (ხლაპარი)	XIX	H-1997	181
ჯავახური ხლაპრების კრებული	XIX	H-1997ბ	181
ქართლის ხლაპრები	XIX	H-1965	181
კახეთში შეკრებილი ხლაპრები	XIX	H-1964	181
სვანური ხლაპარი	XIX	H-1959	181
ფშავში შეკრებილი ხლაპრები	XIX	H-1963	181
ორი ხლაპარი	XVII	H-1601ა,ბ	181

ქართველ მოღვაწეთა მიმოწერა

ანტონ I			
წერილები	XVIII	H-2510	179
ქართველი ბატონიშვილების რუსეთიდან მოწერილი წერილები	XVIII—XIX	H-3254	179

	თარიღი	№	გვ.
[გ უ რ ი ე ლ ი მ ა მ ი ა]			
წერილები მამია სვიმონის ძე გურიელისადმი	1809—1820	H-2512	179
პ ო ტ ე მ კ ი ნ ი პ ა ვ ლ ე			
წერილები ერეკლე მეფისადმი	XIX	H-2300	179
თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი			
წერილი ბროსესადმი	1845	Q-888	216
ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ნ.			
წერილი	1845	Q-419	216
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გ რ ი გ ო ლ			
მიმოწერა	1833—1882	Q-155	216
	1833—1882	Q-932	216
ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ე, ა თ ო ნ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი			
მიმოწერა	1872—1900	Q-150	216
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ი ლ ი ა			
წერილები ალექსანდრე ოქროპირიძისადმი	XIX	A-1400	141
ქართველ მოღვაწეთა წერილები ილია ჭავჭავაძისადმი	XIX	A-1270	141
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ი ლ ი ა			
წერილები ოღლა გურამიშვილისადმი	XIX	A-1720	141
რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი თ.			
წერილები	XX	Q-778	217
ქართველ მოღვაწეთა წერილები	XIX—XX	Q-373	217
ე ვ დ ო შ ვ ი ლ ი ი რ.			
წერილი	1912	Q-932	217
ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ე გ.			
წერილი ა. თოიძისადმი	1888	Q-152	217

კრიტიკა და ბიო-ბიბლიოგრაფია

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ი ლ ი ა			
ყაზბეგის მამის მკვლელის შესახებ (ავტ.)	XIX	Q-190	215
იანოვსკის წერილის გამო (ავტოგრ.)	XIX	Q-874	215
ა რ დ ა ზ ი ა ნ ი ლ.			
რენანის „იესო ქრისტეს“ კრიტიკა (ავტ.)	XIX	Q-784	215
ა ნ ტ ო ნ I			
წყობილსიტყვაობა	1810	A-638	136
	XIX	A-602	136
მ ა მ ა ი ლ ა რ ი ო ნ ი			
ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა სია	1836	H-2788	186

	თარიღი	№	გვ.
სია ქართულთა ხელნაწერთა ივერიის მოხასტერსა შინა	XIX	A-1767	136
ათონის ივერიის მონასტერში დაცული წიგნების სია	XIX	A-1141	141
ათონის წიგნთსაცავის რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა	XIX	A-1140	141
დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი			
კატალოგი ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის	XIX	A-1767	136
თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ ი ხ ე ი ლ			
ტორე დელ გრეკოს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა სია	XIX—XX	H-1601	187
ტ ა რ ა ს ი ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი			
ქართული საეკლესიო-სამღვდელმსახურო წიგნების ისტორიული მიმოხილვა	1868	A-322	141
დავით ამირაგოვის საკუთარი წიგნების კატალოგი	XIX	A-670	141
თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი	XIX	A-1091	141
ვ ა რ დ რ ო პ ი ო ლ ი ვ ერ			
ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართული წიგნების სია	XIX	H-1154	187
ყ ი ფ შ ი ძ ე ი ო ს ე ბ			
გაზ. „სახალხო ფურცლის“ საძიებელი	1915	H-2430	187
ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ.			
აწყურის სვინაქსარის აღწერილობა	XX	Q-574	216
ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ.			
ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა	XX	Q-579	216
ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ.			
ქართველთა შორის წ. კ. გ. სახ-ბის ხელნაწერთა აღწერილობა	XX	Q-578	216
გ ო რ გ ა ძ ე ს.			
სამართლის წიგნების და ფილოსოფიური ხასიათის ხელნაწერთა აღწერილობა	XX	Q-788	216
აკაკი წერეთლის ავტოგრაფების სია და მ:თი ანბანური საძიებელი	XX	H-1503	187
აკაკის ბიბლიოგრაფია	XX	H-1466	187
ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ.			
სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ავტ.)	XX	Q-700	216

	თარიღი	№	გვ.
ცნობანი სამართლის წიგნის ხელ-ნაწერთა შესახებ (ავტ.)	XIX—XX	H-2665	187

მხატვრული ლიტერატურა

ეფრემ მცირე			
სიტყუადართულობანი	XI	S-1276	58
შოთასძე სიმეონ			
წმ. გიორგის შესხმა (ლექსად)	XV	H-1752	196
ვისრამიანი	XVII	S-27	59
„	XVIII	Q-355	214
მოსე ხონელი			
ამირან-დარეჯანიანი	XVII	S-393	59
„	XVI	A-441	139
„	XVII	H-2149	118
„	XVII—XVIII	Q-340	214
„	XVIII	A-454	139
„	XIX	Q-619	214
რუსთაველი შოთა			
ვეფხისტყაოსანი	1646	H-599	166
„	1680	H-54	168
„	1688	S-2829	59
„	XVII	A-363	138
„	XVII	H-2074	168
„	XVII	Q-261	213
„ მდივნისეული	XVII	Q-779	213
„	XVII	Q-930	213
„	XVII	S-4499	58—59
„	XVII—XVIII	S-5006	58
„	1714	A-859	138
„	1762	A-530	138
„	1790	A-855	138
როსტომიანი	XVII	A-788	139
„	XVIII	A-858	139
ბეჟანიანი	XIX	Q-775	214
„	XIX	Q-604	214
სირინოზიანი	XIX	A-793	139
„	XIX	Q-357	214
ყარამანიანი	XVIII	A-283	139
„	XVIII	A-930	139
„	1831	A-1128	139
„	1831	A-1129	139
„	XIX	A-862	139
„	XIX	Q-172	214
„	XIX	Q-253	214

	თარიღი	№	გვ.
ყარამანიანი	XIX	Q-396	214
»	XIX	Q-162	214
მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი			
ამირან-დარეჯანიანი, თანიაშვილის მერე გალექსილი	XVIII	S-357	59
ალექსანდრიანი პეტრე ჩხატარაისძისეული	1762	Q-735	214
»	1789	S-1514	51
»	XVIII	Q-730	214
ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო			
ომაინიანი	1782	S-3163	60
»	XVIII	Q-721	214
რუსუდანიანი	XIX	Q-355	214
მირიანი	1836	A-990	139
»	XIX	Q-756	214
»	XIX	Q-754	214
ჩარდავრიშიანი	XVIII	Q-723	214
»	XIX	Q-252	214
»	XIX	A-660	139
»	XIX	A-865	139
ქალ-ვაჟიანი, ფრაგმენტი	XIX	Q-745	214
»	XIX	A-473	139
ქილილა და დამანა (ს. ს. ორბელიანის ხელით)	1717—1724	S-31	67—68
» (ფრაგმენტი)	1753	S-4541	68
»	1782	Q-418	214
»	XVIII	A-786	139
»	XVIII	H-2183	168
»	XVIII	Q-861	214
»	1814	A-1788	139
»	1851	A-651	139
ეზოპეს იგავები	1853	Q-918	214
ნათლიმამიანი	XIX	A-777	141
თ ე ი მ ურ ა ზ I			
თხზულებანი	XVIII (დასაწყ.)	S-403	60
»	XVIII	A-593	139
ქეთევანიანი	XIX	Q-380	214
ლეილ-მეჯნუნიანი	XVIII	A-790	139
»	1847	Q-573	214
ვარდ-ბულბულიანი	XIX	A-778	139
»	XIX	A-801	139
ა რ ჩ ი ლ II			
არჩილიანი	1685	H-2116	170
»	1701—1705	S-424	60
» (ფრაგმენტი)	XIX	Q-203	214

	თარიღი	№	გვ.
არჩილიანი (ფრაგმენტი	XVIII	Q-770	214
„	1829	Q-173	214
თეიმურაზიანი	XIX	Q-561	214
საკაძე იოსებ—ტფილელი,			
დიდმოურავიანი	XVII	S-15	214
ორბელიანი ს. ს.			
სიბრძნე სიცრუისა	XVIII	S-2523	67
„ „	1835	S-173	67
„ „	XVIII	H-2114	170
„ „	XIX	A-662	139
ვახტანგ VI			
მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული	1733	S-4500	62
თხზულებები	1737-დე	Q-548	214
თეიმურაზ II			
თხზულებანი	1773	S-342	66
გაბაშვილი ზ.			
თაგვისა და კატის ომი	XVIII	A-890	139
გაბაშვილი ბ. (ბესიკი)			
ლექსები	1788	H-2662	170
გურამიშვილი დავით			
დავითიანი (ავტოგრ.)	1787	S-1598	61, 62—66
ბაგრატიონი დიმ.			
წამება ქეთევან დედოფლისა	XVIII	A-704	139
„ „ „	XIX	Q-422	214
„ „ „	XIX	Q-344	214
კომედიები, თარგმნილი რუსული-			
დან გიორგი ავალიშვილის მიერ	1795	S-11	68
იოანე ბატონიშვილი			
კალმასობა (ავტოგრ.)	1813—1828	S-5374	40
„	XIX	Q-720	214
„	XIX	H-2134	186
„	XIX	H-2153	186
„	XIX	H-2153	186
თეიმურაზ ბატონიშვილი			
სამოცეული	1811	H-2225	170
პუშკინი ალ.			
ბაღჩისარაის შადრევანი	1830	H-2682	170
მხატვრული თხზულებების			
კრებული	1774—1779	A-860	139—140
„ „	XVIII	A-879	140
კრებული, დავით რექტორის	XVIII—XIX	S-1511	67
„ „ „	XVIII—XIX	S-1512	67
კრებული გ. ავალიშვილის	XVIII—XIX	S-303	67—68

	თარიღი	№	გვ.
კრებული—„ავალიშვილის დავთარი“	XIX	H-1103	170
ანთოლოგია	XVIII—XIX	S-3723	66
მხატვრულ თხზულებათა კრებული	1812	A-650	140
„	1823	A-550	140
„	1845	A-654	140
„	1861	A-656	140
„	XIX	A-470	140
„	XIX	A-701	140
„	XIX	A-1753	140
ლარაძე პეტრე, თუმანიშვილი გიორგი			
ლექსები	XIX	A-641	140
ბარათაშვილი ნიკოლოზ			
ბედი ქართლისა (ავტოგრაფი)	1839	S-2517	68—69
„ „	1839	H-2034	171
ლექსები (ავტოგრაფი)	1834—1842	H-2033	170
ავტოგრაფები	1835—1845	Ş-2484	69
„	1835—1845	Ş-2701	69
ლექსები (ავტოგრ.)	1842	A-1115	170
ორბელიანი გრ.			
ტოლუმბაში	XIX	Q-1	214
სადღეგრძელო	XIX	S-5270	69
მეღვინეთუხუცესი დიმ.			
ანჩხლი ცოლი	1854	S-5253	68
ერისთავი გიორგი			
წარსულ დროების სურათები	1863	S-4914	68
პოეტი, ანუ ტოჩკა და ხაპეტაია	XIX	Q-363	214
წყალწაღებული ოჯახი	XIX	S-5010	68
ჯორჯაძე ბარბარე			
თხზულებათა კრებული	XIX	Q-4	214
ჭავჭავაძე ილია			
აჩრდილი (ავტოგრ.)	1860	„-'81	214
ავტოგრაფები	XIX	S-4993	69—70
„	XIX	S-4994	„
„	XIX	S-4995	„
„	XIX	S-4996	„
„	XIX	S-5013	„
„	XIX	S-5014	„
„	XIX	S-5015	„
„	XIX	Ş-5016	„
„	XIX	S-5018	„
„	XIX	S-5019	„
„	XIX	S-5021	„

	თარიღი	№	გვ.
ჭავჭავაძე ილია			
ავტოგრაფები	XIX	S-5022	69—70
„	XIX	S-5023	„
„	XIX	S-5024	„
„	XIX	S-5025	„
„	XIX	S-5026	„
„	XIX	S-5028	„
„	XIX	S-5030	„
„	XIX	S-5032	„
„	XIX	S-5169	„
ოთარაანთ ქვრივი (ავტოგრ.)	XIX	S-5013	69
გამოცანები	1872	H-571	171
კიდევ გამოცანები	1872	H-2122	171
ლექსები (კრებულში)	XIX—XX	Q-347	215
თხზულებათა კრებული	XIX	A-1289	140
ორიგინალურ და ნათარგმნ თხზულებათა კრებული	XIX	A-1722	140
პასუხის პასუხი	1872	H-571	171
„	1872	H-2622	171
„	1872	H-2658ბ	171
განდეგილი (ფრანგული თარგმანი)	XX	Q-792	214
ყიფიანი კოტე			
ყაჩაღის ცხოვრება (ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ მიხედვით)	1879	S-5195	68
წერეთელი აკაკი			
ავტოგრაფები	XIX	H-1467—1509	171
ლექსები (ავტოგრ.)	XIX	Q-793	214
დაითაშვილი იოსებ			
ავტოგრაფები	XIX	S-2490	70
ყაზბეგი ალექსანდრე			
ავტოგრაფები	XIX	S-3978	70
„	XIX	S-3979	70
„	XIX	S-3980	70
„	XIX	S-3981	70
„	XIX	S-3982	70
„	XIX	S-3983	70
„	XIX	S-3984	70
„	XIX	S-3985	70
„	XIX	S-3987	70
„	XIX	S-3988	70
„	XIX	S-3989	70
ვაჟა ფშაველა			
ფშაველი და მისი წუთისოფელი (ავტ.)	XIX	S-5317	70

	თარიღი	№	გვ.
წ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ე გ ნ.			
პარტახი (ავტოგრ.)	1892	S-4908	70
ა რ ა გ ვ ი ს პ ი რ ე ლ ი შ ი ო			
კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს	1889	A-1202	141
და-ძმა	1892	A-1282	141

ბიბლიური ტექსტები

ბიბლიური ტექსტი (ხანმეტი)	VI	S-3902	28
ბიბლის უძველესი ნუსხა (ფრაგმენტი)	X	S-104	70—71
ბიბლია გელათის	X—XII	A-1108	101
„	1460	A-570	101
„	XVI	A-646	101
ბიბლია მცხეთის	XVIII	A-51	101
ოშკის 978 წ-ლის ბიბლიის პირი	1851	A-471	101—103
ოშკის 978 წლის ბიბლიის პირი	1851	S-422	71
ქება-ქებათაჲ	1188—1210	A-65	103
დავითნი („ქართული დავითნი")	904	A-38	103
დავითნი	XI	H-999	161
„	XIII	A-1315	103
„	XIII—XIV	A-782	103
„	XIV	A-732	103
„	1495	A-35	103
„	XV	A-488	103
„ თეთროსნის	XV	H-75	191
„ ჯრუჭის	XV, XVII	H-1665	190
დავითნი	XV	A-579	103
„	XV	A-709	103
„	XV	A-775	103
„	XV—XVI	A-1457	103
„	XV—XVI	A-1606	103
„	XVI	A-180	103
„	XVI	A-211	103
„	XVI	A-214	103
„	XVI	A-350	103
„	XVI	A-585	103
ოთხთავი, „ძველი ჯრუჭი"	936	A-1660	162, 164
„ პარხლის	973	A-1453	104
„ ქსნის	X	A-509	104
„	X	A-98	104
„ ურბნისის	X	A-28	104—106
„ მარტვილური	X და 1050 წ.	S-391	33, 71, 73
„ ფრაგმენტი კანონია მოხატულობით	X	S-2662	71
„ პარხლის	X—XI	S-4927	71—72

		თარიღი	№	გვ.
ოთხთავი		X—XI	S-405	71, 76
„		1052	S-962	33, 36
„	რუისის	XI	A-845	106
„	ალავერდის	XI	A-484	106
„	გელათის	XI	Q-908	228—229
„	ვანის	XII	A-1335	106, 108
„	წყაროსთავის	XII	Q-907	228
„	ბერთას	XII	„ -906	228
„	ტბეთის	XII	„ -929	228
„	ვარძიის	XII	„ -899	228
„		XII	„ -900	228
„	ვახტანგისეული	XII	„ -883	228
„	ბიქვინთის	XII	H-2120	187
„	ჯრუპის (II)	XII	H-1667	188
„		XII—XIII	A-495	110
„	ლაბეკინის	XIII	A-1563	108
„		XIII	A-281	108, 110
„	ლარგვისის	XIII	A-26	110
„		XIII	A-357	110
„		XIII	A-499	110
„		XIII	A-138	110
„		XIII—XIV	A-496	110
„	მოქვის	1300	Q-902	230
„	შიომღვიმის	1304	H-1344	190
„		XIV	A-99	110
„		1514	A-401	110
„		XVII	S-1247	72
სპარსული სახარება ქართული ტრანსკრიპციით		XVII	S-16	72
ოთხთავი		1714	A-1097	110
გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა		978	H-1346	165
სამოციქულო (პალიმფს.)		V—VI	A-737	100
„	(უძველესი ტექსტი)	X	S-407	32—33, 71
„		X	S-1138	71
„		1083	A-584	110, 112
„		XI	A-677	112—113
„		XIII	A-34	112
„		XIV	A-137	112

ეგზეგეტიკა

იპოლიტე რომაელი			
თარგმანება დავითის ფსალმუნებისაჲ	973—975	S-1141	30
ბასილი დიდი			
დავითის თარგმანება	1035	A-135	121—122

	თარიღი	№	გვ.
ეფრემ მცირე			
თარგმანება ფსალმუნთა	1091	Q.-37	224
ეფრემ მცირე			
თარგმანება ფსალმუნთა (შესავალი)	XI	H-1758	196
თარგმანება ქება-ქებათაჲსა	973—976	S-1141	30
გრიგოლ ნოსელი			
კაცისა შესაქმისათვის	973—976	S-1141	30
„ „	XVII	Q.-41	224
ეპიფანე კვიპრელი			
თუალთაჲ	973—976	S-1141	30
„	XVII	Q.-41	224
ბასილი დიდი			
ექვსთა დღეთათვის	XI	A-73	122
იოანე ოქროპირი			
მათეს სახარების თარგმანება	XI	A-136	120
„	XI	A-91	120
„	XI	A-89	120
„	XI	A-88	120
„	XII	A-365	120
„	XII	A-36	120
„	XVIII	H-1345	197
აპოკალიპსის თარგმანება	X—XI	A-397	122
ბასილი კესარიელი			
სახისმეტყველი (ფიზიოლოგი)	973—976	S-1141	31
„	XVII	Q.-41	224

ა პ ო კ რ ი ფ ე ბ ი

კრებული	X—XI	A-40	117, 119
ფსევდო ეფრემი			
დაბადებისთვის ცისა და ადამისათვის (მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებაში)	1633—1646	S-30	72
ავგაროზი	XVIII—XIX	Q.-277	221
„	XVIII—XIX	„ -265	221
„	XVIII—XIX	„ -283	221
ლვთისმშობლის აპოკრიფი	XIX	„ -289	221
მოთხრობა დაბადებისა ცისა და ქუეყანისა	XIX	„ -426	221
შელოცვები	XIX	„ -313	221

ა გ ი ო გ რ ა ფ ი ა

ბრავალთავი სვანური	X	A-19	113
„ უდაბნოს	X	A-1109	127
„ პარხლის	X	A-95	113

	თარიღი	№	გვ.
მრავალთავი	XI	S-383	81
„	XI	S-384	81
ცხოვრებანი და სწავლანი	X	A-1104	113
მამათა ცხოვრება	X—XI	A-397	113, 115
ცხოვრება—მარტვილობათა კრებული	1030	Q-240	220
„	1011—1019	A-1103	115
ათონის კრებული	1074	A-558	115
ცხოვრება—მარტვილობათა კრებული	XI—XII	H-1347	196
„	XIII	A-199, 832, 833, 707	117
მამათა ცხოვრება	XVIII—XIX	Q-300	221
დედათა „	XIX	„ -882	221
ქართველ წმიდათა ცხოვრების კრებული	1713	A-130	117
„ „ „	1733	A-170	117
„ „ „	1734—1743	A-176	117
„ „ „	XVIII—XIX	S-3637	82
შეტაფრასი	XIII	Q-762	220
„	XVI	„ -39	220
„	XV—XVII	„ -40	220
„ დედათა	XVIII	„ -831	220
„	1765	„ -485	220
„	1801	„ -112	220
ანტონ I			
მარტირიკა	1768	S-1272	82
„	1799	S-2988	82
„	1799	S-3638	82
„	XVIII	Q-12	221
იოანე ოქროპირის ცხოვრება	968	H-2124	164—165
მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა	X—XI	H-341	196
ცხოვრება გრ. ღვთისმეტყველისა	1031	A-1	115
წმ. ნინოს ცხოვრება	XIII	A-707	117
სიბრძნე ბალავარისა	XIII	A-832	117
„ „	XIII	A-833	117
„ „ და სხვ. (კრებული)	1779	S-300	82
პეტრე ქართველის ცხოვრება	[XV]	H-1760	194
ცხოვრება მაქსიმე აღმსარებლისა	XVII	Q-848	221
„ იოანე ოქროპირისა	XVIII—XIX	„ -16	221
წამება ყრმათა კოლაელთა	1849	S-530	81—82
გიორგი ხუცეს მონაზონი			
ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა	XI	S-353	
„ „ „	XIX	Q-48	221
„	XIX	„ -49	221
ცხოვრება ისაკ ასურის	XIX	„ -423	221

	თარიღი	№	გვ.
წამება ეკატერინასი	XIX	Q-555	221
ცხოვრება ანდრია სალოსისა	XIX	„ -727	221

საეკლესიო სამართალი და მღვდელთმსახურება

სჯულის კანონი	1030	S-143	82
„ VI-ისა კრებისა	1031	A-96	129
დიდი სჯულის კანონი	XIII	H-1670	197
„	XII	A-76	130
იერუსალიმის განჩინება (პალიმფ.)	VII	H-1329	161
ტიპიკონი საეკლესიო	X—XI	H-1349	198
„ · საბას ლავრის	XII	A-1352	125
მცირე სვინაქსარი	1030	A-648	123—124
დიდი სვინაქსარი	XI	H-2211	193
„ „	XI	A-97	124
„ „	XI	A-193	124
„ „	XI	A-840	124
„ „	XI	A-626	124
„ „	1156	H-1661	194
„ „	XII—XIII	A-222	124
„ „	XIV	A-572	124
„ „	1535	A-139	125
„ „	XII—XIII	Q-75	226
„ „	XVI—XVII	„ -125	226
ჟამის წირვა პეტრე მოციქულისა	XI	A-85	125
„ „ იაკობის	XI	A-86	125
„ „ (ფრაგნილი)	XIV—XV	S-4980	79
ჯურთხევანი	XIII—XIV	Q-186	226
„	XVII—XVIII	„ -660	226
„	XVII—XVIII	„ -636	226
ზატიკი (მინიატურები „ზატიკიდან")	XII	A-734	125
„ (ფრაგმენტი)	XV	S-4814	80
მარხვანი	1528	H-1698	194
„	XVI	A-31	126
სადღესასწაულო	XII—XIII	A-44	126
ჟამნი, ქაიხოსრო ბატონიშვილი-სეული	1709	S-4979	80
„ მარხვისა და ზატიკისა	1763	S-4549	80
კონდაკი	XVII—XVIII	Q-299	226
„	XVII—XVIII	„ -263	226
პარაკლისი	XVIII—XIX	„ -302	226
„	XVIII—XIX	„ -20	226
„	XVIII—XIX	„ -237	226
დაბადების და სახარების საკითხავები (პალიმფ.)	V—VI	H-999	161

	თარიღი	№	გვ.
ლექციონარი (პალიმფ.)	V—VI	A-89	100
„ (პალიმფ.)	V—VI	A-844	100
საკითხავები და სიტყვები წმ. მამათა	X	A-144	126
გამოკრებილი საკითხავები (პალიმ-ფსესტი)	XI—XIII	S-4939	80
რიგის სახარება	XI—XII	A-814	100
გულანი ერკეთის	1578—1605	Q-87	226
„ ბედიის	XVI	A-187	126
ჟამგულანი ყანჩაეთის	1674	H-1452	194
გულანი სვეტიცხოვლის	1681	A-30	126
„ „	1681	A-32	126
„ გელათის	1705	A-186	126
„ კაცხის	XVIII	Q-632	226
„ გურიანთული	XVIII	„ -104	226
„ შემოქმედის	XVIII	„ -103	226
„ ჩხარული	XVIII	„ -105	226
თეიმურაზ II			
შვიდეულის ლოცვანი (ბოლო ნაწილი ავტოგრაფიულია)	1753	S-3633	80
საგალობლები (ქილ-ეტრატზე)	IX	H-2123 (ა,ბ,გ,)	162
მიქაელ მოდრეკილი			
იადგარი	X	S-425	31—32
იადგარი	X	A-190	125
ძლისპირთა კრებული	X	A-603	122
ძლისპირები ფიტარეთის	XVII	Q-298	224
„ საცისკრო	XVIII	„ -244	224
თვენი	XI	H-2336	193
„	1049	H-2337	193
„	XII—XIII	S-4999	79—80
საგალობლები (ფრაგმენტი)	XI	Q-215	224
„ „	XI—XII	„ -116	224
სადღესასწაულო საგალობელთა კრებული	XI	A-596	122
„ „ „	XI	A-1562	122
დიდი პარაკლიტონი	1093	A-93	123
„ „	1349—1365	A-575	123
ოქტოიხოსი	XII	A-576	123
„	XIII	A-94	123
„	XVIII	Q-626	224
დაუჯდომელი	1681	H-88	191
„	XVIII	Q-810	224
ქორიძე ფილიმონ			
ქართული საეკლესიო გალობა	XIX	„ -672	224
„ „ „	XIX	„ -673	224
„ „ „	XIX	„ -674	224

	თარიღი	№	ნ3.
ქართული საეკლესიო გალობა	XIX	Q-678	224
ნაგალობლები ნოტებსე	XX	H-154	194

დოგმატიკა და პოლემიკა

ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი			
დოგმატიკონი	1188	A-65	130
„	XI—XII	S-1463	77
„	XVIII	Q-50	221
„	XVIII	„ -51	221
დოგმატიკური კრებული	X—XI	„ -209	221
ა ნ ტ ო ნ I			
ღვთისმეტყველება	1779	S-3657—3658	77
„ „	1779	S-3659—3660	77
მხამეტყველება	1822	S-3653	77
კატეხიზმო	XVIII	Q-651	221
„	XVIII	„ -571	221
გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი			
საღვთისმეტყველო კრებული	1789	S-29	77
მ ა ქ ს ი მ ე ა ღ მ ს ა რ ე ბ ე ლ ი			
სიტყვის გებაჲ მაქსიმესა და პიროს კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა	XI	Q-34	221
ბ ა ვ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი			
მოთხრობა სჯულთა ისმაილიტთაჲ	XVI	S-126	77
„	XVI	S-1288	77
„	XVI	S-1338	77
„ (გალექსილი იაკობ შემოქმედელი—დუმბაჲის მიერ)	XVII	S-1511	78
ამბავი მაჰმადისი	1800	S-3641	78
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს. ს.			
სამოთხის კარი	1724	S-4583	77
„	1778	S-2798	77
„	XVIII	Q-516	221
სასულიერო თხზულებათა კრებული	XVIII	S-1506	77
ბ ე ს ა რ ი ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი			
გრდემლი	XVIII	S-1596	78
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ტ ი მ ო თ ე			
მარწუხი	XVIII	S-3244	78
„	1810	S-1596	78
ი ა ვ ო რ ს კ ი ს ტ ე ფ ა ნ ე			
კლდე სარწმუნოებისა	1746—1749	S-5008	78

	თარიღი	№	გვ.
მ ო გ ი ლ ა პ ე ტ რ ე			
აღსარება მართლისა სარწმუნოებისა	XVIII	Q-167	221
პ რ ო კ ო პ ი ვ ი ჩ ი თ ე ო ფ ა ნ ე			
ისტორია განხეთქილებისა ბერძენთა და რომაელთა	1775	S-4804	79

ასკეტიკა

ასკეტიკურ თხზულებათა კრებული	943	S-1139	28
»	X	A-35	119
ი ო ა ნ ე ს ი ნ ე ლ ი			
კლიმაქსი	X—XI	A-285	119
»	1066	A-134	119
»	XII	H-1669	197
»	1790	S-1597	83
»	XVIII	Q-568	221
»	XVIII	„ -628	221
»	XVIII	„ -826	221
გ რ ი გ ო ლ ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი			
სწავლანი სულიერნი	XI	S-383	83
»	XI	A-92	127
»	XI	A-87	127
»	XII	A-109	127
»	XVIII	A-80	127
მამათა ცხოვრება (თარგმანი თეოფილე ხუცეს-მონაზონისა)	XI	A-1105	119—120
გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი და ბ ა ს ი ლ დ ი დ ი			
ასკეტიკურ თხზულებათა კრებული	X	H-2251	197
ნ ი კ ო ლ ო ზ ტ ფ ი ლ ე ლ ი			
შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათათვის	XIX	Q-894	221
ოქროს წყარო (ასკეტიკური კრებული)	1791	S-3650	83
სამოთხის ყვავილი » »	1796	S-128	83
» » »	XIX	Q-46	221
ედემი » »	XIX	„ -524	221
გვირგვინი » »	XIX	„ -171	221
» » »	XIX	„ -540	221
» » »	XIX	„ -567	221
მამათა სწავლანი	1040	H-1662	197
»	1047	A-1101	126
სწავლანი (გამოკრებილნი)	XI	S-1595	83
»	XI	A-1769	127

	თარიღი	№	გვ.
ორბელიანი ს. ს.			
სწავლანი	1729	A-479	129
ზაქარია ხუცესი			
განზრახვათა წიგნი	1840	S-5156	83
გაიოზ რექტორი			
ზნეობრივი სწავლა-დარიგებანი	XIX	S-1165	83
ამბროსი ნეკრესელი			
ქადაგებანი	1800	S-177	83
»	1800	S-4970	83

ფილოსოფია

იოანე დამასკელი			
თავნი საფილოსოფოსონი (დიალექტიკა) არსენ იყალთოელის თარგმანი	XI—XII	S-1463	55
»	XIII	S-2562	55
»	XIII	S-2574	55—56
წყარო ცოდნისა (ეფრემ მცირის თარგმანი)	XII	A-24	130—131
»	XVIII	S-1358	54
პროკლე დიადოხოსი			
კავშირნი მღთისმეტყველებითნი	XII—XIII	H-1337	171
»	1731	A-74	131
»	1757—1760	A-1162	131
»	1760	A-1309	131
»	1763	A-1312	131
»	1799	A-184	131
»	XVIII	A-237	131
»	XVIII	A-1150	131
»	XVIII	A-1412	131
»	XVIII—XIX	Q-17	217
ამმონიოს ერმისი			
მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა და (ამავე ავტორის) მოსახსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისათა	XIII	S-2562	56
ანასტასი სინელი			
წინამძღვარი	XIII	A-205	130
დიონისე არეოპაგელი			
თხზულებები	XIII	A-189	131
ფილოსოფიური ხასიათის ფრაგმენტი	XIII	A-695	131
არისტოტელე			
ათნი ქუმეტყუმლებანი	1736	Q-860	217

	თარიღი	№	გვ.
ნემესიოს ემესელი			
ბუნებისათვის კაცისა	XVIII	H-1456	186
პორფირი			
შეყვანილება	1735	S-358	56
„	XVIII	A-246	131
„	XIX	Q-256	218
ხუთნი ჯმანი	1736	„ -860	217
ანტონ I			
სპეკალი	1752	A-1741	131
წინასიტყვაობა ფილოსოფიისა და			
ნაწილთა მისთა	XVIII	A-1566	131
„ „	„	A-1648	131
„ „	XIX	S-2790	57
კატეგორია-სიმეტნე	1781	A-117	131
„	1781	A-233	131
„	XIX	S-52	56—57
კათიღორის შეყვანილობა	XVIII	Q-584	217
ბაუმეისტერი			
დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა	1762	S-293	56
ლოღიკა	1773	A-15	132
„	XVIII	A-1300	132
„	XVIII—XIX	Q-95	218
„	„	„ -15	218
„	„	„ -597	218
მეტაფიზიკა	XVIII	A-287	131
„	„	A-1103	131
დავით უძლეველი			
არისტოტელეს პერი არმენეიას			
განმარტებანი	1765	H-1750	172
„ „ „	1776	A-1301	132
„ „ „	XVIII	A-535	132
პორფირის შეყვანილობის განმარ-			
ტება	XVIII	A-1257	131
მხითარ სევასტიელი			
რიტორიკა	1784	A-333	132
„	1799	A-1303	132
„	1799	A-175	132
„	XVIII	A-1181	132
„	XVIII	A-1034	132
„	XVIII	A-886	132
„	XVIII—XIX	Q-14, 399	218
„	1821	A-534	132
„დიალექტიკა“ სამნაწილედი	1760	S-131	56
„	XVIII	A-185, 329	132

	თარიღი	№	გვ.
დიალექტიკა სრული	XVIII	A-340	132
ფილოსოფიურ თხზულებათა კრებული	1740	S-162	56
» » »	XVIII	Q-260	217
კონდილიაკი			
ლოღიკა	1792	S-1151	57
ანსილიონი			
ესთეტიკური განსჯანი	1818	A-278	132
იოანე ბატონიშვილი			
ლოღიკა	XIX	H-2177	172
დავით ბატონიშვილი			
განსჯანი ბარაკტერისათვის ფილოსოფიისა	XIX	H-2173	172
მონტესკიე			
გულისხმისყოფისათვის სჯულთასა	XIX	S-370—371	57
» »	XIX	H-2179	172
ისტორია ფილოსოფოსთა	1832	A-314	131

გზამკვლევში დასახელებული საბუთების საძიებელი

ანგარიშის წიგნები

წელი	№№-ები	გვერდი
1784	7652—Qd	232
1790	7685— „ d	232
1792	7795— „ d	232
XVIII	3611—Hd	202
1800	7752—Qd	232
1800	7749— „ d	232
1803	7658— „ d	232
1804	7785— „ d	232

აზატობისა და სითარხნის წიგნები

1412	143—Sd	92
1412	133—Sd	92
1479	6—Ad	150
1479—1505	480—Sd	86
1556	138—Sd	92
1623	7062—Qd	239
1634	275—Ad	150
1634	931— „	150
1647	7235—Qd	240
1692	560—Sd	92
1709	1938— „	92
1712	774— „	93
1715	124— „	93
1720	772—Qd	239—240
1723	673—Sd	93
1726	2045— „	93
1748	533—Ad	150
1767	7245—Qd	240
1777	6911— „	240
1787	207—Ad	150

ანდერძის წიგნები

XVII	1—Ad	145
1752	225—Sd	93
1755	227— „	93
1776	1909— „	93
XVIII	738—Hd	202
XVIII	946—Sd	93

არზები

1764	6801—Qd	232
1772	7248— „	232
1773	183—Sd	93
1773	182— „	93
1774	7115—Qd	232
1775	191—Sd	93

წელი	№№-ები	გვერდი
1782	445—Sd	93
1784	452— „	93
1784	2033—Hd	205
1787	247—Qd	232
1787	1009— „	232
1788	2190— „	232
1788	444—Sd	94
1789	784—Qd	232
1789	443—Sd	94
1792	2043—Hd	205
1792	389—Sd	94
1794	706—Qd	232
1796	123—Hd	205
1797	7067—Qd	232
XVIII	2687—Hd	205
1812	3043—Hd	205

ალაპის წიგნი

XIII	4—Ad	148

ბატონყმობის წიგნები

1619—1626	14632—hd	205
1620	737—Sd	94
1675—1692	648— „	94
1719	7051—Qd	236
1740	258—Sd	94
1744	1735—Hd	202
1761	733—Qd	240
1766	664— „	240
1769	760— „	240
1773	4820—Hd	202
1783	162— „	202
1785	518—Qd	240
1786	1030— „	240
1788	1439— „	236
1791	1166—Sd	94
1797	666—Hd	202
1797	3126—Qd	236
1800	1307—Hd	202
1809	751—Qd	236

ბრძანების წიგნები

1060—65	1201—Sd	85
1619—1629	2115—Hd	202
1636—1660	765—Sd	90
1658—78	498— „	90
1675—88	550— „	90
1696	629— „	90

წელი	№№-ები	გვერდი
1703	37—Hd	202
1703—22	986—Sd	91
1703—23	518— „	90
1703—24	520— „	90
1712	612— „	90
1715	5—Hd	202
1717—1719	491—Ad	149
1719	650—Sd	90
1723	19—Hd	202
1723	4351— „	202
1729	2191— „	202
1734	3121— „	202
1738	7199—Qd	232—233
1745	1785—Hd	202
1751	2187—Hd	202
1755	7239—Qd	233
1756	792—Sd	90
1756	2364— „	90
1758	212—Qd	233
1767	6980— „	233
1772	6956— „	233
1772	6983— „	233
1772	2066— „	233
1772	1304—Hd	202—203
1774	2540— „	203
1778	1792— „	203
1779	7377—Qd	233
1782	458—Sd	90
1782	1663—Qd	233
1783	56—Ad	149
1784	2202—Qd	233
1784	7128— „	233
1784	6444—Hd	203
1784	2343— „	203
1785	560—Qd	233
1785	2194— „	233
1786	213—Ad	149
1787	7109—Qd	233
1789	7114— „	233
1789	1729—Hd	203
1791	2611—Qd	233
1792	377—Sd	90
1793	576—Qd	233
1793	375—Sd	90
1794	3831—Qd	233—234
1795	7116— „	234
1795	558— „	234
1796	11000—Hd	203
1797	398—Sd	90
1798	7254—Qd	234
1799	7258— „	234
1799	1765—Hd	203
1799	5106— „	203
1799	1027—Sd	90
1799	2140— „	91
1799	688—Ad	149
XVIII	689—Ad	149
XVIII	10—Hd	203
1800	993— „	203
1800	354—Sd	91
1800	3847—Qd	234
1810	2172—Sd	91
1812	3944—Hd	203
1829	6732— „	203
1843	5243—Sd	91

გადაწყვეტილების წიგნები

1676	1013—Sd	91
1688	42— „	91
1696	482— „	91
1700	58— „	91

გაყრილობისა და წილის წიგნები

XVII	862—Sd	96
1718	2026—Qd	240
1729	6921— „	235
1735	1026— „	240
1751	2126— „	240
1754	167— „	240
1756	224—Sd	96
1767	2992—Hd	204
1770	196—Qd	240
1774	5339—Hd	204
1775	7064—Qd	235
1782	1470— „	241
1785	844— „	235
1788	2169— „	235
1792	1024—Sd	90
1798	386—Sd	96
1798	7299—Qd	241
1798	7298— „	241
XVIII	7147— „	241
XVIII	2161—Hd	204
1800	2607—Qd	235

გაცვლილობის წიგნები

1721	1023—Qd	235
XIX	614— „	235

გირავნობის წიგნები

1729	131—Sd	96
1736	1002—Qd	235
1756	207—Sd	96
1767	500— „	96
1779	170— „	96
1779	3844—Qd	235

წელი	№№-ები	გვერდი
1791	158—Sd	96
1795	688—Qd	235
XVIII	3824— „	235
XVIII	510—Sd	96

ვალის წიგნები

1766	7627—Qd	236
1766	7625— „	236
1766	7626— „	236
1767	198—Sd	96
1767	7602—Qd	236
1782	166—Sd	96
1782	763—Qd	236
1790	153—Sd	96
1792	857—Qd	236
1792	7867— „	236
1795	381—Sd	96
1797	689—Qd	236
1801	335— „	236
1828	1860 Sd	96

ოჯარის წიგნები

1790	7591—Qd	236
1796	408—Hd	205
1799	7751—Qd	236
1800	7748— „	236
1804	7750— „	236
1808	2045—Hd	205

მახალები აღმშენებლობის შესახებ

1671	1337—Ad	150
1678	30— „	150
1714	554— „	150
XVIII—XIX	42— „	150
1814	799— „	150
XIX	690— „	150

მზითვის წიგნები

1692—1703	759—Sd	96
1712	2111— „	96
1713	6—Hd	205
1776	1901—Sd	96
1798	406— „	97
1800	1240— „	97
XVIII	804— „	97
XVIII	3567—Hd	205
1803	304—Sd	97

მიბარების წიგნები

1602	522—Sd	97
XVII	47—Ad	152
1752	53— „	152

წელი	№№-ები	გვერდი

მიმართვის წიგნი

1888	4076—Qd	236

მოყვრობის წიგნი

XIII—XIV	11625—Hd	206

მოწმობის წიგნები

1764	7242 Qd	236—237
1768	744— „	237
1794	3777— „	237
1796	6842— „	237
1812	7060— „	237
1820	7055— „	237
1832	7967— „	237

მოხსენების წიგნი

1798	7225—Qd	237

ნასყიდობის წიგნები

IX—X	1—Ad	147
XIII	7— „	151
XIV	7013—Qd	237
XV	19—Ad	151
1502	1653— „	151
1508	732—Sd	89
XVI—XVII	1355—Qd	237
1612	7966—Hd	206
1631	1567—Ad	151
1650	3—Sd	89
1658	5— „	89
1659	1446—Qd	237
1665	622—Sd	90
1666	6893—Qd	237
1673	2246—Ad	151
1677	537—Sd	90
1678	12— „	89
1679	2022—Qd	237
1682	568—Sd	89
1688	24—Sd	89
1689	1480—Qd	237
1701	1793— „	238
1702	750— „	237
1713	745— „	237
1714	1811—Ad	151
1715	6896—Qd	238
1715	459—Hd	206
1715	1904—Sd	89
1716	824—Qd	238
1718	712—Sd	89
1719	478—Ad	151
1720	821—Qd	238
1721	122—Sd	89
1721	501—Qd	237
1723	3062—Hd	206

წელი	№№-ები	გვერდი
1726	1025—Qd	237
1728	701—Sd	90
1728	116— „	89
1730	1571—Ad	151
1736	740—Qd	238
1741	487—Hd	206
1746	517—Qd	238
1746	415—Ad	151
1747	33— „	152
1747	235—Sd	90
1747	826—Ad	152
1748	663—Qd	238
1749	658— „	237
1750	522— „	237-238
1751	718— „	238
1751	414—Ad	152
1754	973—Hd	206
1756	1131—Ad	152
1758	748—Qd	238
1752-1784	2971—Sd	90
1786	1613—Qd	238
1787	3125— „	238
1793	1722— „	238
1796	1606—Hd	206
1800	1740—Sd	89
XVIII	1408—Ad	152
XVIII	678—686—Hd	206

ნუსხები და დავთრები

1546	501—Ad	156
XVII	1631— „	157
XVII	1800— „	157
XVII	620— „	158
1707	589, 638, 639—Sd	97
1707	59—Sd	97
1710	942— „	97
1712	1028—Ad	157
1724	1591— „	157
1760	144— „	157
1764	180— „	157
1773	360— „	157
1774	1722—Hd	204
1774	135—Ad	157
1774	6936—Qd	239
1774—1785	6964— „	239
1774—1785	7016— „	239
1781	1660—Ad	157
1781	178—Hd	204
1784	437—Hd	204
1786	178—Ad	157
1787	7384—Qd	239
1788	181—Ad	157
1788	3585—Hd	204
1789	2183— „	204
1789	7836—Qd	239
1789	7601— „	239
1791	1617—Hd	204
1791	7891—Qd	239
1795	7636— „	238
1795	7632— „	238
1798	583—Hd	204
1799	919,920 — „	204
1790—1800	1846—Sd	97
1790—1801	5225—Sd	97
XVIII	4456, 942, 4838 4666, 2025, 1210 998, 4455—Sd	97
XVIII	1623, 416, 317, 507, 421, 919, 1256, 1403, 463, 1873—Ad	157
XVIII	7182, 7183, 6971, 7190, 7155, 7148, 7152, 7168, 7158, 7159, 7149, —Qd	238—239
XVIII	5516, 3561, 991, 1613, 11640, 11643. 11644, 1630, 960, 708, 5318, 3897—9905, 3038, 1606, 1611, 1612, 11638, 1364, 1365, 1603, 1605, 1607, 1608, 1609—Hd	204-205
1801	1028—Sd	97
1805	7848—Qd	239
1817	1136—Ad	158
1823	5226, 5227—Sd	97
1810—1829	3990—4019— „	97
XIX	4161— „	97
XIX	680—Ad	157
XIX	588— „	157
XIX	72— „	158
XIX	910— „	158

პირობის წიგნები

1512	11—Ad	156
XV—XVI	2130—Hd	206
1641	52—Ad	149
1653	746—Sd	91
1655	749— „	91
XVII	824—Ad	156
1703—1709	32—Hd	206
1706	323—Ad	156
1722—29	704—Sd	91
1756	221 „	92
1758	215— „	92
1759	2976— „	92
1768	6957—Qd	239
1780	7661—Hd	206
1785	137—Ad	156
1789—1810	1151—Sd	92
XVIII	412—Qd	239
XVIII	105—Ad	156

წელი	№№-ები	გვერდი
1802	3924—Hd	206
1806	13914— „	206

სამართლის და განჩინების წიგნები

XII	933—Ad	148
1593	2092—Hd	204
1620	6259— „	203
1659	2113— „	203
1670	534—Sd	92
1680	756— „	155
1690	349—Ad	204
XVII	484—Hd	155
XVII	1836—Ad	155
XVII	619— „	156
XVII	560— „	156
XVII	1922, 1936, 1949—Sd	91
1709—1711	45—Hd	155
1710	319—Ad	149
1715	1040— „	156
1717	1349— „	156
1717—1719	805—Sd	92
1717—1750	659— „	92
1719—1723	617— „	92
1731	256— „	91
1743	1421—Ad	149
1746	1889—Sd	91
1750	309—Hd	204
1751	1493—Ad	149
1754	817—Qd	234
1756	6955— „	234
1765	2605— „	234
1771	183—Ad	156
1772	1326— „	149
1774	490—Sd	91
1775	755—Qd	234
1778	1308— „	234
1780	2200— „	234
1780	537—Hd	203
1782	885—Qd	234
1782	493—Sd	91
1783	841—Qd	234
1783	432—Hd	203
1786	1787— „	204
1786	2278—Sd	91
1789	459— „	92
1789—90	781-2—Sd	91
1790	1643—Qd	234
1790	782— „	234
1790	786— „	234
1792	2030— „	235
1795	584—Ad	150
1797	692—Qd	235
1798	7252—Qd	235
1798	7253— „	235
1801	1250—Hd	204
1809	830—Qd	235

სარგოს წიგნები

1746	7686—Qd	239
1781	6982— „	239
1793	6989— „	239

სიმკვიდრის წიგნები

XVI	497—Sd	93
1614	599— „	93
1639	742— „	93
1655	750— „	93

უდაობის წიგნები

1665	753—Sd	94
1688	18— „	94
1703	579— „	94

ფიცის წიგნები

1676—1786	572, 1926—Sd	94
XVII	775—Sd	94
XVII	930— „	94
XVII	538— „	64
1747	2037— „	94
XVIII	535— „	94
1800—1810	1212— „	94

პირები (საბუთების)

XIX	1501, 1562, 1504, 1670—Ad	156

შეწირულების წიგნები

1058	14—Ad	142
1170	1351—Hd	199
1191	2—Ad	144
1260	5— „	147
XIII	9— „	152
1463	13— „	152
1479	1838— „	152
1505—1525	14592—Hd	207
1513	12—Ad	153
1531—1532	16— „	153
1540	1373—Hd	207
1558	1447—Qd	240
1590	430—Qd	240
XVI	345—Qd	240
XVI	1372—Hd	207
1612	1053— „	207
1619	11273— „	207
1629	2391— „	207
1644	2886—Qd	241

წელი	№№-ები	გვერდი
1658	2975—Sd	94
1670	1837—Ad	153
1701	107— „	153
1703	341— „	153
1706	1039— „	153
1710	508— „	153
1727	694—Sd	95
1780	9012—Hd	207
1782	2854—Qd	241
1782	434—Ad	153
1783	874— „	154
1784	173—Sd	95
1798	392—Ad	153
1804	7234—Qd	241
1809	1829—Hd	207
შეჩვენების წიგნი		
1819	3166	206
წერილები (კერძო)		
1637	641—Sd	95
1707	593— „	95
1707—1709	647— „	95
1738	1895— „	95
1750	8137—Hd	207
1756	754—Qd	241
1756—1772	1553—Ad	151
1763	5144—Sd	95
1772	1378—Hd	257
1777	1017—Sd	95
1783	2272— „	95
1784	809—Qd	241
1785	810—Qd	241
1785	1406—Hd	207
1787	449—Sd	95
1788	208—Hd	207
1790	1068—Qd	241
1790	457—Sd	95
1792	1069—Qd	241
1796	6978— „	241
1796	517—Ad	151
1796	236— „	150
1797	423—Hd	207
1797	1111—Ad	151
1799	1004—Hd	207
1799	1617—Qd	241
XVIII	411— „	241
XVIII	294—Hd	206
1801	1530—Sd	95
1803—1806	5016— „	95
1803	5014,5015—Sd	95
1803—1806	2318—Sd	95
1805	3036—Hd	207
1809	1658, 1661—Sd	95
1812	1666—Sd	95
1814	7288—Qd	241

წელი	№№-ები	გვერდი
1814	1680, 1683—Sd	95
1820—1880	1838—Sd	96
1831—1837	2192—2196—Sd	95
1834—1838	2198, 2229, 2230—Sd	95
1835	6917—Qd	241
1840	5059—Hd	204
1860	1875—Sd	96
1872	878—Qd	241
1882	6521— „	241
1885	1874—Sd	964
ფაღლობის წიგნები		
XII—XIII	3—Ad	155
XIII	8— „	107
1339	11626—Hd	200
1351	1330— „	201
1430	1348— „	201
1440	1991— „	241
1440	1007—Qd	201
1453	1055—Hd	242
1463	991—Qd	201
1463	1347—Hd	242
1566	1010—Qd	242
1569	6994— „	207
1568	14430—Hd	208
1589	14423— „	242
1600	4—Qd	208
1608	1942—Hd	154
1610	530—Ad	88
1611	61—Sd	88
1623	588— „	208
1623	9446—Hd	88
1624	739—Sd	242
1626	1655—Qd	208
1627	2108—Hd	208
1639	14666— „	88
1648	31—Sd	89
1653	2— „	208
1657	1350—Hd	208
1660	2457— „	89
1664	752—Sd	89
1663	514— „	242
1665	7010—Qd	89
1667	1—Sd	208
1669	2029—Hd	89
1671	32—Sd	208
1673	2918—Hd	243
1676	7873—Qd	86
1676	536—Sd	154
1678	1016—Ad	89
1679	539—Sd	89
1679—1688	632— „	89
1680	509— „	208
1683	2181—Hd	242
1683	1970—Qd	86
1688	757—Sd	

წელი	№№-ები	გვერდი
1689	549—Sd	86
1688—1703	6918—Qd	242
1688	1999—Hd	208
1691	515—Sd	88
1692	4142—Hd	208
1693	15—Sd	88
1693	7236— „	242
1693	1168—Ad	154
1697	1170—Sd	88
1698	407— „	88
XVII	1355,2179—Hd	208
XVII	5:3—Ad	154
1703	623—Sd	88
1710	502—Qd	243
1711	328—Ad	155
1715	1753—Hd	208
1718	462— „	208
1718	778—Sd	88
1722	603—Qd	243
1723	5336—Hd	208
1723	505—Sd	80
1726	2382—Hd	208
1727	884—Qd	243
1730	710—Sd	89
1731	10900—Hd	208—209
1736	1910— „	208
1736	9677— „	208
1736	2244—Ad	155
1738	1482—Qd	243
1740	6938— „	243
1752—84	5090—Sd	88
1755	7063—Qd	242
1758	209—Sd	89
1758	1651—Qd	243
1761	10143—Hd	208
1768	664—Qd	242
1769—1776	6960— „	242
1769	590— „	243
1776	1652— „	243
1778	2132—Hd	208
1778	511—Ad	155
1779	506—Sd	89
1780	181— „	88
1781	789— „	88
1782	6920—Qd	242
1782	491—Sd	88
1783	1712—Hd	209
1784	1545— „	209
1784	679—Qd	242
1785	6697— „	243
1785	589— „	243
1785	174—Sd	88
1788	160— „	88
1789	676—Qd	242
1789	7022— „	242
1790	1732—Hd	209
1790	373—Sb	88
1794	1650—Qd	242
1796	6699— „	242
1797	76— „	243
1799	784—Sd	88
1799	319— „	88
1799	397— „	88
1799	6696—Qd	242
XVIII	1565—Ad	155
1800	791—Sd	88
1801	6148—Hd	209
1802	1315—Qd	242
1804	1905—Hd	209
1813	6898—Qd	242—243

ხარჯის წიგნები

1753	1634—Hd	209
1777	530— „	209
1779	3554— „	209
1799	3562— „	209
1805	3573— „	209
1810	3556— „	209
1827	3052— „	209

ხელშეკრულება

1790	1335—Hd	209

ჯამაგირის წიგნები

1696	86—Ad	155
XVII	76— „	155
1703	90— „	155
1768	369— „	155

პირადი საარქივო ფონდების საძიებელი

	წელი	№№-ები	გვერდი
დიმიტრი ყიფიანის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1819—1887	1: 1— 72	245
შემოქმედებითი მასალები	1865—1893	1: 73—124	245—246
მასალები სამეურნეო საქმიანობის შესახებ	1819—1886	1:125—155	246
მასალები საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ	1842—1886	1:156—192	246—247
მასალები საგლეხო რეფორმის შესახებ	1843—1865	1:193—234	247—248
მასალები საესსაიერაბრივი მოღვაწეობის შესახებ	1851—1861	1:235—307	248
მასალები საეგრელოს სამთავროს შესახებ	1841—1882	1:308—349	248
მიმოწერა	1859—1886	1:350—591	248—249
სხვადასხვა მასალები	1711—1886	1:592—629	249—250
ალ. ხახანაშვილის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1864—1912	2: 1— 14	251
შემოქმედებითი მასალები	XIX—XX	2: 15— 72	251—252
მასალები სამეურნეო საქმიანობის შესახებ	1841—1910	2: 73— 74	252
მასალები საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ	XIX—XX	2: 75— 79	252
მასალები პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ	XIX—XX	2: 80— 87	252
მიმოწერა	1880—1912	2: 88—404	252
სხვადასხვა მასალები	1900—1912	2:405—427	252
სხვადასხვა ფოტო-ფურცლები	XIX—XX	2:428—549	254
ევ. ვაიდენბაუმის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1872—1909	3: 1—5	255
შემოქმედებითი მასალები	1878—1917	3: 6—67	254
მასალები ქონებრივი და სამეურნეო საქმიანობის შესახებ	1883—1907	3: 68—72	255
მასალები საზოგადოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ .	1879—1918	3: 73—120	255—256
მიმოწერა	1875—1918	3:121—342; 639—831	256
სხვადასხვა მასალები	1770—1918	3:343—637	256—258
ბარონ ალ. ნიკოლაის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1861—1899	4: 1—6	259
შემოქმედებითი მასალები	1850—1891	4: 7—10	259
ქონებრივი და სამეურნეო ხასიათის საბუთები	1863—1871	4: 11—12	259
მასალები საზოგადოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ	1855—1900	4: 13—128	259—260
მიმოწერა	1843—1894	4:129—160	260
სხვადასხვა მასალები	1847—1891	4:161—181	260
მიხ. ბაჩაბლის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1878—1927	5: 1—8	262
შემოქმედებითი ძასალები	1880—1927	5: 9—26	202

მასალები სახოგადოებრივი და სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ	1887—1926	5: 27—85	262—263
მიმოწერა	1879—1923	5: 86—187	263
სხვადასხვა მასალები	1812—1920	5:188—222	263
ი. გოგებაშვილის არქივი:			
საარქივო მასალები	1864—1912	6: 1—272	266—268
ვას. კარბელაშვილის არქივი:			
საარქივო მასალები	1879—1933	7: 1— 52	269
მიხ. თუმანიშვილის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1848—1874	8: 1— 18	269
შემოქმედებითი მასალები	1850—1851	8: 19— 33	269—270
მასალები სახოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ	1812—1891	8: 34—497	270—271
მიმოწერა	1841—1871	8:498—518	271
სხვადასხვა მასალები	1802—1882	8:519—573	271
გ. თუმანიშვილის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1850—1917	9:1 —17	272
შემოქმედებითი მასალები	1870—1920	9:18 —108	272
საბუთები სამეურნეო საქმიანობის შესახებ	1891—1919	9:109—115	272
საბუთები სახოგადოებრივი საქმიანობის შესახებ	1845—1917	9:116—174	272
მიმოწერა	1836—1919	9:175—245	272—273
სხვადასხვა მასალები	1829—1927	9:246—361	273
მიქელ თამარაშვილის არქივი:			
ბიოგრაფიული მასალები	1888—1910	10:1 —24	274
შემოქმედებითი მასალები	1898—1910	10:25 —56	274
საბუთები სამეურნეო ხასიათისა	1889—1910	10:57 —67	274
საბუთები სახოგადოებრივი საქმიანობის შესახებ	1886—1911	10:68 —93	274
მიმოწერა	1889—1911	10:94 —776	274
სხვადასხვა მასალები	1628—1911	10:777—1045	274
საარქივო მასალები	XIX—XX	11:1559—1630	181
ალ. ჯაბადარის არქივი:			
შემოქმედებითი მასალები	1881—1917	11: 1—2	275
მასალები სახოგადოებრივი და სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ	1894—1926	11: 3—22	275
სხვადასხვა მასალები	1918—1925	11:23—43	275
ალ. ოკროპირიძის არქივი:			
საარქივო მასალები	1850—1899	12: 1—240	276
ილია ნაკაშიძის არქივი:			
შემოქმედებითი მასალები	XIX—XX	13: 1—76	276
გიორგი წერეთლის არქივი:			
საარქივო მასალები	1878—1904	14: 1—17	277
ანასტ. თუმანიშვილის			
საარქივო მასალები	XIX—XX	Q:389—443; 445	215

	წელი	ჩანაწერები	გვერდი
ივ. ელიავშვილის			
საარქივო მასალები	XIX—XX	Q:403—404	215
ალ. სარაჯიშვილის			
საარქივო მასალები	XIX—XX	Q:372	215
სვ. ხუნდაძის			
საარქივო მასალები	XIX—XX	Q:402	215

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

გარდა იმ ლიტერატურისა, რაც აქ, გზადაგზა, ტექსტსა და სქოლიოებშია მითითებული, წინამდებარე გზამკვლევის შედგენისას გამოყენებულია კიდევ შემდეგი:

1. ი. ბ. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი (თხზულებანი, ტომი 2. თბილისი, 1947)
2. ი. ბ. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში. თბილისი, 1950.
3. Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. Тифлис, 1875.
4. ივანე ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბილისი, 1949.
5. თედო ყორდანია. Описание рукописей церковного Музея духовенства Грузинской Эпархии. I, II, Тифлис. 1902—3.
6. მოსე ჯანაშვილი. Описание рукописей церковного Музея духовенства Грузинской Эпархии. III, Тифлис. 1908.
7. მოსე ჯანაშვილი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობა. ნაკვეთი IV (იხ. ხელნ. № 570—Q).
8. მოსე ჯანაშვილი. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა. I, II, III, ტფილისი, 1939 (იხ. ხელნაწერი № 578—Q).
9. დ. კარიჭაშვილი. კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა. ტფილისი, 1905.
10. Е. Такайшвили. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения т. т. I, II, Тифлис, 1902—1912.
11. ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში (ძველი საქართველო. III, თბილისი, 1913).
12. Кор. Кекелидзе. Литургические Грузинские памятники в отечественных книгохранилищах. Тифлис, 1908.
13. კორ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I, II, თბილისი, 1940.
14. ა. შანიძე. ძველი ქართული ენა. მოკლე მიმოხილვა (ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. კრესტომატია. შეადგინეს ა. შანიძემ, ალ. ბარამიძემ და ილ. აბულაძემ. თბილისი, 1950).
15. „Georgische Kunst". Ausstellung in Berlin, Köln etc. Iuli—Oktober 1930. (Berlin, Osteuropa—Verlag).
16. ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები. რენე შმერლინგისა პროფ. გ. ჩუბინაშვილის რედაქციით. ტფილისი, 1940.
17. ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი. შეადგინა ილია აბულაძემ. თბილისი, 1949.

18. შ ა ლ ვ ა ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. ბექა ოპიზარი. თბილისი. 1937.
19. ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ანა დედოფლისეული ნუსხა. ს ი ტ ყ ვ ნ ყ ა უ ხ ჩ ი-შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. თბილისი, 1942.
20. მ. ხ უ ბ უ ა. სპარსული ფირმანები და ჰოქმები. თბილისი, 1950.
21. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. I, შედგენილი ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა და ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს მიერ, ილია ა ბ უ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს საერთო რედაქციით. თბილისი, 1946.
22. ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. III, შედგენილი ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს რედაქ-ტორობით, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს საერთო რედაქციით. თბილისი, 1948.
23. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. IV. შედგენილი ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს ა და ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ი ს მიერ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს საერთო რედაქციით. თბილისი, 1950.
24. ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. V, შედგენილი ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს ა და ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ი ს მიერ ალ. ბ ა რ ა ბ ა ძ ი ს რედაქციით. თბილისი, 1949.
25. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტომი II, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლ ი ლ ი ქ უ თ ა თ ე-ლ ა ძ ი ს მიერ ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით. თბილისი. 1951.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

1. წინასიტყვაობა 5
2. შესავალი 7
3. ყოფ. წერა-წითხვის საზოგადოების ხელნაწერთა ფონდი 25
4. ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების საბუთების ფონდი 85
5. ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ძველი ხელნაწერთა ფონდი 98
6. ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ძველი საბუთების ფონდი 142
7. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდი . 159
8. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველი საბუთების ძველი ფონდი 199
9. ხელნაწერთა ახალი ფონდი 210
10. საბუთების ახალი ფონდი 231
11. პირადი საარქივო ფონდები 244
12. რუსულ ხელნაწერთა კოლექცია 280
13. სომხურ ხელნაწერთა კოლექცია 290
14. ბერძნული ხელნაწერების კოლექცია 292
15. თურქულ ხელნაწერთა კოლექცია 295
16. სპარსულ ხელნაწერთა კოლექცია 300
17. ხელნაწერთა ფოტოპირების კოლექცია 304
18. საძიებლები 207

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
47	племен кавказских	племен Кавказа
53	(№ 1745—S)	(№ 174—S)
53	(№ 171—S)	(№ 141—S)
55	XVII ს.	XVIII ს.
56	5. პორფირი „შეყუანილება".	5. იოანე დამასკელი. „დიალექტიკა".
117	1743	1733
124	თხვენაძემან	ფხვენაძემან
135	№ 1230—A	№ 1106—A
136	წყობილი სიტყვაობა	წყობილსიტყვაობა
138	№ 1230	№ 1106
154	ტოროზასა	გოროზასა
171	(№ 1509—H)	(№№ 1467—1509—H)
185	მეღვინეთ ხუციშვილისა	მეღვინეთუხუცესისა
224	ეჭუსთა დღეთათჳს	კაცისა შესაქმისათჳს

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი: კ. გ რ ი გ ო ლ ი ა

*

ტიქრედაქტორი ა. თ ო დ უ ა
კორექტორი გ. გ ო გ ი ა ვ ა
კონტროლიორ-კორექტ. ე. კ ა კ ა ბ ა ძ ე
გამომშვები გ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 19.2.51. ხელმოწ. დასაბეჭდად 10.3.52. ქაღალდ. ზომა 60×92 1/16. ქაღალდ. ფურც. 10,875. საბეჭდ. ფურც. 21,5. საავტ. ფურც. 20. სააღრ.-საგამომც. ფურც. 21,31.
შეკვ. № 916. უე 00678. ტირაჟი 1000.
ფასი 20 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა

თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.